# ახალი საუნჯე

ტექსტების და
კონტექსტების
ჟურნალი

№2 (44) თებერვალი, 2017 წელი

ფასი
2 ლარი


## Галина Крук


ნომრის ავტორები
დიმიტრი წიკლაური & ჰალინა კრუკი

პოეზია
ლია სტურუა
თეა თოფურია
გიო ლომიძე

პროზა
ზურა მელიქიძე

მწერლის არქივიდან
პაატა ცანკაშვილი

ახალი წიგნები
ლევან ბრეგაძე – ვახტანგ ჯავახაძეზე
ლელა კოდალაშვილი – ზურა აბაშიძეზე
ნინო სადღობელაშვილი – გაგა ნახუცრიშვილზე

ახალი თარგმანები
მაქს ფრიში
იუსიფ სამედოღლუ

**№2 (44) თებერვალი, 2017 წელი**

# ახალი საუნჯე

## ტექსტების და კონტექსტების ჟურნალი

პროექტის ავტორი: ვაჟა წოწკოლაური
მთავარი რედაქტორი: შოთა იათაშვილი
რედაქტორი-სტილისტი: ლელა კოდალაშვილი
დიზაინი და დაკაბადონება: ნიკა ხვედელიძე

სარედაქციო კოლეგია: დავით ანდრიაძე, გია ეძგვერაძე, დათო ტურაშვილი, ეკა ქევანიშვილი, ზაზა შათირიშვილი, დავით ჩიხლაძე, გია ხადური

ნომერზე მუშაობდნენ: ეკა ქევანიშვილი, დიმიტრი წიკლაური, მაშო ხასაია, გიორგი ხასაია, ლია სტურუა, თეა თოფურია, გიო ლომიძე, ზურა მელიქიძე, ლევან ბრეგაძე, ლელა კოდალაშვილი, ნინო სადღობელაშვილი, მაია ფანჯიკიძე, ოქტაი ქაზუმოვი

**გამომცემლობა «საუნჯე»**
მის.: ალ. ყაზბეგის 32/34
ტელ.: 2141214, 2395587, 2397188
Skype: saunje-saunje
ელ-ფოსტა: saungeo@gmail.com;
www.saungeo.ge

# 1. ნომრის ავტორები

# ეკა ქევანიშვილი

# დიმიტრი წიკლაურის ერთადერთი სტიქია – წერა

*მე თუ მკითხავთ, დიმიტრი წიკლაური თავის ტექსტებს ჰგავს – შორიდან უყურებს იმას, რაც ეპიცენტრში ხდება, აკვირდება და მერე მსჯელობს. მისი დასკვნები არ არის ცხელ წერტილში გაკეთებული, არც მიმდინარე მოვლენებს ადევნებული რეაქციები ახასიათებს. იმაზე წერს, რაზეც ეფიქრება და არა იმაზე, რაც ხდება. წარმავალი, ერთ დღეში დაძველებადი ამბები მას არ იზიდავს. აკი თვითონაც ამბობს, მარადიული თემები მირჩევნიაო. თხრობაც ასეთი აქვს – დროსა და სივრცეში გამოკიდებული. თან იმდენჯერ შეუძლია გარდაისახოს, რამდენ ტექსტსაც დაწერს – სხვა ენაა კრებულში «ეკლების კრეფა გვირგვინისათვის», სხვა – «შებინდების პოეტში», სხვა – «მზიდავში» და სხვა – «საფრთხობელას სეზონში». ამბები უყვარს, ამბის დეტალური აღწერები, გმირების ზედმიწევნით დახასიათება. ასე მგონია, სულ თავს დასტრიალებს თავის ტექსტებს, ნაკლი რომ არ დარჩეს, სადმე არ ამოიბურცოს ცუდად დაგებული იატაკივით... კიდევ რაც მისი ტექსტების კითხვისას ჩნდება, უცხო ამბების კითხვის განცდაა. თითქოს სხვაა მისი სამყარო, თითქოს დანარჩენი მწერლები იმ სამყაროს არ იცნობენ და სწორედ ეს სიახლე გიზიდავს ერთფეროვანებაში. თან ისეთი ამბებია, თითქოს რომ იცი, რომ სადღაც ხდება, მაგრამ დაგავიწყდა და*

*ხელახალი გახსენებით გითრევს და შეჰყავხარ ტექსტში. ასეთი მწერალია ჩემთვის დიმიტრი წიკლაური.*

მწერლებთან ასოციაციობანას თამაში ძალიან მომეწონა. დიმიტრი წიკლაურს, რომელსაც ვერ შეხვდებით წიგნის პრეზენტაციებსა და სხვა ლიტერატურულ თავყრილობებზე, ინტერვიუს ჩაწერამდე თორმეტი სიტყვა ვუთხარი. მაინტერესებდა, საით წაიყვანდა ეს სიტყვები და აი, რა პასუხი მივიღე:

**სიმაღლე** – იმ სიმაღლემდე რომ ამეღწია, დაშვებაც მომიწევდა.

**თავგადასავალი** – მრავალი თავგადასავალი ელოდა.

**უცხო ქვეყანა** – მაინც უცხო ქვეყანა იყო თავისი მკაცრი რეალობით.

**შვილი** – არა მგონია, შვილივით მივეღე.

**ერთხელ** – მსგავსი რამ ერთხელ უკვე ვცადე.

**ღმერთი** – მხოლოდ ღმერთის იმედად ვიყავი.

**მეგობარი** – მეგობარმაც კი ვერ გამიქაჩა ბოლომდე.

**წარსული, ხიდი** – წარსული ჩატეხილ ხიდს დაემსგავსა.

**ფანჯარა** – მომავალი დაგმანულ ფანჯარას.

**დედამიწა** – უვრცელეს უდაბნოს.

**ადამიანი** – სადაც მრავალი განმარტოებული ადამიანი დააბიჯებდა.

და მერე ლაპარაკიც დავიწყეთ. მწერლობა ამ ავტორისთვის მთელი ცხოვრების საქმე ყოფილა. არც გამიკვირდა, როცა მითხრა, აქტუალურ თემებზე მეტად მარადიული თემები მიზიდავსო. რაც სულ დარჩება, რაც

სულ არსებობს და რაც არასოდეს ხუნდებაო. მისი გმირებიც ასეთები არიან თურმე – სადღაც შიგნით კი არ თუხთუხებენ, როგორც თავად დიმიტრი წიკლაური ამბობს, «ბუნების წიაღში დგანან, ძონძებში გახვეულნი, შორს ქალაქიდან... მსჯელობენ ყველაზე მნიშვნელოვანზე ქვიშის ნახჭებში ამოგანგლულნი და იციან, რომ მოსვენება დიდხანს არ ექნებათ». მე მგონი, დიმიტრი წიკლაურიც ასეთი მწერალია.

**რა ამბით იწყება შენი ამბავი? ერთ დღეს რომ ამბის მოყოლა დაიწყო და ისე ჩამოაგრძელო, როგორც «მათხოვრის ქისაში» გაქვს, როგორ მოჰყვებოდი, რა ამბით დაიწყებდი?**

ჩემი ამბავი მოყოლად არ ღირს. ჩემი ცხოვრების ეპიზოდები შემაქვს გამოგონილ ამბებში. ჩემთვის მნიშვნელოვანი გამოგონილი სამყაროა, რაც ჩემს ცხოვრებას მეტნაკლებად მოიცავს.

**მეზღაპრე მამა როცა გყავს, ზღაპრების უფრო გჯერა თუ უფრო – არ? მომიყევი ილია წიკლაურზე. რა კაცი იყო, რას აკეთებდა, როგორ ზღაპრებს წერდა და შენ რომ წერ, ამ ამბავში ისიც თუა გარეული? ან რომ გკითხონ, დედამ რა გასწავლა და მამამ რაო, რას უპასუხებდი?**

მაგარი მამა მყავდა. 2009-ში გარდაიცვალა. მას რომანი მივუძღვენი – «ლივერპულის მოწყალება» – «ლიტერატურულ პალიტრაში» დაიბეჭდა. მაგრამ ამ

რომანში ერთი პროცენტიც ვერ გამოვხატე, როგორი ადამიანი იყო სინამდვილეში. დედაჩემი სულ ჩემთანაა, ადრე სკოლის მასწავლებელი იყო. რა გითხრა, მშობლებმა მასწავლეს ყველაფერი, ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანები არიან. მამაჩემი ზღაპრებს ძალიან პატარებისთვის წერდა. სიმაგრეში კი მისი პიროვნული თვისებები ვიგულისხმე – უბრალოება, ცხოვრების მიმართ დამოკიდებულება. წიგნად გამოცემას მე ვეღარ შევძლებ, გამომცემლობების კი რა გითხრა. თუ ღირებულად მიიჩნევდნენ, თვითონ «პალიტრა L» გამოსცემდა. მათ ჟურნალში იბეჭდებოდა. სამ ნომერში – 1, 2, 3. წელი? ორი თუ სამი წლის წინ. ალბათ აქტუალურად არ მიიჩნიეს. მე აქტუალურ თემებზე უფრო მეტად მარადიული თემები მიზიდავს.

**სად გაიარა შენმა ბავშვობამ, როგორი იყო ის და უცებ რომ თვალები დახუჭო, აი, ახლა, თუნდაც, რა გაგახსენდება პირველად?**

პავლოვის 24ა-ში, მე-60 სკოლის პირდაპირ, ნახევარფაბრიკატების თავზე. ორჯონიკიძის ძეგლს აივნიდან გავყურებდი. «შანხაიში» კინოსეანსებს ვესწრებოდი, ვაკე-საბურთალოს გზაზე დავხეტიალობდი... კომუნისტების დროს ჯარში გერმანიაში ვიყავი. თვალებს რომ ვხუჭავდი, იმ ადგილებს ვხედავდი «ნეტარი ღიმილით».

**«შანხაის» კინოსეანსებიდან ერთი ფილმი მაინც გაიხსენე, რომლიდანაც გულაჩქარებული გამოსულხარ.**

იყო ასეთი – под огнем (ცეცხლქვეშ). ჯოანა კესიდი თამაშობდა, ეშხიანი ქალი, კიდევ ნიკ ნოლტი. «დომინოს პრინციპი». «მაკენას ოქრო» – საუკეთესო ვესტერნი... რა ჩამოთვლის, თითო ფილმს რამდენჯერმე ვნახულობდი. იმ

დროის ფილმები მიზიდავდა, ჰემინგუეი და გრემ გრინი რაზეც წერდნენ, ჟურნალისტიკის ფაკულტეტი ჩემი ოცნების სფერო იყო.

**კომუნისტების დროს – გერმანიაში – უკვე ამბავია...**

6 თვე ხარკოვში ვიყავი, «учебка»-ს ეძახდნენ. პირველი განაწილება ავღანეთში იყო. მე გერმანიაში მოვხვდი. ყველაზე მეტ ჯარისკაცს იქ აგზავნიდნენ.

**შენ თავად როგორი ბავშვი იყავი, ან სხვებს რით ჰგავდი და ან რა გამოგარჩევდა მათგან?**

მიყვარდა მარტო წიგნები და ლეონიძის სახელობის ბიბლიოთეკა, პავლოვის ქუჩაზე იყო.

**და რა წიგნები მოგქონდა იქიდან?**

ლუი დე ბუსენარი, მარკ ტვენი, ჟიულ ვერნი, მაინ რიდი, რაფაელ საბატინი, გონჩაროვი, სერვანტესი, ფოლკნერი, ჯეკ ლონდონი, ათასი ვინმე.

**ანუ არც ველოსიპედი, არც ბურთი და არც არაფერი?**

ომობანას თამაში მიყვარდა ყველაზე მეტად. ფეხბურთი არც განიხილება, მეტნაკლებად ყველანი ვთამაშობდით.

**«საფრთხობელას სეზონში» გიწერია, რომ მდინარეები, გეგონა, ზღვიდან იღვრებოდნენ, მიწისძვრა კი ადამიანის მეტიჩრობით გამოწვეული მიწის წონასწორობის კარგვაა. მაგან გამიჩინა ეს შეკითხვა – სამყაროს შენეული «ახსნის» მაგალითები მხოლოდ ტექსტების ნაწილია, თუ ისედაც გქონდა (გაქვს) წარმოდგენები, რომლებისაც გჯეროდა (გჯერა)?**

არ მჯერა. უბრალოდ ბავშვობისდროინდელ ემოციებს ვიხსენებდი.

**რისი გჯერა?**

მჯერა ჯვარცმის ნაყოფის გამოღების. ქრისტე ღმერთის, კედრონის ველის გაღმა ბაღჩაში რომ ლოცულობდა კაცობრიობისთვის. ეს ბავშვობაში არ იყო, ეს მერე იყო. მწერლებზე დიდებულ ადამიანებს მონასტრებში გადავაწყდი. ბერებს მივუძღვენი სამი პოემა («ცოდვილი გახა», «მათხოვრის ქისა», «მზიდავი»). მათ ღმერთი ანაცვალეს ამ ცხოვრებას, დათმეს ეს ქვეყანა, დათმეს ყოველდღიურობა და განმარტოვდნენ ღმერთის მოლოდინში. მთავარი ასე თავდება – მთავარი გმირი განსაცდელის მერე ნახულობს ერთ დიად ბერს და შეკითხვას აძლევს... და ბერი პასუხობს: ყველას რაიმე უნდა გვამძიმებდეს, რომ არ ავმჩატდეთ ბუმბულებივითო...

**გუდამაყარი – მხოლოდ წარმოშობით თუ მისვლა-მოსვლით, დარჩენით, კავშირებით – დღეს თუ მიდი-მოდიხართ-მეთქი, როგორია შენი გუდამაყარი?**

ბავშვობაში დავდიოდით. პაპაჩემი რომ გარდაიცვალა, 11 წლის ვიყავი. მერე რაღაცნაირად დავკარგე ეგ დიდებული მხარე...

**ანუ ყველა მოგონება თბილისს უკავშირდება და თბილისის გარშემო ტრიალებს? არ იყო სოფელი, დაბა, აგარაკი, მეგობრებთან წასვლები?**

როგორ არ იყო – ახალდაბა, ჩემი დედულეთი. ბორჯომის ხეობის ულამაზესი დასახლება. სპეტაკი წლები.

ზოგადად, ადგილების არჩევის, მიჩვევის, დამოკიდებულების ქონის მხრივ როგორი ადამიანია დიმიტრი წიკლაური? თუ იმახსოვრებ ამ ადგილებს და თუ გაქვს მნიშვნელოვანი ადგილები ცხოვრებაში, სადაც

ბრუნდები ან დაბრუნდებოდი? რაზეც წერ და არ გინახავს, ან – პირიქით, ნახე და მასზე წერას ვერ მოეშვი?

ადგილები უმნიშვნელოვანესია მწერლისთვის. გამოგონილ გმირებს ასახლებ რეალურად არსებულ ადგილებში. მაგალითად – არაქანი «მათხოვრის ქისა»-ში ჩემი აივნიდან მოჩანს. (ოდესმე დავათვალიეროთ) ეგ ადგილები. «ლივერპულის მოწყალებაშიც» გამოვიყენე, ოღონდაც იქ არასოდეს გვიცხოვრია.

**სკოლა, უნივერსიტეტი, სწავლა, სამსახური – ყველაფერი, რაც წერის მიღმა იყო, როგორ გახსენდება, რა ნაწილი ეკავა შენს ცხოვრებაში – როგორ ირჩევდი ადგილებს, სადაც მიდიოდი? პროფესიას, ჰობს, რამის კეთებას...**

ჩემთვის ყველაზე მთავარი მწერლობა იყო. დანარჩენი გულსგარეთ ცხოვრებამ მოიტანა. არ მიყვარდა სკოლა, არც ინსტიტუტი, რადგან ვსწავლობდი იმას, რაც გულს არ ეკარებოდა. სწორი არჩევანი თავიდანვე უნდა გააკეთო, მერე ვერაფერს შეცვლი.

**ექიმ-ფარმაკოლოგი ყოფილხარ – მითხარი კიდეც, ფარმაცევტულ ქარხანაში ვმუშაობო – მანდ თუ იციან შენი მწერლობის ამბავი?**

არავითარი ექიმი-ფარმაკოლოგი არა ვარ. ფარმაცევტული ფაკულტეტი დავამთავრე (ძლივს!), სამსახური კი ვიშოვე ჩემი უახლოესი მეგობრის შემწეობით. წერა ჩემი ერთადერთი სტიქიაა...

**ფარმაციას და მწერლობას თუ აქვთ რამე საერთო და თუ კი, რა?**

იქნებ აქვთ კიდეც. მაგის შესახებ ვერაფერს გეტყვი. ჩვენი ხალხი ყველგან საჭიროა. თემას ყველგან იპოვი.

**დღე რომ იწყება – დღეს რა ხდება ხოლმე? 9 საათი და 10 წუთი – აი, მაგალითად და მას მერეც... ყოფითი პრობლემები – ბევრია?**

დღეებს თავისი ერთფეროვნება აქვთ. მუშაობ და აგვარებ ყოფით პრობლემებს, მეტ-ნაკლებად.

**რა გამოდის, მთელი დღეები მუშაობ – ანუ როდის წერ?**

სულ ვწერ. ოღონდ, დიდად ნაყოფიერი ვერა ვარ სწორედ მაგის გამო, რომ ვმუშაობ. ალბათ, არც არის საჭირო დიდად ნაყოფიერება. ამ დღეებში ახალ მოთხრობას დავამთავრებ.

**როგორ ფიქრობ, მწერლობას სჭირდება თავგანწირვა? და საერთოდ რას სჭირდება თავგანწირვა? და სიყვარულს?**

თავგანწირვა სჭირდება, რომელიც მე არ ჩამიდენია და აღარაფერი მეთქმის. ცხოვრება გზის გავლაა, რომელსაც ყველანი ვადგავართ. ღმერთი თავგანწირვას გვკარნახობს, **სიყვარული გარე განათებასავითაა,** ბინდბუნდში რომ არ ვიაროთ.

**მგონი, მართალია. შენ ხარ კაცი, რომელიც წერს, მაგრამ რასაც დღევანდელი ლიტერატურული წრე ჰქვია, იქ ბევრი არ იცნობს, და ვინც იცნობს, ის მისით აღფრთოვანებულია – რატომ ხარ ასე შორს იმ სამყაროსგან, რომლის ნაწილიც ხარ?**

ეს მარიამ წიკლაურმა თქვა ჩემზე, მოგვარეა და გულშემატკივარი. შორს კი იმიტომ ვარ, რომ ყოველდღე ვმუშაობ შაბათის ჩათვლით, კვირას კი ვნახულობ შვილიშვილს, რომელსაც დემეტრე ჰქვია.

**და დემეტრე როგორია? აი, კვირადღე რომ ეძღვნება, ის დემეტრე.**

ჯერ ექვსი თვისაა. როგორია და – სიცოცხლე!

**წერის გარდა, კიდევ რა არის ის, რაც ავსებს შენს ცხოვრებას? და ვინ ავსებს?**

ოჯახი, შვილები, მეგობრები.

**სულ პირველად რომ წერა დაიწყე და წერტილი დასვი – მაშინ რა მოხდა, ვის გაუზიარე, თუ იყო ვინმე ასეთი და რა გითხრეს?**

ალბათ, მშობლებს, დიდი აღტაცება არ გამოუხატავთ. ამ ამბებში რამე დიადი ხდება?

**იმას ვგულისხმობდი, რომ ზოგი მწერალი საინტერესო ამბავს ჰყვება ხოლმე მწერლურ დებიუტზე – ამიტომაც გკითხე.**

დებიუტი იყო – ლაბორატორიაში დაკლული ბაყაყი – რომელსაც ინსტიტუტში გარკვეული რეზონანსი ჰქონდა.

**ყოველთვის იცის მწერალმა – როგორ აღიქვამენ მას. და მერე ეს აღქმა ან ყოფნის ან არა. შენ?**

მაია სარიშვილს უთქვამს ჩემთვის თბილი სიტყვები, რომელიც დამანგრევლად დიდი პოეტია. უთქვამს კიდევ რამდენიმე სხვა პოეტსაც. ეს ჩემი თემა არ არის.

**მწერლობა შენთვის რა უფრო იყო წლების წინ – მიზანი, რომლის მიღწევაც გსურდა, მოცემულობა, რომ წერდი და**

**სხვანაირად არ შეგეძლო თუ...**

«მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია» პირადში, ყველა წარმატებაზე მეტად ლიტერატურული წარმატება მახარებს. მწერლობა ჩემთვის არის ყველაზე დიადი საქმე.

**სად არის ის ადგილი, სადაც დღეს დიმიტრი წიკლაური ყველაზე ბევრს წერს და როგორია ეს ადგილი? რით უნდა იყოს ის გამორჩეული და თუ უნდა აკმაყოფილებდეს რამე განსაკუთრებულ პირობებს?**

სად დავწერ, დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, მნიშვნელოვანი დავწერო.

**ოჯახი – შენი მწერლობა მათთვის რას ნიშნავს?**

როცა მბეჭდავენ, მოსწონთ, კითხულობენ.

**რა გჭირდება იმისთვის, რომ ამბები მოჰყვე – რა არის შენი მთავარი ბიძგი, გნებავს, შთაგონება?**

ოაზისის დანახვა, მერე კი მიდიხარ ხანგრძლივ უდაბნოში.

**ხანგრძლივი უდაბნო? ყველანი ვხვდებით მანდ? შორსაა? რას ნიშნავს მანდ წასვლა შენთვის?**

ღვთის ძებნას, რომელიც ყოველ ნაბიჯზეა, მაგრამ არავინ იცის სად გადააწყდები.

**და გმირები? გარედან რომ შეგიხედავს, თუ შეგიხედავს და დახატეო, ვინმემ რომ გითხრას შენი გმირები – როგორები იქნებოდნენ, ან ვინ არიან ეს შენი გმირები?**

ბუნების წიაღში მდგარნი, ძონძებში გახვეულნი, შორს ქალაქი რომ მოჩანს, ესენი კი მსჯელობენ ყველაზე მნიშვნელოვანზე ქვიშის ნახჭებში ამოგანგლულნი და იციან, რომ მოსვენება დიდხანს არ ექნებათ...

**შენი გმირების დახასიათებაზე გამახსენდა და ბჭობაზე – ბევრი კითხვა გაქვს, რომელზეც პასუხი ვერ გიპოვია?**

სახარებაში ყველაფერია, მაგრამ ეძებ იმისთვის, რომ გაითავისო, შენი გახდეს, მშობლიური.

**რა უფრო მთავარია შენთვის თხრობისას – ამბავი თუ მაინც თხრობის მანერა, რაზე უფრო მეტს მუშაობ ხოლმე, როცა წერ?**

ამბავი, როგორ ამბობენ – ფიქშენ – მუდამ თხრობის ქომაგად დავრჩები, თვითონ ამბავი მოიტანს სიტყვებს, რომელსაც ამბავი ტანზე მოირგებს. ისე, კარგი იქნებოდა წერის ტექნოლოგიები შემესწავლა.

**და ამბებს (შენი გმირი, სულელი ბასკა გამახსენდა) სად პოულობ ხოლმე, სად გამოსდებ ხოლმე კაუჭს – ყველა თავში იბადება თუ სადმე წამოაგებ ხოლმე ანკესზე?**

შიომღვიმის გზაზე ბაზილიკა დგას, დიმიტრი თესალონიკელის სახელობის, ადრე მე და ჩემი ერთი ძმაკაცი (ისიც დიმიტრი) აღდგენას ვცდილობდით, ხარაჩოების შოვნას, ქვების ამოზიდვას მტკვრიდან, სახურავის ბჯენად რომ ივარგებდა. ერთი დაფხავებული «06» მყავდა და სულ იმ ადგილებში ვტრიალებდით, მოთხრობაში რომ არის აღწერილი. რომ დაიბეჭდა, მახსოვს, ნინო სადღობელაშვილმა მესიჯი მომწერა – ეს ნამდვილი ლიტერატურაა, ბრავო, გილოცავ! დიდხანს ვინახავდი, მერე წამეშალა...

**რას უპასუხებდი მათ, ვინც პირდაპირ გკითხავდა, რატომ უნდა წავიკითხო შენი წიგნიო?**

არაფერს, რა უნდა მეპასუხა.

**როგორ არა – შენ იცი, რატომ უნდა წაიკითხონ შენი წიგნები. რატომ წერ, ისიც იცი. მაგაში ვერავინ გადამარწმუნებს, რომ ეს მწერალმა არ იცის.**

ასე გეტყვი. მე ვწერ იმაზე, რაც ჩემთვის მნიშვნელოვანია. თუ ვინმეს მოეწონება, ალბათ, ისიც ამ კუთხით ეძებს მარადიულ ამბებს.

**რაც დაგიწერია, მათგან რომელიმე წიგნი თუ მოგძულებია?**

კი, ას სტრიქონიანი ლექსი დავწერე ზოდიაქოზე, ასე თავდებოდა – «დატოვეო ყოველი და ჩემთან მოდი აქო, ღრუბლებიდან დამჩურჩულებს ჩემი ზოდიაქო» – ოდა ვუძღვენი, რაც სისულელედ მიმაჩნია დღეს.

**«ეკლების კრეფა გვირგვინისთვის» – ცოტა ავტორი იყენებს ამბის მოსათხრობად ამ ფორმას – რა გიზიდავს შენ პირადად ამ ფორმაში?**

მაშინ მეგონა გენიალური რამ მოვიფიქრე და «მარგალიტებად» მინდოდა გამეწყო. მარიამ წიკლაურმა და მარინა თექთუმანიძემ მისაყვედურეს, ჯერ ჩვენთვის გეჩვენებინაო, ეტყობა, ბევრი ლაფსუსი იყო.

**როგორ გგონია, მწერლობამ თუ იცვალა დანიშნულება 21-ე საუკუნეში? წიგნის გაქრობის თუ გჯერა?**

ბიბლიის და ფსალმუნის მერე პროზა და პოეზია წმინდა წიგნების ყავარჯნებივით არიან და დანიშნულებაც მრავალმხრივი აქვთ. წიგნის გაქრობის არ მჯერა. გაქრება წიგნი და გაქრება სამყაროც!

**წიგნიდან წიგნამდე – როგორც მწერალი, შენს თავს თუ გადააფასებ-გადმოაფასებ ხოლმე? ჩაიხედავ შიგნით, გადმოყრი რამეს, რამეს მიამატებ და აი, ახლა არა უშავსო, იტყვი? ასეთი რამ თუ გქონია?**

ადრე დამფინანსებლებს ვნახულობდი და ცოტაოდენ ტირაჟს ჩამოვყრიდი ხოლმე, მერე ახლობლებს ვჩუქნიდი, ახლა სხვა რეალობაა. რაღაცების შეცვლა, ეგ პროცესი მუდმივადაა.

**აი, მაგაზე უნდა მეკითხა, ცოტაიდენ ტირაჟსა და ახლობლებს შორის დარიგებულ წიგნებზე – როგორ გინდა მიაღწიონ მაგ წიგნებმა მკითხველამდე? ყველა შოთა იათაშვილი ვერ იქნება, შენი ყველა წიგნი რომ სახლში ედოს – და თუ მწერლობა ყველაზე დიადი საქმეა და შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი – მაშინ, რა გამოდის, საქმე, რომელიც ყველაზე მეტად გიყვარს, რჩება სადღაც ჩრდილში? გიფიქრია ამაზე?**

შოთას ბევრჯერ გაუწევია ძმობა. 90-იანებიდან ვიცნობ. კარგი იქნებოდა, ვიბეჭდებოდე, სხვა რა გითხრა?

**ანუ დიდ გამომცემლებთან ურთიერთობა არ გამოდის თუ არც გიცდია?**

რაღაცნაირად ასე მოხდა.

**იდეალური ადგილი შეგიძლია აღწერო, სადაც წერას ინატრებდი?**

ადგილს მნიშვნელობა არა აქვს, აიტმატოვი ყირგიზეთის ხორშაკებში წერდა გენიალობებს, პლატონოვი სანგარში, ჯეკ ლონდონი იუკონში გათოშილი ხელებით, და ყველაზე უკეთ გამოსდიოდათ.

**ის შეგრძნება თუ გაქვს ხოლმე, რომ მთავარი დასაწერი წიგნი წინ გაქვს?**

შეგრძნება კი არა, ზუსტად ვიცი, თითქმის მთელი შინაარსი მოფიქრებული მაქვს და გონებაში ვხვეწავ, ბოლოს მაგას დავწერ და მოვრჩები.

**ანუ დაწერ იმ ერთ წიგნს და მორჩები. ეგ საიდან იცი, რომ ბოლო იქნება? ეგრეა ვითომ, რეცეპტით გამოწერ და მორჩა? რაზე იქნება, ცოტათი გამიმხელ?**

მანამდე დავწერ რაღაცებს, მაგრამ იმ ერთს ალბათ ბოლოს დავწერ, ასე მგონია.

**არის ისეთი კითხვა, რაც სულ გინდა გკითხონ და არასოდეს არავინ გეკითხება?**

დიდად არ მიფიქრია მაგაზე.

**როგორი მწერალიაო, რა გინდა რომ შენზე თქვან?**

საინტერესო – ყველას მადლიერი ვარ, ვისაც გამოუხატავს.

**და შენთვის თუ არსებობს მწერალი, რომლისგანაც მთავარი რამეები ისწავლე? ანდა იტყოდი, აესეთი ავტორი ვიქნებოდი, ამის ტექსტებს სიამოვნებით მოვაწერდი ხელსო?**

არსებობს და არაერთი – კაფკა გენიოსია, დამანგრეველი მწერლობა მოიტანა, კობო აბე – «ქალი ქვიშაში», ამოუწურავი დოსტოევსკი, კამილო ხოსე სელა, ალბერ კამიუ – «უცხო» – მსოფლიო რომანი!.. სამყაროს მრავალი პირველხარისხოვანი მწერალი ჰყავს, ბროლის ჭაღივით ბრჭყვიალებენ უღიმღამო ინტერიერში...

**წერა რომ არ შეგეძლოს, როგორ გგონია, რა გამოგივიდოდა უკეთესად?**

რასაც წერა ჰქვია, არ ვიცი, შემიძლია თუ არა, მაგრამ სხვა არცერთი საქმე რომ არ შემიძლია, ნამდვილად ვიცი. ჩემი ცხოვრება იატაკქვეშეთში ჯუჯა პალმის ექსტრაქტის კასრებს ამოფარებული კაცის ცხოვრებაა, მწერლობაზე რომ ამოსდის მზე და მთვარე.

# დიმიტრი წიკლაური

## შებინდების პოეტი

* * *

მე ვარ პოეტი შებინდების!
და ჩემს ნააზრევს გვიან ვაქვეყნებ,
როცა თავის პეწსაც ჰკარგავს და აქტუალობასაც,
დიადი ბრძოლის მეორე დღეს
ველზე მხრჩოლავი თივის ბულულივით...

* * *

გამარჯობა! მიცნობდეთ!
მე ჭეშმარიტი ჭაობელი ვარ.
მეც იმ დინებას მოვყევი,
ნაგავს უხვად რომ მოყრის ხოლმე
და საითაც სახელი გამივარდა,
ბოლოც იქით მხრიდან მომეღო.
აწი არსად აღარ მელიან,
თუმცა სხვა ბედს არც მე ველოდი.
ჭაობები ხომ დედამიწის დაჩირქებული ადგილებია...

* * *

განა საქარხნო დასახლება რამეს შეცვლიდა?
ფეშენებელურ რაიონში მაცხოვრებელ კაცს
გარეუბნელზე მეტად უყვარს განა სამშობლო?

* * *

ჩვენი ცხოვრება ბრძოლა გახლავთ და თუ ბრძოლაა
და შენც თუ იბრძვი, მაშ ცხოვრების წესსაც ღებულობ,
მის კანონს ჰგუობ, მორჩილებას იჩენ მისადმი,
ამბოხებული მაშინა ხარ, როცა არ იბრძვი!

* * *

ურმის ჭრიალა ბორბალს მაშინ დაჰფოფინებენ,
როცა ლაფშია ჩაფლული და არ ჩანს ნახევრად.
რა ამაოა ყოველივე, რაც საამოა,
თუმცა საამოც იქნებ სწორედ ამის გამოა?

* * *

ტანკენარი ხეები აშოლტილი კენწეროებით,
თითქოს სადღესასწაულოდ გამოწყობილანო,
წოწოლა შენობებს გვერდს უმშვენებენ უნაზესი
სატრფოებივით...
შენობა და ხე, შენობა და ხე...
სავსეა ქუჩები ასეთი წყვილებით...

* * *

ცა თითქოს შავი თალფაქია,
შუქის სვეტზე შემოხვეული
და ვარსკვლავები ნაჭრის წვრილი ნასვრეტებია,
საიდანაც სინათლე ჟონავს, როგორც თეთრი ფქვილი
საცრიდან...

* * *

კაცს თუ მარხავენ კარგ ამინდში, ასე იტყვიან:
კარგი კაცი იყო საწყალი,
გამოდარებით ბუნებამაც შეუწყო ხელი!
თუ წვიმა და ქარტეხილია, ასე იტყვიან:
კარგი კაცი იყო საწყალი,
მისი სიკვდილი ბუნებამაც განიცადაო...

* * *

ნუთუ ვერ ხვდებით, რომ ყველაზე სევდიანი ფილოსოფოსი
მეფის კარზე უნდა ეძებონ,
რადგან არ ხიბლავს ბრჭყვიალება სრა-სასახლეთა.
ძაფს რა გამოლევს სამკერვალოში, ხოლო თოკები,

ერთმანეთთან რაც გვაკავშირებს,
ვის ყელზე ყულფად გაინასკვა
და ვის ხელში მათრახად იქცა...

* * *

რომ ფანტაზია უხვადა მაქვს,
როგორც ხორბალი მეწისქვილეს...
რომ ჩვენ სიკეთედ ვუთვლიდით და ნუგეშისცემად,
ამ ღორს კი თურმე დასაკლავად არ ასუქებდნენ?

* * *

ვიღას ჭირდება სიღრმეები, დაფლული სიბრძნე,
მთავარია რომ ზედაპირი მოავარაყო.
აი, ესკიზი ჩვენს აღსაწერად.
ჩვენ რაციონში დანაყრება არ იგულისხმება...
მამლების ყივილს ვუერთდები ვაივიშით ყოველ ცისმარე,
მოთმინების ფიალა მდიდრის ქისასავითა მაქვს...
ეჰა, რა იზამ, მომცრო სურა მალე ივსება!
ყვითელი მზე ფუჭად ირჯება, რა დაადნობს ხსოვნის ფანტელებს,
ხსოვნის ციდან ჩამოცვენილებს...
რომ მძიმე ქვა ვარ, ახლოვდება ცხოვრების ფსკერი,
შლამში შემალულ რეპტილიებს ძილი დავუფრთხო...
რომ პიროვნების ცამდე აყვანას, ზუსტად ის ძალისხმევა ჭირდება,
რაც მის მიწასთან გასწორებას,
რომ უნაზესი აკორდები მაშინ გაისმის,
როცა სიმები უწყალოდ წყდება...
რომ სიყრმე დღეთა მფანტველია და სიბერე, დღეთა მზოგავი,
იგივე ლტოლვა, ქალწულს სარკისკენ რომ ეწევა,
ტირიფს ტბორისკენ მიექაჩება.

რომ გმირი არ ვარ, ზუსტად იმ დროს გარდავიცვალო,
როცა სიცოცხლის დიდებული წამები დგება,
თუკი ამ ბორცვზე დამმარხავდნენ, რატომ ვერ ვგრძნობდი?
მე ხომ მრავალჯერ ჩავუარე მას მხიარულად.

* * *

უკიდეგანო მატერიავ, მყიფე ქსოვილო,
ნეტავ თუ იცი, შენ ზოგიერთ კუთხე-კუნჭულში
რა წყვდიადი და სიცივეა გამეფებული?

* * *

მოვა დევგმირი და ვეზუვის ცეცხლსა და ლავას
ისე შეხვრეპს, ვით ფინჯან ჩაის...

* * *

ზოგი იმისთვის იბადება წუთისოფელში
მუჯლუგუნები დავიწყებას რომ არ მიეცეს...
მე რომ დავბერდი, ჯერაც ნორჩი იყო სამყარო...
მეფედ კურთხევაც ხომ გულისხმობს ჩავლას ამალით,
თავის ბინადართ სიამაყე რომ ჩაუნერგოს.
ჩემი ცხოვრების უმნიშვნელო ეპიზოდებში
ხშირად ქარები დიად დროშებს აფრიალებდნენ...

* * *

ხოლო გონება საჩუქარი სულაც არ გახლავთ.
ეს იგივეა, რომ კაცს მძიმე ტვირთი აჰკიდო
და შესთავაზო, ცოტა ხომ არ გვესეირნაო...

* * *

გავჩენილიყავ ნიანგად ან იაგუარად,
ერთხელ ვშობილვარ და მაშინაც ჭიაღუა ვარ...

* * *

ლეკვი ვარ, ლეკვი, რუსთველის ჯიშის
და თავს პოეტად იმისთვის ვრაცხავ,
რომ თქვენს ნაშენებ ტაძრების ჩრდილში
თითო-ოროლა წამოვდგა ფაცხა.
მე ეს ნაჯღაბნი არ მაწევს ტვირთად,
იმის იმედზე შევთხზე უსტარი,
რომ ქვეყანაზე უვარგის ნივთსაც
მოეძებნება თავის მუშტარი.

* * *

ბაღის ბოლოში დგანან ჭადრები
და ქანაობენ მათი ტოტები.
მე იქ არასდროს აღარ დავდგები
და არც არასდროს დაგელოდები.
ბაღის ბოლოში აღარ მოგიცდი,
შენთან შეხვედრა სულ აღარ მართობს.
მე დავიბადე სიმარტოვისთვის,
რომ სიმარტოვე არ იყოს მარტო...

* * *

თავს იმტვრევს მეფე,
მის ბაღჩებში ბროწეულს ჰკრეფენ –
ეჰ, ვიყო გლეხი,
ქვეყნის ნაცვლად ვუვლიდე ხეხილს.

## ყვითელი ნიშნით აღბეჭდილნი

**1.**

ყვითელი ნიშნით საყოველთაო აღბეჭვდის პერიოდში ერთ საშუალო მონაცემების წყალწყვის გემზე ვმუშაობდი. სავაჭრო ხომალდი იყო. სამხრეთ საბერძნეთში მანგანუმს ვეზიდებოდით ქაღალდის ტომრებით. ზედიზედ რამდენიმე რეისი შევასრულეთ. იქიდან ხატები, საეკლესიო ნახშირი და საკმეველი გადაგვქონდა სერბეთში. საქმეები საუცხოოდ მიგვდიოდა და ამინდიც გვწყალობდა. ერთ დღესაც ჯანღი ჩამოწვა. მფრინავმა თევზებმა სულსწრაფად ჩაგვიქროლეს და თოლიებმა ჭყავილით გადაგვიფრინეს თავზე. გახევებული შევჩერებოდით ცვლილებების ნიშანს, თითქოს განსაცდელი შესაფერის მომენტს ეძებსო. გზაში კაპიტანი შეუძლოდ გახდა, რაღაც უცნობი ციებ-ცხელება შეყროდა. უკან გამობრუნებას ვაპირებდით, როცა შეგვატყობინეს, სასწრაფოდ ვენეციისკენ აგვეღო გეზი. იქ ერთი მსხვილი ვაჭარი გველოდა. პორტში ბოლთას სცემდა და წამდაუწუმ დასცქეროდა ჯიბის საათს ოქროსფერი ზონრით. მარცხენა ხელი ქვაბურა ქუდისთვის ჩაევლო, ალბათ ქარს რომ არ წარეტაცა, მარჯვენით საკვოიაჟი ეკავა. ქურთუკის დიდრონი ღილები ლამის ჟღარუნობდა. შარფი იმდენჯერ შემოეხვია, ფრეგატებს რომ მიაბამენ ხოლმე ბჯენზე. ერთი შეხედვით კეთილი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ბავშვებს შაქარყინულით რომ უმასპინძლდებიან, მაგრამ მსგავსი ინდივიდუმი ბუნებაში მეორე არ იარსებებდა. ესეც ალბათ დედისერთა იყო.

– მენეჯერი დამიძახეთ! – მოგვმართა მან.

საბუქსირო კატარღა გემს ნელ-ნელა სცილდებოდა და უკან აქაფებულ კვალს ტოვებდა. კუნძულთან მიახლოებისას, სადაც მენეჯერი გამდიდრებას აპირებდა, მომცრო მეჩეჩები ამოჩრილიყო, თითქოს ქაღალდის ფულით დასაჩუქრებამდე ჯერ გროშებს აჩეჩებდნენ ხელში. მენეჯერი რამდენიმე ენაზე თავისუფლად საუბრობდა, თუმცა ჩვენი თანამემამულე იყო. ასე დავასკვენი. აბა, რაში დაჭირდებოდა ევროპა-აზიის საზღვარზე მდებარე პატარა ქვეყნის სალაპარაკო ენა, თუკი მის წიაღში არ იშვა? იგი პრაქტიკული კაცი ჩანდა, ზერელედ არაფერს შეისწავლიდა. მოუსვენრად ბორგავდა, რადგან ნებისმიერ თემას წვრილმანებამდე უკირკიტებდა, სანამ ამოწურულად არ მიიჩნევდა.

მენეჯერმა ნაპირზე რატომღაც მე გამიყოლა თანმხლებ პირად. დანარჩენებს უბრძანა, გემიდან ფეხი არ მოეცვალათ. შესაძლოა, მალევე დავბრუნდეთ და მზადყოფნაში დამხვდითო. მეზღვაურებს სახეზე მომწყვდეულ ბუზთა გატანჯული მზერა აღებეჭდათ, სარკმლის მინას რომ ვერ სცილდებიან, გარე სამყაროს მშვენივრად აღიქვამენ, მაგრამ შიგნით შეღწევა არ ძალუძთ და აბეზარი ბზუილის მეტი არაფერი დარჩენიათ.

ერთ საათში გაკრიალებულ ტანისამოსში გამოწყობილი მენეჯერი ქვაფენილზე ისე მძიმედ მიბაკუნობდა, იფიქრებდი, მარილის ტომრებს ეზიდებაო. მახინჯი პირისახე ჩაფხუტით რომ დაეფარა, უფრო სიმპათიური იქნებოდა. ნავმისადგომთან ჟღალწვერიან გონდოლიერს გაესაუბრა, სახეზე ჭორფლი რომ ეყარა და მწვანე თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. ვეება ნიჩაბს დაყრდნობილი, ძველ ვიკინგს ჰგავდა. ფასზე შეთანხმდნენ და გონდოლაში ჩავსხედით. ყრუ დგაფუნში სრუტე დაიწრიტა და ჩვენ კონსერვატორიის შენობას მივადექით.

ეს სან-მარკოსგან არც ისე შორს იყო. გრილ ვესტიბიულში შესვლისას შეგვაჟრჟოლა. სანამ დარბაზს მივადგებოდით, საქმეთა მწარმოებლის კაბინეტში გვიხმეს. შესასვლელთან ერთადერთი საკიდი იმ სიმაღლეზე მიეჭედათ, პალტოს ვერ მიაწვდენდი, შლაპა კი უნდა აგესროლა. მასპინძელმა გულცივი მზერა მოგვაპყრო. ლაპარაკის დაწყებას აყოვნებდა. მერე თანამშრომელს უხმო, რომელიც დარბაზში შეგვიძღვა. იქ უამრავი პიანინო იდგა სპილოს ძვლისა და გიშრისფერი კლავიშებით, თითქოს ოსტატის მოლოდინში გარინდებულებს, ერთი სული ჰქონდათ, სივრცე ღვთაებრივი ჰანგებით შეეძრათ. სხვა ინსტრუმენტებიც ბლომად ელაგა – საყვირები, კლარნეტები, საქსაფონები. სანამ შესყიდვის საბუთებს აწესრიგებდნენ, საკრავებს დაზაფრული შევყურებდი. მენეჯერი, რომელსაც პიანინოების შემსყიდველი შევარქვი, წამდაუწუმ თავს იმართლებდა: – ძუნწი კი არ გახლავართ, თანხები ყველაფერს უნდა გავაწვდინო. აღმოსავლეთში სიღარიბე სუფევს, მუსიკალური საკრავების შეძენითაც დიდად არ იწუხებენ თავს. ორღანების შესყიდვაზე საერთოდ უარი უნდა გითხრათ, ჩვენთან არ გასაღდება, კათოლიკური წირვები უმნიშვნელო რაოდენობის ტაძრებში თუ ტარდება! – თუმცა ამ ლაპარაკს შედეგი არ გამოჰქონდა. ყვითელი ნიშნით რომ ყოფილიყავით აღბეჭდილი, ფასი გაგინახევრდებოდათო, აუხსნა საქმის მწარმოებელმა. მენეჯერმა ყურები ცქვიტა. – მაგას როგორ მოვახერხებ? – ჩაეძია დაჟინებით. მოედანზე, მუზეუმის გვერდით, მხატვარი ჯუზეპე იკითხე. ახლავე გავწევო, თქვა მენეჯერმა და დეზების წკარუნით გაეშურა. შესამოსელის კიდეებით გაუფერულებულ მტვერს მიიხვეტავდა, თანაც ისე იშმუშნებოდა, თითქოს ჯიბიდან ოქროს მონეტები სცვიოდა. მეც მივდევდი ქვაფენილით მოკირწყლულ

ვიწრო ტროტუარზე. მხატვარი მალე მოვნახეთ. ძველმოდური პიჯაკი ტანზე ბუნებრივად ადგა. მოედნის მერხზე ჩამოგვსხა და გამოგველაპარაკა. ჩვენ წინ დახრილი კოშკი ჩანდა, მარცხნივ კი კონსერვატორია, საიდანაც ეს-ეს იყო გამოვედით.

– კანონს ხომ არ ვარღვევთ? – ჰკითხა მენეჯერმა.

– ალბათ ჰო, მაგრამ მომჩივანი არავინ გვეყოლება! – დაამშვიდა მხატვარმა.

ჯუზეპე სვირინგის მოხატვას შეუდგა. იგი ისე საგულდაგულოდ საქმიანობდა, წვრილმანებში ქექვის დიდოსტატი იქნებოდა. გამოსახულება ყვითელ ფონზე კვადრატში ჩახაზულ წრეს წარმოადგენდა. ყოველი დეტალის გამოსახვა ძალისხმევას საჭიროებს! – იძახდა დროდადრო – აი, როგორც ფერად ილუსტრაციებშია. ამ კოლბასავით ვიწრო ჭურჭელში იდუმალი საღებავია მოთავსებული, ავღანეთში შევიძინე!

მოულოდნელად წვიმა წამოვიდა – ჯაგრისების გარეშე ვიტრინების მრეცხავი, სველ ქვაფენილზე ჭიქების ჭახუნივით რომ გაისმოდა დიდრონი წვეთების დაცემის ხმა, თითქოს ქალაქს ჩაძირვას უპირებსო. მაგრამ მხატვარი თავის საქმეს უშფოთველად განაგრძობდა. მხოლოდ ქოლგა გაშალა, ისიც მენეჯერისთვის. წვიმამ რომ გადაიღო, ტკაცუნით დაკეცა და მაგიდასთან ააყუდა. მას მთელი ეს დრო კოპები შეკრული ჰქონდა და შუბლი შეჭმუხნული. უხასიათო ვინმე ჩანდა. უმნიშვნელო რამეც რომ გეკითხა, ბურტყუნით გიპასუხებდა, ხატვას როცა მორჩა, პიანინოების შემსყიდველი პირქვე დაემხო, თითქოს გულს აზიდებსო. მენეჯერი ამჩატდა. უარი უნდა ეთქვა. ნაჯღაბნით აჭრელებული ხელი ნეტავ სად უნდა გამოეჩინა?

– შენც ხომ არ გსურს? – მომიბრუნდა მე, როგორც კი სული მოითქვა.

– შორიახლოს მოციქულის წმინდა ნაწილები მეგულება. მიჯობს ის მოვიხილო!

– მეძინება! – თქვა მენეჯერმა.

– მესმის, გადაიღალეთ! – თქვა ჯუზეპემ და სასტუმროსკენ მიუთითა – შედარებით იაფი ნომრები აქვთ!

როცა მენეჯერი დავაბინავეთ, ჯუზეპე მომიბრუნდა: – დილისთვის მოაკითხე!

**2.**

დრო თავზესაყრელად მქონდა და ქალაქის დასათვალიერებლად გავეშურე. ვენეციის მგზნებარე რელიეფები ერთმანეთს ცვლიდნენ, თითქოს სივრცეში ხელოვნების უზადო ნიმუშები გადაადგილდებიანო. კაშკაშა სხივებით მოოქროვილი მტვერი შენობებს თავზე დაჰფარფატებდა, ვიწრო და საიდუმლო ქუჩები კი მეტ ბუნდოვნებას ჰმატებდა. სიცოცხლე დღესასწაულობდა ყოველგვარი ბუზღუნის, ყოყმანის და დაყოვნების გარეშე. საყვირების მჭექარე ხმას თოლიების ჭყავილიც უერთდებოდა, თითქოს საშემსრულებლო ხელოვნების შემადგენელი ნაწილი ყოფილიყოს. ფრაკებში გამოწყობილი ორკესტრის წევრები და ქათქათა ფრინველები ერთნაირად იყვნენ მოწოდების სიმაღლეზე. ამ პროცესში ოდნავ მღელვარე ზღვაც იყო ჩართული, მარმარილოს კიბეებზე მარგალიტის ქაფს რომ აფრქვევდა ჭოჭმანით და სევდიანი ხმაურით.

მაცხოვრებლებიც ისეთი უპრეტენზიოები იყვნენ, საკუთარი მიჯნები ჰყოფნიდათ. ჩუქურთმებით მოვარაყებული ანჯამები ისეთ უზადო შთაბეჭდილებას

ახდენდა, ვერც კი შეამჩნევდი სკორეთი მოთხვრილ მინას. ვენეცია უნატიფეს ქალაქს წარმოადგენდა, კრისტალივით ბრჭყვიალას და მრავალწახნაგოვანს, რომლის სისადავე გამჭვირვალე ფორმებით იყო განპირობებული – ქალაქს, რომელსაც მეტაფიზიკურ ამბებს მიაწერდნენ. ვენეცია – ზეიმის ზღურბლი და დღესასწაულების დედაქალაქი – განძეულით აღსავსე თავღია სკივრს წააგავდა.

ყოველი სარკმელი პაწაწინა არხს გადაჰყურებდა. გასახარი ამბები მრავლად ხდებოდა. ბარში წაბლისფერთმიან ლამაზმანს გაწეწილი თმებით ქარი შემოჰქონდა. ეშხიანს, გამოწკეპილს და თავშესაფრის მაძიებელს სათუთ ფრჩხილებზე მანიკიურიც მანიაკური ესვა – ჩაქცეული სისხლის ფერი. ვიწრო კაბა ვარდისფერი მაქმანებით მოქნილ ტანზე მჭიდროდ ეკვროდა და მდუმარედ გაჰყურებდა ზღურბლს. დაჟინებული შეთავაზება თავზე მოხვევას დაემგვანებოდა. ჩარჩოებში ზისო, გაჭორეს უკმეხად მისი უზადო სილამაზის დასაკნინებლად. განა ჩარჩოები იმისთვის არ არის, მშვენიერება უსახური მასისგან რომ გამოჰყო. ისეთს განა რას აშავებდა, თუკი უქმე დღეები ედგა და თავგაბეზრებამდე მისცემოდა განცხრომას. მრუშობა მისი მუშაობაა. მსგავს ლამაზმანს აღმოსავლეთში უსათუოდ მიუვალ კოშკში გამოკეტავდნენ, ხოლო მისი გარეგნობით მხოლოდ აჩრდილები დატკბებოდნენ.

მაგიდას დავეჯაჯგურე, ჩემკენ მოვწევ-მეთქი. შამპანური დაიღვარა, წაქცეული ფუჟერი კი მომცრო ნამსხვრევებად მიმოიფანტა იატაკზე, მაგრამ ბარმენს აინუნშიც არ ჩაუგდია. გრაფინით წყალი მომიტანა, ნუ იდარდებო. თავი მაინც უხერხულად ვიგრძენი და გარეთ გამოვედი. მომრგვალებული ხიდიდან მოაჯირზე დაყრდნობილი ფაქიზ ჭავლებს დავაცქეროდი. ზურგს უკან კარის

გაჯახუნების ხმა შემომესმა, კატა თუ გამოაგდეს გარეთ. მისმა ამაყმა სილუეტმა ზმორებით ჩაიარა მოედნის მიმართულებით, შეურაცხყოფას არ იმჩნევდა. ბასრი ბრჭყალებით და აპრეხილი კუდით უცნაურ კაპრიზს გამოხატავდა – ბრიყვებმა ვერ შემიშნოვესო. ჩრდილები ისედაც უხვად იყვნენ ამ ქალაქში საუკეთესო მუსიკის თანხლებით ამტორღიალებლები – იგრიხებოდნენ და სწორდებოდნენ, გრძელდებოდნენ და პატარავდებოდნენ, ხან კედლებს ეკვროდნენ, ხან სპილენძის ავზს ემსგავსებოდნენ, ხან გონდოლის ფორმას იღებდნენ, ხანაც თავად გონდოლიერის. ერთი სიტყვით, დიდ ამბავში იყვნენ. მერე ულამაზეს წყვილს შევეჩეხე, სულმოუთქმელად მეცნენ, სასტუმრო ვენეცია სად მდებარეობსო.

– ვენეცია ნამდვილად აქ არის, სასტუმროსას კი ვერაფერს მოგახსენებთ!

მე ხომ ამ ქალაქის არაფერი ვიცოდი. ეს, ხანგრძლივი ხრიოკის გავლით, ოაზისში ხეტებას ჰგავდა. მიყრუებული შენობებიც საგულდაგულოდ მოევარაყებინათ. კაზინოების ვიწრო უბანში ხელმოცარულ ხალხს გადავაწყდი. ჩრდილში ატუზულ სილუეტებს სახურავზე მოკალათებული კატები თავზე დასჩხაოდნენ, თითქოს ფსონებს კარნახობენო. ხმადაბალი გნიასი ავ ზმანებად ქცეულიყო, შიშის და ელდის შეგრძნებებად, ნანგრევებად ქცევას რომ უძღვის. დილეგის ტუსაღებივით ღარიბები ჩანდნენ, სიცოცხლეს მომჭირნეობით რომ იხანგძლივებენ, მაგრამ დიდ ფულზე მაინც თამაშობდნენ ბედნიერების ჩრდილებიდან გამოსახმობად. ასეთ ჭრელ საზოგადოებას, ერთად თავმოყრილს, კაზინოებში თუ წააწყდებოდი, ანდა ციხის კამერებში. შინისკენ უხალისოდ მიემართებოდნენ, თითქოს გეზი ჯანდაბისკენ ჰქონოდათ.

ცივი და კაშკაშა ვარსკვლავები ისე შემოჯარვოდა მთვარეს, როგორც კოცონს ცეცხლის ნაპერწკლები. მთელი ეს ამალა ლამპიონთა თანხლებით, ცა რომ ლამის თავზე დაიმხეს, ორჭოფით ხვდებოდა მზის ამოსვლას. ერთბაშად ჩაქრნენ და მხიარული მეჯლისის ნაკვალევიც არაქათგამოცლილი მოხუცივით ღრმა ძილს მიეცა, რადგანაც დღისით ისე ცხოვრობდა, თითქოს სასტიკ სასჯელს იხდისო.

უთავბოლო ხეტიალის დასასრულს მტრედისფერი განთიადი ტბორის გედივით შემოცურდა ქალაქში და მთელი სივრცე რძისფრად შეღება. მზის ამოსვლა მრავალ გაურკვევლობას მოუღებდა ბოლოს. გათენება ვენეციაში ლამაზი ბანოვანის სტუმრობას ჰგავდა ცელქი ბავშვების საძინებელ ოთახში. შესქელებული მორევის ტლანქი ლიცლიცი წვდომის სურვილს ამძაფრებდა. თითქოს შეხედულებებიც განიცდიდნენ ცვლილებებს, განცდების განუყოფელობა იმდენად თვალშისაცემი იყო. ფილოსოფოსობის ხასიათზე დავდექი. ამ ქალაქში მოხვედრამდე სხვაგვარად ვფიქრობდი. ჩემი ცხოვრება კინოთეატრში რომ მენახა, იმდენად მდორე და გაწელილ ფილმად მომეჩვენებოდა, სეანსის დამთავრებამდე გამოვიდოდი დარბაზიდან. ცხადია, თვითმკვლელობას არ ვგულისხმობ.

დიდებული გუმბათების ქვეშ მოხუცი ბერი სკვნილზე გამოზოგვით ლოცულობდა. სპილენძის ჯვარი ელექტრონის ნაპერწკალივით იელვებდა ხოლმე დროდადრო. დილა იყო და უკაცრიელი ქუჩები მალე ხმაურით აივსებოდა. მხოლოდ მიყრუებული ჩიხები თუ შეინარჩუნებდა მყუდროებას. ვეება ვიტრინებს გაცრეცილი ფარდები ფარავდა ჩამოძენძილი ბოლოებით. შავი ურნების გასწვრივ ძველი მილი ნიაღვარს ვეღარ

აკავებდა და ვერც სინოტივით გაჯერებული ბელტები იწოვდა ამდენ სითხეს. თითქოს აქაურობა მალე მდინარის ფსკერს უნდა დამსგავსებოდა. უცნობი ქალი სარეცხს საგულდაგულოდ რეცხავდა ვეება საპნით. ნარეცხი წყალი ჭაში იღვრებოდა, ყველა სიბინძურეს რომ შეიწოვდა და ფსკერისკენ მიაქანებდა და ვენეციის ყურეც მდუმარედ განაგრძობდა ბინძური წყლების ზიდვას. ქალი კი უშფოთველად კრეფდა წვრილი თოკებიდან შედარებით მშრალ სარეცხს, გამჭვირვალე სათლში ათავსებდა, სარეცხის სარჭებს კი ცალკე ყუთში ყრიდა. სათლიც და სარჭებიც გონდოლის ფორმის იყო.

ნატიფი შენობები სამ სართულს არ აღემატებოდა. უმეტესობა კი ბელეტაჟით შემოიფარგლებოდა. მომცრო მოედნები კვადრატებში გამოსახულ წრეებს ჰგავდა, დაახლოებით ისეთს, ჯუზეპემ რომ დახატა, ოღონდ ყვითელი ფონის გარეშე. ლამბაქის ფორმის შადრევნები ქვაფენილსაც ესხმებოდა, რადგან ნიავი შხეფებს მიმართულებას უცვლიდა. თეთრი ბანერები წყლით დამძიმებული თეთრეულივით ეკიდა. ზოგიერთი კუნძული მინდვრის კორომს ჰგავდა. მეფურ გონდოლაში მოხუცი ჩინელი იჯდა ურიცხვი ჯალაბით. ხუჭუჭა გონდოლიერი საუცხოოდ უმღეროდა ცნობილ არიას, მას კი თვალები უნდობლად მოეწკურა. უცნობმა ცოლ-ქმარმა ნაპირზე ატეხა ტაშისცემა «ბრავოს» შეძახილებით.

უსიამოვნო შეგრძნებები სადღაც გამიქრა. არც უძილობა მაწუხებდა. მე ვივსებოდი ამ ქალაქით, სადაც მხოლოდ გონდოლიერებს, მხატვრებს, ხელნაკეთი ნივთების გამყიდველებს და ნატიფი შუშის ჩამომსხმელებს უნდა ეცხოვრათ. ეს მათი ზეიმი იყო. ფერხთით მზის შუქის ფარდაგები ისე ეფინა, როგორც ოქროს თევზის ფარფლები. ზედ პოეტებს უნდა ესეირნათ მეტაფორების

გამოსაჭედად. გარემო თავად გაიძულებდა, ნაფიქრი ხატოვნად გადმოგეცა. იგი უბრალო კაცს პოეტად აქცევდა, პოეტს კი მგოსნად. აშკარად გრძნობდი ვენეციის განუმეორებლობას, რომელსაც ბიზანტიის კვალი ისე ეტყობოდა, როგორც აღმოსავლეთის ნათელი აღზევება. როცა ამ დიდებული სანახაობით გული ვიჯერე, მენეჯერს მივაკითხე სასტუმროში.

– თავბრუ მესხმის! – შემეგება წუწუნით – აქაოდა, უცხოელ ვაჭარს საპატიოდ დავხვდეთო, ნომერში ფერადი ბუშტები გამოფინეს. ჩამოშვებული ზონრებით ჭერს ებჯინებოდნენ. ყოველ თხუთმეტ წუთში ხან ერთი გასკდებოდა, ხანაც რამოდენიმე ერთად. რეზინის ნაფლეთებით ვარ მოფენილი. ომი მესიზმრა!

ოთახის სარკმლიდან ყურე მოჩანდა. წამოჟინჟღლა და წყალსატევის ჭავლებად ალიცლიცებული ზედაპირი წვრილი წვიმის მაუწყებლად იქცა. სარკმლიდან ხმა გაისმოდა – მონოტონური და მომაბეზრებელი. მერე ნისლი ჩამოწვა. მუდმივი ხალხმრავლობა გაუმჭვირმა ბურუსმა დანთქა. ნისლის სქელი ბოლქვები მოსასხამებში გამოხვეულ სილუეტებს ჰგავდნენ, ფერუმარილით დადღაბნილებს, პირფერებივით რომ ეხვივნენ ქალაქს.

ჯუზეპე მოედნის მერხზე გველოდა. იგი კონსერვატორიაში გამოგვყვა და მერე გვერდიდან აღარ მოგვცილებია. ფურცლების ქექვაში კარგა დრომ განვლო. კატარღაზეც იზრუნეს, ეს ყველაფერი გემზე რომ გადაეზიდათ. მსურდა მათი ლაპარაკის არსს ჩავწვდომოდი. სანამ ზღურბლზე იდგნენ, შემოსასვლელს ნათელი ეფინა. მერე კარი გაიხურეს რაღაც მნიშვნელოვანზე სასაუბროდ, საიდანაც მუსიკალური საკრავების დამკვეთი შმუშვნით და შენიშვნებით გამოვიდა, მეტს ვეღარ მოვიცდითო. გემზე

რომ დავბრუნდით, გადაზიდვის მეთვალყურეობა მე დამავალა. დიდხანს გავყურებდი, როგორ მოჰქონდა კატარღას პიანინოები ჩვენკენ. როგორ მოარღვევდნენ მტრედისფერ სივრცეს მომცრო საკრავებით დატვირთული გონდოლები, ფურგონების მაგივრობას რომ წევდნენ. პრიალა ტენტები ცის სითეთრეს ირეკლავდა და ტკაცუნა სანთებელებივით გაიელვებდა ხოლმე დროდადრო. საუცხოო სანახაობა იყო ვენეციის ყურე, გონდოლებით გადავსებული. უცნაურ ფლოტილიას მსოფლიოს ულამაზესი ქალაქიდან ისე გამოჰქონდათ მუსიკის უზარმაზარი წყარო, ერთი ბგერაც არ მოჰკლებია მას. ვენეცია ისეთი ლამაზი იყო, სამშობლოში დაბრუნებას გადაგაფიქრებინებდა. სანამ გემი იტვირთებოდა, მოსაღამოვდა. ლამპიონები რკალად აენთნენ. შუქურების მწკრივი მოედნის შთაბეჭდილებას ქმნიდა. მბჟუტავი შუქი წყალივით მოწანწკარებდა. მთელ არემარეს ერთი შტრიხიც არ აჩნდა მხიარულების გარეშე. გული გვწყდებოდა, მაგრამ ესოდენ დიდ სილამაზეს ფუჭად ვეპოტინებოდით. ვტოვებდით ვენეციას, როგორც ზღვით გარშემორტყმულ სიმღერას, დარჩენილ ცხოვრებას შორს გადახვეწილნი გავატარებდით. მე შემიყვარდა ეს ქალაქი, როგორც მიუწვდომელი ბანოვანი. გული მიგრძნობდა, ამ სიხარულს შემდგომი დღეები მაზღვევინებდა მძიმე გამოვლენებით და განშორების სევდით. აღმოსავლეთის მოყავისფრო ცაც უიმედოდ განმაწყობდა.

**3.**

მენეჯერმა ჯუზეპე, რომელმაც ბროშურების ვრცელი შეკვრები მოზიდა, ყველას გააცნო. როგორც ჩანს, კაპიტანსაც წარუდგინა. იყო რაღაც უცხო და არაკეთილსინდისიერი მის გამოხედვაში, თავისი სიმართლის გულუბრყვილოდ რომ სჯერათ, უმიზეზოდ

ამითვალწუნესო. მენეჯერი შეეკითხა, წამოსასვლელად მზად თუ ხარო: – ჰო! ეს ხომ მოციქულობის დარი ღვაწლია! – უპასუხა ჯუზეპემ, თვალებანთებულმა. ამბოხება კი, ეტყობა, თავიდანვე გადაწყვიტეს. კაპიტანი შეუძლოდ რომ შეიქნა, დიდად არც განუცდიათ. თუმცა ოთახში გადაიყვანეს მოჩვენებითი მოწიწებით, მაგრამ შემდეგ აღარ მიუკითხავთ. მაშინ განაცხადეს, ყვითელი ნიშნით რომ იყვნენ აღბეჭდილნი. აქამდე ვერავინ შეამჩნია, თუმცა დიდ მნიშვნელობას არც მიანიჭებდნენ. ამ ამბავმა, ადრე მენეჯერის უბრალო ახირება რომ მეგონა, სხვა რეზონანსი მიიღო. ეჭვი განმიმტკიცდა, რომ კაპიტანი მოწამლეს. მესაჭემ დაინახა, ჯუზეპე როგორ გაუმასპინძლდა რომით და საუცხოო პიცით. ბოლოს ყველანი გამოკეთებას ვატყობდით. თუმცა მესაჭემ ეს მოგვიანებით მითხრა, ვენეციის წყლებს კარგა მანძილით რომ გამოვცდით. კურსი სამხრეთ-აღმოსავლეთით გვეჭირა.

პირველად მაშინ განაცხადეს, მალე უმეტესობაში ვიქნებითო. წინამძღოლად მენეჯერი დაასახელეს, მან კი განგვიცხადა, ყვითელი ნიშნით აღბეჭდვა ყველას შეგიძლიათო. პირიქით, მოხარულნი ვიქნებითო, ჯუზეპე კაპიტანმაც გაიცნო და მოხარული გახდა გემზე მისი სტუმრობისო. მერე ჯუზეპე წარსდგა და შთამბეჭდავად იქადაგა, თან წამდაუწუმ ხელისგულს დაჰყურებდა.

– ოღონდ ამ ცეცხლოვან თვალებს ვუმზირო, ცეცხლში ჩავარდნად ღირს! თვითონ ბუნება გვკარნახობს ამას. მზე და მთვარე თვალს არ გვაცილებს. არ ღირს სხვა რამის გამოგონება. რაც გახუნებას იწყებს, მივიწყებას მიეცემა! – ორმა მათგანმა მაშინვე გამოთქვა სურვილი. მხატვარი თავის ხელობას შეუდგა. იგი საქმეს არ იზარებდა. თითქოს თითოეული სულისთვის ჯილდო მოელოდა. იგი ტანმორჩილი კაცი გახლდათ, ყოველ სიტყვას რომ წონიდა

და დიდ გამჭრიახობას იჩენდა. თან ქადაგებდა და ამდენმა ჩიჩინმა შედეგი გამოიღო. ბოთლში ჩასხმული ყვითელი სითხე მზეზე მაცდუნებლად ლაპლაპებდა. სხვა მსურველებიც გამოჩნდნენ, ჩვენ კი სულ უფრო ცოტანი ვრჩებოდით. ყველაზე წლოვანი კაპიტანი იყო, ზღვაზე ხანგრძლივმა ხეტებამ თვალები რომ ამოუღამა, უფრო სწორად, ამოუთეთრა, რადგან თვალისმომჭრელი სხივების მეტს დიდხანს ვერაფერს ხედავდა. ყვითელი ნიშნით აღბეჭდილნი ყველაზე მეტად მას დასტრიალებდნენ, თავიანთ რიგებში რომ ეხილათ, მაგრამ იგი ჯიუტად დუმდა. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, ასე დიდხანს ვერ გასტანდა. მესაჭემ განაცხადა, თავს უნდა ვუშველოთო. თუ დავიბეჭდებით, დიდ საშინელებას დავიტეხთ თავსო. როცა ნათქვამი დაჟინებით გაიმეორა, კაპიტანმა მკაცრი მზერა მიაპყრო. ორნი რომ დავრჩით, მაშინღა ამოღერღა ორიოდ სიტყვა, აღბეჭდვა თავისუფლების დაკარგვას მოასწავებს, მაგრამ ზღვის გადალახვა თუ გსურს, გემი არ მიატოვოო. კაპიტანი უბრალო ადამიანი გახლდათ. დიდი ხანია ვიცნობდი. მეზღვაურული მაისური და დაბებკილი ქურთუკი ემოსა. ლაპარაკი მიკიბულ-მოკიბული იცოდა, მაგრამ ცხოვრებისეულ ეპიზოდებს ისე საინტერესოდ აღწერდა, ხშირად ზლუქუნით უსმენდნენ. მისი მონაყოლი გულთან მიჰქონდათ და გარს ქონდრისკაცებივით ეხვივნენ.

ყვითელი ნიშნით აღბეჭდილებმა რადიომიმღებს მეთვალყურე მიუჩინეს. კონტინენტურ ამბებს იქიდან ეცნობოდნენ. სიტყვები რომ გაეგონათ, ყველანი უნდა გაჩუმებულიყვნენ. ჩვენც გაგვაგონეთო. მათი მთავარი საფიქრალი პოლიტიკური მდგომარეობა იყო. ომი რომ გამოეცხადებინათ, რიხით იტყოდნენ, ჯანდაბას, იყოს ომი! ცვლილებების სულით შეპყრობილებს ტრიუმიდან ღვინო ამოჰქონდათ და დიდებულ სადღეგრძელოებს იძახდნენ.

საღამოს გემბანზე მესაჭეს გადავაწყდი. მოღუშული იდგა და ხელებს იფშვნეტდა, მერე ნჯღრევა დამიწყო:

– სამაშველო ნავის თოკები ოთხივე მხარეს გადავჭერი. წკიპზეა. საკმარისია ჩავსხდეთ, წყალში მოვადენთ ზღართანს!

– ხმას გაიგონებენ! – ვიუარე მე.

– შუაღამისას? – თქვა მან, თითქოს ყოველ წვრილმანზე ეფიქროს.

– კაპიტანი მივატოვოთ?

მესაჭემ ხელი ჩაიქნია და თვალებზე ცრემლი მოადგა. უკიდურესობების ადამიანი იყო. თუ ტიროდა, ღაპაღუპით.

– ორმოცდამეათე გრადუსი სამშობლოს გვაახლოებს! – თქვა რატომღაც და ზურგი შემაქცია.

წასვლა გადაიფიქრა, გავიფიქრე მე. მომავალი კარგს არაფერს გვიქადდა. კაპიტნის ოთახში ძირს გრძელი ხალიჩები ეფინა, კედელზე – სპარსული ფარდაგი, უდაბნოს ოაზისისა და აქლემების ქარავნის გამოსახულებით. საფერფლე ხომალდის ფორმის იყო. ერთადერთი ნახატი, ზეთის საღებავებით შესრულებული, ზღვის პეიზაჟს წარმოადგენდა. მთვარის შუქი დროდადრო ქსოვილივით ეფინებოდა კაპიტნის უსიცოცხლო სახეს. შუბლი შევუმშრალე და მაჯაზე ვწვდი პულსის შესამოწმებლად. ოთახს ერთ მხარეს კედელი შეთეთრებული ჰქონდა და გაფითრებულ სახეს ეს ფონი კიდევ უფრო თეთრს ხდიდა.

ოთახში საათი წიკწიკებდა, გეგონება, ონკანი წვეთავსო. თითქოს დროს ხილულად ვხედავდი. დრო, ეს ბებერი ხეიბარი, დააბიჯებდა ერთი მოკლე და ერთი გრძელი ფეხით, წვრილ ყავარჯენზე დაყრდნობილი, წამებს რომ

აღნიშნავს. მუდამდღე ერთ წრეზე გადაადგილდებოდა და ჩვენი სიცოცხლის ხანგრძლივობას განსაზღვრავდა. რამდენი წრე უნდა დაერტყა, სანამ სამშობლომდე მივაღწევდით.

შეღამებისას ყვირილი გავიგონე. მესაჭე გაქცეულა. ეს ჩვენ მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა. ყვითელი ნიშნით აღბეჭდილებმა გემი დრეიფზე დააყენეს და ფანრები მიუშვირეს ზღვის ზედაპირს. შუქი შორს ვერ წვდებოდა და ხელმოსაჭიდსაც ვერაფერს ხედავდნენ. მათი შეძახილები ზღვის წიაღში იკარგებოდა. შემდეგ მენეჯერთან გაემართნენ მოსათათბირებლად. მე რომ ჩამიარეს, ერთმა მათგანმა კბილებში გამოცრა, ასე დიდხანს არ გასტანსო. მომხდარი მინიშნებად მივიჩნიე, კაპიტნის შეგონების სისწორეში რომ მარწმუნებდა. დილით მეჩეჩს მივადექით, სადაც ნიჩბების ნალეწი და ამობრუნებული ნავის დახეთქილი ფსკერი მოჩანდა. კაცის ჭაჭანება არ იყო. მენეჯერმა ნიშნის მოგებით წამჩურჩულა, ხედავ, უზენაესი ჩვენ მხარეს არისო!

ამ სიტყვებს ვრცელი ქადაგება მოაყოლა. ღონეს არ იშურებდა მკრეხელობის დასამკვიდრებლად.

– ყვითელ ფონზე კვადრატში ჩახაზული წრე უბრალო ნიშანი არ გეგონოთ! – მკაფიოდ დაგვანახა გაშლილი ხელისგული – ეს ზეციური მზერაა, რომელსაც ჩვენსას შევაგებებთ და სამყაროსეული კავშირი დამყარდება. ჩვენი ცრემლების ნუ შეგვრცხვება, კაცი იმიტომ ტირის, თავი რომ გამოიშროს ღვთაებრივ ცეცხლთან შესახვედრად, რათა ბოლომდე ჩაიწვას და არ იხრჩოლოს!

ამ სიტყვებზე ისეთი როკვა ატეხეს, ეშმაკის მოხმობა გეგონებოდა. მთვარის შუქზე ამდენი აშვერილი ხელისგული და აღტყინებული შეძახილი, ველურ ცხენთა

ჭიხვინის მსგავსი, გემბანზე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. მენეჯერმა კაპიტნის ოთახში გამიხმო. ბამბაზიისგან ნაქსოვ პერანგში მობუზული გამოიყურებოდა. კაპიტანს ერთი გადახედა, საუბარი გამიბა, ეტყობა, ჯუზეპეს ბროშურები დაწვრილებით გაეზუთხა. მის ნათქვამს ჩაღრმავებოდი, იგივე იყო, ზღვის ფსკერი შეგესწავლა. აინტერესებდა, რატომ არ მსურდა აღბეჭვდა.

– მიზეზი უბრალოა, წინაპართა რწმენის მიმდევარი ვარ. თუკი მიწაზე თავს ყველაფრის უფლებას მივცემთ, ამ უფლებებს ცაში დავკარგავთ. ძნელ და უსიხარულო გზას იმიტომ ვირჩევ, ლაბირინთიდან გამოღწევა რომ მოვახერხო. ცხოვრება ლაბირინთების მონაცვლეობაა. ზოგჯერ ერთმანეთს ვაწყდებით გრძელ დერეფნებში. ყოველი მეგზური თავის სქემას ჩაჰკირკიტებს და ვერ გადაუწყვეტია, საით განაგრძოს გზა...

– ეს მიმართულება ჩვენ ვიცით! – შემაწყვეტინა მენეჯერმა – ვინც სიკვდილს ბოროტებად თვლის, ვერაფერს მიმხვდარა. ნუთუ არ სჯობს, ამდენ წამებას ბოლო მოეღოს. რა უნდა მქონდეს საწინააღმდეგო, თუკი ცივი დღე კონცერტით და ფოიერვერკით დასრულდება? ჩვენი სწავლების თითოეული მიმდევარი მითითებებს ითვალისწინებს, მაგრამ მთავარი გზიდან არასოდეს გადაუხვევს! – შემდეგ მშვიდად განაგრძო, მაგრამ ხმა განწყობის მიხედვით ეცვლებოდა. სხვანაირად არც შეიძლებოდა. მოჩვენებითი ურთიერთობები მუდმივ რეჟიმში საჭიროებს თამაშს. – მე თავგამოდებული დამცველი ვიყავი ყოველგვარი წამოწყების. თავხედობის მიმართაც კი შემწყნარებლობას ვიჩენდი. სარგებელს იქ არ ვეძებდი, სადაც მხიარულების ხმები გაისმოდა. ახალ ხედვას ვამკვიდრებდი და მძაფრი განცდები არ მტოვებდა. პირველად საშაქარლამო ბიზნესში ვცადე ბედი.

შაქარყინულის ერთფეროვანი შემადგენლობა მოტკბო შიგთავსით შევცვალე. მერე სხვადასხვა საქმიანობა წამოვიწყე, ყიდვა-გაყიდვით დავკავდი. ბოლოს დავასკვენი, რომ ყველაფერი უნდა გადაკეთდეს, ყველაფერს რეკონსტრუქცია ესაჭიროება. ცა თუ თავზე ჩამოგექცა, დიდხანს ჭერიც აღარ დააყოვნებს. ჩემთვის მრავალი ღირებულება გადაფასდა. მრავალი წამოწყება, რაც იმ პერიოდში განვახორციელე, ფუჭად დამთავრდა, მაგრამ არ მინანია! – თუ თავიდან მისი ხმა უსიცოცხლო იყო და სიტყვები გამოქვაბულის ექოსავით გაისმოდა, ახლა ვეღარც იცნობდი. თვალებით ჭერს მისჩერებოდა, რომელიც მას და ზეცას შორის ჩამდგარიყო, ლაპარაკს კი ისე თვითდარწმუნებული განაგრძობდა, თითქოს მისი შემოსავლები კოსმოსში მოპოვებულ ოქროს ეფუძნებოდა. ოქროს მთელი პლანეტები გააჩნდა. მხოლოდ ტაშის ხმა აკლდა, მისი გამოჩენით გამოწვეული. მზის სხივებს ალბათ საკუთარ შარავანდედად აღიქვამდა და წარმატებებით გაბრუებული მოწინავე ფილოსოფოსთა ნააზრევსაც უსაგნო ყბედობად მიიჩნევდა.

– სიამოვნებით დავკავდებოდი ყვავილების მორწყვით, მაგრამ მე ხომ დიდი საქმეებისთვის ვიშვი! გული მხოლოდ იმაზე მწყდება, რომ ისინი დავიწყებას უნდა მიეცეს! – განაგრძობდა თავდავიწყებით. მისი ბაგეებიდან სიტყვები ისე მოედინებოდა, როგორც ღვინო წაქცეული დოქიდან – საქმიანი ხალხი შეცდომას მაშინ უშვებს, როცა ცდილობს, ერთი ამბავი მეორესთან გააიგივოს. საკუთარი გზის ძიებას იმპროვიზაციებით მიღწეული ურჩევნიათ. წარუმატებელი მცდელობები სასოწარკვეთილებაში აგდებთ – მენეჯერი ჩურჩულზე გადავიდა – მე მხოლოდ ბიზნესის გამო გავწევრიანდი ამ კავშირში, ვფიქრობ, რომ მომავალი მათ ეკუთვნით. ეს სიახლე მთელ ქვეყნიერებას მოედო. მე

პროფესიონალი ვარ! ვინც მრავალი დარგის ექსპერტია, კონკრეტულად არაფერი იცის. მე კი ასე არა ვარ. ყველაფერი საკუთარ ტყავზე ვიწვნიე და ვერაფრით გამაკვირვებენ. წარმატებები და წარუმატებლობები მუდმივად მსტუმრობდნენ წელიწადის თვეთა კენტ და ლუწ რიცხვებში. ჩემი ჭკუა ჩემი სტრატეგიაა, ხოლო ჩემი ცხოვრების დასკვნა ასეთია, მედალს ორი მხარე აქვს და ერთი ყოველთვის გადაფარავს მეორეს... ორივეს დანახვა მხოლოდ გარეშე თვალს ძალუძს.

ცოტა ხნით დადუმდა, მერე კი ისევ განაგრძო:

– აბა, შემომხედე, როგორ გამოვიყურები?

– როგორ? – მხრები ავიჩეჩე.

– როგორც სამოცდაათზე მეტის! ჰო ასეა? მაგრამ სინამდვილეში რამდენის ვარ? – გამჭოლი მზერა მომაპყრო.

– რამდენის?

– სამოცდაათზე ნაკლების! – გამანდო აღფრთოვანებით.

– საკვირველია! – შევიცხადე მე.

– ეს იერი დიდმა გამოცდილებამ შემძინა! – განაგრძო ამაყად.

– მეც ისე მინდა მოვიქცე, სათანადოდ როგორც მივიჩნევ! საკუთარ გულს ზუსტად იმ ხიდის სიგრძეზე ვშორდებით, რომელსაც საკუთარ სიტყვასა და საქმეს შორის გავდებთ!

– რას გულისხმობ? – ჩამეძია მენეჯერი.

მკვახე ნათქვამი დაპირისპირებას გამოიწვევდა. ეს კი ხელს არ მაძლევდა, თუმცა მაინც შევეცადე ახსნას – მე არასოდეს არ მტოვებს საიქიოს განცდა. ახლის

დამკვიდრება ძველის განადგურებით იწყება. ახალი დროების ფუძემდებელი თავისი მასალით მოდის, რომელსაც ფუნდამენტში იყენებს. მოზაიკის ერთი ნაწილი რომ მოიმსხვრეს, დანარჩენიც მას მიჰყვება. მე კი სიძველეს სხვანაირად განვიცდი. მასთან შეხებისას გული ბადესავით მითრთის. ბადესავით, რომელიც მორევში ოქროს თევზის დასაჭერად გადავისროლე...

– გამიგე, მეგობარო, მთავარი მათი სახელმძღვანელოს არსში ჩაწვდომაა. ვაღიარებ, მოთხოვნები მკაცრი აქვთ, მაგრამ შედეგიც შესაბამისი იქნება. მზე მთვარის ახალგაზრდობას ჰგავს, მგზნებარე სიცოცხლის მსვლელობას რომ ელტვის! – თქვა და გულგრილი მზერა სივრცეს მიაპყრო.

– მთვარე კი, ალბათ, მზის სიბერეს, მყუდროება და განმარტოება რომ სურს? – გამეცინა მე. – ბრძნულად მსჯელობთ, სიბრძნე კი საუკეთესო ხერხია გაურკვევლობის შესანიღბად, რომელშიც თავად ჩაიგდეთ თავი. წინაპართა ნაკვალევს ზურგი აქციეთ. ადამიანებს ღალატი კლავთ. ჯერ ერთი ნაწილი ღალატობს, გული ან თირკმელი, ან სულაც სხვა რამ, თორემ დანარჩენი ორგანოები ჯერ კიდევ გაქაჩავდნენ. ერთის ღალატი სხვებსაც ბოლოს უღებს. ახალი იდეოლოგიის ფუძემდებელნი საქმის სხვა სახით წარმოჩენას ცდილობენ, გვირგვინები კი ვარცლივით უყანყალებთ თავზე, რადგან აშკარად სხვებს ეკუთვნით. ცდილობენ, უცხო სიტყვებით შემოსონ ის გრძნობები, რომელსაც მიაგნეს. მაგრამ მშვენივრად იციან, რომ ცრუობენ. სინამდვილეში არსად არ არის სიმშვიდე დედამიწაზე, რადგან აქაურობა რომ შეიძლებოდეს, ცის ტატნობად აქციო, მაშინ ცაც აღარ იქნებოდა საჭირო. ხოლო ცას, რომელიც წვიმას აგვიანებს, უდაბნოს ცქერა უწევს...

– მისმინე, ძმობილო, ადამიანს შეუძლია, მყეფარე ძაღლს დაემსგავსოს, შეუძლია, ქარავანს შეუერთდეს! – ნიშნის მოგებით თქვა პიანინოების შემსყიდველმა.

– ეგ ქარავანი უფსკრულში ჩასაჩეხად მიემართება, ძაღლი კი ყეფას გააგრძელებს!

კიდევ ბევრი რამე ვთქვით, მაგრამ კამათში ღრმად შესვლა არ მიცდია. მენეჯერს, ეტყობა, მტკიცედ სჯეროდა, რომ გადამიბირებდა, მაგრამ როცა განვუცხადე, არასდროს დავიბეჭდები-მეთქი, ლაპარაკი შეწყვიტა. მე თავი ჩავღუნე და მეტი აღარაფერი გვითქვამს. წარმატებული მდგომარეობა უცებ დავთმე და ბოლო რიგებში გადავინაცვლე.

**4.**

ამიტომაც გადავწყვიტე მიმალვა, მუდმივი გადაადგილება ვახტიდან ვახტზე, კუნჭულიდან კუნჭულამდე, თუნდაც ანძაზე ქამრით მიბმა დამჭირვებოდა. ოღონდაც ხელში არ ჩავვარდნოდი. თითქოს სამზეოზე გაღწევას ვლამობდი ჩრდილებით გარემოცული. სამყაროში რომელ მიჯნასაც არ უნდა მიაღწიო, მაინც ყოველთვის წრეზე ივლი. მიჯნებს რა გამოლევს. მალე კაპიტანი საწოლს საბოლოოდ მიეჯაჭვა. იგი ამაოდ ცდილობდა სარკმელში გახედვას და ნელ-ნელა ეთიშებოდა ამ ქვეყანას. პატარა აკვარიუმში თევზები დაცურავდნენ. ვერცხლისწყალში ამოვლებულებს ჰგავდნენ. სხვა რომ ვერაფერი მოვიფიქრე, გასაგრილებლად პროპელერი ჩავრთე. ვენტილატორის ფრთები უკუღმა დატრიალდა. შორს თეთრი დასალიერი გამოჩნდა უკიდეგანო ეკრანზე გაქვავებული კადრივით.

თავდაპირველად ტრიუმს შევაფარე თავი, რომელიც ნესტიანი სარდაფივით ყარდა და ვირთხებით იყო სავსე. აქ

დიდხანს ვერ გავძლებდი. გემი კი დუნედ ფარავდა მანძილს. მსგავსი ფრაგმენტები ერთმანეთს ცვლიდნენ, ზურმუხტოვანი ფონი კი მუდმივი რჩებოდა. მღელვარე ზღვა აქეთ-იქით აწყდება, შედარებით მშვიდი ადგილზე ტოკავს, თითქოს ამაო ყიალით გაბეზრებული მხრებს იჩეჩავსო.

ჩემს მტრებს როცა ეგონათ, საცაა ჩამავლებდნენ, ხელიდან ვუსხლტებოდი. ისინი ყოველ დილით აღტაცებით ხვდებოდნენ მზის ათინათებს. მე კი მუდამ მიმალვას ვცდილობდი და მდებარეობას ხშირად ვიცვლიდი. ალღო მკარნახობდა, სანამ გემის წინა ნაწილს დაწვრილებით არ გადაჩხრეკდნენ, აქეთ მხარეს არ მოადგებოდნენ. შემდეგ წინა ნაწილში გადავდიოდი. ეს გეგმა უზადოდ წარმომესახა, სანამ არ მომივიდა ერთი გენიალური იდეა, დავმალულიყავი იქ, სადაც ჩემი ძებნა აზრადაც არ მოუვიდოდათ, მესაჭის ოთახში. იქ ერთი მყუდრო სივრცე მეგულებოდა, სკივრსა და ტანსაცმლის კარადას შორის. ერთი ხანობა ვიფიქრე, გემის საჭე ქამრით ძგიდეზე მიმება, ორმოცდაათი გრადუსის ნიშნულზე, მაგრამ მივხვდი, რომ სამშობლოში დაბრუნება მათაც ეჩქარებოდათ.

მთელი ეს დრო თავი ადრე მომარაგებული ორცხობილით გამქონდა. ვითარება სწრაფად იცვლებოდა. ხმელთაშუა ზღვაში თუ ორიოდე გემი შემოგვხვდა ყვითელი ნიშნით გამოსახული დროშით, ეგეოსის ზღვაში მათი რიცხვი თერთმეტს აღწევდა. მარმარილოს ზღვაში რომ შევედით, სათვალავი საერთოდ ამერია, რამაც სერიოზულად დამაფიქრა. როცა მშობლიურ ზღვას მივადექით, ქარიშხალი დაგვატყდა. ციდან თითქოს უხილავი ფარდა ჩამოირღვაო, თავსხმა წვიმაში მოვყევით. წვრილი ხოშკაკალა ისე გვეხლებოდა სახეში, თითქოს ხორბლის

სველ თავთავებში მივიკვლევდით გზას. აქაფებული ზღვა ტალღებს გვაშხეფებდა და მლაშე სურნელება ტუჩებზე გვაშრებოდა. საკუთარ ბუნაგში შეყუჟულს ნაკლებად მაინტერესებდა გარე ამბები. ვივიწყებდი იმ დროს, ჩემს ფათერაკებს მხოლოდ ვარსკვლავები რომ ჭვრეტდნენ. მერე ბურუსი ჩამოწვა. ნისლმა ბინდი ისე შეცვალა, თითქოს ამინდმა აღუწერელი დავთრები მოგვაჩეჩა გრძელი ნუსხებით, რომლის ჩაკითხვასაც ბოლომდე აპირებდა. მოწყალე ნისლი მყიფე თოვლივით გადაეფარა ზღვის უკიდეგანო ზედაპირს და ნელ-ნელა კიდევ უფრო სქელი და გაუმჭვირი ხდებოდა. მენეჯერი შეჭმუხნული შუბლით შესჩერებოდა ნისლს, რომელიც უფრო და უფრო მატულობდა.

ერთ ღამეს შევნიშნე, რომ სამზარეულოში არავინ იყო. მოშვებული ონკანის ქვეშ კოვზები და დანა-ჩანგლები ეყარა. ჯებირის გასწვრივ წითელი ბალონები აეყუდებინათ, ჰერმეტული სისავსით დამძიმებული. ვეება ქვაბი გამოვათრიე სამზარეულოდან და ზღვაში მოვისროლე. თვითონ კი ერთ-ერთი პიანინოს ტენტში შევძვერი, წინასწარ რომ გამოვშალე. ხმაურზე გაეღვიძათ და შეშლილი მზერით მიანათეს ფანრები ზღვას. ცხადია, ვერაფერი შენიშნეს გაუმჭვირ ნისლში, ხოლო ზღართანის ხმა ჩემს გაქრობას მიაწერეს.

ამის შემდეგ დაჟინებით აღარავის ვუძებნივარ. გემბანზე ბრაგუნის ხმაც მიწყდა. ეტყობა სხვა საზრუნავებიც გასჩენოდათ. მხოლოდ ჯუზეპე განაგრძობდა ხანდახან ჩემს ძებნას, მაგრამ დიდი ენთუზიაზმი აღარც მას ჰქონდა. მესაჭის ოთახში ფრთხილად შემოყოფდა ხოლმე თავს და მყისვე გაიძურწებოდა. შემთხვევით თუ გადამაწყდებოდნენ, მაშინ კი მომიწყობდნენ სამსჯავროს. შეღამებისას ფრთხილად დავაბიჯებდი კაიუტასა და

მოაჯირს შორის, თითქოს ციცაბო ბილიკებს შევდგომოდი. ხშირად ვაკვირდებოდი ციფერბლატზე გრადუსის ორმოცდამეათე ნაჭდევს. საეჭვო არაფერი იყო. გეზი სამშობლოს გვაახლოებდა. ყვითელი ნიშნით აღბეჭდილებს იქ ყველაფერი სასიკეთოდ ეგულებოდათ. დიადი გამარჯვების საკუთარ წარმოშობაზე მეტად სჯეროდათ. მე კი სამშობლოს აღვიქვამდი, როგორც სამართლიანობის ნაპირს, ჩემთვის აქტივ-პასივებს ვაჯამებდი მოვლენების განვითარების მოლოდინში. მერჩივნა, ნისლი რაც უფრო მეტხანს გასტანდა. დღესა და ღამეს ისე აღვიქვამდი, როგორც მომიჯნავე სივრცეებს, ორივე შემთხვევაში ხილვადობა ნულს რომ უახლოვდება. ნიავის ზუზუნი დიდხანს და გულისგამაწვრილებლად გრძელდებოდა, მაგრამ ნისლს მაინც ვერ ფანტავდა.

– ღმერთი გაგვიწყრა! – შესძახა პიანინოების შემსყიდველმა – არც მზე ჩანს, არც მთვარე, უზენაესი განვარისხეთ! – ამ სიტყვებით დაიწყო თავისი მრისხანე და სექტანტური ქადაგება, რომლის რიგებში უკვე ყველანი გააწევრიანა. მხატვარი მის ყოველ სიტყვას იწერდა, ალბათ იმისთვის, რომ მერე თავის უფროსებისთვის მოეხსენებინა. დასკვნებს უკვე იქ გააკეთებდნენ.

– ო, ზეშთაგონებავ! – განაგრძობდა მენეჯერი. – ამინდი ჯიუტი და კაპრიზი დედაკაცია, აქ დაფუძნებას რომ ცდილობს! ო, ოკეანის სისავსევ! როცა შენს თავს ზემოთ ჭექა-ქუხილია, ასე მგონია, ჭერი გაიბზარა, ბიაზი გასკდა, სამყაროს ყველა ვარსკვლავი დაფშვნილი ნათურებივით დაგვეყარა თავზე, ხოლო ცის კედლებს ბათქაში პეშვებად ჩამოსცვივა! ვის ძალუძს შეაჩეროს ესოდენ მომნუსხველი შფოთი? მზე და მთვარე ერთმანეთს იმიტომ ემალებიან, რომ მოხუცებულ თანაკლასელებს უჭირთ ერთმანეთს თავიანთი სიბერით დაენახონ... მზე და მთვარე, ჩვენი

ერთადერთი სასოება, როგორც გაყრილი ცოლ-ქმარი, ჩვეული მორიგეობით აღარ გვსტუმრობენ, რომ დაგვხედონ ქორწინების მიტოვებულ ნაყოფს, კაცობრიობის უკანონო შვილს! – იგი დიდხანს განაგრძობდა მოთქმას და ვაი-ვიშს, რომელიც, შესაძლოა, ჯუზეპეს არ მოსწონდა, რადგან მწვალებლობის ელემენტებს ამჩნევდა მასში.

სამშობლო წყლებთან ძალიან ახლოს უნდა ვყოფილიყავით, როდესაც ნისლმა გაფანტვა იწყო. როცა ირიჟრაჟა, მეთვალყურემ ყიჟინა მორთო:

– მიწა!

განწირული ხმა მთელ გემბანს მოედო. ცალკეული შეძახილები მალე შემზარავ ღრიანცელად იქცა. ეკიპაჟის წევრები გარეთ გამოცვივდნენ, მხოლოდ მე გავყურებდი სცენას მესაჭის ილუმინატორიდან. ჩვენ მრავალი კილომეტრი გადავფარეთ, სანამ სანაპირო მკაფიოდ გამოიკვეთებოდა. სამშობლოს ხედები ადვილად ვიცანი. აქეთ ვიწრო სახლები მოჩანდა, ხოლო ნაპირისგან შორს, შემაღლებაზე, ლურჯ-მწვანე ტყეები იწყებოდა. გემმა ნაპირისკენ გასწია, სვლას ნელ-ნელა უმატა და საყვირიც სამჯერ ააღმუვლეს, თითქოს კანონსაწინააღმდეგო არაფერი ჩაედინოთ. ქალაქის შემოგარენში მდებარე ქარხნის საყვირები გულსაკლავად ეხმიანებოდნენ, თითქოს ნისლში გზააბნეულ გემებს უხმობენო. ერთგვარად შუქურის მაგივრობას სწევდნენ. მალე ნავსადგურში მოტორტმანე გემების მწკრივში ჩავდექით. ღუზა და გრძელი ჯაჭვი ხრიგინით ჩაეშვა კამკამა ჭავლებში, ჯერ მსხვილი თოკები მოისროლეს ბჯენებზე მისაბმელად. შემდეგ ფიცრები გადეს. ჟანდარმთა საკმაოდ მოზრდილი რაზმი ჩვენ მახლობლად განლაგდა. ისინი ერთმანეთს მარჯვენა ხელის საფეთქელთან

მიტანით ესალმებოდნენ, ყალბი აღფრთოვანებით უღიმოდნენ მეამბოხეებს. როგორც გმირებს, ისე შეხვდნენ. აკაციებთან სავარძელი იდგა, რომელშიც ალბათ მთავარი ავკაცი მოკალათებულიყო, რადგან მისი მიმართულებით ხელს მოწიწებით იშვერდნენ. შენობის წინ რცხილის ხეები იყო ჩამწკრივებული. ეტყობა, ბეტონი წინა დღით დაასხეს და სანამ ბლანტი ზედაპირი მოასწორეს, გაქვავებისას ოღროჩოღრო ზედაპირი ჩამოყალიბდა. ნუთუ ასეთი მნიშვნელოვანი იყო ეს პიანინოები, ამდენი ხალხი რომ შეიკრიბა პორტში.

ვიღაცები გემბანზე შემოცვივდნენ და კაპიტნის უილაჯო სხეული საკაცით გაიტანეს. მას უკანასკნელად ვხედავდი. საქმე ისე წარმოაჩინეს, თითქოს ყვითელი ნიშნით აღბეჭდილიყოს. საფლავის ორმო წინასწარ ამოეთხარათ სკვერში, პორტთან შორიახლოს. პატივით დაკრძალეს ქვემეხების ზალპის თანხლებით. მადლიერებით გავიხსენე კაპიტნის სიტყვა. როგორ გადავლახავდი ამხელა ზღვას, მისთვის ყური რომ არ მეგდო. სიმძაფრით აღსავსე დღეები უკან მოვიტოვე. მაგრამ ვგრძნობდი, წინ კიდევ მრავალი დავიდარაბა მელოდა. გულმავიწყობა დამჩემდა. ეს კი დაღლილობას მოასწავებდა. ცხადი იყო, ყვითელი ნიშნით აღბეჭდილთა დიქტატურა მყარდებოდა. მათი სიტყვაკაზმულობა ამაო ბგერებს ემსგავსებოდა. სისულელის როშვა სისულელის მნიშვნელობას არ ცვლის.

მერე მზიდავებმა თოკები მოიმარჯვეს და პიანინოებს შეესივნენ. სხვებთან ერთად მეც დავწვდი პიანინოს კიდეს, თან სახეს ვმალავდი და ბეჯითად ვებღაუჭებოდი. ვერც კი ვაცნობიერებდი, მზიდავებს ხელს ვუშლიდი თუ ვეხმარებოდი. ფეხქვეშ წამდაუწუმ გაისმოდა ფიცარნაგის საწყალობელი ჭრიალი. ასეთ ხმებს ურმის ბორბლები გამოსცემენ ხრიოკში გადაადგილებისას. ჩემ უკან

მომავლებს ერთგან ფიცარი ჩაუტყდათ და პიანინო ზღვაში ჩაყირავდა. ამოზიდვა არც უცდიათ. არეულობით ვისარგებლე და ხალხს შევერიე. ვიღაცამ გამაგრილებელი სასმელიც კი შემომთავაზა. მენეჯერი შევნიშნე, რომელიღაც მაღალჩინოსანთან მოსაუბრე:

– ეს ორღანებია? – ეკითხებოდა თანამდებობის პირი.

– პიანინოები გახლავთ, თქვენო აღმატებულებავ! – პასუხობდა მენეჯერი.

– არც ეს არის ორღანები?

– საქსოფონებია! – ამჯერად «თქვენო აღმატებულებავ» აღარ დაუყოლებია, ალბათ რაიმეს ახსნაზე ხელი ჩაიქნია.

**5.**

შებინდებისას პიანინოები მოედანზე განალაგეს ლამპიონების ბრდღვიალა შუქზე, თითქოს კონფისკაცია უნდა მოახდინონო. სად წაეღოთ, აღარ იცოდნენ. ამიტომ აუქციონი მოაწყვეს და სანახაობა უფრო შთამბეჭდავი რომ გაეხადათ, დაკვრას შეუდგნენ. იარაღები ძირს დაალაგეს და პიანინოებს მიუსხდნენ. უმეტესობას სმენა არც ჰქონდა და სანაპირო მჭახე ბგერებით აივსო. თუმცა ამას არავინ დაგიდევდათ. არცერთი პიანინო არ გაყიდულა. ხალხს ფულის გამოჩენის ეშინოდა, ხოლო ვისაც არ შიში არ ჰქონდა, ფორმირების წევრი იყო და უფულოდაც მშვენივრად დაეპატრონებოდა. მსოფლიოში არსად შეხებია ამდენი უხეში თითი ესოდენ ნატიფ კლავიშებს. ისე ჩამოჰკრავდნენ ხოლმე დროდადრო, თითქოს თოფის სასხლეტი ყოფილიყოს. თუმცა დაკვრა არ იცოდნენ, მაგრამ პიანინოები მათი კუთვნილება იყო და ეს უნიჭობის ზეიმი დიდხანს გაგრძელდებოდა, სანამ ეს საქმიანობაც არ მობეზრდებოდათ. შეზღუდული სივრცე უხეშად

ერწყმოდა ცვალებად დროს. მათი ერთსულოვნება ნანგრევებზე შეთხზულმა ჰიმნმა განაპირობა. ეს ჟღრიალა ბგერები კიდევ კარგა ხანს გაისმოდა, რადგან ბოლო სტრიქონის შეთხზვას ომის შემდგომ გეგმავდნენ. ომში ყვითელი ნიშნით საყოველთაო აღბეჭდვას გულისხმობდნენ. ასე მიაჩნდათ, მათი ძალისხმევა მომავალი თაობებისთვის მისაბაძი იქნებოდა. სამშობლო რის გამოც მიყვარდა, ის ელფერი მნიშვნელოვანწილად დაჰკარგვოდა. სახელმწიფო ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ბგერების გაჟღერება ჩაეხშო. ჩვენ კი თვალებს ვიფშვნეტდით უცხო გარემოში, მაგრამ სურათი იგივე რჩებოდა. ვარსკვლავები ძველებურად განაგრძობდნენ ციმციმს, პლანეტები – გადაადგილებას, თითქოს ჩვენ არც კი ვარსებობდით და მხოლოდ თავიანთი საქმე ჰქონოდათ.

ყური მოვკარი რეპორტიორების ლაპარაკს, ზეიმი ორ დღეს გასტანსო, რის შემდეგაც ჟანდარმები აკაციების ველს მიაშურებენო. იქ ყოფილან შეკრებილნი, ვინც ჯერ კიდევ არ აღბეჭდილა. რას ვკარგავთ, ჩვენც გავყვეთ, ზღვა მასალა გვექნება გაზეთის პირველი გვერდისთვისო. ბოლოს ყველაფერი თრობით დამთავრდა. დაღრეჯილი სახეები აელეწათ, თითქოს ჭინჭარს დაესუსხოთ. ზღვისპირა ქალაქი გარეუბნით თავდებოდა, გარეუბანი – ნანგრევებით. მზე ჩადიოდა და ისღა დარჩენოდათ, მთვარისთვის ეხმოთ გასაჩახჩახებლად. ცოტა ხანში ლამპიონებიც ჩაქრა. თუმცა მანამ პიანინოების შემსყიდველს კიდევ ერთხელ მოვკარი თვალი. მობუზული მიმიაბიჯებდა ტროტუარზე. პერიოდულად ამომტვრეულ ქვაფენილზე წაიბორძიკებდა ხოლმე. ხასიათზე ვერ იყო, ეტყობა, მშრალზე დატოვეს. ახალ რეალობას დიდი დანაკარგით ხვდებოდა, ხოლო მისი მდიდარი

გამოცდილება მარადიულ ჩიხს მისდგომოდა. არადა, ოდესღაც ისეთი ძუნწი იყო, დაკარგულ გროშსაც კი კატაბალახას წვეთებს აყოლებდა. მივხვდი, დიდად რატომაც არ ცდილობდა იგი ჩემს გაწევრიანებას. ყვითელი ნიშნით აღბეჭდილთა სიმართლის ბოლომდე მაინც არ სჯეროდა. მენეჯერი, თავისი დაუდეგარი თვისებების მიუხედავად, ისეთი შეძრული ჩანდა, წვრილმანი ამბებიც გამოიყვანდა მოთმინებიდან. ბორდიურების გასწვრივ ფოთლების გროვა ეყარა. მღვრიე წყალს მომცრო კალაპოტი გაეკეთებინა და წყალი საკანალიზაციო ჭებში იღვრებოდა. თუმცა აქაურობა ვენეციის აჩრდილიც არ იყო. მერე გზიდან გადავედი იმის შიშით, ჟანდარმებს არ გადავყროდი და გარეუბნისკენ გავემართე. ყოველ გამვლელს ბეჯითად ვუღიმოდი, ყურადღება რომ არ მიმექცია. ასე ოცდახუთ კაცს მაინც მივესალმე და ყველამ უპასუხოდ დამტოვა. ამ საქმეზე ხელი რომ ჩავიქნიე, ოცდამეექვსე ბრაზით მომიბრუნდა, მოსალმება არ გეკადრებოდაო. თავის დაკვრით მოვუბოდიშე, თითქოს მისი ურიცხვი ვალი მქონოდა.

მერე მცირე ხნით მთვარემ გამოანათა. კიდევ ერთხელ გავხედე მოთუხთუხე ქვაბის მსგავს ზეიმს და იქაურობას ზურგი ვაქციე. ხანდახან რომელიმე სახლის ანთებული ფანჯარა გამოკრთებოდა, რკინიგზა კი ლამპიონების შუქზე ლაპლაპებდა. მხნედ ვიყავი. პიანინოებით დატვირთულ ერთი ბეწო ხომალდზე თუ მოვახერხე მიმალვა, კონტინენტზე ამას მითუმეტეს შევძლებდი. ხმელეთი რაოდენ ვრცელია გემის შესაძლებლობებთან შედარებით. ყვითელი ნიშნით აღბეჭდილთა მოქმედება საყოველთაო ხიბლს ჰგავდა, გადაჭიმულ ბადეს, რომელშიც თითქმის ყველანი გაებნენ. მე იმედი მქონდა, თანამოაზრეებამდე

გავაღწევდი, თუნდაც დევნულ ჯგუფებად დაყოფილებს, მაგრამ მაინც მხნე გამოხედვით.

ტყემდე დიდი გზა იდო. ქვიშაში ისეთი ფრატუნით მივაბიჯებდი, თითქოს ფლოსტები მცმოდა. ქალაქგარეთის ხრეშით მოფენილი გზისგან განსხვავებით, ქვაღორღიანი სავალი გადაჭიმულიყო. მთელ გაყოლებაზე კაქტუსის ბუჩქები ერთადერთ ღირსშესანიშნაობად აღიქმებოდა. ოდესღაც მგზავრები ცდილობდნენ, ეს მანძილი სწრაფად გადაეფარათ, რადგან ათასი მაწანწალა დაძრწოდა, მაგრამ ახლა კაციშვილის ჭაჭანება არ იყო. მთელი ღამის განმავლობაში ამაყ ბორცვებს ხელთ ეპყრათ მთვარე, როგორც ბანქოს ხელმოცარულ მოთამაშეებს ქაღალდის მეფის კოზირი. ჰაერში ყვითელი მტვერი ფარფატებდა. მოულოდნელად ჩემ წინ თეთრი კლდე აისვეტა, რომლის მოლიპული წახნაგები თოვლივით ბრწყინავდა. გზა გასწვრივ გადიოდა და მე პირველქმნილ წიაღში აღმოვჩნდი. ცივილიზაციას დაშორებული გარემო გულგრილობას მოეცვა. კეთილმოწყობილი დასავლეთი მართლაც საუცხოო გახლდათ, მაგრამ ჩემთვის ეს მიდამო იყო ყველაზე მნიშვნელოვანი. იგი იმ ფაქიზ სიმებს ეხებოდა, რომელიც წლები არ მიგრძვნია. გული შეძრული მქონდა და სინანული მეძალებოდა. ჩვენც გაგვაჩნდა მყუდრო სამშობლო, ოღონდაც ზიზილ-პიპილოების გარეშე, რომლის ტყეებშიც წიწვოვანი ჭარბობდა.

ტყე ისეთი მეჩხერი იყო, თითქოს სიფრიფანა პერანგით შეემოსათ, მაგრამ ნორჩ და დაღრეცილ ნერგებს მალე დიდრონი ხეები შეენაცვლა. რაღაც პერიოდში ჩემ გარშემო მხოლოდ ტყე იყო ოთხივ მხრივ, მითოლოგიური არსებებით დასახლებულს წააგავდა. როცა სწორ გზას ვერ აგნებ, ზიგზაგებით დადიხარ. შინ დაბრუნების ნაბიჯები კი სხვა ხმებს გამოსცემს. მინდოდა, ყვითელი ნიშნით

აღბეჭდილებს მივბრუნებოდი და მათთვის შემეძახა, ჰეი, ბრიყვებო, თქვენთვის ღმერთი მაღალი კედლის მიღმა ცხოვრობს, ჩემთვის კი ამ ტრიალ მინდვრებში, უბრალო ადამიანების სიახლოვეს! გამოვლილი გზა ნისლებს დაენთქა და რომც მდომოდა, უკან გაბრუნება არ ღირდა. ერთგან ნაბანაკარს გადავაწყდი. გრძელი ძელები მიწაყრილთან მჭიდროდ განელაგებინათ. მათ შორის გაკვალული გზის ბოლო ტყეში ინთქმებოდა. ნესტში დალტობილი ჩაშავებული ქერქები, ნახევრად დამწვარი ყვითელი ნიშნით გამოსახული დროშები და ჩამქრალი კოცონი იმაზე მეტყველებდა, რომ წასვლისას ჩქარობდნენ. ზოგან ბლომად ნახშირი ეყარა. შესაძლოა, ფიჩხის მთელ გროვასაც გადაწყდომოდი, გამოუყენებელი რომ დარჩენოდათ. ფიცრული საფეხურები ჭრიალებდა და ყანყალებდა და ყოველ მათგანზე შეყოვნება სჯობდა, ფეხქვეშ რომ არ ჩაგტყდომოდა. ზედ წიწვები და გირჩები დაცვენილიყო. საცხოვრებელი სახლები საჯინიბოებზე იყო მიბჯენილი. ადამიანები და ცხოველები, ეტყობა, ერთად იზიარებდნენ ჭირსა და ვარამს. გაჩახჩახებულ მდელოზე სკები მოჩანდა. აქაურობა ისე სწრაფად მიეტოვებინათ, გეშით თუ გრძნობდნენ საფრთხის მოახლოებას.

გორაკის ძირში მდინარის დელტა გამოჩნდა, თითქოს ზვიადი მთების მომვლელ ფაშფაშა დიასახლისს ტოტებიანი შარვალი გადაეჭიმა გასაუთოებლად, შორს, ხეობაში, ელვა-შესაკრავივით რომ ბზინავდა. შორიდან დინების დუნე დუდუნი ბებრული სისხლის ჩქეფასავით გაისმოდა. იგი მომცრო ნაფოტებს მოატივტივებდა. ეს მთები ბუნების მთავარი აღკაზმულობა გახლდათ. მდინარესთან ჩავედი, ანჩხლი ბავშვივით რომ შესჩიოოდა მშობლებივით დინჯ მთებს. პეშვით წყალი სახეზე შევისხი,

მერე გაღმა მხარეს გადავედი და აღმართთან შევჩერდი. აკაციების ველი აქეთ მეგულებოდა. ერთადერთი გზა თვალნათლივ ჩანდა სარეველებში. მზის მკრთალი ათინათებით აციაგებულ მდელოზე მთრთოლვარე ფოთლების ჩრდილში ყოვლის წამლეკი სიხარული ვიგრძენი. ისეთმა გრძნობამ მომიცვა, ვერც კი მივხვდი, ეს თუ ჩემს თავს ხდებოდა. შლამიან ნაპირს ბრჭყვიალი გაჰქონდა. წყალმცენარეებში გამოჩრილი რიყის ქვები კონსერვის დაჭეჭყილი ქილებივით ბზინავდა. ეს სურათი მთელ გაყოლებაზე არ იცვლებოდა. შორს ცხენები დავინახე, ყომრალ ნისლში ყოყმანით მიმავალნი და მძიმე ფუთებით დატვირთულნი, დროდადრო რომ ჩერდებოდნენ, თითქოს კაჭკაჭების საუბარს უსმენენო. ფერდობი კი ისეთი იისფერი ყვავილებით იყო მოჩითული, დეკორატიული ბაღჩა გეგონებოდა. ცის თაღი ვეება ტომრის ძაფივით გამოირღვა, ყოველი დამალული ძირს გადმოცვივდა და დავრწმუნდი, რომ თვალშეუდგამი სილამაზე, ოთხივ მხარეს გადაშლილი, ქსოვილზე დახატული არ ყოფილა და სინამდვილის ნიშნით იყო აღბეჭდილი. სწორედ ვიქცეოდი, ადამიანებს რომ ვეძებდი. მიზნის დასახვა საქმეს აიოლებდა. ყოველ შემთხვევაში, ასე წარმომედგინა. მარტოობა ღვთის უარყოფას გულისხმობს. ჩვენ კი ამ სიტყვას ვიწრო მნიშვნელობას ვძენთ. უსახლკარობა მაწანწალობისკენ გიბიძგებს, მინდვრებში ჩაძინებულს ცხენების თქარათქური გაღვიძებს, გზა კი ისე უსასრულოა, თითქოს წრეზე გიწევდეს სიარული. უღრანთა გზამკვლევად ვიქეცი ფართლეულივით დახვავებული ფოთლებით დაფარულ ბილიკებზე. ჩიტების ჭიკჭიკი ჩამესმოდა, ხოლო რაღაც მნიშვნელოვანს ყვავი ყრანტალით იმეორებდა, ერთი და იგივე დაეჩემებინა. ბოლოს ქოხს გადავაწყდი, რომლის სარკმლიდან სიკეთის ნაპერწკალად შუქი გამოკრთოდა. იქ ერთი მოხუცებული

კაცი ცხოვრობდა, ხარისძირით და მარილით ნაკვები, ისე გამომელაპარაკა, თითქოს გამოთხოვების ტექსტი წაეკითხოს. თან ელამი თვალებით მომჩერებოდა. თვალებიც იმიტომ დაუელამდა, რომ ცხოვრების ბედუკუღმართობას მიადევნა. ჩემი ამბავი რომ მოისმინა, აბა, მე სადღა წავალო, ამოიოხრა.

მე კი ვთვლიდი, რომ რა გარეთ გძინებია და რა ამ ცივ და ფარღალალა ქოხს შეკედლებიხარ. მაგრამ მან მაინც დარჩენა ვამჯობინე. მან მინდვრისკენ გამახედა და ხელი გორაკისკენ გაიშვირა. იქით ფერდობზე მზესუმზირის ჭალებია, საიდანაც მათი სადგომიც გამოჩნდებაო.

– აქაურობას ჟანდარმები მალე მოადგებიან! – გავაფრთხილე მე.

– რამდენად მალე?

– შესაძლოა, სამ დღეში!

– არა მგონია, ცოცხალს მომისწრონ! – მისმა ნათქვამმა კაპიტანი მომაგონა.

ის ღამე ქოხში გავატარე. ისეთი გაცრეცილი დილა გათენდა, თითქოს დედამიწის არსებობის მანძილზე მრავალჯერ გათენებას გაეცვითოს. მკრთალი ათინათები მიტოვებულ ფერმებს დალივლივებდა. ოქროსფერი მზე ბინდის უკანასკნელ ნაშთებს ანადგურებდა, თითქოს დილიდანვე შესდგომოდა თავისი ულუფების გადასანსვლას. ყვითელი ფოთლები მტვრიან და ბრჭყვიალა მაქმანიან ბოლოებს მიუგავდა. გარეთ რომ გამოვდიოდი, მოხუცს ჯერაც ეძინა. მჯეროდა, რომ აქაც მომეცემოდა რაიმე ნიშანი, რომ ყველაფერი დამთავრდა. ბრძოლის საყვირები დადუმდა და ვეღარასდროს მოგვაგნებდნენ. რომ დევნულნი დავრჩებოდით, მაგრამ

ჯუზეპეს და მათ მიმდევართა სვირინგებს თავი საბოლოოდ დავაღწიეთ...

ახლა ამ ამბავს ისე ვყვები, თითქოს კერიაზე წაკიდებული ცეცხლის წინაშე მდგარი, ძვირფასი ნივთების გამოტანას ვჩქარობდე, სანამ ყველაფერი ჩაიფერფლება. ტკრციალა ალთა გუზგუზი სახეს მინათებს, ხოლო ბოლო ეპიზოდის დახვეწას თავს ვეღარ ვართმევ და ასევე ვტოვებ, როგორც აუთვისებელ ყამირს. მხოლოდ ერთ სცენასღა აღვწერ. ბორცვზე ქოშინით და ბარბაცით ავაღწიე. უშრეტი ენერგია სადღაც გამქრობოდა. უცებ ჩემს თვალწინ ისეთი მიდამო გადაიშალა, ფიცის დადება მოგინდებოდა. მოხუცი მართალი იყო, მზესუმზირის ჭალას რომ მივადექი, მათი ბანაკიც გამოჩნდა. დღის სინათლე რუხ მიდამოს ისე ფაქიზად ეპარებოდა, თითქოს ნეგატივს ამჟღავნებსო. ცოტა ხნით ფერდობზე წამოვწექი, სადღაც შორეულ ალაგს, კეკლუც ევროპასა და ამრეზილ აზიას შორის, არც ერთს თავისად რომ არ მივაჩნდით, თან მზე აცხუნებდა და მე, საზრუნავებით დაღლილს, მოულოდნელად ელდა მეცა – მზესუმზირებს ოქროს მნათობისკენ ისე გაეშვირათ შავი მარცვლებით დაფარული ხელისგულები, როგორც ყვითელ კვადრატში ჩახაზული წრეები.

# მარიამ წიკლაური

## ამონარიდი

დიმიტრი წიკლაური, პოეტი, ცხოვრობს თბილისში. მისი მამა, ილია წიკლაური მეზღაპრე იყო. წარმოშობით გუდამაყრიდანაა.

დიმიტრი წიკლაური – სახელი, რომელსაც განსაკუთრებული დამოკიდებულება სდევს თან: მას ან არ იცნობენ, ან აღფრთოვანებულები არიან. თანამედროვე ავტორთა შორის ლამის ერთადერთიც კი, რომელსაც, გარდა ლიტერატურული შრომისა და წიგნებისა, შეხებაც კი არ აქვს ლიტერატურულ ცხოვრებასთან, როგორც ასეთთან. ის განაპირებულია ამ ორომტრიალიდან და კეთილსინდისიერებითა და ზნეობით სავსე, აკეთებს იმ საქმეს, რასაც თვლის საჭიროდ: იაზროვნოს და წეროს და შექმნას ისეთი ლიტერატურა, რომელსაც არ ექნება ზედაპირული და წარმავალი დროების ნიშანი, და რომელიც «ღვთისმაძიებლობის» სახელით შეიძლება მოვიხსენიოთ, ანუ სწორედ იმ ნიშნით, რაც რელიგიის მსგავსად, ლიტერატურის პირველსაწყისიცაა. ეგზისტენციალური გზა, სამყაროს საზრისის, საკუთარი თავის ძიება და იმის გააზრება, რომ რაც გეძლევა ადამიანს, არსებობის გაუთავებელ ტანჯვად კი არ აქციო, არამედ მასში ამოიცნო ღვთაებრივი სამართლიანობა. განიცადო დროსა და სივრცეში განფენილი წარმავლობის მარადიული განახლების სიხარული, მიიღო შენი ბედისწერა და მორჩილებაში შეძლო უმაღლესი თავისუფლებით აზროვნება და არსებობა აქციო ღვთისა და ადამიანთათვის სათნოდ ორთავე სოფლის მიმართ თანაბარი პასუხისმგებლობისა და რწმენის არსებობის წყალობით.

დიმიტრი წიკლაური პროფესიით ექიმი-ფარმაკოლოგი, სამი შვილის მამაა, აგერ, 20 წელზე მეტია, წერს და რამდენიმე წიგნის ავტორია. და ეს წიგნები არაერთი ჩინიანი თუ უჩინო ადამიანის წიგნის თაროზეა შემოდებული: ლექსებისა და პოემების კრებულები – «მოაზროვნე გომბეშო», «შებინდების პოეტი», «მათხოვრის ქისა», «მზიდავი», «ეკლების კრეფა გვირგვინისათვის», პიესების კრებული – «ანტიხთონები» და სხვა. ეს კრებულები აერთიანებს დიმიტრი წიკლაურის ლექსებსა და ეპიკურ ნაწარმოებებს.

მისი შემოქმედება ურბანისტული ყოფისა და დღევანდელობის პრობლემებითა და ტრაგიზმითაა გაჯერებული, ღრმად სულიერი და ზოგადადამიანურია.

პოეტური, რელიგიურ-ფილოსოფიური ტექსტები გხიბლავს აზროვნების სიღრმით, სამყაროში მოვლენათა, საგანთა და ადამიანთა შორის იდუმალი კავშირების აღმოჩენის სიხარულითა და შიშით, მაღალზნეობრიობით და მაღალმხატვრული ღირებულებებით...

დიმიტრი კარგად იცნობს მსოფლიო და მშობლიურ ლიტერატურას. ბრწყინვალედ ფლობს პოეტურ ტექნიკას, ენას და მისი თითოეული ფრაზა ნამდვილი ოსტატის დაწერილია, კონვენციური იქნება თუ ვერლიბრი ესა თუ ის

ლექსი და პოემა. ღრმაა მისი პოეტურ წარმოსახვათა სამყარო და მუდამ თანამედროვეობის პრობლემებს დასტრიალებს თავს. უცნაური და მოუხელთებელია მისი პერსონაჟების სახელებიც, წარმომავლობაც, მოქმედების არეალიც, ისტორიებიც. ის ახერხებს ლიტერატურის მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებზე მაინც იპოვოს აუთვისებელი ადგილები და პირველაღმომჩენის მოწამეობრივი ბედნიერება გაგვიზიაროს...

ცხოვრების წესით დიმიტრი წიკლაური ერობაში მოღვაწე ბერადაც კი შეიძლება წარმოიდგინო და ალბათ აქაა დამალული მისეული პიროვნული ხიბლიც, მუდამ რომ თვითირონიითა და მოსწრებული პასუხით ისხლეტს ნებისმიერ ქებას და აღფრთოვანებას ან შთაბეჭდილებას მისი ნაწარმოებების შესახებ. მე პირადად, ნამდვილად მიმაჩნია თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრების თვალსაჩინო და ღირსეულ ავტორად, სამაგალითო ადამიანად, ნამდვილ ქრისტიანად, რომლისთვისაც სიტყვიერებაში და ცხოვრებაში თანაბარი ძალითაა განფენილი ღვთაებრივისა და ადამიანურის, დაცემისა და ამაღლების მისტერია. მიხარია, რომ ის ჩემი თანამედროვეა.

# ჰალინა კრუკი

## ლექსები

### თარგმნეს მაშო ხასაიამ, გიორგი ხასაიამ და შოთა იათაშვილმა

## „ევროპავ, შენ ამ დროს რას აკეთებდი?“

ჩვენ ყველანი, ევროპავ, ისე ღრმად შეშფოთებულები ვართ
რომ ზოგიერთი ჩვენგანი მოკლულია კიდეც.
გაფილტრე იუთუბი
რომ აქაურმა სისასტიკემ შენს მოქალაქეებს გული არ ატკინოს.
ბევრი ჩვენგანი აწი ვერასდროს გიხილავს საკუთარი თვალით.
შენს მხედველობასაც რაღაც სჭირს
ჯიუტად ვერ ხედავ მათ დათხრილ თვალებს
და ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებულ ჭრილობებს.
ბევრი ჩვენგანი ვერ შეძლებს, – და არ გაბრაზდე ევროპავ – ხელი გაგიწოდოს
(მხოლოდ პროთეზებს თუ გაგიწვდიან)
შეეხოს შენს კულტურას წინა საუკუნეების.
უდარაჯე შენს საზღვრებს, ევროპავ,
რომ მოულოდნელად არ გადაგედოს
ყოველი შემთხვევისთვის მოგვაყურადე
ისევ თუ ვყვირით
სამხედრო ჩექმებს და ხელკეტებს როცა გვირტყამენ.
ჩვენი შვილები ბოროტები გაიზრდებიან, ევროპავ
არ ირწმუნებენ შენს ისტერიკულ და ცრემლიან ახალ ამბებს
უთავშესაფრო ცხოველებზე.
შენ მიუტევე მათ ევროპავ, ნუ გაიოცებ
ჩვენ აქ ყველანი ცხოველები ვართ
გვხოცავენ მგლებისთვის განკუთვნილი ვაზნებით
როგორც ცოფიანებს.
ევროპავ, შენ ამ დროს რას აკეთებდი
ამოწმებდი დაღუპულებს და დაკარგულებს?

ხელს იბანდი? დასტურს ელოდი?
იმალებოდი, როგორც ნივთი, თავისთავად?
მსოფლიოს – მშვიდობა, კედელს – კედელი, მხოლოდ
ფულს სუნი არ უდის.
და მსხვერპლნი არ დგანან დასაცავად
თუ ისინი მტრედები არ არიან?

## ინგებორგ ბახმანის სიკვდილთან შეთამაშება

იშვიათმა მატარებელმა ადრე იცის ჩამოდგომა
იშვიათმა ცეცხლის ალმა – გაჩერება შუაგზაზე
ქალი სიკვდილს, ვით დახურულ კარს, ისე აწვება
ცდილობს გაღებას
ხოლო სიკვდილი საყვარელივით ვიღაც სხვასთან ჩაიკეტა
მეორე მხარეს
და ღალატობს,
ყოველ ჯერზე ცინიკურად ღალატობს ხოლმე
ქალი კი ელის, მოუთმენლად აკაკუნებს
თავის საბეჭდ მანქანაზე
თავის ცხოვრებას – სასიყვარულო პრელუდიას,
ნამეტანი რომ გაიწელა
კლავიშები სულ ტყუილად ტყაპატყუპობენ
იჭედებიან სიტყვებსა და
მათ შორის ხალვათად ჩალაგებულ ნივთებს შორის
მაგრამ რას იზამ, როცა არცერთ კლავიატურას
არა ჰყოფნის ასოები იმისათვის
უმართებულო სიკვდილი რომ გაამართლოს
დაგვიანებული მისი ეს მოსვლა,
ეს ენატკბილი ქლესაობა
დამნაშავესავით რომ უკოცნის დამჭკნარ ხელებს ცეცხლის ენებით...
ინგებორგ, დართე,
დართე ნება, კიდევ ერთხელ რომ შეგაცდინოს

## ჩვენი შემოდგომა პაწაწინა ხეებთან ერთად

*გრიგორი ჩუბაის მაღალ ხეს*

შემოდგომა, ჩვენი, იწყება
პაწაწინა ხეებთან ერთად
ლიტერატურა ფოთლებზე უფრო სწრაფად ყვითლდება
ვიღაც თვლის, ის უკვე მომწიფდა
გონიერისთვის, კეთილისთვის, მარადისისთვის,
ადამიანურ არსში წვდომისთვის
და საშუალოსტატისტიკური უკრაინელის
მოლოდინის ჰორიზონტებს მიუახლოვდა,
რომლის სულზეც მოდის სულ რაღაც ნახევარი წიგნი,
წიგნაკი,
და ისიც – საბჭოთადროინდელი და შემნახველი,
რით დასრულდება ნეტა ჩვენი შემოდგომა
პაწაწინა ხეებთან ერთად,
თუკი მათ მიღმა ტყე არც კი მოჩანს?
თუკი მწერალი არის მხოლოდ ადამიანი,
კალმისტრამდე მიღწეული
მხოლოდ და მხოლოდ ადამიანი, კალმისტრამდე
მიღწეული,
მხოლოდ და მხოლოდ ადამიანი?..

## * * * (არსებობს ადამიანურ ურთიერთობათა ასეთი ფორმა...)

არსებობს ადამიანურ ურთიერთობათა ასეთი ფორმა –
ყოფილი საყვარლები.
ჟამიდან ჟამს გამქრალი სინაზე დაავადების რეციდივივით
ბრუნდება უკან:
მეხსიერების ლიმფური კვანძების მტკივნეული გასიება,
დისტანციის სურდო, თანაც ალერგიული,
ფანტომური ტკივილები ტანში, რომელიც აღარ გეკუთვნის.
ამ დროს იმ წყალზე მიშტერება გშველის ხოლმე,
საშხაპეს ძირში რომ ტრიალებს, ქაფს აყენებს და
ცდილობს ჩარეცხოს ეპიდერმის მკვდარი ფენა
შეხებათა და კოცნათა დაბერებული ნაიარევით.
ამ დროს ბეწვები ინტიმური ადგილებიდან
დაგორგოლავებულები
საშხაპეს ძირის თეთრ ემალზე იმ ბზარებსა თუ
ნაპრალებსა ჰგავს,
საიდანაც გეშინია არსაითში გადაიჩეხო.

## * * * (მე გავხსენი ბოლო კარი...)

მე გავხსენი ბოლო კარი,
რომლის მიღმა არც შენა ხარ და არც მე ვარ
სულ სხვა ქალი დაიარება სამზარეულოში გაცვეთილი ჩუსტებით და
ჭურჭელს რეცხავს და ახმაურებს
სხვა მამაკაცი მიგდებულა სპორტული შარვლით დივანზე და
ზანტად ეწევა და აპურჭყებს იატაკზე
სხვა ქალი, საერთოდ რომ არა მგავს,
ისე, როგორც ზღვის წვეთი არ ჰგავს
ონკანის წყლის წვეთს
და სხვა კაცი, გაბერილი და გაცრეცილი,
ისე, როგორც სამაშველო წრე,
რატომაა ის აქ? ზაფხულს მახსენებს ვითომ?
მაგრამ განა შეიძლებოდა რაიმე ზაფხული ჰქონოდა ამ ორს?
მე გავხსენი კარი, შუქი შემოვუშვი და
ის ჩიტივით ეხეთქება ფანჯრის მინას,
მე გავხსენი კარი იქ, სადაც
არავის სცხელა ჩიტისათვის
სხვა ქალი,
ბრტყელი და უხეში, მოუპირკეთებელი დაფასავით
სხვა მამაკაცი – ფაშარი და უიმედო,
როგორც დამპალი ნაფოტი შეშის
ცოლქმრულ ჩხუბსაც კი
არ ძალუძს მათში გაღვივება ნაპერწკლის,
ან გაჩაღება ხანძრის
მხოლოდ ფერფლი საფერფლეში,
და ნაცარი, თავზე წაყრილი

ყველგან – ფერფლი და ნაცარი
მე გავხსენი მძიმე კარი, როგორც კუბოს სახურავი,
როგორც მკვდრების ქუთუთოები,
მე გავხსენი კარი და ამ კარს ვეღარ ვხურავ

## * * * (ხანდახან ჩემთან შემოდის ჩეჩენი შაჰიდი ქალი...)

ხანდახან ჩემთან შემოდის ჩეჩენი შაჰიდი ქალი
უჯდება მაგიდას და ჩვენ დიდხანს ვსაუბრობთ ბავშვებზე.
აბა, სხვა რაზე შეიძლება საუბრობდნენ ქალები
ასეთი გასხივოსნებული სახეებით?
– გუშინ ჩემმა ბიჭუნამ პირველად მკითხა სიკვდილის შესახებ, – ვეუბნები მე, –
და მე აბნეულად ვცდილობდი, ამეხსნა მისთვის, თუ რატომ...
– ჩემი გაიგებს ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, – მპასუხობს იგი, –
იცი, ისინი ისე სწრაფად იზრდებიან
პირველ გასროლამდე...
– როგორც პირველ ზიარებამდე, – ვფიქრობ მე,
მაგრამ ეს უკვე მარადისობის ჩვენი soft-ვერსიიდანაა
ჩვენ ხომ ისე ხშირად ვცდილობთ ღირსეულად
აღვზარდოთ ჩვენი ვაჟები
რომ ბოლო-ბოლო ისინი საკუთარი ღირსების დაკარგვის
გამო იხოცებიან
– a la guerre comme a la guerre, –
ამბობს ის ფრანგული ფილოლოგიის და ჩეჩნეთის ისტორიის
გამოცდილებიდან გამომდინარე
და მე, უადგილო კნინობითი სუფიქსებითა და რბილი ნიშნებით გადატვირთული
ჩემი უკრაინული ენის გამოცდილებიდან გამომდინარე,
ამის წინააღმდეგ არაფერი მეთქმის
ჩვენ ხომ ისეთი მონდომებით ვასწავლით ჩვენს ბიჭებს
პოლიტკორექტულობას

რომ მათ საბოლოოდ გაუბედაობა კლავთ
– სამყარო სხვა გამოსავალს არ გვიტოვებს –
მეუბნება ის დამშვიდობებისას
და მე მას ვუსწორებ აწეწილ თმას,
შავ, საუცხოო თმას
მოქცეულს ჯარისკაცის გამძლე ჩექმების ქუსლების ქვეშ –
და ესაა დედის წამგებიანი როლი
პოპულარულ რუსულ მიუზიკლში

## * * * (ბევრი ნივთი იმაზე ადრე ქრება...)

ბევრი ნივთი იმაზე ადრე ქრება
სანამ შევამჩნევთ
ბევრი კი საერთოდ არ ჩნდება
ჩვენი თვალთახედვის არეში
როგორც ის კაცუნა, რომელიც კვირადღეს
კულტურისა და დასვენების პარკში
ასე ოცი წლის წინ უნდა დამეხვრიტა
მაგრამ სანამ ვუმიზნებდი
ის ჩაიმალა და თავს აღარ ჰყოფდა
ვინ მოკლა ეს თავგანწირული კაცუნა
ციცქნა ტყვიით და
მრუდელულიანი იმავე თოფით?
ვინ მოასწრო მისი შემჩნევა?
ვინ მოასწრო დაემიზნებინა მისთვის
ზაფხულის იმ რამდენიმე უცებ გაფრენილი კვირადღის
განმავლობაში
რომელთაგანაც თითქმის ყველა წარსულშია უკვე?

## * * * (აი, ბანქოს ქაღალდებისგან აშენებული შენი სახლი...)

აი, ბანქოს ქაღალდებისგან აშენებული შენი სახლი –
აქ თავისუფლად შეგიძლია იცხოვრო
თუკი არ დაიწყებ ხმამაღლა ოხვრას
ან ძილში ხვრინვას
თუკი არ მოყვები ცემინებას და ხველას
ან ვინმესთან ცხოველურად შეჯვარებას არ შეეცდები
და ამით ყველაფრის დანგრევის საფრთხეს არ გააჩენ –
კედლების, ფანჯრების, კარების
სუნთქვა უნდა შეიკრა
უდროო დროს ვნებები თუ მოგეძალა
სისხლი უნდა დაამუხრუჭო ვენებში
რომ არ აგიჩქროლდეს
სიმშვიდე უნდა შეინარჩუნო
კრიჭაშეკრულმა
მთელი ათი წლის განმავლობაში
ჯადოსნური ალიონის ცდუნებას არ უნდა აჰყვე
ბოლოს კი უნდა გაიჯახუნო კარი
ო, თან როგორ უნდა გაიჯახუნო!
კიდევ ერთხელ – დამაჯერებლობისთვის –
და დაადგე
დედამიწის მოუღობავ
ოთხსავე მხარეს

## * * * (ხდება ხანდახან: დამცავი სარქველის გარეშე ქმნის...)

ხდება ხანდახან: დამცავი სარქველის გარეშე ქმნის
ღმერთი ვიღაცას
აძლევს კანს, ისე სიფრიფანას,
რომ მიღმა გული ილანდებოდეს,
კანქვეშ სისხლს უსხამს,
ასფალტზე რომ იწვეთოს და
უშვებს გრძელ გზაზე,
ეუბნება: იარე კაცუნავ
არასრულყოფილო კონსტრუქციავ
არაფერი გაკლია თითქოს: ფეხებიც გაქვს და ხელებიც,
ოღონდ არა გაქვს
ტკივილისთვის – გრძელი ხეობა
ცრემლისათვის – ცრემლსადინარი
სულისთვის – სულის მოსათქმელი
და მიათრევს ამ თავის ტვირთს ადამიანი, სანამ ძალუძს,
სანამ სუნთქავს,
სასმელგასამართ სადგურებზეც იმართება ჟამიდან ჟამს,
მაგრამ როგორც არ უნდა ცემდეს მის ქუსლში სული,
არაა გათვალისწინებული
სათადარიგო გასასვლელი,
და ცხოვრობს ასე ადამიანი, სანამ გამწევი ბორბლები არ გაუცვდება
სანამ უფალი არ მიხვდება, გადაცემათა კოლოფი რომ ჩაშლილი აქვს
და გარემოებათა წნევის გამო არ წასკდება ცხვირიდან სისხლი.
და წევს ადამიანი გზაზე.
და ღიმილის ნასახიც კი არა აქვს პირზე.

## ბიოგრაფია

ჰალინა კრუკი ავტორია პოეტური კრებულებისა «მოგზაურობა სახლის ძიებაში» (ლვოვი, 1997), «ნაკვალევი ქვიშაზე» (კიევი, 1997), «სახე ფოტოსურათის მიღმა» (კიევი, 2005) და «თანაარსებობა» (2013). აგრეთვე მრავალრიცხოვანი პუბლიკაციებისა სხვადასხვა ანთოლოგიებსა და

ლიტერატურულ პერიოდიკაში. ავტორია სამი საბავშვო წიგნის: «უკრაინულ-ინგლისური ანბანი» (2016), «მარკო მოგზაურობს მსოფლიოს გარშემო» და «ყველაზე უმცროსი» (2007), რომლებიც 15 ენაზეა ნათარგმნი. ჰალინა კრუკის ნაწარმოებები ითარგმნა ინგლისურ, გერმანულ, შვედურ, რუსულ, პოლონურ, ლიტვურ, სერბულ, ხორვატულ, პორტუგალიურ და სხვა ენებზე. ჰალინა კრუკი ლაურეატია ლიტერატურული კონკურსების: «გრანოსლოვი» (1996) და ბ. ი. ანტონიჩის სახელობის «სიცოცხლის სალამი» (1996), არის პოლონეთის კულტურის მინისტრის პროგრამის «Gaude Polonia» სტიპენდიატი (2003, 2010), Homines Urbani-სა და ვილე დეციუშის სტიპენდიატი კრაკოვში (2005) და მწერალთა და მთარგმნელთა ბალტიკური ცენტრის სტიპენდიატი (კუნძული გოტლანდი, შვედეთი, 2007). არის უკრაინის პენ-კლუბის ვიცე-პრეზიდენტი. თარგმნის პოლონური, ლიტვური, რუსული და ბელარუსული ენებიდან.

დაცული აქვს დისერტაცია XVII-XVIII საუკუნეების უკრაინული ბაროკოს ლიტერატურის თემაზე. ასწავლის უკრაინულ და უცხოურ ლიტერატურას ლვოვის ი. ფრანკოს სახელობის ეროვნულ უნივერსიტეტში.

არის მრავალი უკრაინული და საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის, ასევე პოეტური აუდიო-ვიზუალური პროექტების – «Sintezia» (ლიტველებთან ერთად) და SWIЖE (შვედებთან ერთად) – მონაწილე.

# ჩემი პოეზია ხისტი და ბრუტალურია (ინტერვიუ)

***(5 მარტი, 2017 წელი, მოკლე დიალოგი ფეისბუქით)***

**შოთა იათაშვილი: ჰალინა, «ყორანი» გითარგმნია უკრაინულად?**

**ჰალინა კრუკი:** არა, მაგრამ მესმის, რომ გვარი მავალდებულებს[i].

**შ. ი. შეგიძლია, დამისახელო მსოფლიო ლიტერატურის ის შედევრები, რომლებიც არ გითარგმნია, მაგრამ მათდამი რაღაც გავალდებულებს?**

**ჰ. კ.** საბედნიეროდ, მე მოყვარული მთარგმნელი ვარ, ანუ არ ვაქცევ ყურადღებას იმას, თუ რა მავალდებულებს. მთავარია, მომეწონოს და თარგმნის სურვილი გამიჩნდეს. ერთხელ ვიტოლდ გომბროვიჩის «პორნოგრაფიის» თარგმნა მომინდა, მაგრამ უკრაინულად უკვე ნათარგმნი აღმოჩნდა. ჩემი პირველი პოეტური თარგმანი კი ბელარუსულიდან იყო – მაშინ დაახლოებით 14 წლის ვიყავი. მარტივი ლექსი იყო ზღარბუნიაზე, ავტორი უკვე აღარც მახსოვს. მერე პოლონელებს ვთარგმნიდი: შიმბორსკას, გალჩინსკის, ბოგდან ზადურას. ასე, 15-იოდე თანამედროვე პოლონელი პოეტი მყავს ნათარგმნი. საერთოდ, პოეზიაზე მუშაობა უფრო საინტერესოა – რებუსივითაა.

**შ. ი. ყოველთვის არაა რებუსივით.**

**ჰ. კ.** ჰო, ყოველთვის არაა რებუსი, მაგრამ მუდამ საჭიროა გასაღები, რათა არამარტო აზრი გაიგო, არამედ ავტორის მანერაც.

**შ. ი. მაგრამ ყველაფერი ზღარბუნიათი დაიწყო. შეგიძლია, ახსნა, რატომ?**

**ჰ. კ.** ლექსი მომეწონა.

**შ. ი. რას ნიშნავს, მომეწონა? აი, აქედან დავიწყოთ საუბარი პოეზიაზე, კარგი?**

**ჰ. კ.** ჩემს ცხოვრებაში ბევრი რამ იმიტომ ხდება, რომ ჩემს სურვილებს თავის ნებაზე ვუშვებ. ლიტერატურაშიც ასეა. ლექსი არანაკლებ გემრიელია ხოლმე, ვიდრე საჭმელი, ღვინო ან ყავა. ჩემთვის პოეზია სიამოვნების სფეროში არსებობს. ხანდახან სიტყვის თუ ფრაზის ჟღერადობა იმდენად გემრიელია, რომ განუწყვეტლივ ენის წვერით სინჯავ, სანამ მისგან ლექსი არ გამოვა. თუმცა კი, ზოგჯერ პირიქითაა: აზრი შემომიჩნდება ხოლმე, როგორც აბეზარი ბუზი. ხშირად ეს ალიონზე ხდება, სანამ ჯერ კიდევ კარგად არ გამოვფხიზლებულვარ და ხელს მიშლის, რაიმე სხვაზე ვიფიქრო, და ამ დროს სხვა გზა არა მაქვს, უნდა ავდგე და ვწერო. ეს რომ არ გავაკეთო, არ შემეშვება და გამტანჯავს. ერთი სიტყვით, სხვადასხვანაირადაა.

**შ. ი. და შეიძლება, გემრიელი არ იყოს, მაგრამ ბრწყინვალედ იყოს გამოთქმული?**

**ჰ. კ.** შენ გულისხმობ უბრალოდ, ლამაზს?

**შ. ი. არა, როცა პოეტი არ ცდილობს, ლამაზად გამოთქვას.**

**ჰ. კ.** ჩემი აზრით, პოეტი ლამაზად არც უნდა ცდილობდეს გამოთქვას. აი, გემრიელად კი გინებაც შეიძლება.

**შ. ი. გემრიელად გინება ალბათ ყველა ენაზე შეიძლება. ისე, შენს ენას ძალიან მიჯაჭვული ხარ?**

**ჰ. კ.** კი, ჩემი ლექსი ძალიან დამოკიდებულია ენაზე – მთელი ეს სიტყვების თამაში ხშირად უთარგმნელია.

**შ. ი. მე კი მგონია, რომ შენ გლობალური პოეტი ხარ და არა ის, ვინც სიტყვებით ჟონგლიორობს თავის ენაზე. თემა შენთან უფრო დომინირებს, ვიდრე ფორმა.**

**ჰ. კ.** მართალი ხარ, მაგრამ ფორმაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის, მიუხედავად იმისა, რომ მუდამ ვცდილობ, მარტივად ვილაპარაკო. მე მუდამ მსურდა, მელაპარაკა რაღაც უნივერსალური ენით, რათა ყველას გაეგო ჩემი. რომელიღაც ნაციონალურ ენას კი არ ვგულისხმობ, არამედ ტექსტის ენის დონეს.

**შ. ი. მესმის. მეც რაღაცნაირად ასეთი ვარ. მაგრამ პოეზია ხშირად ძალიან ვიწროდ რომ აღიქმება ხოლმე? რთული მეტაფორები, ახალი ფორმები გაუგებარი და მიუღებელია. პოეტებსაც კი ცუდად ესმით ერთმანეთის. რაღაც ტიპის პოეზიას ორგანულად ვერ იღებენ ხოლმე.**

**ჰ. კ.** აი, მე ბაროკოს ლიტერატურას ვიკვლევ. სტუდენტებს ვასწავლი

უნივერსიტეტში, 15 წლის წინ დავიცავი დისერტაცია უკრაინულ ლიტერატურულ ბაროკოზე. ჩემთვის ის ახლოსაა. მომწონს ბაროკოს მგრძნობელობა და ფორმისადმი მისი დამოკიდებულება, ჰარმონიის მისეული ძიებები.

**შ. ი. მოჰყევი ცოტა რამ უკრაინულ ბაროკოზე.**

**ჰ. კ.** ეს მე-17-18 საუკუნეებია. ბაროკოს ერთ-ერთი მთავარი ხერხია საგანთა შორის არაცხადი კავშირების ძიება. თუმცა მე ბაროკოს უფრო ფართოდ ვხედავ – არა როგორც მხოლოდ დეკორს და სამშვენისების დახვავებას. ის ცდილობს, განაცვიფროს მკითხველი, რაღაცაზე წამოაგოს – მაგალითად, არასაჭირო სილამაზით, ანდა ზოგჯერ პირიქით – სიმახინჯით ან პარადოქსალურობით.

**შ. ი. ძალიან საინტერესოა ჩვენთვის, გამომდინარე იქიდან, რომ ქართული ბაროკო საერთოდ არ არსებობს. ჩვენთან არის განსაზღვრება «ქართული რომატიზმი». და რომანტიკოსებს შორის 7-8 პოეტია, თუმცა, რეალურად, ჩემი აზრით, ერთადერთი ნამდვილი რომანტიკოსი გვყავს – ნიკოლოზ ბარათაშვილი. მგონია, რომ ზოგჯერ ეს საბჭოური გადმონაშთია – ასეთი დაფასოებები. თქვენთან როგორაა?**

**ჰ. კ.** კი, ჩვენთანაც იყო ასეთი მიდგომა – თითოეულ სტილში აუცილებლად უნდა ეპოვათ ვიღაც წარმომადგენელი. ჩემთვის უკრაინელი რომანტიკოსები არ არიან საინტერესონი. ბაროკოს შემდეგ ისინი უფერულები ჩანან. მთელი პრობლემა იმაშია, რომ მე-19 საუკუნის დასაწყისში უკრაინულმა ლიტერატურამ ენა შეიცვალა – ძველიდან ახალზე გადავიდა. და მთელი სიმდიდრე დარჩა იქ, ძველუკრაინულში. საბჭოთა პერიოდში უკრაინულ ლიტერატურულ ბაროკოზე რომ

გელაპარაკა, შეიძლებოდა, ციხეშიც კი ჩაესვით. მას არ უნდა ეარსება, რადგან ბაროკოს რუსულ ლიტერატურაში არ უარსებია.

**შ. ი. და თანამედროვე უკრაინელ მწერლებს შორის ბაროკოდან ვინმემ რამე აიღო?**

**ჰ. კ.** კი, თანამედროვე პროზაიკოსებიდან ვალერი შევჩუკმა, პოეტებიდან ბაროკოული ექსპერიმენტები ჩანს მე-20 საუკუნის კლასიკოსებთან: პავლე ტიჩინასთან, მიკოლა ბაჟანთან, ვასილი სტუსთან. თანამედროვეებიდან – ადრეულ ანდრუხოვიჩთან. ეს მთელი ცალკე თემაა – უკრაინული ნეობაროკო.

**შ. ი. და ეს შესანიშნავი თანამედროვე უკრაინული პოეზია როგორ ყალიბდებოდა?**

**ჰ. კ.** თანამედროვე უკრაინულ ლიტერატურაში რამდენიმე თაობა არსებობს. ისინი, რომლებიც ფაქტობრივად ცოცხალი კლასიკოსები არიან, «სამოციანელები» – ლინა კოსტენკო, იგორ კალინეცი, ვალერი შევჩუკი... მწერლები, რომელთა დებიუტი 70-80-იან წლებში შედგა – ვასილი გერასიმიუკი, ტარას ფედიუკი და ბევრი სხვა; დამოუკიდებლობის პირველ წლებში უკრაინული პოსტმოდერნიზმის და ლიტერატურული აქტიურობის ძალიან მჩქეფარე პერიოდი იყო. არსებობდა ბევრი ლიტერატურული დაჯგუფება და საინტერესო ლოკალური მოვლენა. მერე მათ ჩემი თაობა წამოეწია. ისინი ახლა ყველაზე აქტიურები არიან – სერგეი ჟადანი, მარიანა კიანოვსკა, ანდრეი ბონდარი... ჩვენზე ახალგაზრდებიც შესანიშნავები არიან – ტანია მალიარჩუკი, სოფია ანდრუხოვიჩი... სულმუდამ მოდიან ნიჭიერი ახალგაზრდები – როგორც წესი, პოეტები. პროზაიკოსები ნაკლებად.

**შ. ი. როგორც ვიცი, შენ და სერგეი ჟადანი დიდი ხანია, მეგობრები ხართ. ახალგაზრდები საკუთარ პირველ ტექსტებს ერთმანეთს აჩვენებდით, ერთმანეთს ჭკუას ეკითხებოდით...**

**ჰ. კ.** მე და სერგეი 90-იანების დასაწყისიდან ვიცნობთ ერთმანეთს, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ «ერთად ვიზრდებოდით», რადგან ძნელია ეს, როცა ლვოვსა და ხარკოვს შორის ათას კილომეტრზე მეტი მანძილია.

**შ. ი. და პოეზიაც სხვადასხვანაირია, არა?**

**ჰ. კ.** ჰო, არის ერთგვარი რეგიონალური თავისებურებები, მაგრამ, როგორც ანდრუხოვიჩმა თქვა ჩემ შესახებ ერთ-ერთ პრეზენტაციაზე, მე ყველაზე არალვოველი ვარ ლვოველ პოეტებს შორის. ლვოველ პოეტებს ახასიათებთ სპეციფიკური ღვარჭნილობა, ქალაქთან და მის ლიტერატურულ ტრადიციასთან მიჯაჭვულობა. მე კი არასდროს მინდოდა რამესთან ვყოფილიყავი მიჯაჭვული: ან ადგილთან, ან დროსთან. ჩემი პოეზია ხისტი და ბრუტალურია და არ მსურს, ტრადიციას ხარკი ვუხადო, მიყვარს ექსპერიმენტირება. მინდა ტრადიციას ჩემი თამაში ვეთამაშო. ოღონდ ისიც კარგად მესმის, რომ ასეთი თამაშის შეფასება ყველას არ შეუძლია. ამიტომაცაა, რომ პოეზიის რამდენიმე დონე არსებობს.

**შ. ი. საკუთარ ბავშვობაზე მომიყევი ცოტა.**

**ჰ. კ.** კარგი და ბედნიერი ბავშვობა მქონდა – თავისუფლად ვცხოვრობდი ბებია-ბაბუასთან, ახალგაზრდა მშობლები დასვენების დღეებში ჩამოდიოდნენ ხოლმე ჩვენთან, ყველას ვუყვარდი და ჩემი პირველი ლექსი საქვიშეში დავწერე. ვიცოდი, რა როგორ იზრდება, როგორია გემოთი და შეხებით კენკრა თუ ბალახი, როგორ შრიალებს ტყე,

როგორ გამოიყურებიან სველი ფესვები და როგორ ჩადიან მიწაში და ასეთი ბევრი რამ. მე სულ მუდამ მესიზმრება ის სახლი, სადაც გავიზარდე – ეს ადგილი მე ძალას მაძლევს. იმდენი დრო და შესაძლებლობა მქონდა საკუთარი თავის შესაცნობად, რომ ვფიქრობ, რომ არა ასეთი ბავშვობა, ალბათ სხვანაირი გამოვიდოდი. აი, მშობლები კი სპარტანულად მზრდიდნენ – ჩემი განებივრების ეშინოდათ. ამიტომ ცხოვრებაში მებრძოლი ვარ და სირთულეები არ მაშინებს. სწავლა არ მიჭირდა, განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე გამომდიოდა და ვფიქრობდი, რომ ყველას ასე გამოსდის. ამიტომ ჩემს ნიჭს არ ვაფასებდი. ექვსი წლის ასაკიდან სულ რაღაცას ვწერდი და მშობლები ამას ბუნებრივად იღებდნენ.

**შ. ი. ახლაც სულ რაღაცას წერ?**

**ჰ. კ.** მქონდა პერიოდები, როცა წელიწადში 3-4 ლექსს ვწერდი, და ეს არ მაღელვებდა. მთავარია, ვგრძნობდე სამყაროს ჩემში და საკუთარ თავს სამყაროში. დროულად გაჩუმდე – ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია პოეტისთვის. ამ სამყაროში უკვე იმდენი რამ ითქვა და იმდენს ამბობენ, რომ მთავარია, ზედმეტი არ ილაპარაკო.

**შ. ი. სულელურად რომ ეკითხებიან მწერლებს, რაზე წერო, ასე რომ გკითხო, რას მიპასუხებ?**

**ჰ. კ.** ყველაფერზე, რაც ჩემში გადის და არ თავსდება.

**შ. ი. თუ პირიქით: არ თავსდება და იმიტომ გადის?**

**ჰ. კ.** იცი, როგორ? გადის, როგორც ცხრილში და რაც ამ ცხრილს შერჩება ხოლმე, იმას გიზიარებთ.

**შ. ი. გასაგებია. და ბოლოსკენ, რა განწყობაზეც ხარ, იმ განწყობით შენი რომელიმე ლექსიდან რამე ფრაზა**

**მითხარი.**

**ჰ. კ.** მხოლოდ სიყვარული აყალიბებს ადამიანისგან პოეტს, პოეტისგან კი ადამიანს. მხოლოდ სიყვარული ახვედრებს მათ და ერთმანეთს არ ახოცინებს.

სერგეი ჟადანთან ერთად

ნატალია ბელჩენკო, ლიუბოვ იაკიმჩუკი

## რეცენზიები

**ჰალინა კრუკი. Співіснування («თანაარსებობანი»).**

*ლვოვი, «პირამიდა», 2013, 96გვ.*

ამ წიგნის სახელწოდება სიტყვათა თამაშზეა აგებული, რაც ამ პოეტის ერთ-ერთ უსაყვარლეს მხატვრულ საშუალებას წარმოადგენს. კალამბურის, პარონომაზიის იუმორისტული ბუნება უკანა პლანზე გადადის, წინ იწევს სიღრმისეულ საზრისთა აღმოჩენა, ურთიერთშეხამებულ მოვლენათა არაცალსახობა. სიტყვის პირველი ნაწილი «спів» უკრაინულ ენაში როგორც წინდებულს «თანა-» («თანაარსებობა»), ისე «სიმღერასაც» («ყოფიერების სიმღერა») ნიშნავს. მეორე მხრივ, გვარ-სახელის ორნიტოლოგიური კოდი უბრალოდ შანსს აღარ უტოვებს პოეტს, არსებობის, ყოფიერების («існування») წინაშე მდგომი მომღერლის, მგალობლის ბედი აირიდოს.

კრებულის პირველ ნაწილში აქცენტი კეთდება სამყაროს «ჟღერადობაზე», ანდა იმაზე, რაც საკუთარ თავს ჩვეულ ცხოვრებაში ყოველ ნაბიჯზე წარმოგვიჩენს: ეს გახლავთ ლირიკულად მოაზრებული ამბები ბავშვობაში ნანახიდან და პირადად განცდილიდან. ეს გახლავთ გამოცდილება იმ ადამიანისა, რომელიც მოეწრო სსრკ-ს მისი გარეგნულად უწყინარი მემებით, რომელთა მიღმა გარდუვალი უსასოობაა: «პედაგოგიურ პოემათა ველებზე ხომ / დღემდე დგანან ცელიანი მიცვალებულნი». «ნუ მიმატოვებ, ღმერთო, შუა სტრიქონში, შუა მდინარეში...» – პოეტის ერთგვარი ლოცვა. ეს კი პასუხია შეკითხვაზე, თუ რატომ იტანჯება შემოქმედებითი, ნატიფი ადამიანი: «თითქოს შენი ყველაფერი შენთანაა: ფეხებიც გაქვს, ხელებიც, / ოღონდ არ არის შენში გრძელი ხეობა ტკივილისათვის /

ცრემლისათვის ცრემლსადინარი / სულისათვის მოსათქმელი სულისა...» მაგრამ, ტრაგიზმის მიუხედავად («რადგან სინამდვილეში ცხოვრება ისაა, რაც დავკარგეთ / დაგერო- და სტერეოტიპებს მიღმა ვერ ამოვიცანით...»), სულაც არ რჩება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ავტორი ჩიოდეს. მას ერთგვარ უკუპერსპექტივაში ძალუძს მოვლენათა დანახვა: «იჯდე და თავი ჭრილობასავით მოიშუშო, მიწის დალეწილი მუხლივით, / რომელსაც ბავშვის მუხლი დაეცა».

წიგნის ერთ-ერთი პირველი რეცენზენტი ალბინა პოზნიაკოვა ყურადღებას ამახვილებს სროლისა და ომის გამჭოლ სახეებზე. დღესდღეობით რთული არ არის, ამაში წინათგრძნობები და წინასწარმეტყველებები ამოვიკითხოთ. ეს განსაკუთრებით ეხება ლექსს «ქალი სახელად ნადეჟდა»: «და არცერთმა ჩვენგანმა ზუსტად არ იცოდა, სად გადის ფრონტის ზღვარი / არავის წარმოედგინა დანაკარგთა რეალური მასშტაბი, / და მაშინ ჩვენი სულის გასამხნევებლად / შემოგვიერთდა ქალი სახელად ნადეჟდა (იმედი), / რომელიც სიკვდილს საერთოდ არ აპირებდა». ეს ლექსი კრებულის მეორე ნაწილიდანაა, სადაც ორი მტრედის გამომსახველი ილუსტრაცია «თანა-ყოფიერების» შესაძლებლობაზე მიგვითითებს. აქ მოთავსებულია ლექსები სიყვარულზე – რაოდენ მძიმეც არ უნდა იყოს ეს სიყვარული. ამგვარად, ჩვენს არასანუგეშო მდგომარეობაზე პასუხი მაინც არსებობს – თუნდაც ჯერჯერობით მეტაფორული.

ლიუბოვ იაკიმჩუკი

პოეტი რვა წელიწადში ერთხელ გამოსცემს კრებულს – როგორც ჩანს, სიტყვის მიმართ განსაკუთრებულ სიმკაცრეს იჩენს. თუმცა, რეგულარული საჯარო

გამოსვლებით ახდენს ამ საგამომცემლო «დუმილის» კომპენსაციას, ამიტომაც ფესტივალთა ხშირმა სტუმრებმა და პოეტების ერთობლივი საღამოების მოყვარულებმა მისი ახალი კრებული «Співіснування» მეტწილად თითქმის ზეპირად იციან. ეს ტექსტები ზოგჯერ მანტრას სახითაც ჟღერს, რაც არა მხოლოდ განსაკუთრებულ მედიტაციურ მდგომარეობას, არამედ ბგერათა ზუსტ გადმოცემასაც მოითხოვს. ჰალინა კრუკის პოეზიის ბგერითი სახე უბრალოდ ომონიმებით, პარონიმებითა და მრავალმნიშვნელი სიტყვებით თამაში როდია, როგორც უკვე შენიშნა ერთმა ახალგაზრდა კრიტიკოსმა – არა! ეს ის პოეტური ფორმაა, პოეზიას მის პირველად (ზეპირსიტყვიერ) ყოფიერებას რომ უბრუნებს, იმ წარღვნამდელ ხანაში, როცა ის ჯერ კიდევ მუსიკისაგან განუყოფელი იყო, ანუ თანაარსებობასთან (Спів існування) აბრუნებს. წიგნში ორი ნაწილია: «Спів існування» და «Співіснування». პირველ ნაწილში ბევრია ბავშვობასა და სკოლასთან დაკავშირებული ტექსტები, სხვაგვარად რომ ვთქვათ, პირველი ნაწილი მოგონებებსა და ადამიანებს ეძღვნება. მეორე ნაწილში – უწყვეტ ემოციულ (მე ვიტყოდი, დრამატურგიულ) დაძაბულობაში, სხვადასხვა სახისა და სიუჟეტის გამოყენებით გათამაშებულია ქალისა და მამაკაცის დრამა. როგორც ჩანს, ავტორს ენის მიმართ სემიოტიკური მიდგომა აქვს, ვგულისხმობ ენის ციხედ წარმოჩენას. მის ტექსტებში ენა მხოლოდ მკითხველთან კომუნიკაციის საშუალებად როდი გვევლინება, ის ფორმას წარმოადგენს, ერთგვარ ოპტიკას, თუკი გენებოთ – მსოფლმხედველობას, და ავტორი ცდილობს, ეს ფორმა საკუთარი საშუალებებითვე დაძლიოს. ენის ციხიდან თავის დასაღწევად მას გაცვეთილი ციტატების, პოპ-სახეების, თვით მარადი გმირებისა და დიდი მწერლების სახელების დაძლევაც კი უწევს. ამასთან, ის ცდილობს

პირვანდელი საზრისი დაუბრუნოს მუდმივ კონსტრუქციებს, ფრაზეოლოგიზმებს ისე, რომ სრულიად ახალი ჟღერადობა მიანიჭოს, თითქოს ისინი მანამდე არავის არასოდეს წარმოუთქვამს (მაგალითად ლექსში «Час від часу я гірша від часу...»). გალკა კრუკი სიტყვებისა და სახეების დანაწევრებასა და აგებას არ სჯერდება და ამავე სამუშაოს საკუთარ სახელთან მიმართებაშიც ასრულებს, რომელიც მასთან ხან ფრინველს ნიშნავს (галка – ჭკა), ხან ქაღალდზე დასმულ «ჩიტუნას», ხანაც ადამიანს. საუბარია ლექსზე «Жінка, що шиє», რომელიც კრებულისათვის «Співіснування» ძალზე მნიშვნელოვანი, შესაძლოა, ცენტრალურიცაა, რადგან აქ ქალი მართლაც კერავს საზრისთა ქსოვილს, უფრო სწორად კი ენის ქსოვილს, რომელიც ლირიკული «მე»-ს შინაგან სამყაროს შეადგენს.

***თარგმნა თამარ კოტრიკაძემ***

# 2. პოეზია

# ლია სტურუა

## რატომ? (რიტორიკული)

როცა ფანჯრიდან გადიხარ გარეთ,
ბოლო წუთში აღარ იცი,
ჰაერს მოეჭიდო თუ მზის გვერდებს,
ოთახიც მოემზადა, შეეგუა, დამწიფდა კიდეც
შენი წასვლის მოლოდინში...
სანამ ტვინზე გაჭედებდნენ,
მისამართი არ შეეშალოსო, შეუხედავი იყო,
ნოემბერიც უჟმური თვეა,
კი, ორკესტრი უზის ორმოში: მნრ, მნრ –
რამდენიმე ტაქტი რეკვიემიდან...
მერე სტატისტიკა:
როგორ მიდიან ნოემბრის წვიმაში,
ფანჯრებიდან როგორ გადიან –
ეს უფრო თვალსაჩინოა, სისხლი
დამწიფებაში ეხმარება ოთახს.
ასეთი სილამაზე! კონკრეტული #7
და რატომ უპიროვნო ცაში?
რატომ «ნოემბერი» და სხვა ნეგატიური სიტყვები
პროზექტურაში? ჯერ გასწავლიან მათ ანატომიას
ბგერების დონიდან მუსიკამდე რომ მიგიყვანენ,
მერე მიდიან, ნოემბრის წვიმაში მიდიან,
ფანჯრებიდან გადიან გარეთ...

## ბორჯომი

ჩემო ტყეებო,
ჰორიზონტს რომ ალურჯებთ და აადვილებთ,
შუამდგომლობას მიწევთ მთებთან,
რომ გვერდზე დამიყენონ
აკვარელით დახატული ქალაქელი
და ზეთის ფერებით გამაძღარი
გამიშვან უკან...
ასე მგონია, ყველა ფოთლით ფიქრობთ,
ჩემზე, როცა ღვიძლი
სიყვითლეს მაფენს სახეზე,
სულ შემოდგომაში ვიცხოვრებდი,
თქვენ რომ არა.
მაგრამ გაძვირდა თქვენი ნახვა,
ფული ვერ გადავიხადე
და ქალაქმა ნელ-ნელა დამიწყო წაშლა:
ოსტატურად შესრულებულ ბატალიებში
ვის რად უნდა ჩემი კამერული პორტრეტი?
სულ რომ წამშლიან
და ისევ თქვენთან დავბრუნდები
არა პატარ-პატარა ავადმყოფობებით,
ჯანსაღი მიწით, მისი ტალანტით
მთები ცას აარტყას, ჰაერს კი არა,
იმას, რომელიც მინანქრისაა ჩემი წიგნებიდან,
ვალებში რომ მიქვითავდნენ,
რადგან სხვა არაფერი მქონდა ღირებული,
გახსოვთ?

## ფიროსმანი, ჟირაფი, უჭადრებო რუსთაველი

ჩვენს გარშემო ისევ თრიალეთის მთებია?
ჯერ კიდევ გამძლე ზურგები აქვთ
თავგადაპარსული ქალაქის მისაყრდნობად?
სადაც ჩემი ნაცნობები,
უჩრდილო, ასგრადუსიან რუსთაველზე
იხვეწებიან:
– გამოიხედეთ კონდიციონერებიანი მანქანებიდან!
იყიდეთ ვაჟა-ფშაველას ციმბირის წყლული!
ათას ზაზიაშვილზე ერთი ფიროსმანი,
რომელსაც ჩონჩხები არ უჩხრიალებია,
ყველა ძვალი რომ ზუსტად იმდენი აქვთ,
რამდენიც უნდა ჰქონდეთ,
ჟირაფი სხვაა, უკუღმართი ანატომია,
ორი თითით ყელგაწეული,
ლამის, თრიალეთის მთებამდე!
რომ გაითანაბრონ,
ამსიგრძე ყელი დაამოკლონ,
უნდა ნახატივით გახიონ ქალაქი,
შიგ ფესვგადგმული მთვარე...
იმან შუქს ფესვი გაუკეთა,
ამათ საფლავი დაუკარგეს...
მოსქელო ტურფებს მაინც ყვავილები
ამოსდით პირიდან...
ამაზე ნამდვილს რას ასწავლიდნენ,
რაგინდ აკადემიები ეშენებინათ
მისი სულის მისადგომებთან?

## რემინისცენციები

შაგალის ფრენა,
როცა სიზმარში მოგდევენ...
ცხადში გაზეთის ფრთებით
ადიხარ ჭერზე და ვარდები,
გაზეთმა დანარცხების სიმართლე
უნდა აჩვენოს, რომ ტყუილი შეძლო,
სცენა შეძლო –
შექსპირის დაუდგენელ ლანდზე
მიშუქებული პროჟექტორები,
მდინარის შროშანი და მოწამლული დაშნა –
ყველაზე სცენური თანხვედრა
ორი შეუთავსებლობის!
მხოლოდ ასე! თორემ სხვა რა?
თხოვდებიან, ცოლი მოყავთ
და ყვავილოვანი ტყუილით
აკრთობენ სინამდვილეს?

## მრგვალი ბაღი

მრგვალ ბაღთან მხვდება
რამაზ გიორგობიანი, კიდევ უფრო
აწოწილი და უმწეო, ვიდრე კინოში
და უკვე მკვდარი.
პარალელურად მიდიოდა ჩვენი ცხოვრება:
ის მიშას ფარდულში სვამდა,
მე ფრჩხილებიდან ხიჭვებს ვიძრობდი,
პატარა სისხლი ოთახის კუთხეებს მინათებდა,
კვადრატული მეტრები გენერატორებს ჭამდნენ,
ეს ხმამაღალი ცხოვრება ჩვენი არ იყო
რა უნდა გვეთქვა ერთმანეთისთვის?
კაცები მიშას ფარდულში სვამდნენ,
არც მე გამომდიოდა მეტაფორა,
დაღეჭილს სანთლის შუქიც არ ჰქონდა,
კუთხეებში ობობები იყო, შავი დროშებივით.
ფრთების შესაძლებლობა არ მოგვეცა,
იქნებ ამიტომ? მაგრამ მე დავრჩი,
ის წავიდა. ციდან გვიყურებს?
სიმარტივე ზოგჯერ შველაა
რამდენ კვ.კმ-ზე რამდენი თვალი?
ვის შეუძლია ორი მათგანით
მკვლელობა შეაჩეროს?
მერე, თუგინდ ეპილეფსიაში გადავარდეს,
ლოკოკინების წალკოტში...
რისი იმედი მაქვს? სრული პასუხის,
რამე ღონიერი ციტატის,
თუ მოსალოდნელი აპელირების ცასთან?
რომელიც მძიმეა, უვარსკვლავო, ყრუ,
ფაქტიურად, აღარც არის...

## * * * (ისე დიდხანს იყო...)

ისე დიდხანს იყო
სიცხე ოთახში ჩაკეტილი,
რომ როგორც კი კარი გავაღე,
გარეთ გავიდა. სად ვეძებო
ამ უღრან ცივილიზაციაში?
ნორმალურ აგვისტოს დაველოდო,
როცა წრეზე იტრიალებენ ცხრა დანტე
და ერთი ვაშლის ხე? როდინდელი სიმბოლიკა!
აღარ დაიტკეპნა?
ჩემი ხედვისა არ იყოს,
სიცხეს პეპლებად რომ ანაკუწებს,
უძრაობის სიმეტრიას არღვევს?
სივრცეს მკაცრი კანონები აქვს, არა დედური:
სიცხე სიცხეა, ყვითელი პეპლები
ჩემი ახირება, თუ მაინცდამაინც,
ერთჯერადი საგნები და რომ ფიქრობენ?
რაზე? ლიფტი როგორ მიჭრის
მთავარ ოთახს, სადაც ტელევიზორი იმდენია,
რომ მე ზედმეტი ვარ?...
სიცხე როცა გარეთ გავიდა,
დამენანა, როგორც კიდევ ერთი სულიერი,
რომელმაც დამტოვა.

## ჩემი არ არის

ჩემს არსებობას არა აქვს ფესვი,
ის, პირდაპირ, შუა ჰაერში იწყება:
არა ნახატი, არამედ მინიშნება მასზე,
ისეთი ოდნავი, ლოკოკინა
რომ სადაფის კვალს დატოვებს...
ვიღას ვახსოვარ თავდაყირა მოსიარულე,
მრავალყელიანი ორკესტრების მეთაური?
ვინ მიბიძგა ნახევარტონებისა
და ნახევარსიმართლეებისკენ?
ხალიჩის ნახჭებში რატომ მტენიან?
ვერც სადაფს შევუფასებ ლივლივის ხარისხს,
ვერც ფრინველის სევდას
დავიმრგვალებ თვალებში...
კარებზე ზარი უპასუხობისგან წვეტიანდება,
მოტყუებული ნაბიჯები ბორბლებივით ისმის,
უნდა დავეწიო, გავასწრო ჩემს თავს,
საწერ მაგიდაზე ძეგლივით დამხობილს,
რომელსაც ჰიპერბოლების ასაფეთქებლად
კვადრატული მეტრები არ ყოფნის,
იძულებული მინიშნება კი, ისეთი ოდნავი,
ლოკოკინა რომ სადაფის კვალს დატოვებს,
უნაკლოდ მშვენიერია,
მაგრამ ჩემი არ არის...

# თეა თოფურია

## კონტროლი გაფრენის წინ

ვდებ ჩანთას,
კიდევ სხვა ჩანთასაც,
სამაჯურს ვიხსნი.
მეორე ხელზე ვიხსნი საათს,
მერე საყურეს,
მერე მეორე საყურესაც,
ქამარს, ფეხსაცმელს – ვიხდი, ვწვები და
ცოტა ხანი თვალებს დავხუჭავ...

დღესაც მთელი დღე ჭკვიანი ვარ. გადავიღალე,
როგორც ყოველთვის. ახლა უნდა გელაპარაკო.
დღეს შენ იქნები ჩემი ქმარი და დამიყვავებ,
იმ ქმრის მაგივრად, არასდროს რომ არა მყოლია,
ან შვილი, თუნდაც უნიჭო და გაუგებარი,
ან თუნდაც კარგი მეგობარი (ბოლო დროს ეგეც
ისე გაჭირდა, ლამის კედლებს ველაპარაკო),
ანდა კოლეგა, ბარემ ვიტყვი დღეის ამბავსაც –
დღეს გამაგზავნეს საგიჟეთში რეპორტაჟისთვის.
იყვნენ ბევრნი და მიყვებოდნენ (ზოგმა იმღერა):
*«გამოვიგონე დროის კარი, სხვენში პორტაჟი».*
*«კაცი მოვკალი, ახლა თავი დავიპატიმრე».*
*«ხმები დამსდევენ, სულ ვცდილობ, რომ არ დავუჯერო,*
*«მითხრეს მოგკლავთო, შენიანებს მოგაკვლევინებთ».*
*«ჩიპი ჩამიდგეს, გაძარცვავენ ალბათ მუზეუმს».*
*«გინდა, გიმღერებ?»*
*«წინდებს ვქსოვ და აქ ვინმეს ვჩუქნი».*
*«მე ჯანმრთელი ვარ, წასასვლელი არსად არა მაქვს.*
*ისევ აქ დავრჩი, თანაც ხალხსაც ველარ ვიფერებ,*
*გადავეჩვიე და ვერავის ვერაფერს ვუხსნი».*

*«ჩემიანებმა არ იციან. მინდა, აქ ვიწვე,*
*მოვმაგრდე, მერე უკან წავალ. მერე რა მოხდა?!»*
ცოტა ციოდა. ზოგი ჭამდა, ზოგი ჩემსავით
იწვა და თითქოს ვიღაცასთან ლაპარაკობდა...
მე დღეს მთელი დღე ჭკვიანი ვარ, როგორც თავიდან
ვთქვი. ხვალაც მთელ დღეს, ზეგაც, მერეც, მაგრამ მანამდე
სახლში მოსული,
კარს ვხურავ და აღარავისთან
საქმე არა მაქვს.
კარს ვხურავ და ვაღებ კარადებს,
ვდებ ჩანთას,
კიდევ სხვა ჩანთასაც,
მერე საყურეს,
მერე მეორე საყურესაც,
ქამარს, ფეხსაცმელს ვიხდი. ვწვები და
ცოტა ხანი თვალებს დავხუჭავ.
ახლა ჩემს ამბავს მოგიყვები, როგორც ყოველთვის:
მე ჯანმრთელი ვარ, წასასვლელი თუ მქონდა უწინ,
ახლა არა მაქვს, თანაც ხალხსაც ვეღარ ვიფერებ,
გადავეჩვიე და ვერავის ვერაფერს ვუხსნი.
ხმები დამსდევენ, სულ ვცდილობ რომ არ დავუჯერო,
ჩემიანებმა არ იციან. მინდა ვიწვე რომ
მოვმაგრდე. მერე უკან წავალ. მერე რა მოხდა?!
გინდა, გიმღერო?

## კორესპონდენტი მიდის დავალებაზე

როდესაც სიუჟეტისთვის მაგზავნიან,
სადმე ისეთ ადგილას, სადაც არავინ მელის,
სადმე სოფელში ან სადმე უბრალო ხალხთან,
სადმე არა მთავრობის წევრთან, რომელიც უკვე სახეზე მცნობს,
სადმე, სადაც, მართალია, იციან, რომ ვარსებობ,
და შეიძლება როდესმე მივადგე,
მაგრამ არა დღეს, არა ახლა...
როდესაც ასეთ ადამიანებთან მაგზავნიან,
ხანდახან მგონია, რომ სიკვდილი ვარ.

მე მივდივარ გაუფრთხილებლად და მოულოდნელად,
შავი მიკროფონი იარაღივით მაქვს მიშვერილი და პასუხს ვითხოვ.
ისინი კი... როდესაც ისინი მიყურებენ,
ნამდვილად მგონია, რომ სიკვდილი ვარ.

აგერ კაცი, რომელიც თავისთვის იჯდა,
ახლა დაბნეული ლუღლუღებს,
იცით, მზად არ ვარ. მე ვერა და იქნებ, ცოლი?
ნამდვილ სიკვდილსაც, ზუსტად ვიცი, იგივეს ეტყვის.

სხვა სახლში ქალი საქმიანობს, ჩემთვის არ ცხელა,
მაგრამ რადგანაც ჯერი დადგა, უარს ვერ იტყვის.
მხოლოდ წუწუნებს: «სახლი ცოტა არეულია,
ამას გავიტან, უკაცრავად, სულ არ გელოდით.
ან რა მაცვია, ან რას ვგავარ, ან რა უნდა ვთქვა?!
იქნებ, ცოტა ხანს დამაცადოთ, აზრებს დავაწყობ».
კაბას ისწორებს, თმას ისწორებს, ფარდას ასწორებს,
ცდილობს შიში არ შეიმჩნიოს, იწყებს ლაპარაკს
(თითქოს პასპორტის სურათია), გაღიმებული

ყვება სოფელი კალიებმა როგორ შეჭამეს,
ან – გამგებელმა ათასობით ლარი გააქრო.
«მცოდნოდა, რომ დღეს მოხვიდოდით, სხვა იქნებოდა.
დალაგებულად დაგხვდებოდით, ვისაუბრებდით,
უკეთ ჩაცმული, უფრო მეტი არგუმენტებით»...

მხოლოდ ვუღიმი და არაფერს არ ვეუბნები,
რადგან ვერასდროს, ვერცერთიც კი ვერ დავარწმუნე –
უნდათ თუ არა, მათი სახე სწორედ ეს არის.
ვინც მოდის სულის წასაღებად, ის არ აფრთხილებს!

სიკვდილიც, როგორც ჟურნალისტი, «მზად რომ არა ხარ»,
სახლში რომ დგახარ ჩუსტებით ან ძველი ხალათით,
ან სადმე ომში საკუთარ და სხვის სისხლს ახველებ,
ასეთ დროს მოვა,
ხოლო მერე როგორ მოგრთავენ,
ეს სიკვდილს სულ არ ედარდება
და მეც შემთხვევის ადგილიდან წამოსული ვარ.

## დიდი მარხვა და მფარველი ანგელოზი

იმ საღამოს კარზე კაცმა დააკაკუნა,
კაცმა, პალტოს ქვეშ გრძელი ფრთებით, დააკაკუნა
და რამდენიმე ვაშლი მომიტანა.
«შენი ბაღის მოსავალია», – მითხრა –
«თითქმის მზადაა ყველაფერი, ხეებს ასხია,
სახლიც დგას, თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ საუკეთესო, მაგრამ იცხოვრებ.
წინ დიდი მთაა, მცირე ეზო...
მოკლედ, შენ იცი,
თუ რამე, ანუ თუ ვეღარ ძლებ, უკვე წაგიყვან.
ვხედავ წვალობ, მაგრამ მაინც, იქნებ გეთმინა?»
მე ვდუმდი, გარეთ, ფანჯარაში ვიყურებოდი.
იყო ღამე და მეზობლების სახლებში შუქი.
მანქანებზე ეძინათ კატებს.
«რაც დავმარხე, სუყველაფერმა გაიხარა?»
«თითქმის. შენც იცი, ბევრ რამეს, რასაც მიწას აყრი,
მკვდარი არ ჰქვია.
დამავიწყდა მეთქვა, ზღვაც არის.
სამოთხეშიც კი თავისი ზღვა ყველას არა აქვს.
სანაპიროზე ღმერთი დადის, რაღაცას ფიქრობს.
სხვას აღარაფერს მოგიყვები,
მოკლედ, შენ იცი,
თუ ძაან წვალობ, წაგიყვანდი,
თუმცა, მაინც, მირჩევნია, მარტო წავიდე».
«მარტო წადი!»
კარი იღება,
კაცი, რომელსაც ფრთები ჰქონდა, სახლიდან გადის,
და ერთდროულად მიქნევს ფრთას და პალტოს სახელოს,
და ცაში ადის...

ჩაიდანთან სამოთხის ვაშლებს
სულ ოდნავი სიწითლე დაჰკრავს,
როგორც ღამის ცას, მაშინ როცა თოვას აპირებს.

# გიო ლომიძე

## ადამიანები

გასამხნევებლად იმარაგებენ ადამიანები ერთმანეთზე შთაბეჭდილებებს.
იმარაგებენ და ახარისხებენ, იხსენებენ და აფერადებენ.
წყალი ყოველთვის ორთქლდება ხიდან.
პლანეტის ფესვებს ჰგავს მრავალსართულიანი შენობები, თითქოს წონასწორობის დაკარგვის შიშით, საცეცები დაუკაპიწებია
ჰაერზე მოსაჭიდებლად.
ჩვენ კი ვმოძრაობთ შიგნით...
საინფორმაციო მონიტორებმა ალერგიად გამოაყარეს შენობებს.
ხმა და ცვალებადი გამოსახულება; ხმა და ცვალებადი გამოსახულება.
ადამიანები... ისინი ბუსუსებში ცხოვრობენ.
ადამიანები – განუკურნებელი არსებობით.
ადამიანები – ერთმანეთზე გამქრალი შთაბეჭდილებებით
და კიდევ ადამიანები – წყალგამშრალი ხეები...
არიან მათ შორის მოხეტიალე ადამიანები – ელექტრომუხტები,
მცირეამპერიანი ნათურის განათება რომ შეუძლიათ.
მათზე ამბობენ: ბჟუტავს და მაინც ანათებს.
ერთი წაქცეული კაცი მიყვებოდა: «ხშირად დავცემულვარ.
არ ვაკვირდებოდი, რომ ფეხი მივარდებოდა ერთსა და იმავე ორმოში.
ტკივილი ორმოდან მოდიოდა».
სხვებმაც გაიგეს, დაიჯერეს და აიტაცეს:
ტკივილი ორმოდან მოდიოდა, ტკივილი ორმოდან მოდიოდა.
ამის შემდეგ აღარავინ უფრთხილდებოდა დაცემას.

სიზმარი ვნახე. დიდხანს ვიხსენებდი. ქვა ვიყავი. ერთადერთი ქვა. მოდიოდნენ და სხდებოდნენ ადამიანები.
სხდებოდნენ, ისვენებდნენ, მიდიოდნენ.
მეთევზეები მატლებს ეძებდნენ ჩემ ქვეშ.
გადამაგორებდნენ, ჩხრეკდნენ ნესტიან ნიადაგს.
მიდიოდნენ ხელმოცარულები და ქვას სხვა ადგილზე ტოვებდნენ.

## კარ-ფანჯრის

კარი სიმყუდროვე აღარ არის. ვიღაცამ უნდა გააღოს.
სულერთია საიდან მიუდგება.
ჩარჩოზე მისჯილი ხერხემალი თუ არ გაუმოძრავდა,
კოროზიული მარილები გაუჩნდება; უჩინარი კუზიც
შეაწუხებს.
უსაქმურობაც...
გაღება-დახურვის გაიშვიათება გააზარმაცებს და ბოლოს
აჭრიალდება,
დაკაკუნების შემდეგ თითქოს წუწუნს მოჰყვება და
საყვედურებით აავსებს ზღურბლის გადაბიჯებას
გადაჩვეულ სტუმარს.
ბოლოს სახელური ხელშეუხებლობის პირობას დადებს.
მიჩუმდება ოთახი...
იქნებ ეს მომავალი გამოგონილია – როგორც
გადაუჭარბებელი ახლანდელობა.
რა მნიშნელობა აქვს, მზე საიდან ამოვა...
ფანჯარა საკუთარ უპირატესობას მისგან შემოსული
სინათლით გამოხატავს.
კარზე ირონიული ჩრდილები მოგზაურობენ.

## მოლოდინით წახემსება

ჭადრების გადაღმა არა ჩანს ქარების სათავე;
ბურუსის დუმილი ჩადრივით აცვია მიწურებს.
კადრები მკვდარია, არ გამოდგებიან სათოვად;
იჩქარე ამაღამ, იმავე სხეულით მიცურე
ნაპირთან. ოდესღაც გიცნობდა საერთოდ არავინ,
უფრო კი არ გქონდა ფორმა და სახელი, იერი;
დაგბადეს, მიჰყვები უდაბნოს დამხრჩვალი ქარავნით,
ქრები თუ იწყები თავიდან სამყაროსმიერი.
აბსურდის ფონია. ირხევა ამბები ხრიოკი;
ხარობენ მრავალნი, ამაყად ნეტარნი არიან;
ვიღაცა საფიქრალს საძილე აბებით იოკებს,
ხანდახან მათხოვრობს სითბოს და სინათლეს დარიან
ამინდში. ბავშვები, დიდები – მშიერი; ძაღლები;
ერთმანეთს ასწრებენ არიდონ – თვალები, მიმიკა.
ისინი ცოცხლები კოშმარულ სხეულზე სახლობენ,
მიწა და პლანეტა რომ უწოდებიათ, მამა კი
არა ჩანს... დილიდან უბრალოდ ლოცულობს ყოველი
შვილისთვის. იცის, რომ გზა არის სალი და ფიქალი.
გროვდება სიტყვები: რამდენი ხანია, მოველით
გვეშველოს ოდესმე. უფალო, ოდითგან გიგალობთ...

## მომავლის აქტი

არ წამიკითხო ფსალმუნები გარდამავლებზე.
დასამშვიდებლად ძილიც მეყოფა.
ისიც მეყოფა, სიმყუდროვეში
შენი დუმილი რომ დამაყრუებს.
არ დაიჯერო, ჩემნაირები
ვინმეს იმედზე ტოვებენ სხეულს,
ან არსებობის ალგორითმიდან ალოგიკური პასუხი მიაქვთ.
არავის უთხრა ამ დღის შესახებ;
არავის შეხვდე ისეთი სახით, დამარცხებულად
გამოგაცხადონ.
გაიმეორე ყველა პირობა დაღამებისას.
მზეს შუბის ტარი გამოაცალეს დიდი ხანია.
რევოლუციას აღარ დარჩა ხალხში მიზეზი.
გადაეღობე ყველა მცდელობას,
იმაზე მეტად მომიახლოვდე, ვიდრე აქამდე
და შეუდექი ყოველ ცისკარზე
ნაწერებიდან თითო ფურცლის განადგურებას,
დაუძლურებამ სადაც მაჯობა.
დღეებს აღარ აქვთ ოცნების სუნი.
ჩვენი წუთები საათს გაექცა
და ერთმანეთში გადავინაცვლეთ...

# 3. პროზა

# ზურა მელიქიძე

## ნახვრეტი

თავში დიდი ნახვრეტი მაქვს... სიყვარულს აღარ ვგრძნობ... აღარც წარსულს... თითქოს სპილომ ჩაარტყა ტალახის გუბეში ფეხი და უზარმაზარი ანაბეჭდი დატოვა... ეს ინერციაც აღარ არის – ჯიბეებში ხელების ჩაწყობის სურვილი... სახურავზე წოლის ჟინი და, ვინ იცის, კიდევ რა... ყველაფერი იქ იყო, იმ ადგილას, სადაც ახლა ეს ნახვრეტია... გადაადგილებისას სევდას აღარ ვგრძნობ... მეტიც, საერთოდ არ მტკივა, უბრალოდ, მოუხერხებელია, გამუდმებით იცოდე, რომ თავის ნაცვლად ერთგვარი წრე გადგას, რომელშიც პათეტიკური ღიტინით ზუზუნებს ქარი... ფანჯარაზე აკრული ქაღალდის წებოვანი ლენტივითაა ეს ხმა... ყურებს უკან ქავილს გრძნობ... ასეთ დროს ყურების არსებობაც ზიზღს იწვევს... გაუმართლებელია და იმიტომ... ისევე, როგორც სამკუთხა ქუდი ან ომლეტი სადილად, ბევრი ბულგარული წიწაკით და ყველით... არის ამაში თავისებური ირონიაც, მაგრამ, როდესაც თავში ნახვრეტი გაქვს, ღიმილისთვისაც არ გცალია... რომ იღვიძებ, ეგეც კი უწესრიგობაა თავისთავად... ნაცვლად იმისა, რომ თვალებს ახელდე, გიდევს ლურჯი ყვავილებით მოხატულ ბალიშზე ეს წრე, რომელსაც კვამლიც კი არ ასდის და გგონია, რომ დილაა...

ეცადე, შეინარჩუნო გრავიტაცია... სანამ თასმები ჭერში აეკიდებიან, სანამ შენი ფეხსაცმელები ამ უსარგებლო ფეხებითაა გამოტენილი. წინ და უკან. ჰო, ეს გადაადგილებაა, ზღურბლები, მაგიდა, პამიდვრის ლაქით, შაქრიანი კოვზით, პურის ნამცეცებით... იატაკზეც რაღაც ლაქაა. ჭერში -სიჩუმე... ხანდახან ჩამოდის ოდნავ ქვემოთ, როდესაც ჭერი კვამლით ივსება, ამას ჰქვია სიჩუმის

დალექვა... შეიძლება, რომ მოხერხებულიც უწოდო... ხელს იმაზე გაცილებით ნაკლებად გიშლის სუნთქვაში, ვიდრე სავსე საფერფლე, რომელიც ყარს. ან მხრებზე დადგმულ ნახვრეტში გამავალი ქარი, როდესაც ფანჯარასთან ახლოს დგახარ. არ ვიცი, როდის გაჩნდა ეს ნახვრეტი აქ. თავს ნუ შეიწუხებთ ამაზე ფიქრით, მით უმეტეს, რომ, თავი გადგათ და არა ნახვრეტი. ისე, კაცმა რომ თქვას, არც არაფერი წაუშლია, მოგონებები წრეზე გადაიტანა და აღარ იგრძნობა. უკვე წრიული მოგონებები ეთქმის და არა ცენტრალური, პატარა ნათურასავით რომ ენთო და გასაქანს არ მაძლევდა. ახლა საითაც მინდა, იქით გავექანები, ოღონდ, ეგაა, რომ, არ მინდა. მირჩევნია, კოღოსგან დაკბენილ ხელს ზეწარზე ხახუნით ვიქავებდე, ვიდრე სადმე, ხიდზე შევხვდე მას, ვისაც მოეწონება ჩემი თასმები, რომლებიც სპაგეტის ჰგავს, ეცოდინება ღიმილი, ერთი ყურიდან, მეორემდე. ეცმევა სადად და მეტყვის, რომ წაკითხული აქვს ჩემი ცხოვრება და მაშინ უფრო საინტერესო ვიყავი, როცა ვცხოვრობდი. ამ ყველაფრის საპასუხოდ, მე შემიძლია, ის გავახედო ჩემს ნახვრეტში და დაინახავს ძაღლებს ქუჩის მეორე მხარეს, რომელთაც ჰყავთ დედები, მაშინაც კი, როდესაც საკუთარ უფლებებს ამეტებენ და მშვიდად ისაქმებენ, იქ, სადაც მოესურვებათ.

სანამ მხრებზე თავი მედგა, ამავე თავს მონდომებით ვიწონებდი... სარკეში შემეძლო ცქერა. მარცხენა თვალით მარჯვენის ყურება და პირიქით. სარკეს შეუძლია, გაგანაწილოს მხოლოდ სიბრტყეზე. შიგნით მისი საქმე არაა. ოდნავ თუ მიგანიშნებს, რომ სოციოპათის შუბლი გაქვს, საკუთარ დღიურებს რომ ხარშავ და მერე ორთქლისგან კანზე ვარდისფერი ვარსკვლავები გამოგდის, რომელთაც აქვთ უნარი, გაყვითლდნენ და ყველას ჩაჰყვირონ სახეში – «შუბლში, რომელზეც ჩვენ

ვსხედვართ, დიდი ქაოსია!» შენ კი, ამის საპასუხოდ, გამორეკავ მათ სათითაოდ გარეთ და ნიჟარაზე მონაბან სახეს დატოვებ წვეთებად... ეს თავმომწონე თავი იმედგაცრუებების კონტეინერი იყო და მეტი არაფერი... ახარისხებდა და ინახავდა, სანამ შეეძლო, სანამ ამის თავი ჰქონდა. ჰო, ეგრეა... დაიჯერებ, რომ რომელიღაც რიგით გამვლელს შეუძლია, ესმოდეს ისე, რომ არ თამაშობდეს და ბოლოს ეს ყველაფერი ფართო სიცარიელედ არ გრჩებოდეს. ისევ შეცდი. იდიოტი ხარ. ცხოვრება გააგრძელე. ყველა ხომ არაა ეგეთი? მერე იჯერებ ისევ და ასე მორიგი იმედგაცრუებაც მზადაა, ეს კონტეინერი ხომ მხრებზე სწორედ მაგისთვის გადგას?

ახლა ერთადერთი, რაც შემიძლია, სამართებლის პირზე სიარულია უსისხლოდ... გულში ჩაწყობილი ხელებით და ღიტინის შეგრძნებასთან გამკლავების უნარით. ვუკიდებ. კვამლი ჩემში ისე გადის, ყველა სადგურს შეშურდებოდა, მიუხედავად მის შიგანში დაძრული მატარებლებისა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ნამდვილი მოქმედებაა, განსაკუთრებით კი, ღამით, როდესაც ლიანდაგები ერთგვარ ხმას გაიღებენ და ტანსაცმელაფარებულ ადამიანთა კრებული საკუთარი მიზნისაკენ დაიძვრება. ცხადია, კარგია, გაგაჩნდეს მიზანი, ჩახვიდე თუნდაც ბებიასთან, სოფელში ან დედაქალაქში, რომ ყველაფერი დააკონსპექტო, რის შესახებაც ოდესმე უყბედიათ. რომ დაამტკიცო, გაქვს უნარი, აისრუტო მთელი ეს მოსაზრებანი და იცოდე, მნიშვნელობა არ აქვს, რა აზრი გამოიტანე.

მატარებელში ავდივარ. მიზანი არ მაქვს, სურვილმა ამიყოლია და ავედი. არავის გავუცილებივარ. ასე გაცილებით მშვიდად ვარ. ინტერესი გამიჩნდა ერთი და ვიცი, რომ ამ სიამოვნებას ვერსად გავექცევი. კმაყოფილებას ვგრძნობ. მაინტერესებს, როგორია კვდომა

ნახვრეტში. მე ხომ უკვე მაქვს პატივი, ვატარებდე ამ უკანასკნელს მთელი თავისი უკიდეგანობით? შესაბამისად, კვდომისას მის უგარდაუვალესობას ექნება პატივი, გაიხედოს ჩემში არა ისე, როგორც ყველაში (ყაფაზში ცალი თვალის გაყრით და მომამსუყებელი მზერით, რომელსაც ვეღარავინ უძლებს და ამოდის), არამედ, პირდაპირ თავში.

ტამბურში ხახვის სუნია.

ხახვს მიწის სუნი აქვს.

ხალხი ირევა და ეძებს წერტილს, სადაც დაფიქსირდება. თითოეულს ღრმად სწამს, რომ მისი ერთგვარი ფუნქციაა, იყოს მოსიარულე საკიდი.

აცვიათ.

«შემომხედეთ, ეს ქურთუკი ისეთი მოდურია»... მთელი ხორცი მიღმა რჩება. ერთი შეხედვით, ნაკლები დისკომფორტია. სინამდვილეში, ხალიჩის ქვეშ შეხვეტილ ნაგავს ჰგავს.

ჩემი ნახვრეტი არავის შეუნიშნავს. სამაგიეროდ, არც მე დამინახავს, ვინ რა შეგავა დილით ხალიჩის ქვეშ.

ეს ბავშვი დედამისის მკლავზე იმდენ ხანს ეკიდება, სანამ დედა პერსონალურ კომპიუტერს არ უყიდის. ამ ქალს ეშინია, რომ ბავშვის სიმძიმე მკლავს ბუდიდან ამოუსახსრავს, ამიტომაც გაუჩნდა მიზანი, კომპიუტერულ მაღაზიაში მიდის. თავისუფალი მკლავის დაბოლოება ქვედა ყბასთან უდევს ყელზე, რამოდენიმე თითის მეშვეობით. ლაპარაკის ეშინია, ცდილობს, ეს ყბა არ გაიხსნას, თორემ მთლიანად მოუწევს გახსნა. ამიტომაც, შედარებით ძველი ქურთუკის საკიდად ყოფნას სჯერდება და თითქოს, ამ ყველაფრის ჯიბრზე, თმა ისე მიუფუჩეჩებია,

ყველაფერი შეგიძლია უწოდო, გარდა შეკრულისა. ბავშვი ისე მიყურებს, თითქოს, წამით შენიშნა რაღაც არაბუნებრივი ჩემს მხრებზე. თვალები მოჭუტა. სადაცაა, გაიაზრებს, რომ ეს თავი კი არა, წრეა, მაგრამ, გადავრჩი, დედის მკლავზე შექანდა და გაახსენდა, რომ პერსონალურ კომპიუტერზე ფიქრზე უნეტარესი არაფერი შეიძლება ბუდობდეს ახლა მის თავში. წინ და უკან ქანაობს, ორივე ხელით ძლიერად უჭირავს დედის მკლავი და ბოლომდე იყენებს საკუთარ სიმძიმეს, როგორც ბერკეტს, შესაძლებლობას, უკანა გზაზე მუყაოს ყუთში ჩადებული პერსონალურობისა. ჰო, მას ჯერ კიდევ ადარდებს, იყოს ინდივიდუალური პერსონა, სანამ დააჯერებენ, რომ ის დიადი სოციუმის ნაწილია და ესაა ყველაზე დიდი პატივი, რაც კი შეიძლებოდა ხვდომოდა წილად. ირწევა. მისი კედების წვერები ვაგონის ჭუჭყიან იატაკზე ზოლებს ტოვებენ.

.....

ეს ბავშვი და მისი მეგობარი მეთერთმეტე სართულის სახურავზე დგანან... ამ ბავშვს უღიმღამო შუშის ბურთი აქვს, პულვერიზატორს ამოაცალა, სკოლის ეზოს უკან, სადაც დიდი და გამხმარი ბალახი და თამბაქოს კოლოფებზე დაფსმული შარდის სუნია. მის მეგობარს აქვს ასანთის ყუთი. ჩვეულებრივი და არაფრით გამორჩეული იმ სხვა ათასობით ყუთისგან, მაღაზიის დახლებზე რომ აწყვია და შემდეგ იქიდან, გაზქურის კიდეებზე რომ გადაინაცვლებენ ხოლმე, უფროსების ძალისხმევით. მეგობარი მაინც მონდომებით ცდილობს, დაითანხმოს, რომ ეს უბრალო ასანთის ყუთი შუშის ბურთში გაუცვალოს, მეგობარს ჰგონია, რომ ეს შუშის ბურთი არაჩვეულებრივია, მაგრამ, პრობლემა იმაშია, რომ ეს ბავშვიც ასე ფიქრობს და ამიტომ, შეთანხმების მიღწევას პირი არ უჩანს.

.....

ვიღაცამ ვიღაცას თავი ჩაარტყა სახეში. ეს ისე უბრალოდ მოხდა... ორივეს გარდერობის სუნი აქვს. მათ ტანსაცმელს კი არა, – მათ. ძარღვებში გაუჯდათ. პაპებს ემალებიან, მას შემდეგ, რაც თოვლის ბაბუის აღარ სჯერათ. ერთხელ ისე გამომივიდა, ბავშვს ვუთხარი, რომ თოვლის ბაბუა არ არსებობს. იდიოტი ვიყავი! მერე რა, რომ 11 თუ 12 წლის იყო და ძუძუების დანახვისას მაგრად უდგებოდა? მერე რა, რომ ეგრე პირდაპირ არ მითქვამს? მე, უბრალოდ, ვყვებოდი ბამბისგან შექმნილი თეთრი წვერის მიღმა დამალულ უიღბლო სახეებზე... უბის წიგნაკი ამოვიღე. მიუხედავად იმისა, რომ აქ ეს სახელიც კი უხერხულობას ქმნის. არათუ ნივთი. მინდოდა ერთი მწერლის სახელი ჩამეწერა, რომ არ დამვიწყებოდა. ვიფიქრე, ოდესმე სახლში მივალ და ინტერნეტში მის სხვა მოთხრობებსაც ვნახავ-მეთქი. მარტო ერთი ვიცოდი მისი. ისიც, შემთხვევით, მიუხედავად იმისა, რომ შემთხვევითობის არ მჯერა. გარდერობისსუნიანს სახეზე სისხლი მოსდის. გარდერობისსუნიანი მას აწყნარებს. რაღაც არგუმენტებით მასთან დამეგობრებას ცდილობს. მათ შორის არაფერია ფიზიკური. მხოლოდ გეოგრაფიული მანძილი – ნახევარი მეტრი. დამეზარა იმაზე ფიქრი, როგორ იწერებოდა ლათინური ასოებით ამ მწერლის სახელი და გვარი (მგონი თურქი იყო და თან, მამალი ქეში). ჰოდა, გამოსავალი ვიპოვე, მშობლიურად ჩავიწერე, სანამ მატარებელი ლიანდაგზე მიცურავდა, ჩემთვის – არსაით. არა, სამშობლოს არ ვტოვებდი. რომელ საზღვარზე გადამიშვებდნენ მხრებზე მოთავსებული ნახვრეტით? უცებ ვიფიქრე – ცეცხლი რომ მოვიკიდო და მასში ვეფხვები გახტნენ. წარმოვიდგინე, როგორ გაიფანტა კვამლი. არცერთი ვეფხვი არ იმსახურებს იმას, რომ ჩვენ გვართოს,

სჯობს, თავისუფლად ჭამონ ყველაფერი, რასაც მოერევიან და საერთოდაც, ვეკიდოთ.

რატომ გამოსცემს თოვლი ხმას? – მეკითხებიან ვაგონის კედლები. მოწყენილმა რელსებმა იციან, რომ, თუ მათ შესახებ დავწერ, ვიღაცას ეპითეტი ეგონება და თავს უბედურად გრძნობენ. ამიტომ ვცდილობ, მათზე არ ვილაპარაკო. სტუდენტ გოგოებს უხარიათ, რომ ზურგსუკან იტოვებენ მამების დაბღვერილ მზერას, რომლის მიღმაც უმწეო თვალებია. მე კიდევ, არ ვიცი, სად მივდივარ. არ ვიცი, რატომ ამოვედი მატარებელში. ვიღაცამ გაზეთი გაშალა და ძეხვი და პამიდორი პირდაპირ მინისტრის სახეზე დაჭრა. ვუყურებ, მას ახლა ისე ძალიან სჭირდება მარილი, როგორც რედაქტორებს სიუჟეტი, მაგრამ ამ უკანასკნელის თან არქონას შეგუებულია და ამით თუ აიხსნება სიმშვიდე, რომლითაც თბილ ღვინოს ასხამს გასაშლელ ჭიქაში. ნეტა თუ იცის ერთჯერადი ჭიქების არსებობის შესახებ? უღიმღამო ფიცარნაგის ფონად ამოშენებულ ცისფერ კედელზე წერია «bob marley», «აკო ლუჩიანო», «კომბალა» და «ვაზგენ, ყXX ხარ!» ამით თუ ცდილობენ, ეს კომპოზიცია ოდნავ მაინც დაემსგავსოს ბაქანს.

მატარებელი სადღაც გაჩერდა. გზაარ ჩახერგილი. გვიბრძანეს, ყველანი ადგილზე დავრჩეთ. ამის მოსმენას ელოდნენო თითქოს, ოცამდე კაცი გადაეშვა კიბეებიდან და ყველამ ერთდროულად მოუკიდა სიგარეტს. სადადგმო სანახაობის გენერალურ რეპეტიციას ჰგავდა. საოცარი სინქრონით. ბავშვმა ტირილი დაიწყო. თითებზე დათვლილი და გამოანგარიშებული დრო გაურკვეველი უზუსტობით დაერღვა. საშინელი ემოცია დამეუფლა (ამ ნახვრეტის ნაცვლად ყველაფერი ადგილზე რომ მქონდეს, ტუჩების ჭამას რომ დავიწყებდი – ისეთი), ვერ ვიტან მის

პერსონალურობის სურვილს, უფრო ზუსტად, იმას, რომ ეს ჰგონია გამოსავალი. ჰქონდეს ბევრი ღილაკი და არცერთი მიზანი. «ახლა გინდა ჩემი შვილიც გარიო შენს უბედურებაში?» ამას დედამისის თვალები მეუბნება. დედაა და იმიტომ. «ის უკვე გარეულია»... ამას არ ვპასუხობ, მხოლოდ ჩემთვის ვფიქრობ.

.....

ამ ისტორიაში ყველაზე ცხადი ისაა, რომ კოღოებმა დამგლიჯეს... ჩემს საწოლზე ვაგდივარ. «საირეს ჰილს» ვუსმენ. თავი ჯერ მთელი მაქვს. უწინდებური დროა, სანამ ნახვრეტს ავიკიდებდი... არაფერი განსაკუთრებული. მხოლოდ მომცრო გუბე და გარშემო შემოწყობილი, გასასვლელად გამზადებული ნავები...

.....

– აქ გასასვლელი არის სადმე? – ამ ტიპს ჰგონია, რომ ისევ ტამბურში დგას... მატარებელი გაჩერებულია... დიდი ხნის წინ დადგა ასე და ადამიანებიც მუხლებამდე დგანან გამხმარი ბალახის უსწორმასწორო ღეროებში...

– გგონია, გამასწრებ? – ხმამაღლა ეკითხება ერთი ცალფეხა ტიპს, რომელიც მთელი ეს დროა, ჰორიზონტს უყურებს...

მე საწოლზე ვაგდივარ... მე იქ არ ვდგავარ... ამიტომ, ვერც იმ ტიპს ვუპასუხებ, გასასვლელს რომ ღია სივრცეში დაეძებს და ვერც ამას... თუმცა, ეს უკანასკნელი სულაც არაა დაინტერესებული ჩემით...

– წავიდეთ რა... ფეხით წავიდეთ... სადმე წავიდეთ! – ამ გოგოს ჰგონია, რომ, ბიჭი, რომელსაც სახეში შეჰყვირის, საკმარისად გამბედავია, რომ მოძრაობაში მოვიდეს... თანაც, ასე მოულოდნელად... ყველას ის გვირჩევნია,

მშვიდად ვიყოთ... მატარებლები, უბრალოდ, ამ ყველაფრის ფონია...

პირველივე წუთიდან ვიცოდი, ეს ქალი თავს არ დამანებებდა, მაგრამ არც ამდენად ველოდი ჩაბმას...

ბმა ქმნის უკვდავებას, თუმცა, ხანდახან უნდა დაიკარგო.

უნდა...

ბავშვს პერსონალური კომპიუტერი უნდა...

ბნელდება... მატარებელი არ აპირებს, დაიძრას... ესეც ჩემი «არსაით»...

ადამიანები...

ნაგვით სავსე ჰორიზონტი... ხომ სჯობდა, ჩემს საწოლზე ვწოლილიყავი?

ამ ქალს უნდა, ჩემი აკვიატება იყოს... ზურგში ფრჩხილებს მასობს და რუდუნებით შეჰყავს... ძალიან ნელა... მობრუნება მეზარება... სიტყვების მოშველიებაც... ცოტათი ვკანკალებ... უფრო გამაჟრჟოლა...

ამასაც არავინ ხედავს...

ახლა, როგორც არასდროს, მინდა, რომ სნობი ვიყო... გულის არევამდე სნობი, რომ მეზიზღებოდეთ... მე კიდევ, ნახვრეტი მადგას და მოძრაობაში მოსვლის წარუმატებელი მცდელობის შემდეგ აქ ვდგავარ...

- მომაწევინე... – ეს ის ტიპია, სახეში თავი რომ ჩაარტყეს. ჰორიზონტისგან ზურგით რომ ვიდგე, პირდაპირ ამ ნაგავს დაინახავდა ჩემს მხრებზე... ახლა ალბათ გახუნებული მატარებლის დეტალი იმზირება ამ წრიდან... ამას კიდევ, ეწევინება. ასეა. სიტყვებისთვის ისევ არ ვირჯები და ისიც

სხვასთან ინაცვლებს. მასთან, ვისაც შეუძლია, ეს უკანასკნელი სურვილი შეუსრულოს...

საღამო...

ჰორიზონტი ტყვიისფერი გახდა... ზედ დახვავებული ნაგავიც სულ უფრო და უფრო ემსგავსება იაფფასიანი მიუზიკლის დეკორაციას...

– ბატონო, არ იცით, დანიშნულების ადგილზე როდის ვიქნებით? – ეს მოკრძალებული კაციღა მაკლდა. წელში ოდნავ მოხრილი, უადგილოდ თავაზიანი მოხუცი...

ტიპი, რომელიც ცოტა ხნის წინ მისი მხრიდან იმავე კითხვის ადრესატი იყო, კბილებს ცხენივით აღრჭენს. მართალია, ამჯერად მისთვის აღარ უკითხავთ, მაგრამ მეორედ ამ კითხვის მოსმენამ საერთოდ ამოართვა მოთმინების უკანასკნელი ძაფიც... ცოტაც და საყელოთი ითრევს...

დედამ «პერსონალური» ბავშვი გაიყვანა და მოაფსმევინა. აქეთ-იქით დაბღვერილი იყურება, თავმოყვარეობის მოზღვავების ასაკშია და სულაც არ ეხალისება ახლა რაღაცების გამომზეურება... ეს ბუჩქიც ხომ მისდა ბედად ზომაზე მეტადაა გაქუცული... არადა, მოთხოვნილებებმა თავისი გაიტანეს, უკან, მატარებელში კი აღარავის უშვებენ... დეზინფექციაო, თუ რაღაც...

ეს ადგილი, მგონი, არცერთ რუკაზე არაა აღნიშნული. სადამდეც თვალი მიგიწვდება, არაფერი ჩანს, არც წინ, არც უკან. მხოლოდ მატარებელი და ნაგვიანი ჰორიზონტი. ახლა ჩემზეა დამოკიდებული, რას დავანახებ ადამიანებს, რომლებიც ჩემი არარსებული თვალების ამოკითხვას შეეცდებიან: ნაგავს თუ მატარებლის უგემოვნოდ შეღებილ ზედაპირს. მთავარია, გადავწყვიტო, ზურგით რისკენ ვიდგე

და ჩემი მხრებზე მოთავსებული წრეც დაუნანებლად აჩვენებს მათთვის სასურველ ხედებს (მერე რა, რომ დიდი არჩევანი არაა?)... ან წახვალ, ან დალპები. ან წახვალ და გზაში დალპები. ყველა ბოთლი და თერმოსი ცარიელია... ახლა ამათ ზუზუნს ვერანაირი ეთიკა ვეღარ შეაკავებს. მოიშორეთ ეგ თავები და უფრო თამამად შეგეძლებათ, საკუთარ გადაწყვეტილებებსა და მათ შორის არსებულ თავისუფლებებს შორის ლავირება. კარგია, რომ აღარ ვეწევი (ვეღარ).

იქნებ ეს დასასრულია? სადღაც მართლა რომ უნდა გაჩერდე, ის მომენტი...

მიო მატარებლიდან ჩამოდის. ყველას უკვირს, რატომ იყო ის იმდენ ხანს იქ. დროთა განმავლობაში რომ ყველა ჩამოიკრიფა, მერე უკან აღარავინ აუშვიათ... ნელ-ნელა მატარებელმაც დაკარგა თავისი სახე და ფუნქცია და ფასადად იქცა.

მიოს ნამძინარევი თვალები აქვს. არც არავის შეუნიშნავს, ზედა თაროზე მოკუნტულს რომ ეძინა... სოციალური ქვედა ყბები თრთოლას იწყებენ... ცოტაც და გასხლტებიან თავის ქალასგან... ქვემოდან წიხლებს დაუშენენ ენას და აისვრიან ჰაერში, ნელ-ნელა ააქაფებენ, გალესავენ... თან ბიჭს ჰგავს, თან გოგოს... არა, ლამაზი კია... (საშინლად ლამაზია) ზედმეტად თამამია... კიდევ უპოვნიან ასაკენწლს... მიოს კიდია. ასე, უბრალოდ. დადგა და შორს გაიხედა. არც დანებებულს ჰგავს და არც მაძიებელს მთლად... გვერდით რომ ჩამიარა, თვალი ამარიდა... ახლა მისი ბიოგრაფია უნდა დაიჭიროს ამ წრემ. ფრაგმენტები... ნაწყვეტები... ახლა ანტენაც გახდა. შეიძლება, უკეთესიც კი იყო, თავი რომ ერქვა. იდიოტური ემოციების კონტეინერი (მთლად ჰერმეტულსაც რომ ვერ იტყოდი).

მიო გულისჯიბე დაიბადა ყველაზე შესაფერის დროს, შემოდგომის გრძელ და მოსაწყენ შუადღეს...

.....

მიო გულისჯიბე იოგურტის ჭიქით ხელში შორდება მაცივარს.

.....

– გულმხურვალედ ვილოცებ შენთვის... – ეუბნება მიოს მეგობარი გოგონა და კისერზე შემოჭდობილ ხელებს ძლიერად უჭერს... მიო ბრუნდება და მატარებელში ადის...

პატარა ფარდული, «ეგოს კვება»...

შეიძლება, გამოვიარეთ... ან ჯერ არ მივსულვართ... ან რამდენიმეჯერ ჩავუარეთ.

– ლიმონათი! – ყვირის მოხუცი ქალი... ყოველ დაყვირებაზე, თითოეულ ბგერაში პირიდან ოჯახის წევრები ცვივა... ისინი თავს აკანტურებენ. «ჯერ ბებო სამსახურშია»... «დედა გვიან მოვა»... «ამ დროს სახლში რა უნდა?»... და მათაც დავიწყებული ჰყავთ... ყოველდღე... იმ კონკრეტულ «გვიან» დრომდე, ფეხებატკიებული რომ ჩამოვა ბოლო მატარებლიდან, დაკეცილი პოლიეთილენის პარკებით და ცოტაოდენი «მოგებით»... – ლიმონათი! – ყვირის ეს ქალი... მოიგებს, როდესაც სახლში პურს და შაქარს მიიტანს.... ან ზეთს და ტომატ-პასტას... მანამდე, ასე უნდა იაროს და იყვიროს. რომელიმე წამოყვირებაზე შეიძლება გასწვრივაც ვიყავით ფარდულთან... ჩვენ ეს «შემოთავაზება» გვესმოდა, იქ კი, შიგნით, რამდენიმე გაყინული კეფა უპირისპირდებოდა გულისამრევ კედლებს... კეფები მოგებისთვის იბრძვიან, სანამ სახეების ნაცვლად სასურველის და შესაძლებლის ნაზავის უნიჭო რეპროდუქციები გადაუჭიმავთ და ეშურებიან...

ჩვენ კი მათ ასე ჩავუარეთ. ზუზუნით.

ადვილი არ არის, ეს იგრძნო.

ქარმა თავი წამოყო და ნერწყვი ბოლომდე გააშრო. მტვერთან ერთად სადღაც, უკანა კედელთან მიგავა ხალხი (ვფიქრობ, ეს დეკორაციაა... დიახ, ასეთ მდგომარეობაშიც შემიძლია ფიქრი)...

ახლა ცხადად ვგრძნობ თავისუფლებას, რომელზეც ყოველთვის მეცინებოდა. ყოველთვის, როდესაც პირველ პირში ნათქვამ წინადადებაში ატანდა ვინმე.

ლიანდაგი ძაღლმა გადაჭრა.

ასე...

ადგა და გადაირბინა. სულაც კიდია, იდგება თუ არა აქ ეს მატარებელი. ეს ისტერიული მოთხოვნილება სვლისა. ინერტული კოლოფი (თუ რამდენიმე კოლოფისაგან შემდგარი მძივი)...

სიუჟეტი სასჯელია. მინდა, რაიმე სახის მიწიერი მოთხოვნილებით ვიყო სავსე (ეს იტაცებთ)...

გამახსენდა, როგორ მირევდა გულს მელნის სუნი ისტერიულ უძილობებში...

ესენი დგანან, პერიოდულად ფეხს ინაცვლებენ და ცდილობენ, პიროვნული თვისება არ წამოსცდეს შემთხვევით რომელიმე მათგანს...

ყურები ისევ შიშინს იწყებს...

რომ გავიხადო ეს ძონძი და ასე ვიდგე? არაფერსა და არაფერს შორის... ყველაფერი ხომ შორისში ხდება?

შორს არავინაა და არაფერი, ამიტომ ვერავინ დამაბრალებს გაუცხოებას, იძულებით მოძიებული სიტყვებისთვის რომ არ ვირჯები...

ესენი ჩემს სახეს ვერ ხედავენ... და აქ არ ვხმარობ სიტყვას – ნამდვილი... არც მთლად იმიტომ, რომ აქ ნამდვილი არაფერია და არც იმიტომ, რომ სახის ნაცვლად მხრებზე დადგმულ ამ მშვიდ და ზედმეტად ჰარმონიულ წრეში გაჩენილი ნახვრეტი მაქვს... ჰოდა, რომ ავდგე და სამოსი მთლიანად გავიხადო, თუ შეამჩნევს ვინმე? ხანში შესული ქალი იბღვირება და ძლიერად იკრავს მკერდზე გაცრეცილ ხელჩანთას.

– ბოლოს და ბოლოს, ჩალით ხომ არ არის დახურული ეს ქვეყანა? – ფიქრიდან ერთი საშუალო ასაკის მამაკაცის ხმა მარკვევს... – მოვლენ და მოგვხედავენ... – თავისთვის, ხმამაღლა მსჯელობს, თავს იმშვიდებს. თვალით მაინც ეძებს ვინმეს, ვინც მის ამ სიტყვებზე ადეკვატურ იერს დაიმჩნევს სახეზე...

ვიღაცებმა სირბილი დაიწყეს. რამდენიმეკაციანი ჯგუფია. ეს გაყინვის შიში უნდა იყოს...

ჰორიზონტიდან ისევ მოუბერა ნაგვის სურნელმა. რატომ არ უნდა მეზარებოდეს, რომ ამ ყველაფერს ანალიზი გავუკეთო? ამ უზნეო ხალხის ქმედებებს და მიზეზებს...

სულიერი მდგომარეობების მოდურობის მიხედვით დახარისხება – ეს ახალი ტენდენციაა იმ გარემოცვის მხრიდან, რომელმაც გუდა-ნაბადი საკუთარი თავიდან აიკრიფა და პანიკურად ჩაეტენა ისტერიულად მოწესრიგებულ გრაფებში. მაშინ მეც თავი მქონდა მხრებზე და შემეძლო, ახლოს და შორს განმესაზღვრა, ათვლის წერტილი მცოდნოდა (იყო ასე)...

ეგოს მორიგი ულუფა... «დიდი პირი გააღე»... «ახლა მატარებელი გვირაბში შევა»...

.....

სწორედ მაშინ, როდესაც სააბაზანოს კედელზე მიყრდნობილმა მთელი თავისი უიმედობა ქაღალდის ხელსახოცზე დაღვარა და მოსაზრება საკუთარი ასკეტური ცხოვრების შესახებ თითქმის განიმტკიცა, უნიტაზის უკნიდან საოცარი სისწრაფით მრავალფეხა გამოვარდა და წამშივე შეიმალა უახლოეს ბნელ კუთხეში. სირბილი... გათავისუფლება... შეიძლებოდა, რომ სწორედ ეს ყოფილიყო მინიშნება, თუნდაც იმიტომ, რომ ამ არსებამ მისი ფეხის თითებიდან რამდენიმე სანტიმეტრის მოშორებით ჩაირბინა, რამაც სხეულში აუტანელი ჟრჟოლა გამოიწვია...

«შენ მზად იყავი დამცირებისთვის... მუხლებზე დგომისთვის... მოდუნებისთვის»... – აკაკუნებდა თავში კეთილშობილი ეგო. მაძღარი და პირმშვენიერი...

«ზურგზე ვერ მოიკიდებ ვერც წინაპრებს და ვერც ქალაქებს» – აქ უკვე აშკარად ამეტებდა, მაგრამ ერთგვარი ეშხში შესვლის მომენტია და ვერ გაჩერდებოდა...

ზიზღით გადააფურთხა... და ეს არ ეხებოდა მრავალფეხას (რომ არც საკუთარ თავს?)...

«ამას რა ვუყოთ?»...

კარი გამოიკეტა...

«რა ვუყოთ ამას?»

«ხომ ხედავ? არ გელაპარაკები...»

«კაკ-კუკ...»

«საზიზღარი ხარ...»

«უნდა გეკითხა, ვინ არის?.. არ შეგიძლია, ცოტა მეტად თავაზიანი იყო?»

«შენთან?»

«და ვისთან ხარ ეგეთი?»

რომ არც არაფერი აქვს სათქმელი? საწოლში დაწოლამდე მოწევს... წვიმს და შემდეგი ჟრჟოლა უკვე იმით იქნება გამოწვეული, რომ ნიფხვისამარა აივანზე გავა...

პირდაპირ, ასე...

.....

მიო ცოტათი გაშორდა შეჯგუფებულ ხალხს, პატარა ქვასთან მივიდა, ცალი ფეხით შედგა და მეორე ფეხით ოდნავ აიწია ჰაერში...

«ფრენა რომ შემეძლოს» – ალბათ ეს გაიფიქრა მიომ... სახე ორივე ხელით მოისრისა. მიო სენტიმენტალურია და ყველაზე ნაკლებად ამაზე ლაპარაკობს საკუთარ თავთან სარკეში.

მიო ერთხელაც აიწია ცალი ფეხით ქვაზე. ამჯერად, უფრო მაღლა... «All eyes on me!» – შეჰყვირა გიჟივით და იმავე ქვაზე მოწყვეტით ჩამოჯდა.

მიოს მაისურზე ფაქი ახატია...

ცოტა უნდობლად კი მოათვალიერა ხალხი და პირიდან საღეჭი რეზინი გამოიღო, მერე სიგარეტის კოლოფზე წამოცმულ პოლიეთილენის პარკში ჩატენა და კიდევ ერთხელ მოათვალიერა ირგვლივ მყოფები...

.....

«მიო, დაბრუნდი, უშენოდ ძროხას დავემსგავსები...» ეუბნება მეგობარი გოგონა და ცდილობს, არ იტიროს... ეს მივლინება არაა. მიო უნდა წასულიყო... ეს გოგონა ცოტათი მოსაწყენი კია, მაგრამ, მისთვის არ ნიშნავს ცოტას. მეტიც, მიო ამას ეძებდა მთელი ცხოვრება – ურთიერთობას, ისტერიული დამოკიდებულების გარეშე. მიო არ თვლის, რომ ბევრი იცხოვრა. მიუხედავად იმისა, რომ ლექსების წერა და მერე ამ ლექსების ბიტის თანხლებით კითხვა იმაზე ადრე დაიწყო, სანამ ტრუსის ქვეშ თმა ამოუვიდოდა...

.....

მიო წინდას ოდნავ შეეხო, ორი თითი ფრთხილად ჩააცურა, ამოიღო და ეგრევე გაუკიდა...

მიომ იცის, რომ ყველა პოლიციელი სირია...

მიო გმირია...

(მიო ანტიგმირია!)

მიო სენტიმენტალურია...

მიო საკუთარი თაობიდან ტრაკში ამორტყმული წიხლის მსხვერპლივითაა გამოვარდნილი...

მიო არ ჩაჯდა. ეგონა, ქვემოდან საინტერესო მოძრაობები წამოვიდოდა... ქვემოდან, მომავლიდან... შემდეგი ტალღა... ესენი კიდევ, პოლიეთილენის ცხენებს ჰგვანან, ერთ ყალიბზე ჩამოსხმულებს და პროტესტის გრძნობა საერთოდ არ გააჩნიათ... საერთოდ არ გრძნობენ ამ უკანასკნელს. აი, რა აღიზიანებს ყველაზე მეტად მიოს.

«შორს თქვენი პლასტმასის თვალები ჩემგან!» – ალბათ ასე იფიქრა...

როგორი იქნებოდა ფაქ შაკური, 25 წლის ასაკში რომ არ გაეგორებინათ? ამაზე უფიქრია, თუმცა, არცთუ ისე დიდი ხნის წინ... მეგობარი გოგონა ამბობს, რომ ფაქი ემოციურად გაუწონასწორებელი და არამდგრადია. მიო ამ დროს უყურებს წარწერას მის მაისურზე, რომელიც ძუძუებზეა გადაწელილი და ეღიმება... «NIRVANA» (რომელმაც ეს ორი ბორცვი შეიფარა)...

მიო ერკვევა...

ჰორიზონტი არც ისე ერთფეროვანია მისთვის... მიოა ერთფეროვანი. მიო წარსულია. მიო ჩავლილია... ბრუკლინის გარეუბანში მიტოვებული, ძველი მანქანა... მერე აღარ იქნება მიო ასეთი, როდესაც მოძრაობაში მოვა... ყელზე რომ მყესებს იტკენს, როდესაც ბოლო ტყვიას ისვრის და ლულაში ჩაბერავს... სირი გახდება მიო... მიო ახლოსაა ამის ცოდნასთასთან. ახლა უბრალოდ, აქაა, აღმოჩენილსა და აღმოსაჩენს შორის... მატარებლიდან ჩამოსული... და მაისურზე ფაქი ახატია... ესეც ისე, შეჩვეულის ამბავში.

.....

– დაბრუნდი... რაც უნდა მოხდეს, დაბრუნდი!

«და რა უნდა მოხდეს? რა უნდა მოხდეს?» – ფიქრობს მიო და მატარებელში ადის...

.....

უზარმაზარი ემალის ლანგრით თევზი შემოიტანეს... თევზს საშინელი ოხშივარი ასდის... მის ქვეშ, ლანგარზე სამი ცალი ასკილი ხატია და საშობაო გვირგვინის დეტალის მსგავსი ფოთოლი...

უსიამოვნო გარეგნობის ადამიანები ცდილობენ, რაიმე სასიამოვნოზე იფიქრონ, როცა უზარმაზარ ლუკმებს ყლაპავენ. საშინლად გამხდარი, შაოსანი ქალი, რომელმაც ეს ლანგარი მაგიდაზე დადგა, ოთახის კუთხეში მიიმალა და ყვითელი კბილები დაკრიჭა. «ეს ალბათ ღიმილია...» ვფიქრობ მე, თუმცა, ამ ფარდულში არ ჩამოვსულვარ, როდესაც მატარებელი გაჩერდა.

ფარდულის წინ ლიმონათის გამყიდველი ქალი ზის ხის გრძელ სკამზე და მშიერ ძაღლს ავისმომასწავებლად უყურებს. საშინლად ცხელი შუადღის მიუხედავად, მისი ლიმონათი ისევ საკმაო რაოდენობითაა გასაყიდი. «ახლა კიდევ, ეს იდიოტები ცივ ლუდს ხაპავენ!» ბრაზობს ბებო...

სამიოდე სტუდენტი გოგონა კატას ეფერება. კატა თევზის სუნად ყარს და მათი დარდი სრულებითაც არ აქვს.

შემიძლია, რომ ჩამოვიდე მატარებლიდან და ისტერიულად, ერთი მიმართულებით ვირბინო. არ დავუშვებ, ამ სოციალურ ნაკუწებთან რაიმე სახის ემოციური კავშირი გამიჩნდეს. ჭუჭყიან იატაკს ვუყურებ... «გაქცევა გამოსავალი არ არის...» მე უბრალოდ, სიმშვიდე მჭირდება. ერთგვარი უუნარობაა, როდესაც ფრაზას იწყებ სიტყვებით – «მე უბრალოდ...» უნდა ჩავიდე. ცოტაც და ყველას აღმოვაჩენ. მუშტებს ძლიერად ვკრავ და ვგრძნობ, როგორ მერჭობა საკუთარი ფრჩხილები ხელისგულებში...

ცოტაც და ნაყროვანებას იგრძნობენ... ცოტაც და მატარებელი სვლას განაგრძობს... რომ შემეძლოს, ამ წრეს სულაც ჩავიბრუნებდი მხრებში, სვიტერის ყელივით...

მზე ანათებს... «მოს დეფს» მოვუსმენდი... თითებით მუხლებზე მსუბუქად ვაკაკუნებ «sunshine»-ს რიტმს...

დავიძარით...

.....

მატარებელი თანაბრად მისრიალებს ლიანდაგზე... თითები ჭუჭყიან მინაზე მიდევს. მსუბუქად ვეხები ცას, მიღმა მყოფს და ლაქებით გაჯერებულს... ვიცი, მიყურებენ. პერიოდულად ვბეზრდები და მერე ისევ... ეს კია, თავის არარსებობას ვერავინ ამჩნევს (ჩემი თავის), «Something is wrong» -ის კოდივითაა. რომ შეეძლოთ, დააჭერდნენ «Delete»-ს?... როგორ უნდა მივხვდე, რა არის მათთვის მისაღები? ახლა უცებ რომ მოვბრუნდე და ყველას გულითადი სალამი ვუძღვნა?

ლიანდაგის გასწვრივ გვირილებია, ბღუჯად...

დაღამდა. კვერცხისგულისფერი განათებები ჩართეს. რამოდენიმე ფარანია, მაღალი სადგამით. წარმოდგენა არ მაქვს, საიდან მოიტანეს...

«აქ რა გვინდა?» «მართლაც, რომ...» «სადღაც...» «როდის?» «შორს არ წახვიდე!» «ალბათ...» «რამე მაინც... სულ ცოტა...» «ვშიშობ, რომ...» «რა ვიცი?» «იქნებ...» პირიდან საპნის ბუშტების ფორმით სცვივათ სიტყვები... მოკლედ, მაგრამ გაწელილი...

«მეფსია, დე, მეფსია!» – მორიდება მოიტოვა უკან, ეს რაღაც ეტაპის გახსნაა, ჯერ დახურვა და მერე გახსნა...

ამ ხალხს დავარცხნა სჭირდება... რომ არც არსაიდან მოდის ინფორმაცია?

ახლა ჯგუფებად დაიყოფიან... ცეცხლი დაანთეს.

– თქვენ (მე მეუბნება)... რატომ დგახართ ასე?... მოშორებით... – ძალიან ბევრი აცვია, მაღალია და გამხდარი, დიდი და ამაყი ცხვირით. ორმოცდახუთი წლისა თუ იქნება, დაუდევრად თმაშეკრული... მარცხენა მტევანზე

ნაკაწრები აქვს, ახლაც ძლიერად აჭერს მარჯვენა ხელის ფრჩხილებს...

ზურგით ისევ ჰორიზონტისკენ ვდგავარ. ფეხებზე დავხედე, მოუხერხებელი ფეხსაცმელი აცვია. ის არ მიყურებს ფეხებზე... უსიამოვნო შეგრძნება მეუფლება, ცოტაც და ყაფაზში ჩამასობს ცხვირს...

მაჟრჟოლებს... ინტიმური სიახლოვის შემდეგ ტანზე ვიღაცის სუნი რომ გიდის და პირში ლუდის მყრალი გემო გაქვს, ეგეთი საზიზღარი გრძნობაა ამ ქალის პირისპირ დგომა. ქარმა დაუბერა და ცეცხლის მცირედი ნაპერწკლები შემოგვაყარა...

– გარბოდი? – მეკითხება მოულოდნელად. არ ვიცი, ალბათ იმის თქმას ცდილობს, რომ რაღაც საერთო შენიშნა ჩვენ შორის. მხრებზე აშკარად ადგას თავი, გრძელი და ნაყვავილარი. ისეთი გამომეტყველება აქვს, ფანჯრის რაფასთან ფეხაკეცილი რომ სხედან და გაზაფხულს ითავისებენ.

მერცხლებზე ვიწყებ ფიქრს... ის ისევ დგას და მიყურებს. სულაც არ სწყენია ჩემი უთქმელობა... არადა, რას ერჩი? თვალებში საკმარისად აქვს მაგნიტი. ენის ქვეშ ლუდით გაჯერებული ნერწყვის სიმძიმეს რომ ვგრძნობდე, გადავაფურთხებდი მაინც... იღიმის... ვერ ვიტყვი, თითქოს თავისუფალი იყოს თავმოყვარეობის გრძნობისგან... მოლოდინებით არაა გატენილი, ეს აძლიერებს... და ეს მაგნიტიც... უბრალოდ, სხვაგან მოხვდა... რამე რომ მივახალო უხეშად, შეიძლება, ბიძგიც მივცე, რომ მოძრაობაში მოვიდეს, მაგრამ ეს უკანასკნელი ფუნქცია კონტეინერთან ერთად დავკარგე. იყო დრო, როცა შემეძლო, ამეხადა ამ ნარჩენების საცავისთვის თავი და კედელზე ამესრისა მრავალწახნაგოვანი სიტყვების ჯერით

ყველა, ვინც პირადი სივრცის გადმოლახვას მილიმეტრით მაინც შეეცდებოდა...

მარცხენა ხელს მარჯვენა ხელი უშვა. დავარდნილმა მტევანმა ჰაერში სუსტად დაიწყო რხევა და მერე გაჩერდა... ყველაზე სასურველი ახლა იმის ცოდნაა, რომ დაველაპარაკო, ტკივილსაც ვეღარ მივიყენებ, ფუჭი ურთიერთობების მირაჟზე დაყრდნობილი რომ განვიცდიდი. მაინც ვდუმვარ... დუმილის წრეში ვარ... ოდნავაც კი არ მაინტერესებს, რას უსმენს, მისი მოუხერხებელი ფეხსაცმელები მომწონს და ამით მინდა შემოვიფარგლო...

– ბოლოს და ბოლოს, ქვეყანა ჩალით ხომ არ არის დახურული? – მეორდება მოხუცი... ეს ქალი თავის მაღალ კისერს მისკენ აბრუნებს და ისე იღიმის, მხოლოდ მე რომ უნდა ვხედავდე...

მზის ჩასვლის შემდეგ ჰორიზონტს ნაკლებად უდის ნაგვის სუნი...

ამ ქალმა რაღაცები გამახსენა...

იარე და მაინც ვერ გაექცევი პარალელებს...

ჩვეულებრივი სიბლაგვეა, როდესაც ვადარებ, რამდენად გალანტურადაც უნდა ვაკეთებდე ამას. მხოლოდ მისი კანის სუნი არ მირევდა გულს სხეულზე...

დაკეტილ კარზე კაკუნი მძაგს. არა, უბრალოდ, ღია კარზე არც არავინ აკაკუნებს, მაგრამ, კარი, რომელიც სულ ღია იყო, როგორც იქნა, მოვიხურე და ახლა მასზე დაშენილი თითოეული მუშტი... და ამ ყველაფრის თეორიული ცოდნა...და სოციუმის მარადიული მოსაზრებები ჩემი

მოძრაობის თუ უმოძრაობის შესახებ... მძაგს (პირდაპირი ნათქვამი სჯობს)...

შუაღამეს გადაცდა. უნიჭო დეკორაციის მიღმა ჭოტმა დაიწყო კივილი... ესე იგი, სადღაც სიცოცხლე არსებობს. აქვე უნდა იყოს პატარა სოფელი, მურიანი ბავშვებით, წინაპრებით გახეთქვამდე გამომძღარი მშობლებით, კოჟრიანი ხელებით, დამრეცი შუკებით და მეჩხერი ორღობეების ბოლოებზე წამოცმული უყურო თუნგებით, ჰაერში გაშვერილი საკვამური მილებით... ყველაფრით, გარდა პირადი სივრცისა... გარდა კონტაქტის ჰუმანური ფორმისა (მცდელობების მაინც)...

ჭოტმა ჩემი «თანამგზავრების» ყურადღება მიიპყრო. კოცონს ყველაფერი შეაყარეს, რაც ირგვლივ მოიპოვეს, ყველაფერი ისეთი, რისი დაწვაც შეიძლებოდა. ცნობისმოყვარე მოხუცი კაცი დანებებულის იერით ჯდება პირდაპირ მიწაზე. მიწა თბილია... მიწა ალტრუისტია... მაინც გიღებს...

შევნიშნე, რომ რაღაცების გახსენებას ვიწყებ და არ მსიამოვნებს. ნუთუ ამ ნახვრეტს მაინც არ აქვს უნარი, იყოს მარადიულად ცარიელი? უადგილო რეგენერაციების მომხრე ახლა ყველაზე ნაკლებად ვარ... ადგომა არ მინდა (ცოდვა გამხელილი სჯობს)! ფუნდამენტალისტებს და ლაბორატორიებს შორის ჩემი აზრები იყო კენჭები ზღვაში...

«შენ დანებდი.» მეუბნებოდა თანამებრძოლი, მას შემდეგ, რაც სიგარეტს თავი დაანება, მერე სასმელს, მერე მოწევა ისევ დაიწყო და ბოდიალს უკლო, მერე სმას მიუბრუნდა, ისევ აბოდიალდა და პერიოდულად (რამდენიმე ჭიქის შემდეგ) ისევ აღმოხდებოდა, რომ სიგარეტს თავი უნდა დაანებოს, სანამ იმაზე დაიწყებდა ლაპარაკს (კიდევ

რამდენიმე ჭიქის შემდეგ), რომ ჩვენმა თაობამ ვერაფერი გააკეთა, რომ ჩვენ დავიკარგეთ... და მე დავნებდი! მეზარება იმის ცოდნა, რომ, ჰორიზონტს თუ მივწვდი (ამისთვის უმცირესი მოძრაობაც მყოფნის), ავიღებ და ტრაკში გავუკეთებ მემანქანეს, რომელიც ახლა კაციშვილმა არ იცის, სადაა...

ჭოტმა ისევ დაიკივლა... მახსენდება, როგორ არწყევდა ჩემს მკლავებზე გადაკიდებული, ბნელი ეზოს ყველა კუთხეში, როცა მხრებზე კონტეინერი მედგა და ყაფაზში ზედმეტად მგრძნობიარე აბლაბუდა ირხეოდა... ყოველი შეხებისას... და მერე ყველაფერი თავიდან იწყებოდა, ტკივილებით და შერიგებებით...

ამ ფარდულში მეც და ჩემი თანამებრძოლიც ვარჩევდით შიმშილს, რადგანაც უარს ვიტყოდით იმ აყროლებულ თევზსა და ყვითელ კბილებად ნაწყალობევ ღიმილებზე და მერე ყველა ტყვიას ავაცდენდით, ძალაგამოცლილები, გარშემომყოფთა ქონიან ტუჩებზე ზურგშექცეულები და ამ დორბლიანი შემომსვლელების მხრიდან სიცოცხლისუნარიანი ქმედებების ამაოდ მომლოდინეები... მერე მივაფსამდით ყველა ფარდულს და დავაწერდით – «დაკეტილია», პლასტმასის მრავალი თაობის ჩავლის შემდეგ, ვინმეს რომ საამისო თვალები აღმოაჩნდებოდა, იმის იმედით.

სახე და ტუჩები რომ მქონდეს, «ბეე»-ს დავიძახებდი. ახლა და აქ...

მემანქანე ამ წამს ალბათ მასტურბირებს. რუდუნებით – კაბინაში ყოფნის უფლებით... ვწვები, რომ ჩემი წრე ბალახით დაფარულ მიწაზე დავასვენო... რომ ვარსკვლავებს გულაღმა ვუყურო... ნაკლებად პათეტიკური რომ ვიყო... ფეხის თითებზე ქარი მიღიტინებს... რომ

გათენდება, მერე რა ერქმევა ამ სიბნელეს? ხმები ერთმანეთში ირევა... ხმები კონტაქტის უნარის გარეშე... ვხვდები, რომ აზრი არ აქვს ლოკაციას... ცა სუფთაა... ცა ალტრუისტი არაა... ძილიც – არის რა...

გამთენიისას, დილის ექვსზე მატარებელი დაიძრა... ჯერ სუსტად უბიძგეს თითქოს, ყველა ოდნავ შევქანდით... მერე უფრო ძლიერად და რელსებზე გასრიალების ხმასთან ერთად, თითქოს ღრმად ჩასუნთქული და შეკავებული ამოისუნთქა ყველამ... ისევ თანაბრად გააგრძელეს თვალების ხამხამი... ისევ ყველა გაუცხოვდა. ის დროებითი თანამონაწილეობა, როგორც დამაკავშირებელი ძაფი, მატარებლის ბორბალმა გადაჭრა ლიანდაგზე გაცურებისას...

მიო ქვაზე დარჩა. ვუყურებდი და ვხედავდი, არ ეძინა. არც არავის გამოუდია თავი დიდად მის დასაძახებლად. კიდევ ოციოდე მეტრი და მიო თვალებს გაახელს... «დაბრუნდი!» ეს ხმა არ ტოვებს, მით უფრო, რაც მეტად ვშორდებით ჩვენ ყველა, – მთელი ეს აგრიხინებული მატარებელი... ეს არჩევანია, შუალედური თავისუფლება... მიოს არ მოუნდა, სირი გამხდარიყო. მერე ალბათ ამ ქვიდან გააგრძელებს ძიებას, ან სულაც, ამ ქვაზე დასირდება, კმაყოფილი საკუთარი უნარის არსებობით, რომ დასირებაშიც შეუძლია იყოს ალტერნატიული. მე ვშორდები მიოს... მიოს, რომელსაც მომავალში ვეღარც კი ვიცნობ... ბოლოს და ბოლოს, ყველა მაისურს ჭამს დრო...

– ლიმონათი!

ეს ბავშვი ისევ დედის მკლავზე ქანაობს... სახეში თავჩარტყმული და სახეში თავის ჩამრტყმელი გულითადად იცინიან ტამბურში...

ახალი ეტაპი... ახალი ეტაპი... მემანქანემ ხელი ხომ ამისთვის ამოიღო ტრუსიდან და გავგორდით... წინ მივდივართ... წინ! (ამაყად)...

ისინი ისევ სადღაც მიიჩქარიან... ჭუჭყიანი და ნათითურებით სავსე მინის მიღმა... ხეები, დენის ბოძები, ძროხები... ისევ ხეები... შიგადაშიგ რამდენიმე შენობა... ეს შენობები ჰორიზონტს წყვეტილს ხდის. ასეთ დროს ჰორიზონტი თარგს ემსგავსება... ეს ალბათ ელექტროსადგურია, პატარა ჯიხური, რომლის სახურავზეც ყვავი ზის... მინაზე ჭიანჭველა დაცოცავს. ფანჯრის კუთხეში, ჩარჩოსა და მინას შორის, ძველი ბილეთია გაჩრილი. ბილეთზე არ წერია მოძრაობის მიზეზი, მხოლოდ მიმართულება... დრო და მიმართულება... აქვეა ცოტაოდენი მზესუმზირის ქეფჩო. ეს ჩემს მგზავრობას უფრო დრამატულს ხდის... საფეთქელს მინას ვადებ... ვიბრაცია ცოტათი მსიამოვნებს კიდეც... ვაგონი ტკბილი სიცხითაა სავსე... და აგონიაში მყოფი მგზავრებით... მათ უკვე აღარც კი ახსოვთ ცოტა ხნის წინ უკან მოტოვებული, გაუთვალისწინებელი გაჩერება... კოცონი, სახელდახელო ბანაკი და ცარიელი თერმოსები... მათ ახლა იციან მხოლოდ B პუნქტი... მერე რა, რომ მას შემდეგ არც ისე დიდმა დრომ განვლო, რაც თავი მოახლოებული აპოკალიფსის მსხვერპლად გადადეს?... მანამდე ხომ თევზი ჭამეს? ხომ სავსე მუცლებით აპირებდნენ სიკვდილისწინა ლოცვას? ხომ არცერთის ბრალი არაა, რომ რაღაც შეფერხების გამო ქვევით ჩამორეკეს? ხელების ზევით აპყრობას ხომ ყოველთვის მოახერხებდნენ? ყოველთვის, ბოლო მომენტში... ახლა წინ B პუნქტია... უნეტარესი... ბოლოს და ბოლოს, პრინციპის საკითხია (რომელიც არ გააჩნიათ)... არცერთს არაფერი ჩაუდენია პირადი მოსაზრებით, საკუთარი

სურვილისამებრ... ამის გააზრებით აკრუტუნებულებს სიკვდილთანაც კი შეეძლოთ შეგებება, როგორც საერთო ისტერიის დეტალებს და არა ცალკეულს... და არა თითოეულს... და მე საერთოდ ვინ ვარ? თავგახვრეტილი, უგრძნობი მექანიზმი... ინერციაში მოსული, ყოველგვარი პუნქტის გარეშე, მოგონებებისგან გამოცარიელებული, პერიოდულად ანალიზის უნარით გამოცოცხლებული...

– «ლიმონათი!» – აუცილებლად ჩემ გასწვრივ უნდა დაიყვიროს ამხელა ხმაზე. მე ხომ უმადური ვარ, არა? ჩემამდე მეათასედ მოტანილ ლიმონათში არაფრის გადახდას არ ვაპირებ. მეტიც, არ მინდა... «ლიმონათი!» – იმასაც კი არ ამატებს, რომ თითქოს ცივია (არაა ცივი და იმიტომ)...

დედა უმწეოდ უყურებს პერსონალურობასთან სულ უფრო და უფრო ახლო მყოფ შვილს. ლიმონათი არც მას უნდა...

გრძელი ქალი სხვა ვაგონში ზის, თავაზიანი მოხუცის გვერდით. მოხუცმა ისევ არ იცის, რომელი საათია, მაგრამ ეს აღარ აღელვებს. მიდის და მშვიდადაა.

თვალებს ვხუჭავ... მე დავჭკნი... უიმედოც კი აღარ მეთქმის... ნახვრეტში გატრუნული, ჩემში გამავალი სინათლის ტემპერატურით სავსე, მზად ვარ, დავყრუვდე... ეგოიზმია, კიდევ ერთი უუნარო ფუნქცია მოვიშორო თავიდან, რომლითაც ესენი ჩემში შემოდიან (ნუ, მეხლებიან მაინც ბაკანზე)... წარმოვიდგენ, როგორ ვიფარები ქიტინოვანი საფარველით. თითქოს ნახერხის გროვაში ვიდგე, ნესტისგან აყროლებულში, რომელშიც ამ საფარველით დაფარული უამრავი ხოჭო ცხოვრობს. შეყუჟულან და ხანდახან ზედაპირზეც ამოდიან. ფუთფუთებენ... წარმოდგენა არ მაქვს, რატომ მომყვები ასეთს (ჩემი ეგო საბარგო თაროზე ფეხმორთხმით ზის და

იღიმის)... ნუთუ არ შეგიძლია, იმ თავაზიან მოხუცებულ კაცს გაეკიდო? დილით მოხარშული კვერცხით ივახშმა, რომელიც აკურატულად გაფცქვნა, მარილებისგან დეფორმირებული თითებისა და ხელის კანკალის მიუხედავად. ცოტაც რომ მიჰყვე, დაინახავ ძველებურ, ნარინჯისფერ ლამბაქს, დიდი თეთრი კოპლებით გაფორმებულს, ჩაის, რომელიც მისთვის მეუღლემ ჩამოასხა და ამ სევდიან მკლავებს რომ აუყვე ჩამოსხმის პროცესში, მოხუცი ქალის პორტრეტსაც წააწყდები, საინტერესო თმის სარჭით, ყვავილებიანი გულისპირით და მძლავრად მომუწული ტუჩებით... იქვე დევს ხელჩანთაც (თუ გაინტერესებს). მასში ამ ქალმა რაღაცები ჩაუწყო, სანამ უბიძგებდა მოძრაობაში მოსაყვანად. ამის შესახებ ღამე საწოლში საუბრობდნენ. ქალი ჭერს ასცქეროდა, კაცი ლოყით ბალიშზე იყო დაკრული, სახით კედლისკენ... როგორ გირჩევნია, თვალები დახუჭული ჰქონდეს თუ ღია? კედელზე დიდი და უსიცოცხლო ყვავილები ხატია. შპალერი ყოველთვის კარგად გამოხატავს ადამიანური ბუნების სიბლაგვეს... შენ კი, გირჩევნია, მე მომყვებოდე... მატარებლის ჭუჭყიან მინაზე მიწებებულს და უმიზნოს...

ჩემმა ეგომ ფეხი გადმოყო ბარგის თაროდან და მის ჰაერში ქნევას შეუდგა... თან იცინის. მას თევზი არ უჭამია. კმაყოფილია, მაგრამ უფრო ჩემ მიმართ სარკასტული დამოკიდებულება ამხიარულებს. თვალებით მიღიტინებს, რომ ყველას ჩავაფრინდე მკერდში და თითოეული საკუთარი ბანალური არსებობისთვის ტერფზე ავკენწლო... ოჰ, უნდა მაპატიო... რა ვუყოთ, რომ მკიდია?... შენ კი ისევ სიუჟეტი გჭირდება... აი, რა არის შენი და რედაქტორების პრობლემა... ან იქნებ, რედაქტორიც ხარ? მომილოცავს (მე მართლა გულით მინდა, თავაზიანი ვიყო, მაგრამ,

ყოველთვის ისე გამომდის, რომ უფრო გითავაზებთ, ვიდრე გთავაზობთ)...

სანამ ტუალეტის კართან ვიცდიდი, ჩემს თავზე ვფიქრობდი ცოტას... იმაზე, რაც, როგორც უკვე გითხარით, თავს აღარ იწონებდა, როგორც მშვენიერი და მშვიდი ფუტლიარი... როგორც კისრის ლოგიკური დაბოლოება... შეუმდგარი კავშირების ნაგავსაყრელად... აჟიტირებული ემოციების ცხედრების მორგად... განგიმარტავთ, ის, რასაც ამ მონათხრობში ვერ პოულობთ, სიუჟეტი არაა... ენთუზიასტი ადამიანის აღტყინებული ბოდვაა, ის, რაც თვალში დაგაკლდათ... და მაინც მოყვებით ამ მატარებელს, რომლიდანაც, დიდი ხანია, ვფიქრობ, რომ გადავხტე...

ტუალეტიდან გოგო გამოდის... ვცნობ, იმ მიამიტი წყვილიდანაა, ბიჭისგან რომ სიგიჟეს ითხოვდა, ხსნას და გადარევას... იქნებ ის ბიჭი უკვე გადახტა მატარებლიდან? გოგოს თვალები სულმთლად წითელი და სველი აქვს... უპეებს მტევნის ზურგით იხოცავს... წამიერად შემომხედა. მე არ შემიძლია, თანაგრძნობა დავახვედრო ამ წრეში... მხოლოდ ტამბურის კედელს ვაჩვენებ, მარკერის მეშვეობით, «სიყვარულით» და ამბიციებით აჭრელებულს... პრობლემაც ისაა, რომ ბიჭი მატარებლიდან არ გადამხტარა... ისიც აქაა და ასე «ერთად» მიისწრაფიან საგულდაგულოდ დადგენილი B პუნქტისკენ... ახლა უკვე ვიცი, ყველა A პუნქტი დამნაშავეა... გაღებულიც და გარღვეულიც... ამოწურვაა მათი დანაშაული... ნუთუ ამის მისახვედრად მართლა თავის დაკარგვა და ნახვრეტად გადაქცევა იყო საჭირო? მერცხლებზე ვიწყებ ფიქრს... მერე რა, რომ ფანჯრის რაფაზე არ ვზივარ? ჭუჭყიან და საშინლად არაჰიგიენურ კარის სახელურს ვეხები და ტუალეტში შევდივარ...

– ჰეი...

– ჰეი... ჰეი... ჰეი...

– აუ უუ?

– მე მეუბნები?

– რა?

– მე მეუბნები-მეთქი?

– შენ ვინ ხარ?

– მე სიჩუმე ვარ...

– ყოჩაღ...

– აქ ჩემ მეტი არავინ არის და ესე იგი, მე მეუბნები...

– მე მარტო არ ვარ...

– ვის ეუბნები?

– რა?

– მე მეუბნები, ხომ?

– შენ რატომ უნდა გითხრა?

– აქ არავინაა და იმიტომ...

– ჩემთვის ამოვიძახე... ამის უფლება მაქვს, მითუმეტეს, თუ აქ არავინაა...

– მე აქ ვარ...

– შენ ვინ ხარ?

– მე მეუბნები?

– შენ რა, თავი გადაგეყლაპა?!

– ამას ნამდვილად მე მეუბნები...

– თავი დამანებე, ხომ ხედავ, ვფსამ?

– წეღან შენი ეგო ხელებს მიფათურებდა...

– მე გიფათურებდი?

– არა, შენ უუნარო ხარ... მაგისთვისაც კი...

– აბა, ჩემგან რა გინდა?

– შენი არაა?

– მშობელთა კრებაზე ვარ?

– არა, ტუალეტში...

– მატარებლის ბორბლების ხმა გესმის?

– მე არაფერი მესმის...

– ეს მე არ მესმის არაფერი...

– ვიცი... ახლა ის თავხედი შემოვა და ყველაფერს ისე მოაწყობს, რომ უკანასკნელ ნაბიჭვრად გამომიყვანოს...

– შენ ეს გაწუხებს?

– რატომაც არა?

– იმიტომ, რომ სიჩუმე ხარ და ისიც კი არ შეგიძლია, რომ მოკეტო, როცა ვფსამ!

– ჩემთვის ვზივარ პირსაბანის ნიჟარაზე...

– გაიწიე... ხომ იცი, გავალ და ყველაფერი ისევ ახმაურდება... სულ მცირე, ლიმონათს შემოგვთავაზებენ... მეც და შენც... თავიანთ სასოწარკვეთილებას მოგვიშვერენ, რომ შევიძინოთ...

– და ამ დროს შენ საკუთარიც გყოფნის, არა?

– გაიწიე!... მართლა...

– ეს ჩამობანა კარგი იცით... დამუღამებული გაქვთ... აი, მესმის გამოსავალი... არადა, მუცელი გიბუყბუყებს შიმშილისგან...

– დაახვიე რა...

– ეგრევე გავქრები, როგორც კი ის შემოვა... ის უფრო აუტანელია არადა... და ეს იცი...

– თქვენ რა, გაიჭედეთ? როდემდე შეიძლება, ვიდგეთ აქ? – დაკეტილ კარს მიღმა იმხელა გული აქვთ... ხელებს ვიბან და გამოვდივარ...

.....

ეს მშვიდი წრეა კოცონის გარშემო. სიმშვიდეს მოჩვენებითიც არ ეთქმის, შიშისგან ყველას დამბლა დაეცა. ახლა სიმშვიდე ერთადერთი იმუნიტეტია... ცეცხლი პატარა ნაწილაკებად ყრის ნერწყვის შხეფებს დაუფიქრებლად გამოსროლილი ენის წვერებიდან... ცეცხლი ციალებს და ყველას ფეხსაცმელს წითლად ფერავს. კვამლი ცისკენ იწევს, მერე ქარი არბევს და სადღაც აფუჩეჩებს... დეკორაცია უცვლელია, – გაჩერებული მატარებელი. ყველას ეშინია, ხმამაღლა იკითხოს მიზეზი. ვიღაცებმა რაღაც ახსნეს გაუგებრად. ჩემმა თანამგზავრებმა ერთხანს იბუტბუტეს და ბოლოს წრედ გადაიქცნენ. მიხარია, რომ მთლად მხრებზე არ შემადგნენ თავიანთი წითელი ფეხსაცმლებით და აგურისფერი სახეებით. ამის მიზეზი ისაა, რომ ჩემი ნახვრეტის დასაფიქსირებლად არავის სცხელა. ახლა მათ თავზე საერთო შიში დასტრიალებთ ძერასავით... ვუყურებ ბიჭს, რომელიც სიგარეტს იზოგავს. წითურია და ჭორფლიანი. თითო ღერს სამ ეტაპად ეწევა, ნამწვებს აკურატულად

ინახავს. მინდა-არ მინდა, ძალიან კარგად მესმის მისი... მიო მოშორებით ზის ქვაზე. არ გამოვრიცხავ, რომ ეს ერთგვარი პოზიცია იყოს მისი მხრიდან... მიო მოწეულშია და სულაც არ აწყობს პირის ამათკენ მობრუნება. ზის და ბაყაყებს ესაუბრება... უთქმელად და ჟესტების ენით. პერიოდულად იღიმის (აქ ბაყაყები არ არიან)... მოგვიანებით ისევ ვიღაც იტყვის, რომ დეზინფექცია თითქმის დასრულებულია (არც არავინაა სადეზინფექციო სამსახურიდან. ვაგონები სულმთლად ცარიელია) და ახლა მხოლოდ განიავებას ვუცდით... ეს ამ წრეს იმედს ჩაუსახავს, ოღონდ ამის შესახებ ხმამაღლა არავინ გამოხატავს აზრს, არც არავინ შეიმჩნევს... პერსონალურ ბავშვს თავი დედის კალთაში უდევს და სძინავს. მას შეუძლია, მთელი ეს თავგადასავალი დაივიწყოს, როდესაც კომპიუტერს ყუთიდან ამოიღებს და მაგიდაზე გაშლის... ის დიდი სიხარულით დაივიწყებს მთლიანად ამ დღეს, მიუხედავად იმისა, რომ, კიდევ უფრო მოგვიანებით ადგილობრივი პრესა დაწერს, თუ როგორ გაუტყდა ვინმე რ.გ-ს სიცოცხლისათვის საშიში ნივთიერებით სავსე ქილა რეისზე – 731 B... «აა» – იტყვიან ამ გაზეთის მკითხველები სამზარეულოს და ოფისის მაგიდებთან... პარკის მერხებსა და ავტობუსის გაჩერებებზე... მერე სადღაც გაფრინდება ეს ძერაც, ასე მშვიდად და უნერვოდ რომ დაფრინავს ამ წრის გარშემო... ყოველთვის შეეძლება დაბრუნება და იმიტომ... სადაც არ უნდა მიემგზავრებოდეს თითოეული მათგანი, შიშისგან მაინც არ გასცურავს შორ დისტანციაზე...

შეყვარებული წყვილი ერთმანეთს ეხუტება... გოგოს ნაწყენი სახე აქვს, ბიჭს – დაბნეული... რა მათი ბრალია, ზედმეტად რომ დაიჯერეს ეს რეისი, როგორც გამოსავალი?

ერთ-ერთი ბაყაყი მიოს უყვება, რომ ადრე უფლისწული იყო... მიო სავსეა აღმოჩენებით და გაზიარების

ინსტინქტით, უბრალოდ, არასწორ გარემოშია, არასწორ ვითარებაში...

შეცდომაა – მიო... სწორია – ...

თავი წამოსწია და ხალხი მოათვალიერა. სიამოვნებით აღმოაჩენდა ჩვენში ვინმეს, ვისაც გვერდით მიუჯდებოდა და პირდაპირ ეტყოდა – «არასოდეს აკოცო ბაყაყს»...

– «მიო, დაბრუნდი!» – ეუბნება ვარდისფერი ბაყაყი. მიომ იცის, რომ არასოდეს დაბრუნდება უკან. მიოს ჯერ კიდევ სჯერა თავგადასავლების, თავისი მოულოდნელობებისა თუ იმედგაცრუებების საჭიროებებით... მიო მერე ბევრს იფიქრებს ამ ყველაფრის მიზეზ-შედეგობრიობაზე, როდესაც მის ცხოვრებას პანტაპუნტით გასცვივდება ერთჯერადი ურთიერთობები, რასაც ამ ურთიერთობებზე დამოკიდებულებაც მიჰყვება, თავისი ტკივილებით და ისტერიკებით. მიოს ჯერ ეს გასავლელი აქვს და ახლა მხოლოდ ამიტომ არ დანებდა ამ კირის წვეთივით კონკრეტულ მოგონებას... თხოვნას (სულერთია), იმის შესახებ, რომ უკან დაბრუნდეს. რომ მის ბაღში მეორედ აღარ მოისაქმებენ ყვავილებზე, რომელიც ბავშვური ენთუზიაზმით და შემართებით გაახარა... ამ დრომდე... ბოლოს და ბოლოს, ცარიელი ხომ არაა? ამბიციების ზურგჩანთითაა მიო... საშინელი დასანახია ყველა, როდესაც, ადრე თუ გვიან, ამ ჩანთას იხსნის და ცარიელი ზურგით რჩება...

წრეს რული ერევა... მათ ჯერ არ იციან, რომ გამთენიისას, დილის 6-ზე მატარებელი დაიძვრება... ძერა კი მათი კოცონით თბება და ხარბად ისუნთქავს ტესტოსტერონის, მოლოდინისა და კვამლის მოტკბო სინთეზს...

ვიღაცამ ლიმონათი მოიკითხა... ბებოს არ გაუგონია, იმიტომ, რომ გულის ძილით ეძინა და მის სიზმარში შვილიშვილები ცეცხლმოკიდებული ვაგონის გარშემო დარბოდნენ ხტუნვა-თამაშით. ვაგონის თავზე თვითონ იდგა და შველას ითხოვდა... ბოლო ხმაზე ყვიროდა, რომ რომელიმეს მაინც აეღო იქვე მიგდებული ყუთიდან თუნდაც ერთი ბოთლი ლიმონათი კოცონის ჩასაქრობად... ბავშვებს კიდევ, ცეცხლი უხაროდათ... ბავშვებს სჭირდებოდათ ეს ალი, ცამდე... მერე ბებომ გააცნობიერა ეს თავის სიზმარში... თბილად გაიღიმა, მატარებლის სახურავზე დაწვა, ლოყა მშვიდად ჩამოდო მკლავზე და დაელოდა, როდის იქცეოდა ფერფლად... და ის არ გრძნობდა ტკივილს... და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ყველაფერი ესიზმრებოდა...

.....

ჭუჭყიანი ფანჯრიდან ყველაფერი ისევ ისეა... მოძრაობის შეგრძნებაში... დალაგებული და ადგილმიჩენილი... მწყობრში, ერთმანეთს მიჯრით მიწყობილი...

ხასხასა გვიმრები სასიამოვნო სანახავია... მგონი პირველად მესიამოვნა რაღაც...

ჩემს სკამზე ვბრუნდები და ისევ მინას ვეტმასნები...

– ჰმ!... – თითქოს პირდაპირ ყურში ჩამახველეს... ისევ ის თავაზიანი მოხუცია... აზრების მოკრება ვერც კი მოვასწარი, ისე ახლოს მოიტანა ნახვრეტთან სახე... მისი ფართო ნესტოებიდან გამონაბერი ჰაერი ჩემი ზურგის უკან იშლება... დაუსრულებლად სუნთქავს ჩემში, იმ სიცარიელეში, სადაც თავი უნდა მქონდეს... სამაგიეროდ, პერანგის საყელო აქვს წესრიგში მოყვანილი და სუფთა...

– წელიწადის ამ დროს... – სიტყვები ბუყბუყს იწყებენ... საერთოდ აღარ მესმის არცერთის აზრი... მესმის, როგორ დუღს წყალი და შიგნით როგორ მოძრაობს კვერცხი, რომელიც იხარშება... ის კვერცხი ახლაც პატარა სამგზავრო ჩანთაში უდევს... ხელსახოცში გახვეული... პურის ნაჭერთან ერთად... მისმა ცოლმა ისე მოხდენილად შეახვია... თან დაჟინებით უხსნიდა ერთსა და იმავეს... «თავი არ დაიმშიო...» «მზეში არ იარო...» «წყალი ყოველ ორ საათში ერთხელ დალიე, მთლიანი ჭიქა...» ეს კი უყურებდა სამზარეულოს მაგიდაზე დადგმულ ლარნაკს, მინდვრის ყვავილებით სავსეს...

– ადრე ძაფის ქარხანაში ვმუშაობდი ოცდახუთი წელი... ათი წელი – დირექტორის მოადგილედ და თხუთმეტი წელი – ღამის დარაჯად... არა, მე საერთოდ... – სიტყვებს ისევ ბუყბუყი ცვლის... გვიმრები... აი, რაზე მინდა, ვფიქრობდე... მტვერჩამორეცხილი და ხასხასა... მუქი მწვანე და დიდრონი...

– წელიწადის ამ დროს კი... – წინადადების მეორე ნაწილს, ან უფრო მეტსაც კი, ბრინჯის მარცვლების იატაკზე დაბნევის ხმა ანაცვლებს... ზოგიერთი მათგანი ხის ფიცრებს შორის დარჩენილ ღრიჭოებში იჭედება... თითქოს ერთიანად ოც წელს ვიკლებ და მერე ორმოცდახუთს ვიმატებ... ობობის მახეში გაბმული მწერივით ვიწყებ კიდურების აზრმიუცემლად ქნევას... სასოწარკვეთილი ვჩანვარ... თითქოს მდინარიდან ამოვდივარ და სველი ტრუსის ამარა ცხელ ქვიშაზე გულაღმა ვეცემი... მზე ნიკაპთან მოგროვილ წვეთებში მიძვრება... «არ წავიდეთ?... ცოტაც და ფარფლი გამოგეზრდება...» სიცილი... საზამთროს ქერქზე ბუზი ზის... არ მინდა წასვლა... «ცოტაც და დაღამდება!» მზეც აშკარად არსად აპირებს გამგზავრებას... «ცოტაც და...» ზურგით ცხელ ქვიშას

ვგრძნობ... მომწონს დიდობანას თამაში, დამოუკიდებლობის შეგრძნება... არდადეგები... წელიწადის ეს დრო სხვანაირად მკვეთრია და ფიქსირებული... საკუთარ ფეხის თითებს ვუყურებ... ცოტაც და, თევზის ფარფლი რომ დაფარავს... მეღიმება...

– სასაცილოა, არა? – ისევ ეს მოხუცი მარკვევს... – გამოგიტყდები და, ხანდახან მეც გამცინებია ამაზე...

როგორი იყო ეს კაცი მდინარის ნაპირზე? თუ ახსოვს მაინც, როგორ გამოიყურებოდა მაშინ მისი ფეხის თითები? თითები, რომლებიც შრებიან... იმ დროს... მთელი სიცოცხლის განმავლობაში... იმ ერთხელ, სულაც რომ ქრონიკული ჯაჭვის მონაკვეთი ყოფილიყო... აშკარა და ცხადი...

ისე გადავწყვიტე, ამ მატარებლიდან არ გადავმხტარიყავი, თითქოს მონდომებით შესრუტული სპაგეტი გამეწყვიტოს კბილებით... ბოლოს და ბოლოს, საკუთარ წარსულთან დავდე ხელშეკრულება, გამეწყვიტა ყველანაირი უნაყოფო და უშედეგო, უშინაარსო ურთიერთობა, თავადაც ბოლომდე მოსაწყენს, ჰაერში აფართხალებული ფეხებით დამესრულებინა ცხოვრება, ზურგზე დაცემული ხოჭოსავით, როგორც იქნა დამპალი ნახერხის გროვიდან რომ გამოაღწია და გავარვარებულ გზატკეცილზე გადააბრუნა ძლიერმა ქარმა თუ ტრაილერის მუხრუჭმა...

ფანჯრიდან კაქტუსები ჩანს... ასკილის რამოდენიმე ბუჩქი... ბებერო სოკო... ვაფიქსირებთ, ვახარისხებთ... მთელი ცხოვრება მხოლოდ იმას ვცდილობთ, ცხოვრებას გამართლება ვუპოვოთ... ვჭამთ და გადავაადგილდებით, თითქოს თეატრის კრიტიკოსები ვიყოთ ან ლიტერატურათმცოდნეები, გაფუჭებული ჟელატინის კუბებივით ვთანთალებთ, როდესაც ლანგარზე ვდევართ

და ეს ლანგარი ახალი ეტაპის სტომაქისაკენ მთელი ენთუზიაზმით მიემართება... ნაყროვანებისათვის... გამართლებული რომ იყოს ჩვენი ანტრაქტიც და ფინალური მონოლოგიც, თავისი სენტიმენტალური გამოვლინებებით კულმინაციურ ნაწილში... – «მიირთვით!» (ღიმილი აუცილებელია) მემანქანე მთელი ხმით იცინის... სიცილის დროს ჭიხვინის ხმას გამოსცემს და მუხლზე ხელს იშენს, რომელსაც პერიოდულად შუბლზე ისვამს და ჭიხვინს აგრძელებს.

– «და ის იცოდი?... ირემმა მეზღვაურს რომ გასძახა – გაღსონ, ამოაწყვეთ ჯიბეებიდან ეგ წითელი კენჭები, თორემ შარლატანს ემსგავსებით და ეს ეჭვგარეშეა, როგორც გოგრის პუდინგი...» «ღმერთო, შენ მიშველე, რა უდიერი ანეკდოტია?» ამჯერად უფრო ხმამაღლა იცინის... «ზებრაზეც ვიცი, რომელმაც მინდორში ოკულელე იპოვა და ღმერთის იწამა...» «ცოტაც და, დასახლებულ პუნქტს მივუახლოვდებით...» მოულოდნელად სერიოზულდება და ლიანდაგს გასცქერის... «არა, ის მაინც რა იყო?» იღიმის (ღიმილი მნიშვნელოვანია)...

გამქრალი სიტყვების ტყეში დგანან მხოლოდ დაჭიმული ყელის მყესები, ცამდე აწვდილი და რხევისათვის მომზადებული მბგერავი იოგები... ბილიკები ზედმეტად ვიწროა, მაშინაც კი, როდესაც ზღვარზე ხარ... მოგონებების რამდენიმე სულელი ზღარბი და მტვრად ქცევის პირას მისული სოკოები... ჩაფალი ფეხები... გადმოხტი მატარებლიდან. თავსაც კი ვერ დაარტყამ უმოძრაობის ლოდს... გამქრალი სიტყვების ტყეში ვდგავარ და ზურგზე თბილი ხავსი მაქვს...

მატარებელმა გაიარა შეცბუნების სადგური... ფართოდ გახელილი თვალებითაც კი ვერავინ დამალა შიში და

საკუთარი თავისადმი დაკარგული პატივისცემის დანაკლისის უსიამოვნო შეგრძნება...

სახეში თავის ჩამრტყმელი ბეჭებითაა მიკრული ტამბურში გამავალ კარზე და გაშეშებული თვალებით უაზროდ იცქირება. მიმართულებით თუ ვიმსჯელებთ, ბევრი იფიქრებს, თითქოს პირდაპირ მე მიყურებდეს თვალებში. ჩემი თვალები ამ დროს ცნობიერების ტბის ფსკერზე ყრია, ფერად ნიჟარებთან და დაუსრულებელი პროცესების ათასტომეულების მოზაიკურ ყდებთან... «საყვარელო, შენ ხვრელი ხარ?» მხრებზე ლიანები ამომდის... «მარტო ყოფნის შესაძლებლობის გჯერა?» კითხვები კალთაში მიცვივა... კანი მეჭიმება... ლიანები ჯიუტად იწევენ ვაგონის ჭერისკენ. ჭერი ჭუჭყიანია და ძველი... იატაკიც ჭუჭყიანია, მონდომებული წმენდისა და დეზინფექციისგან გამცვდარი და ამაზრზენი... მეც ჭუჭყიანი ვარ და მხრებიდან ამოზრდილი ლიანებიც ვერ ცვლიან ამ კანონზომიერებას... ჭუჭყის ორ შრეს შორის, სამივე (ოთხივე) განზომილებაში, სენდვიჩში ჩატენილი დამპალი ლორის ნაჭერივით ვარ... მკიდია სალათის ფოთოლი, რომელიც დაჭკნა... მკიდია სოციოპათის იარლიყი, რომელიც გაცვდა... სახალხო დამოკიდებულება ზეწოლის შესახებ, რომ დაუჯერებელი, წარმოუდგენელი დისკრიმინაციაა, რომ მე ზევით ვარ და თან დავლპი... რომ ის ქვევითაა და ჩემი ზეწოლის შედეგად დაჭკნა... საერთოდ არ არის ძნელი. მეტიც, ძალიან მარტივია ამ ყველაფრის სხვა კუთხიდან დანახვა, უბრალოდ, თავი უნდა ამოაბრუნოს ვინმემ. მითუმეტეს, თუ აქვს...

სახეში თავის ჩამრტყმელი ერთბაშად მოიცვა საკუთარი თავის მიმართ გაჩენილმა ზიზღმა... ამის მიზეზი შეიძლებოდა ყოფილიყო მის მიერ განხორციელებული ქმედება სახეში თავის ჩარტყმისა. «მას ნერვები არ აქვს,» –

დაასკვნა ყველამ, ვინც ამ სცენას შეესწრო. ამის შესახებ ზოგმა თქვა, ზოგმა უბრალოდ გაიფიქრა... მე არ ვიცი, სად მიდის ეს მატარებელი. ვიცი, რომ სახეში თავის ჩამრტყმელი ბრუნდება. მისთვის ეს უკან დაბრუნებაა. სწორედ ეს იწვევს აგრესიას და გულსაც დაუნანებლად გატენის ყელში... დაბრუნება კლავს მორიდებას, რომლითაც სავსეა სახეშითავჩარტყმული, რადგან ამ უკანასკნელის შემთხვევა საპირისპიროა. ის მიდის და არ ბრუნდება... ის ფრთხილია. უფრო ზუსტად – დელიკატური. არ იცის, თუ ვის ჩაარტყამს სახეში თავს უკანა გზაზე, რომელიც არავინ იცის, როდის მოუწევს... ის ამ ეტაპზე მიდის წინ, მიემგზავრება, მიზანი გააჩნია, ურთიერთობების სჯერა (ამით უნდა დამეწყო)... სახეში თავის ჩამრტყმელი კიდევ, ზღვარზეა... ცოტაც და ყველას ჩაარტყამს სახეში თავს... აი, უკვე სტატუსიც აქვს – უხეში. ხელს აღარაფერი უშლის... მაგრამ, ამ მომენტში, ამ ბაქნის გასწვრივ, სანამ უკან მოვიტოვებდით შემაღლებას, რომლიდანაც შეცბუნებული სახით ჩამოდიან (ტვინს ტკენს ამის შეგრძნება), ის უმწეოა... და გაშეშებული თვალებით იყურება საკუთარ შიგანში... მზადაა, ზიზღის მაშებით ყველაფერი ამოართვას თავს ამ მექანიზმიდან... სახეშითავჩარტყმულის შურს და ეს კიდევ უფრო მეტად შლის ჭკუიდან... ბაქანი უკან მოვიტოვეთ... არც ესაა საკმარისი მიზეზი სიმშვიდისთვის...

ვიღაცას ბოლო რიგში ნერვებმა უღალატა და მღერის...

ვიღაცების გარემოცვაში მე კმაყოფილიც კი ვარ იმით, რომ ნერვები აღარ მაქვს... გულში ჩაწყობილი ხელებით ვდუმვარ და მთელი ძალით ვარ მიტმასნილი ჭუჭყიანი ფანჯრის მინას...

ხე... ბუჩქი... ანძა... ხე... ქვა-ღორღი... ხე... ხე... გვირილები... ბუჩქი... ნაგავი... ისევ გვირილები... დიდი გვირილები... ჰორიზონტი... პეპელა... ჰორიზონტი... სიგარეტის კოლოფი... ხე... ხე... და მატარებლის ბორბლების ხმა... სიბნელეში ჩავიძირეთ... არსებობის რეკლამებით გაბრუებულები... რომ წამოვხტე და სპეციალური შემთხვევებისთვის განკუთვნილი ხელის მუხრუჭი ჩამოვწიო?.. ახლა საიდან მოვუტანო ამათ სპეციალური შემთხვევის დამადასტურებელი არგუმენტი? თორემ, ამასაც კი დაიჯერებდნენ, სადაც არსებობის ასე უპრობლემოდ სჯერათ...

თვალებზე გადაკრულ ლიბრს სიხარული არ მოაქვს, როგორც უნდა გჯეროდეს გულში ჩაშენილი პატარა ტერფების, ემოციური ნავების, – უმცირესი თითების მიერ შექმნილის... უმეცრება რომ მთლიანად გამორიცხო, სინდისის გრძნობაც... თავს დააჯერო უხილავი ძაფები ბმებად... თავისუფალი ბაქანი მაინც თვალებში შეყრილი ნაცარია... არცერთი მატარებელი არ შეიწუხებს თავს დიდად მასთან გასაჩერებლად... ჰორიზონტს ძროხები უხდება... ბავშვები ხელს გვიქნევენ... ჩვენ არა – ვაგონებს... ისინი ცოცხლები არიან, თვალებზე გადაკრული ლიბრის გარეშე...

მიმართულება რომ გაგაჩნდეს... მიზანი (ასე ეძახიან, თითქოს, სასროლეთი იყოს)... შესაძლებელი იქნებოდა, გჯეროდეს, – შეგიძლია, უკან მოიტოვო ამბები... ოთახები... აღმართები... გრძლად დაწერილი მოკლეტექსტური შეტყობინებები... ჩაკიდებული ხელების ტემპერატურები... სამზარეულოს პატარა მაგიდასთან, სკამზე აკეცილი ფეხები... ყავის ჭიქებიდან ადენილ ორთქლს მიღმა დანახული თვალების მიმართ გაჩენილი დამოკიდებულება... უპასუხო ზარები... იდიოტურად

დაჯერებული იმედების ძველი ბათქაშივით ჩამოცვენა... იმედგაცრუებების კასკადი... დიალოგებს შორის განზე გასული ტუჩები... ზურგი რომ გაგაჩნდეს, შეძლებდი, ამ ყველაფერს აქციო... ვაგონის კუთხეს უყურო... სახურავზე ასვლისას გაჩენილ ჟრუანტელზე იფიქრო... მონელება რომ შეგეძლოს, ფართოდ გახსნიდი დარაბებს... ცა მიგიღებდა, მზერადაწმენდილს, გამოძინებულს... ჩაისუნთქავდი დილას, რომლითაც ახალი დღე იწყება და არა – დილას, როგორც ძილისპირულს, თავისი ჩიტების ჭიკჭიკითა და შემცივნების სასიამოვნო ჟრუანტელით... მატარებელი მარაზმია მიმართულების გარეშე... ჩახერგილი ლოდია და მეტი არაფერი... უკვე საშინლად მიშლის ნერვებს, დაუსრულებლად რომ ვფიქრობ ამაზე... ეგეც შენი სრულყოფილი წრე, ვიზუალურად იდეალური მონასმი... ეგეც სიმშვიდე, ეპიცენტრში კონცენტრირებული და უტრირებული... აქ, ამ მომენტში, შეცბუნების ბაქანის გასწვრივ მივხვდი, თუ რატომ ვარ ასე მომართული სხვისი ემოციების დასაჭერად, როგორც ანტენა – ჩემი არ მინდა გამახსენდეს... საკუთარ თავში ვაღიარე. ჰო, თავში და არა ბოლოში... იმ ბაქანის მიმდებარედ ყოფნა საკმარისი აღმოჩნდა გულ-მკერდში მოთუხთუხე ლავის გასაღვიძებლად... კაფეში ვისხედით, ერთმანეთის გასწვრივ... ცოტაც და ამოხეთქავდა... ყველა ნაკვთი, ყველა მიმიკა ადგილზე მქონდა... ყავის ჭიქიდან ადენილი ორთქლის მიღმა... დრო დანაშაულების გადაფასების ოსტატია, ტელეფონის სადენივით ჩათიშული რომ მიგდია ფეხებთან... არ ვცნობ მოსაზრებას, თითქოს აპარატი ვიყო... ყელში გამეჭედა მდგომარეობები: «რომ ვიყო...», «რომ მქონდეს...», «რომ დავუშვა...» მდინარის ფსკერზე გრძნობ, როგორ გაჭერს წნევა ყურებზე... კენჭების სილამაზე დასაშვები ემოციაა, სანამ ამოყვინთავ და ხარბად ჩაისუნთქავ ჰაერს, რომელიც ფილტვებს გატკენს...

სწორედ ამ დროს, ცხვირ-ხახის წვის პარალელურად, შენ არ განაღვლებს, საიდან საით მიედინება მდინარე... მერე ნაპირზე იწყებ მოგროვებას და რელაქსაციას... მერე შეიმოსები, მოირგებ იერს და გაემართები... რა ჯანდაბად ავედი მატარებელში? ბამბის ნაყინი მაინც მაჩუქეთ, თავს იდიოტად ვგრძნობ...

– მალე მივალთ? – კითხულობს ბავშვი...

– ჰო... – დაუფიქრებლად პასუხობს დედა...

ხეები... ხეები... ხეები...

ტამბურში გავდივარ, რომ მატარებლიდან გადავხტე... ადგილი, სადაც ვიჯექი, უჩემოდ უმწეოდ გამოიყურება... თან წავიყოლებდი, ფოტოებად, მაგრამ არ მინდა, განულებული მეხსიერების პირველ ფაილად ეს მოგონება ჩავუშვა... უხერხულად ვიწრო ნაწილი მატარებლის სკამისა, ჭუჭყიანი ფანჯრის კუთხე, მასში გაჩრილი ძველი ბილეთით და მზესუმზირის ნარჩენებით... იყოს, როგორცაა... შეიძლება, უჩემოდ უფრო კარგად იგრძნოს თავი... კიდევ სამიოდე ნაბიჯი და «ჰოპლა!» ცოტაც და... ვიღაც ძლიერად მომეხალა და ტამბურში გასასვლელი კარის ჩარჩოს მიმანარცხა... ბიძგი იმდენად მოულოდნელი იყო, ოდნავაც ვერ შევძელი თავის შემაგრება... «არ ილაპარაკო!» ვცდილობ, ნაკვთები გავარჩიო... სახეში თავის ჩამრტყმელია, ოღონდ, უფრო მეტად წითელი, ვიდრე თავის ჩარტყმის პროცესში... «ახლა შემოწმება მოვა...» ხელში რაღაც საგანს მიტენის და მერე ამ ხელს, თავის გაურკვეველ საგნიანად, ჯიბეში მტენის... «ვაგონები უნდა გაჩხრიკონ...» საგანი ცივია და უსიამოვნოდ გლუვი... «მე... მე... ხომ გესმის? იმის თქმა მინდა, რომ ისედაც არ მაკლია პრობლემები...» წარმოვიდგინე, როგორ ვურტყამ მომუშტულ ხელს ხორხში (არ ვიცი, რატომ მქონდა

მაინცდამაინც ეს რეაქცია)... «ვიცი, უნდა გადახტე... ისედაც უცნაური ტიპი ჩანხარ... მთელი ეს დროა, ვამჩნევ... მე ბოროტმოქმედი არ ვარ...» – «რა?» – ძალიან ხმადაბლა მომივიდა... მე თვითონ ძლივს გავიგონე... «გადახტი! ცოტაც და, მატარებელს გააჩერებენ... ყველას გაგვჩხრეკენ!... ფიქრის დრო არ არის...» ორივე ხელს ძლიერად მკრავს მკერდში...

ბოლო, რაც მატარებელში ყოფნისას გავიგონე, იყო «პერსონალური» ბავშვის პანიკური ტირილი... «მინდა, ძლიერი იყო...» ვფიქრობ ამ ბავშვის მისამართით და ვენარცხები...

.....

ვუყურებ ნახვრეტს, ჯერ კიდევ ის დროა, თავი მადგას და ყველაფერიც თავის ადგილზეა (აღარ ჩამოვთვლი)... ბოთლის ძირში ორიოდე ყინულის ნატეხია, ტუჩების შეხებისას სიგრილის სასიამოვნო განცდას რომ ტოვებს... ზიხარ. რაღაცები გსიამოვნებს და ეს არაფერს ცვლის... საკმარისი არაა... სულ ცოტაღა იყო საჭირო, დაგეჯერებინა, ფრენა ილუზიაა, შენ კი, ნაცვლად ამისა, ბოთლებში ხვრელებს აკეთებდი და ცდილობდი, მიღმა გაგეხედა... სხვა სამყაროში, ყველას რომ უბრალოდ აკვიატება ჰგონია...

.....

«გაიღვიძე!» ძაღლები ყეფენ... მათი შუბლებიდან საათის გუგულები ხტებიან და მომავალს აპიარებენ... «იცხოვრე...» მოწოდება საკმარისია? სურვილია საკმარისი... სურვილის არსებობაა მთავარი არა და... საშინლად ბევრი რაღაც მაღელვებდა... წარმოუდგენლად... თვალებს ვხუჭავ, საფეთქლები შიშინს იწყებენ... ორივე... სინქრონში... კადრების გარეშე დარჩენილ განვლილში სხვა არაფერია,

თუ არა დერეფნული სიღრმე, რომელიც სულ უფრო და უფრო ვიწროვდება და ბრიყვულად დაჯერებული წესრიგი... იატაკი სუფთაა... იფიქრებ, ფეხშიშველიც გავივლიო ზედ... ახლა ადიუტანტები მოვლენ და დიდი ზომის მუყაოს ყუთებით ზეფირს მოიტანენ... სიჩუმე იტენის პირში ზეფირის უზარმაზარ ბურთულებს, რომლებსაც ყვერების ფორმა აქვს... მხარზე ბზიკი მაჯდება და წრიულად იწყებს სიარულს... «გაიღვიძე!» ჩემმა ეგომ უხილავ მესერს გადააბიჯა. მესერი არ ჩანს, მაგრამ მისი ფეხის მოძრაობით თუ ვიმსჯელებთ, დაბალი არ უნდა იყოს. მესერს მიღმა გვირილების თვალუწვდენელი ველია... მუხლებამდე შეცურა... მიდის... მე კი ისევ ამ გვირაბის წინ ვდგავარ... სხეული ქვა-ღორღიან ნიადაგზეა პირქვე გართხმული... გახეთქილ შუბლზე ბუზი დამაჯდა... თვალები უნდა გავახილო, მერე მკლავებზე ავიზიდო და მუხლებზე დავდგე... ქარი... იქით ლურჯი ცაა და ქათქათა ღრუბლები... მაღალი გვირილების თავზე... აქეთ გვირაბი, თავისი შეუქცევადი გარდაუვალობით დავიწროებისა... კარგი, ცალი ფეხით მიწას ვეყრდნობი... მეორეთი ისევ მუხლზე ვდგავარ... მუხლში ქვების წახნაგურ ზედაპირს ვგრძნობ... ტკივილის შეგრძნება აუცილებელია... სპილო ზოლიან საღამურში... სულ ზევით-ზევით იწევს... საჰაერო ბურთივით მსუბუქია... სიზმარი არ ცნობს გრავიტაციას... ასეა... შეუძლია, რაზედაც გადაწყვეტს, ის არ ცნოს... იმის უფლებაც კი აქვს, როცა მოესურვება გალანტური იყოს... ძაღლების ყეფა ისმის შორიდან...

ავდექი... სად ვარ?... იქ, სადაც ლიანდაგი უნდა გადიოდეს (მახსოვს, მატარებლიდან გადმოვხტი), დაბალი რუა... მწვანე შუშისფერი კენჭებით და ვარდისფერი ლოკოკინებით... «გამარჯობა, ლოკოკინებო... მე თქვენ ზემოდან არ გიყურებთ... უნდა ავმდგარიყავი... მეტი გზა არ

მქონდა»... არცერთი სახე არ მახსოვს მათი, ვინც მატარებელში დარჩა... «მიმართულების არჩევა»... ღილაკს ვეძებ... პოსტ ეპოქაში ყოფნას ჰგავს... ყველაფერი პოსტია... სწორედ ამ მომენტში მე არ მაქვს სტატუსი... ფრენა პერსპექტივა არ არის... თითოეულმა ბზიკმა იცის ეს... აი, ფეხზე ვდგავარ... არც მაქანავებს. საფეთქელზე მიმხმარი სისხლი თითებით ჩამოვიშორე... გამხმარი სისხლის გრანულები ფრჩხილებში ჩამეჭედა... მეორე ხელი ისევ ჯიბეში მიდევს, რაღაც გლუვ და ცივ საგანზე ძლიერად შემოჭდობილი თითებით... იდაყვიდანაც სისხლი მდის... ზოლებად შემაშრა მაჯებამდე... მგრძნობელობა მკლავში ნელ-ნელა მიბრუნდება... «გაიქეცი!» მიყვირის ისევ ეს ხმა... ფეხი გადავდგი და ნიჟარის მსხვრევის ხმა მესმის... თითქოს მკერდში ლიფტის კაბინა ჩაწყდა, რაღაც მძიმედ ჩაეხეთქა ტერფებში...

ჯიბიდან ხელს ვიღებ და ძლიერად მომუშტულ მტევანს ვშლი... პატარა ზომის პისტოლეტია, ბარაბნიანი... ოფლში არეული რკინის მყრალი სუნი ყელში მეტაკება... «გაიქეცი... წინ იარე!»... – «წინ საითაა?» ნაბიჯებს ინერტულად ვადგამ... ძაღლების ყეფა მესმის ისევ... ვიცი, ეს მირაჟია, მაგრამ შეიძლება არც იყოს... ყეფა სულ უფრო და უფრო ახლოვდება... ტემპს ვუმატებ... უკვე თითქმის გავრბივარ... არა, გავრბივარ... ქარი ნახვრეტში საშინლად შხუის... გული მერევა... «არ გაჩერდე!» – ყვირის ხმა... «არავის მისცე უფლება, რომ დაგეკონტაქტოს! არავის დაელაპარაკო!» იმეორებს დაბეჯითებით... «ისინი გაგახსენებენ ყველაფერს... ერთადერთი, რაც გჭირდება, სიმშვიდეა... უარყავი ყველა საკომუნიკაციო საშუალება!...» ჩემი ეგო ახლა ალბათ კისრამდეა გვირილებში შესული... «არაფერზე იფიქრო, რითმებს აყევი! მიდი, ხომ გესმის ეს ბიტი? მიაყურადე!»

«დუ-დუმ-დუმ-ბსს...

დუ-დუმ-დუმ-ბსს...»

კადრი ამოვარდა... ბეტონის ნაცრისფერ კედელზე გაკეთებული გრაფიტები... რკინის კასრებში დანთებული ცეცხლი... კაპიუშონიანი ტიპი მოს დეფს ჰგავს...

ისევ აქ ვარ... ქვებზე ჩემი ნაბიჯები ჩხრიალის ხმას გამოსცემენ...

«დუ-დუმ-დუმ-ბსს» – იმეორებს ჩემში ჩართული ბიტი...

«ჰეი...» ჩემი ხმა ისევ ძველებურად ისმის. გაწონასწორებული ინტონაციით, თითქოს არაფერი მომხდარა...

«თავს ნუ აჯერებ, თითქოს რამე ხდებოდეს»...

«მისმინე!» – ხმას ვუწევ... მიკროფონზე თითით დაკაკუნების ხმა მესმის და მერე ამავე მიკროფონის გაბმული წრიპინი... რითმები ნაპირზე მოქუჩდნენ... მოდიან და ძალას მმატებენ...

მესერს იქით ღორია...

მესერს იქით სიცხეა...

ყველა დილა შორია,

თუკი მასში ვინმეა...

გავრბივარ... ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ფეხმორთხმით ვზივარ... ძველ მაგნიტოფონში ურბანული სუბკულტურის პირმშოები მაუწყებლობენ...

მესერს იქით ღორია,

ღიმილი აქვს ცბიერი...

ყველა სიტყვა შორია,

თუ ხარ პოლიციელი...

გული ძლიერად მიცემს... სად ჯანდაბაში მივრბივარ?! «არ გაჩერდე!»... ერთი შენი დედაც მოვტყან!

ბიტი გამოირთო და ნელ-ნელა ვუკელი სირბილს... სადამდეც ინერცია მიმყვა... და მერე გავჩერდი... ჩემი ეგო ხილულ დისტანციაზე მომიახლოვდა, ისევ თავისი გვირილების ველიდან... თვალებში ვუყურებ... მას არ ეძინა, მიმეზისის ბაქანს რომ ჩავუარეთ... ახლა ვგრძნობ ამას... ჩემი ჟესტიკულაციით რაღაც ნაცნობს მანიშნებს... მე გამოვტოვე მიმეზისი... იმიტომ არ ვარ თავფურცელზე... არც ამ მომენტში ვნანობ...

ფეხისგულები მტკივა და ძლიერად ვსუნთქავ...

ჰორიზონტზე სახურავს მოვკარი თვალი. ეს ჩემი სახლია... ჩემი სახლი უნდა იყოს... «შედი და ყველა მოკალი!» სისინებს ხმა... არავის მოკვლას არ ვაპირებ... სიგარეტი მომინდა... მივალ და ვეტყვი – «იქ არავინაა»...

«ცხოვრებისთვის მიზეზი არ გჭირდება.» ცდილობს, დამარწმუნოს.

შენობისკენ მივდივარ... გადახურვა დასასრულია? დასასრული აქვე უნდა იყოს... ტკივილის გეომეტრიით რომ ვიხელმძღვანელო, მე ახლა ვიმყოფები რომელიღაც კვადრატში, მხრებზე დადგმული წრეწირით, A და B პუნქტებს შორის... ყველა იმედი მკვდარია... ასე უფრო მშვიდად ვარ...

გონება ისევ გამოხატავს მზაობას რითმების თავმოყრისათვის... ინსტინქტი აქვს ასეთი...

– არავინ მომიახლოვდეს! – ვღრიალებ მოულოდნელად... საკუთარი ხმა მაშინებს, ის აღარ არის მშვიდი... პისტოლეტიანი ხელის ჰაერში ქნევას ვიწყებ...

«ზომიერება?» – ეს ხმა საიდან ისმის? მარჯვნივ ვბრუნდები და ვისვრი... ამ მიმართულებით, სადამდეც თვალი მიმიწვდება, არაფერი ჩანს... ლოგიკის მიხედვით, ჩემ მიერ გასროლილმა ტყვიამ ალბათ სადღაც დაასრულა ფრენა... არ ვიცი, ფიქრის დრო არ მაქვს... ყველას ხომ მაინც ის უნდოდა, რომ მემოძრავა?!

«ზომიერება?» – მესმის ისევ... მესმის, მაგრამ ვერ ვიგებ... რომელ საზომზე მიმანიშნებთ? თქვენ რა პრიორიტეტებით ხელმძღვანელობთ?.. ვის ვეკითხები?... (ღიმილი მნიშვნელოვანია, ღიმილი აუცილებელია) წავალ, ნაყინს ვიყიდი... დიდება სოციუმს!

ღიმილი მდგომარეობაა... ღიმილი რეაქციაა... ღიმილი მიდგომაა... ვგრძნობ, როგორ მითბება მუხლები ჩემივე შარდით, რომელიც კოჭებთან გრილდება და მაჟრჟოლებს...

– გვაქვს მარწყვის, ვანილის, შოკოლადის, შოკოლადი ვანილით... – თავზე კეპი ახურავს, თმა საგულდაგულოდ აქვს შეკრული. თითოეული ზოლი გარკვევით ჩანს, სავარცხლის მიერ დატოვებული კვალი... ეს გოგო მირაჟის ნაწილია, მაგრამ მაინც არ არის სიმპათიური... კუდი ზედმეტად მაღლა აქვს შეკრული და მიღიმის...

ღიმილი თემაა... ღიმილი პოზაა...

– ხელზე იხდით თუ პლასტიკური ბარათით?

«ღიმილით» – ვფიქრობ და ვეჭიდები ნახვრეტში გაჩენილ სიცარიელეს, რომ იქ, სადმე ყბები მოვიძიო... რომ განზე

გავჭიმო, მარჯვნივ და მარცხნივ...

– ყოველ ოცდამეთერთმეტე მყიდველს გადაეცემა ლიმონათის ჭიქა, ხუფში დატანებული საწრუპავი მილით... შეგიძლიათ, ნახატი თვითონ აირჩიოთ... მიკი და მინი... კაპიტანი კაუჭა... ელზა და ოლაფი... მამაცი მეკობრეები და იხვი დონალდი... და ეს კიდევ, Cannibal Corpse-ს ალბომის ყდაა ზედ დატანილი... თქვენ ალბათ იცით, რომ წელიწადის ამ დროს...

«თქვენ ალბათ იცით, რომ აზრი არ აქვს, რით დამთავრდება ეს წინადადება... ყველა შეთავაზება იდიოტობაა... უსუსურობის და უმწეობის ფასადური მხარე და მეტი არაფერი...» ვფიქრობ და სიტყვებს მშვიდი ყაისნაღით ვიბრუნებ ყელში, თქმით კი არაფერს ვამბობ...

– შემდეგი!...

## *ბოლოსიტყვაობის მაგვარი*

დიდებული მოგზაურობის დასასრული თითქოს არის გარკვეული შედეგების მიზეზი. სანამ ყველას ჰგონია, რომ ეს ნახვრეტი «ოდესმე» ამოივსება, ემოციურ ხვრელში გატრუნულს ექო გაგაჩნია და ამიტომაც არ ამბობ ხმამაღლა კონკრეტული ნიუანსების შესახებ... სიჩუმე იკეთებს ბკეს... ეს გარკვეულწილად გავსებს, სიმშვიდის რაღაც დონემდე... თუ ზედა ზღვარს არ ეძებ, შეიძლება საკმარისიც კი იყოს მორიგ ჩაყვინთვამდე... გადახტები და გზაში ფიქრობ, სანამ ყურები შხუიან... მერე მწვანე ფსკერისკენ ეშვები. ნანახი ფილმივითაა, რომელსაც თავიდან განიცდი... ყოველთვის შეგიძლია, ნაყინი იყიდო, როცა ამოყვინთავ... მთავარია, ზედაპირზე ყოფნა გინდოდეს... და ჰო, მხოლოდ სულელებს ჰგონიათ, რომ მაძღარი ეგო ჩასაძირი ქვაა...

და ახლა ამას მე ვამბობ – შემდეგი!....

.....

ბალიში რბილი ვარსკვლავებითაა სავსე და მე ვიცი, რომ ტივტივი საშუალებაა... მატარებლები იკარგებიან ნისლში... ყოველ მათგანს აქვს ბოლო გაჩერება, სადაც მერე მათ ჟანგი შეჭამს... ბეჭებზე ისევ წყალმცენარეები მეზრდება... მარადისობა ყველაზე ნეტარი რამაა ამ უთავბოლო გარინდებაში... ყველა სასწაულს აქვს აბზაცი, სადაც შეგიძლია, სული მოითქვა... სიღრმეში შეიწიე...

ღიმილი მნიშვნელოვანია...

***2016 წელი***

# 4. მწერლის არქივიდან

# პაატა ცანკაშვილი

## მოთხრობები კრებულიდან „ის საწყალი, ნაბიჭვარი დროება“

*ეს ავტორი სამწუხაროდ მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ გამოჩნდა ქართულ ლიტერატურულ სივრცეში. იგი მთელი ცხოვრება მუშაობდა ტექსტებზე, მაგრამ არასდროს ცდილობდა მათ გამოქვეყნებას და როგორც ჩანს, არც არავის აკითხებდა თავის ნაწერებს.*

*1961 წლის 6 თებერვალს დაბადებული პაატა ცანკაშვილი 2016 წლის 16 თებერვალს გარდაიცვალა და მისმა სამეგობრომ მისი გარდაცვალებიდან სულ რამდენიმე თვის შემდეგ დაბეჭდა მისი რომანი «დონ ბერნარდო ბერტი: ჩანაწერები, 1652». ეს წიგნი თვითგამოცემაა, მეგობრებს სხვადასხვა გამომცემლობებში არ ურბენიათ – უბრალოდ, მოაგროვეს ფული და ბეჭდური სახე მისცეს ტექსტს, რომელიც ავტორის კომპიუტერში აღმოაჩინეს, ფაქტობრივად, ბოლომდე გამზადებული, შერჩეული ვიზუალური მასალით და დაკაბადონებული.*

*რომანი ისტორიულ ეპოქას აღწერს. მისი მთავარი გმირი, ბერნარდო ბერტი, იტალიელი მისიონერია, რომელიც მე-17 საუკუნის საქართველოში მოღვაწეობს და თავის ჩანაწერებში იქაურობას აღწერს. უფლისწულ ლუარსაბის მკვლელობა არის ის მოვლენა, რომლის გარშემოც ავტორი აგებს წიგნის სამყაროს. ანუ ჟანრობრივად პაატა ცანკაშვილის რომანი ისტორიული დეტექტივია: ისე ხდება, რომ დონ ბერნარდოს უწევს ამ მკვლელობის გამოძიება და ამის გამო ყველა სოციალურ ფენასთან კონტაქტი – მეფე როსტომით და მეფე თეიმურაზით დაწყებული, ავაზაკებით დამთავრებული. ამ ფართო დიაპაზონში საოცარი ფერადოვნებით შლის პაატა ცანკაშვილი სისხლით და*

*ღალატით სავსე და, ამავე დროს, ბრჭყვიალა, დეკორატიულ, ეკლექტურ სამყაროს, სადაც რამდენიმე კულტურა ერთმანეთშია აზელილი და, რაც მთავარია, ეს ადამიანთა ცნობიერების და ცხოვრების პრინციპების გაორებას იწვევს.*

*ამ რომანმა უკვე გამოიწვია ინტერესი და უკვე იყო პირველი გამოხმაურებები ლიტერატორთა მხრიდან (დათო ტურაშვილი, შოთა იათაშვილი...). მოეწყო მისი პრეზენტაცია ილიაუნის წიგნის მაღაზია «ლიგამუსში».*

*პაატა ცანკაშვილს გარდა რომანისა, დარჩა მოთხრობებიც. ეს მოთხრობები სრულიად განსხვავებულია რომანისაგან და ავტორის სტილურ და თემატურ მრავალფეროვნებას თვალსაჩინოს ხდის. ახლა მიდინარეობს მუშაობა ამ ტექსტებზე და მთლიანობაში, მის არქივზე. «ახალი საუნჯე» ამ ნომერში გთავაზობთ მის რამდენიმე მოთხრობას და სამომავლოდაც შეეცდება, მოგაწოდოთ ამ უცნაური ბედისწერის მქონე უნიჭიერესი მწერლის უცნობი შემოქმედება.*

***რედაქციისაგან***

## ციკლიდან: „ხელოვანის პორტრეტი - პირველი შტრიხები“



ბრძენი კატა მთვარეზე

მახსოვს, პირველად რომ დამაფიქრა სიკვდილ-სიცოცხლის უცნაურობამ, ხუთი წლის ვიყავი.

წვიმდა, ციოდა; გაყინული ხელებით ვყრიდი ტალახში აზელილ კარტოფილს ტომარაში.

ბებიაჩემი, ფეფო, მარჯვედ ხმარობდა ნიჩაბს: მიუმარჯვებდა კვალს, დააჭერდა ღონივრად კალოშიან ფეხს და ამოაბრუნებდა ბელტს.

ჭრელ, დაბებკილ ბამბაზიის ხალათზე ძველი პლაში გადაეცვა, ნაქსოვი ქუდი ეხურა. შრომას ნაჩვევი, უხეში ხელები ჰქონდა – როგორც ყველა სოფლის დედაკაცს; მაღაზიის გამყიდველის, გიულის გარდა.

ჰოდა, ტალახში აზელილ კარტოფილს ვაგროვებდი ტომარაში გაყინული ხელებით და წვიმდა.

კი არ წვიმდა – ისე, უგუნებოდ ცრიდა.

მალე, ალბათ, თოვლს ჩამოყრიდა.

ჰოდა, ჩამოიარა ელვარდიმ – ჭლექიანმა.

ვიცოდი, მალე მოკვდებოდა.

ერთხელ გიულის მაღაზიაში «სნიკერსი» მაჩუქა – მაშინ გავიცანი.

მერე ქუჩაში ვხედავდი ხოლმე.

მე ჭლექიანების მეშინოდა, მაგრამ ელვარდის რომ ვხედავდი, შიშს – არა, სიცოცხლის სიხარულს ვგრძნობდი.

ოღონდ მაშინ არ ვიცოდი, რომ ეს სიცოცხლის სიხარული იყო:

მშვიდი;

უმიზეზო;

მარადისობასთან წილნაყარი.

ფეფოსგან გავიგე ერთხელ, ელვარდი კვდებაო და მაშინვე მოვიწყინე.

მერე მალევე გამიარა სევდამ.

სულაც დავივიწყე ელვარდი.

და როცა ტალახიანი ხელები შარვალზე გავისვი, დავინახე:

მოდის და მიწას დასცქერის;

რაღაცას ებუტბუტება: არ ვიცი – მიწას თუ თავის თავს.

გვერდით გაწუწული ძაღლი მოსდევს – არსენა.

(ძაღლებთანაც ამხანაგობდა).

ისე ჩამიარა, თავი არ აუწევია.

მე გავხევდი.

ჯერ გავიფიქრე, ალბათ, ადამიანები სიკვდილის წინ აქეთ-იქით არ იყურებიან-მეთქი.

მერე გამახსენდა, რომ აქეთ-იქით არც ანზორა იყურებოდა ხოლმე, გიულის ქმარი.

ანზორაც სიკვდილს ხომ არ ელოდებოდა?

არა-მეთქი, გადავწყვიტე; სიკვდილს როგორ ელოდება, როცა ამ დილით ახალციხიდან სამი ყუთი გაყინული ქათამი ჩამოიტანა-მეთქი.

სანამ ასე ვარ გახევებული, ფეფომ დამიძახა:

– ნიაზ! – თავი ავწიე. – შინ შედი, ნიაზი, შვილო; ძალიანა წვიმს.

არ შევედი.

კარტოფილს მივუბრუნდი, მაგრამ ფიქრით ისევ ელვარდისთან ვარ.

ნეტავ, რომ მოკვდება, სად წავა-მეთქი.

რომ მოკვდება, აღარასოდეს გაცოცხლდება-მეთქი.

აღარასოდეს, აღარასოდეს, აღარასოდეს გაცოცხლდება-მეთქი.

აღარასოდეს...

შემზარავი უსასრულობის განცდამ თავბრუ დამახვია.

მდინარის შხუილი ჩამესმა.

მდინარე მიშხუის, ადამიანები კი კვდებიან.

მდინარე სულ იქნება, მკვდრები კი ვეღარასოდეს გაიგებენ შხუილს.

ჩამოიარა მორებით დატვირთულმა «ურალმა».

მორებიც კვდებიან; მორები კი არა – ხეები.

მერე ხერხავენ, შეშად აპობენ და წვავენ.

და დამწვარი ხეებიც აღარასოდეს გაცოცხლდებიან.

არც ის მაჩვი გაცოცხლდება, ემზარამ და სოზარამ რომ დაიჭირეს ხაფანგით...

ჩემს კალოშებს დავხედე.

წვიმის წვეთებთან ერთად ოფლი ჩამომდიოდა სახეზე.

– ნიაზ! – დამიძახა ფეფომ.

ჭყაპა-ჭყუპით მივედი, გვერდით დავუდექი.

– მოხდა რამე?

– ელვარდიმ ჩამოიარა. – ვუთხარი.

– აბა, ელვარდი?

– ჭლექიანი.

– მერე რა მოხდა?

– შენ არ მითხარი, მალე მოკვდებაო?

– იმიტომა ხარ დარდიანი?

რატომღაც შემრცხვა.

თავი შემეცოდა და შემრცხვა.

– არა. – ვუთხარი.

– მაშ რატომა ხარ დარდიანი?

– ყველა მოკვდება, ფეფო ბებო?

– მაშ ცას კიტრად ვინ გამობმია?

– მეც მოვკვდები?

ნიჩაბი დაჰკრა ღონივრად მიწას, ჩაარჭო.

– ცუდი სიზმარი ხომ არ გინახავს რამე, ნიაზი, არ მომატყუო!

– არა.

– ვინმემ ცუდი სიტყვა ხომ არ გითხრა?

– არა.

– დარდმა გული ხომ არ შეგიღონა?

– არა.

– შინ არ შეხვალ?

– არა. ობსერვატორიაში ამიყვანე.

– ობსერვატორიაში რა გინდა?

– ნუგზარას უნდა ვუთხრა, ტელესკოპში გამახედოს.

– ახლა წვიმა და ღრუბელია, შვილო, ტელესკოპში როგორ გაგახედებს?

– ადრე მითხრა, გაგახედებო.

– მზე უნდა იყოს და ვარსკვლავები. ისე როგორ გაგახედებს?

– მზეში ვარსკვლავები როგორ იქნება?

ფეფო დაფიქრდა:

– თუ დღისით მზე იქნება, ღამით ვარსკვლავები ამოვლენ. მაშინ უნდა გაიხედო.

ცას ავხედე – მოქუშულს, მოქუფრულს.

მდინარის შხუილი ჩამესმა.

სველი ბელტებიდან ამოყრილ კარტოფილს დავხედე და უარესად მომეწურა გული – ელვარდი კვდება, ყველა კვდება, ჩვენ კი კარტოფილს ვიღებთ.

იყო ამაში რაღაც უაზრო და უკადრებელი.

– შედი შინ, – მითხრა ფეფომ, – მეც მოვდივარ.

ორღობე გადავიარე, ჭიშკარი შევაჭრიალე.

კალოშები კიბეზე დავტოვე.

ოთახში თბილოდა.

ღუმელში ჯერაც იწვოდა შეშა.

ავხედე პაპა ნიაზის სურათს.

მისი სახელი მერქვა.

ეეეჰ, ნიაზი პაპავო, იტყოდა ხოლმე ფეფო.

მაშინ იტყოდა, დარდიანი რომ იყო.

ეეეჰო, ნიაზი პაპავო...

შემოვიდა ფეფოც.

ნიაზი პაპა კარგად გახსოვს-მეთქი, ვკითხე.

ნიაზი პაპა თუ არ მახსოვს, მაშ ვინღა მახსოვსო?!

– ისიც ჭლექით მოკვდა?

– ჭლექს ნიაზისთან რა ხელი ჰქონდა?! სალი კლდესავით იყო!

– მაშ რატომ მოკვდა?

– ღადრიშვილმა უღალატა, რომ ამოუწყდეს ოჯახი!

– ღადრიშვილი ცოცხალია?

– ჩაძაღლდა. ძაღლი მიაკვდა სულში!

– ოღრაპიშვილმაც უღალატა?

– არა. ოღრაპიშვილი ალალი იყო.

– ფეფო ბებო, ვარსკვლავები რომ ამოვლენ, ტელესკოპში გამახედებ?

– ნუგზარას ვეტყვი და გაგახედებს. ამ ყიამეთში ტელესკოპი რად მოინდომე, შვილო?

– თუ მაინც უნდა მოვკვდე, კარტოფილის თხრას, ტელესკოპში გავიხედო, სჯობია.

– ვინ გითხრა, რომ უნდა მოკვდე?

– არავის უთქვამს.

– რა დროს შენი სიკვდილია, ნიაზი, საყვარელო?! ხუთი წლის ბიჭთან სიკვდილს რა ხელი აქვს?

– ხუთი წლის წინ დავიბადე?

– ჰო, შენ ცხვირ-პირს ვენაცვალე!

– რისთვის დავიბადე? თუ მოვკვდები, რისთვისღა დავიბადე?

– ჯერ არ მოკვდები, შვილო. ჯერ მე უნდა მოვკვდე. გამაპატიოსნებ, დამმარხავ, შენ ცოლ-შვილს მოეკიდები და წავა ცხოვრება თავისი გზით.

– ცხოვრებას გზა აქვს?

– ჰო, აგრე ამბობენ.

– სად მიდის ეგ გზა?

– ეგ არავინ იცის, შვილო.

– ახალციხეზე შორს მიდის?

– ახალციხეზე კი არა, თბილისზე შორს მიდის. თბილისზე კი არა... იმის იქით მიდის.

– ვარსკვლავებზე შორს მიდის?

– ეგ ნუგზარას ეცოდინება.

– იმიტომ, რომ ტელესკოპი აქვს?

– ტელესკოპიცა აქვს და ადამიანობაც. ახლა ერბოკვერცხს შეგიწვავ. ჭამე და მერე გაგაბანებ.

გამაბანა და დამაძინა.

სიზმრად ტელესკოპში ვხედავდი:

როგორ სციოდა დათოვლილ მთვარეს;

როგორ სციოდათ ხეებს მთვარეზე;

როგორ სეირნობდა ხეების ჩრდილში ფისო, რომელიც ადრე დავკარგეთ...

რბილი თათები;

აპრეხილი კუდი;

და ვარსკვლავებისფერი თვალები...

– ჩემი ფისო ხარ? – ვკითხე.

გვერდზე გადახარა თავი, დამაკვირდა.

მერე დაიკნავლა.

მთვარეს გადაუარა კნავილის ტალღამ, ვარსკვლავებს მისწვდა.

– აღარ დაგვიბრუნდები?

წინა ფეხები გაჭიმა, გაიზმორა.

ალბათ ეამა ჩემი დანახვა.

– მე და ფეფო იმდენს გეძებდით...

დაიკრუტუნა.

– იმდენს გეძებდით, სანამ თვითონ არ დავიკარგეთ.

ფისოს გაუკვირდა.

– ჰო, ემზარას და სოზარას ძაღლი გამოვართვით, შენი ჩექმა ვაყნოსინეთ და საძებრად წამოვედით.

მთვარეზე ქარი ამოვარდა, კიდევ უფრო მოუჭირა ყინვამ.

– ყველა ორღობე და ყველა ხევი შემოვიარეთ... ყველას ვკითხეთ შენი ამბავი... ვერ მოვიფიქრეთ, ტელესკოპით რომ მოგვეძებნე...

ანაზდად ფისომ ხმა ამოიდგა:

– რატომ არ მეკითხები, როგორ მოვხვდი მთვარეზე?

– როგორ მოხვდი?

– ცხოვრების გზამ ამომიყვანა.

– მეც მინდა, ცხოვრების გზამ მთვარეზე რომ ამომიყვანოს.

თვალები დაუვიწროვდა:

– მაშინ უნდა გასცდე ახალციხეს, გასცდე თბილისს და ავტობუსის ბილეთი აიღო.

– ძვირია ბილეთი?

– ძვირია. მეშვიდე სალაროში იყიდება – სიცოცხლის ფასად.

– რის ფასად?

– სიცოცხლის ფასად.

აღარ ვიცოდი, რა მეთქვა.

– ძალიან ცივა მთვარეზე?

– არც ისე, როგორც ტელესკოპში ჩანს.

– მე გავუძლებ?

– ყველაფერს გაუძლებ – სიცოცხლის ფასად.

– სიცოცხლის ფასად არაფერი მინდა.

– უფასო ყველი სათაგურშია.

აპრეხილი კუდი მომიშვირა და წავიდა.

– ფისო! – სასოწარკვეთილმა ავძახე მთვარეს.

– ყველაფერს შეძლებ, მაგრამ – სიცოცხლის ფასად! – მომაძახა.

ნისლი

დაინისლებოდა ფერდობი.

წითელ-ყვითელი ფოთლები გაირინდებოდნენ ნისლის მდუმარებაში.

დაისადგურებდა სიმყუდროვე.

აქა-იქ აფრენილი ფრინველი მალევე მიეფარებოდა თვალს.

ირგვლივ ნესტის, სისველის სურნელი იდგა.

ზოგიერთი სახლის სახურავი ბოლავდა.

ზოგიერთი მიეცემოდა სევდას.

არც ხალხი ჩანდა.

არც ძაღლები იყეფებოდნენ.

ხოლო ფიქრი...

დაიფერთხავდა ყველა სურვილს და აჰყვებოდა თეთრ, ფაფუკ ქულას.

ფიქრისა და სურვილების ზუზუნს როცა თავს აღწევ, შენს თავს ხვდები.

ოღონდ მაშინ ჯერ არ მენატრებოდა ჩემი თავი.

აივანზე ვიჯექი.

მოაჯირზე მქონდა ჩამოდებული ნიკაპი.

მშვიდი თვალებით და გრილი ლოყებით ვგრძნობდი სიცოცხლეს.

და ვიღაცას ჩემში უნდოდა, რომ ასეთ სიცოცხლეს დასასრული არ ჰქონოდა.

ავიღე ფურცელი და პირველყოფილის გულისყურით შევუდექი ხატვას.

პირველყოფილზე მეტი ხატვის არც გამეგებოდა.

მამონტის ნაცვლად თეთრი ფანქრით დავხატე ნისლი.

ხატვისას კიდევ უფრო დავინისლე.

მერე ოთახში შევედი და ნახატი საწოლის გვერდით გავაკარი.

დაინისლა ოთახიც.

წითელ-ყვითელი ფოთლებივით გაირინდნენ:

ძველი როიალი, დაკაწრული სარკე და ჭიანაჭამი კარადა.

კედლის საათის ხმა მდუმარებას კი არ აწუხებდა, უფრო საცნაურს ხდიდა.

და უცებ ვიცანი – საყდრის სიმყუდროვე და ჩუმი ბინდბუნდი.

უნებურად პირჯვარი გადავიწერე.

მგონი, არ შემშინებია.

მეშინოდა მღვდლების და შაოსანი დედაკაცების.

(საყდრის გვერდით დედათა მონასტერი იყო).

არ მსიამოვნებდა საკმევლის სურნელი.

მაგრამ ჩუმი ბინდბუნდი მათრობდა.

ფრესკებს ისე ვუყურებდი, როგორც მულტფილმის გაჩერებულ კადრებს.

ოღონდ ეს პირქუში კადრები იყო.

არც – ღიმილი, არც – კუდზე ცეცხლშემონთებული კატა.

ეს მოზრდილების მულტფილმი იყო.

რომელსაც ისე ეკრძალვოდნენ, როგორც ბიძაჩემი – რევიზორს.

და მაინც მიყვარდა საყდარში ყოფნა.

უკეთ – უცნაური თრობა.

მთავარი იყო, ვინმე შაოსანს არ დავეფრთხე.

როგორც ჩიტი – საფრთხობელას.

(მერე გავოცდები, როცა ვნახავ, როგორ თამაშობს ძია მღვდელი ჭადრაკს).

ხოლო შინ, ოთახში, პირველად შემიქცია თრობამ.

თითქოს ყველაფერს პირველად ვხედავდი:

როიალს, სარკეს, კარადას.

თითქოს ვიღაცას ნახშირივით შავი მტვერი გადაეფერთხა.

ან თითქოს მზრუნველ ხელს ცოცხალი სულისთვის სუდარა გადაეხადა.

და უცებ საკმევლის სურნელი ვიგრძენი – ნეტარი, ნეტარი...

მას მერე ვიცოდი, რომ საყდრის სიმყუდროვე ყველაფერში სუფევს.

რომ ყოველთვის დაფარულია ნამდვილი სახე.

რომ მასთან შეხვედრა საიდუმლოა.

ვერსად გაამხელ...

ნისლი ჩაიწურა.

ფოთლები ქარში...

რა კარგია, რომ ერთმანეთს არ ვიცნობთ, ძმაო...

კიდევ ერთი ნაბიჯი და – ჩამოღამდება...

## ციკლიდან: „ტურფა ქარების ქორო“

სერენადა სე

***Allegro***

ხანდახან ხდება: მშვენიერ ქალთან ერთად ხარ, მშვენიერ ჯაზს უსმენ, ბუხარში ცეცხლი გუზგუზებს, ყველა უაზრო პრობლემა და უაზრო სახე შორსაა და მაინც არა ხარ კარგად;

და ხდება: ტუტუც კაბაკში, ტუტუც ტაკუნასთან ერთად, ტუტუცი რახარუხით ინაგვიანებ სმენას; ახლოს პერსტენიანი ყაჩაღების ხროვა ხორხოცებს; მოშორებით სევდის ქარებს დაუმანჭია კახპა. და მაინც ნეტარი ხარ, როგორც მარადისობის მდგმური.

და ნუ იტყვი, რომ მხოლოდ ეშმაური დეპრესიაა ამის მიზეზი!

მისმინე, ტრაკუცა!

ყველა უნიფხვო ძენ-ბუდისტი გეტყვის: სატორი ყველაზე განთქმულ მონასტერში, ყველაზე დაწინაურებული მოძღვრის გვერდით, შეიძლება, ათასი წლის განმავლობაში ათას რიზეც არ მოგეკაროს, მაგრამ მერე საპირფარეშოში გეწვიოს!

ჰკითხე ანა ანდრეევნას, საიდან შეიძლება დაიბადოს ლექსი!

ანდა, ჰკითხე მაკლაფლინს, რა ურჩია მაილსმა, როცა მეფის სიახლოვემ გველნაკრავი კურდღელივით გაახევა!

ანდა, გაიკითხე, თომას ჯეფერსონი რად დაიარებოდა კონგრესში ოდეკალონის შუშით – დემოკრატიის დიდი და

პატარა მამები იმ დროს ყარდნენ, ტანს არ იბანდნენ. მაგრამ ამერიკა იმათი გამოჩეკილია.

არა, ტრაკუცა, არ ვსკატოლოგობ.

სხვა რამის თქმა მინდა: დაბადება ყოველთვის მოულოდნელია – განცდის, ჰანგის, ამბის...

და ვერც იქ იპოვი ვერასოდეს, სადაც დაკარგე.

ყალიონიანმა მატლმაც კი მშვენივრად იცოდა: თუ გინდა, მიხვიდე სადმე, ჯერ უნდა წახვიდე.

უნდა დატოვო მოგუზგუზე ბუხარი, დაივიწყო დაობებული ოცნება, მიაფურთხო ყეყეჩ იმედს, საფლავის ქვასავით რომ ამძიმებს ცხოვრებას...

და წახვიდე.

როგორ თუ სად?

ამას რა მნიშვნელობა აქვს?

იქ – სადაც შეგდებული ქუდის გამოსატანადაც არ შეხვალ სწორ ჭკუაზე!

გეოგრაფია, ამჯერად, არაფერ შუაშია.

და ნუ იფიქრებ, რომ რასაც დაეძებ, აუცილებლად იპოვი იმას.

ჯერ ერთი, აუცილებლობით არაფერი იბადება.

და წასვლაც მხოლოდღა შანსია.

ჰო... როგორ გგონია, მადრიდელმა ებრაელებმა რა დააფინანსეს?

ინდოეთის აღმოჩენა?

არა, ტრაკუცა!

მადრიდელმა შაილოკებმა შანსი დააფინანსეს და კოჭიც გაუგორდათ.

იმათაც და ქრისტეფორესაც.

ჰოდა, ამის თქმა მინდოდა: ერთს თუ დაეძებ – ჯიგრით, ჯიუტად, სიმღერ-სიმღერით, – სულ ცოტა, სხვას მაინც პოულობ.

და თუ არ ეძებ...

ხოლო ჩემი ინდოეთი შენ ხარ!

ინდოეთი თუ ვესტ-ინდოეთი!

და სანამ აღმოგაჩენდი, უამრავი აყროლებული კაბაკი შემოვიარე.

აყროლებული კაბაკების ოკეანე.

გზად მრავალ ბოზს გადავეყარე და მრავალ ყაჩაღს.

გზად მრავალჯერ შემომაღამდა.

ვის დავეძებდი?

ღმერთმანი, არ ვიცოდი.

თავიდან ტრაკუცა ვერც კი ვიცანი.

თუმცა სხვანაირად როდის სად ხდება?

ასეა:

ხვდები და ვერ ცნობ;

უყურებ და ვერ ხედავ.

ვერ ვიცანი...

ხოლო ირგვლივ მზე იყო და წონასწორობა.

მერე მომესმა: «I SEE YOU, LAH LAH LAH, LAH LAH LAH, LAH LAH LAH, LAH LAH LAH, I SEE YOUUUUUUU!»

ეს იყო ჩემი ბიჭობის კერპი, მრ. ანდერსონი.

ხავერდოვანი ხმა.

ხავერდოვანი მთები.

ტალღების აკომპანიმენტი.

და აღტაცებით ვთვრები.

შორს გემი მიაბოლებდა სტამბოლის გზაზე.

ანდერსონის ჰანგმა და მბოლავმა გემმა, ზღვამ და სივრცემ დრო გააჩერეს.

ანუ შენივთდა დრო: წარსული, აწმყო და მომავალი.

(საწყალმა პრუსტმა იცოდა ყველაზე კარგად ამ ჯადოს ფასი).

შენივთდა:

გემის კვამლში – «ცას ეტმასნება და სადღაც ერთვის...»

მზის ნათელში – «ფერადებად დამსხვრეული მზე გაჩვენონ...»

ძველ სიმღერაში – «Я любил немногих, однако –сильно...»

გამახსენდა მარინა ბასმანოვა, მერე – მარინა გერნი.

აი, ვინ იყო დედაკაცი!

მეტისმეტად ადრე შემხვდა, მისი დედაკაცობა რომ დამეფასებინა.

ხოლო მრ. ანდერსონი არ ცხრებოდა: «...I SEE YOUUUUUUU!»

და ვხედავ:

ლამაზმანი ამოცურდა ზღვიდან: ვიწრო თეძოებით, ვიწრო ტრაკუცით და ქალწულის მკერდით.

KARAMAAAAT!!!

განა ვენერა ასე არ დაიბადა?!

(სხვათა შორის, – არ მიწყინო, ტრაკუცა! – ისე, სხვათა შორის, იცოდე:

რომაელებს ჰყავდათ აგრეთვე VENERA CLOACINA, – კანალიზაციისა და საპირფარეშოების მფარველი. მისი სახელობის ტაძარს ერქვა CLOACA MAXIMA).

მაგრამ...

გატყუებ, ძვირფასო!

ამოცურდა ტრაკუცა ზღვიდან და ვერ დავინახე.

ანუ ვუყურებდი და ვერ ვხედავდი.

და რაკი ვერ ვხედავდი, როგორღა შევძახებდი დიდი მოგოლების სასახლისთვის ასე ჩვეულს? – KARAMAAAAT!!!

ვერ შევძახებდი...

და ჰა, დადგა ჟამი, – უთუოდ დადგა! – რომ მოგესაუბრო მხედველობის ასავალ-დასავალზე.

ამბავი მერე გავაგრძელოთ.

ხოლო მხედველობის ასავალ-დასავალის შესახებ აი, რას ამბობდა ბრძენი ჩჟან ჟაო, როცა მას ყურადღებით უსმენდნენ ყარიბები, ტყიურები და მინდვრის მწერები:

– კეთილშობილ მამრს თუ უნდა, ზეცას ხედავდეს, თავის სულს ჩასცქერის;

– კეთილშობილ მამრს თუ უნდა, თავის სულს ხედავდეს, ზეცას ასცქერის;

– კეთილშობილ მამრს თუ უნდა, ცხადს ხედავდეს, სიზმრებს ჩასცქერის;

– კეთილშობილ მამრს თუ უნდა, სიზმრებს ხედავდეს, ცხადს გასცქერის;

– კეთილშობილი მამრი თუ დასტურ ხედავს, თვალებს ხუჭავს;

– კეთილშობილი მამრი თუ დასტურ ვერ ხედავს, თვალებს ახელს...

(ჩემს პარიკმახერს, Yურა ხაჩატუროვს, რომ მკრიჭავდა, ლტოლვილი დედაკაცი დაეღრიჯა, ფული მასესხეო: მე ხომ მიცნობ, იურ, ხომ მენდობი; ბევრი არ მინდა, ორმოცი ლარი მასესხეო. Yურამ მიუგო: ორმოცი წელია ცოლი მყავს, მაგრამ ღამით, რომ მძინავს, ცალი თვალი მაინც მიხელია – ბოლომდე იმასაც არ ვენდობიო).

WELL.

დავუბრუნდეთ ზღვას და ტრაკუცას.

ბათუმს ქათქათას...

ტურფა ქარებს...

სიზმრებს...

ცხადს...

საინტერესოა, ქრისტეფორეს (ევროპელ მგალობლიშვილს) სხვანაირად რომ აქცეოდა მხარი და ბათუმს სწვეოდა, როგორ წარიმართებოდა საქართველოს ბედი, შენი და ჩემი ყისმათი?

ვინძლო, ჩვენ პარლამენტში ევლო ოდეკალონის შუშით მრ. ჯეფერსონს...

ვინძლო, მე და შენ ჰოლივუდის ვარსკვლავები გავმხდარიყავით და ქვეყანას სცოდნოდა შენი და ჩემი ფეხის რაზმერი...

ვინძლო, JFK-ს მიშას სახელი რქმეოდა...

მოკლედ, ამოხვედი ზღვიდან ტურფა ტრაკუცით და ვერ დაგინახე.

გიყურებ და ვერ გხედავ.

სხვა სივრცეებს ადნება გულის ნიაზი.

იქვეა ჩემი მეგობარი ნოდარი.

სხვათა შორის შენიშნა:

– შეხვედრა ხვედრია!

ვერაფერი შემაგნებინა.

თოლიების ყივილი ჩამესმის.

კვლავ მოგონების შორეთის ტყვე ვარ:

როგორ შვენოდა საქსაფონის ეული ყივილი იმ ღამეს ქალაქს...

ტყვე ბრმაა;

მონა ლენჩია;

პროლეტარს დღევანდელი დასალევი ურჩევნია ხვალინდელ რევოლუციას...

ჩამოიარა მოხარშული სიმინდის გამყიდველმა დედაკაცმა.

კენჭებს მოაჩხარუნებს.

ჩამოიარა შეზლონგების გამქირავებელმა დაღრეჯილმა კაცმა.

უკვე მთვრალია.

ტრაკუცა სადღაა?

წამოკრიფა თავისი ხელბარგი, პირში – პაპიროსი და წასვლას აპირებს.

კიდევ კარგი – ამხანაგები იზლაზნებიან.

სულ ნარჩევი ტაკუნები!

მაგრამ ტრაკუცა ერთია!!!

და როცა მთელი გუნდი წამოიშალა (ბალბეკი!!!) ნოდარს ნერვმა უმტყუნა:

– არ გდომებია რძე-ყველი, შენ შეგიწუხდა ყლე-ყვერი!

და უცებ ამ სიტყვებში მოიყარა თავი წარსულის, აწმყოს და მომავლის ბუდათა სიბრძნემ!

და უცებ იფეთქა თვალის შუქმა!

THALATTA!!! THALATTA!!!

მე დაგინახე შენ, ძვირფასო!

I SEEEEEEE YOUUUUUU!!!

ეს იყო სატორი, რომლის ბადალიც ვინმე კერუაკს პარიზში არც დაესიზმრებოდა!

ეს იყო სიმღერა, რომელიც სოლონს სიკვდილზე მეტად სიცოცხლეს ანატრებინებდა!

ეს იყო დუმილი, საიდანაც მზე დაიბადა...

და ახლა... შიგადაშიგ... თუკი შენთან ერთად მაილსის ღვთაებრივი ჰანგის მოსმენას ტუტუც კაბაკში, ტუტუც ტაკუნასთან ერთად, ტუტუცი რახარუხით სმენის დანაგვიანებას ვამჯობინებ...

გულს ნუ გაიტეხ!

CLOACA MAXIMA-ს თავისი ადგილი აქვს.

და თუკი არ წავედი, – შიგადაშიგ, ძვირფასო! – როგორ გინდა, მოვიდე შენთან?

და თუ არ დამეძებ, როგორ მიპოვი?

და თუ ცარიელ საწოლს არ მიაპყრობ ცრემლიან მზერას, ვით დამინახავ?

LOS ENDOS...

არა, ადრეა! (ნეტავ გერქვას, ჩემო, ანდრეა!)

შუადღეა და...

ჯერ წინა გვაქვს – ოჰ, რამდენი დღესასწაული!!!

როცა ღამეა...

ნაზი მთვარეა...

ჩრდილი ჩრდილს ეფინება...

როცა ღამეა...

## ფიჭვი

სულ შვიდი ფიჭვი გვედგა ეზოში.

ერთი სიმაღლე ჰქონდათ, ერთსა და იმავე ვარსკვლავებს აჰყურებდნენ.

ღამღამობით.

როცა ადამიანები უმწეოდ ხუჭავდნენ თვალებს და ძილს ეძლეოდნენ.

იმათ არ ეძინათ.

ღამღამობითაც გამიგია ჩამოვარდნილი გირჩის ხმა.

დიდრონი, ჯიშიანი გირჩები სცვიოდათ.

ჩვენ ვაგროვებდით ხოლმე.

იმ გირჩებით ვანთებდით ღუმელში ცეცხლს.

ჩაიშლებოდა გირჩები ღადრად და მერე შეშა აბრიალდებოდა.

ოთახი თბებოდა, ფანჯრები იორთქლებოდა.

გადავუსვამდი ფანჯარას თითებს.

მივადებდი ცივ მინას ცხვირს.

შემცივდებოდა ცხვირზეც და ტუჩებზეც.

მერე შევაჩვევდი სიბნელეს თვალს.

და ვიგრძნობდი დათოვლილი ტოტების სიმძიმეს.

ხოლო შვიდთაგან ერთს ტოტები უფრო ზემოთ ჰქონდა აჭრილი.

და მასში სხვა გრძნობა იყო შენივთული.

ეს გრძნობა იყო რამდენადაც იდუმალი, იმდენადვე ძვირფასი.

ეს გრძნობა იყო მხოლოდ ჩემი.

ახლა მას უფსკრულს თუ შევადარებ.

ეს ზღაპრული უფსკრულია:

რაც უფრო ღრმად ეშვები მის სიღრმეში, მით უფრო გშორდება ფსკერი.

მერე ძილის დრო მოდის.

მერე – სიზმრების.

მგონი, სიცოცხლეც სიზმარია.

ხოლო ის, რასაც სიზმრის ჯადო არ ახლავს, ორღობის ნეხვივით იაფია...

აი, როგორ იდგა ტოტებშეჭრილი ფიჭვი:

როგორც გრძელფეხება, კაბაწამოხდილი გოგო!

ასეთი გოგო მორყეულ, ოხშივარადენილ აბანოში ვნახე.

კაბაწამოხდილს გრძელი ფეხები და ჩიტის ბუდე გამოუჩნდა.

ოღონდ ეს სულ სხვანაირი ჩიტის ბუდე იყო:

თანაც უსირცხვილო და თანაც ნაზი;

გაჩეჩილი და თანაც ლამაზი;

უმწეო და თანაც ამაყი...

პირის დაღება აღარ დამცალდა – ბებიაჩემმა, ფეფომ, შხაპისკენ წამაჩანჩალა.

მორჩილად დავდექი ჭავლის ქვეშ.

სასოწარკვეთილს ფეხის თითები მომკრუნჩხვოდა.

და ვერ გამეგო, რად დაედო ჯადოს ბინა ჩიტის ბუდეში.

ანდა – რად იყო ასე ჩათლახურად გულის მდაღველი...

წამოვედით აბანოდან შინ, ამოვიარეთ ატალახებული ორღობე.

არც ჩაი მეამა და არც თაფლის კვერი.

მომერია თვლემა.

ჩამაწვინა ფეფომ საწოლში და ჩუმად ავტირდი.

ეს არ იყო როყიო სევდა.

ეს იყო იმედგამოღადრული სურვილის სიმწარე...

ჩუმ სიმწარეში გავატარე სამიოდ დღე და თოვლიც მოვიდა.

მივუცუცქდი ფანჯარას.

ცხვირზე მცივა, გავაზე მცხელა.

და ვხედავ: ტოტებშეჭრილი ფიჭვი კაბაწამოხდილი გოგოსავით დგას...

მერე გავიგე – ასეთი რამ ღმერთკაცსაც შეიძლება დაემართოს.

თანაც – სიბერეში.

ოღონდ ღმერთკაცი რაკია, – თანაც პოეტი, – სხვანაირად იქცევა:

«მარიენბადულ ელეგიას» წერს.

უცნაურია:

პატარა ბიჭსა და ღმერთკაცს შორის უთვალავი მზის წელიწადია.

და თან – ერთი ნაბიჯი...

თუმცა:

ბედით ან უბედობით...

ქარს თუ აჰყევი...

სადამდეა ნაბიჯზე მეტი?

**სარკე**

წამოვედი შინისკენ დაფეთებული და ვფიქრობ:

ნეტავ, გზად არავინ შემომხვდეს-მეთქი;

ნეტავ, ვინც შემხვდება, არ მიცნობდეს-მეთქი;

ნეტავ, საერთოდ არავინ მიცნობდეს-მეთქი ქვეყნად.

ვინც გიცნობს – სარკესავითაა.

შეხვდები და თითქოს სარკესავით ირეკლავს:

ყველაფერს ცუდს – რაც ჩაგიდენია;

და ყველაფერს კარგს – რაც არ ჩაგიდენია.

ვინ ისურვებს ასეთ სარკესთან შეხვედრას?

მით უფრო – მაშინ, როცა აღარაფერს ეშველება.

ამ დროს არათუ შეხვედრა, სუნთქვაც ტვირთია.

მოდიხარ და იხუთები.

მოდიხარ და გახრჩობს.

ცრემლი და ბოღმა.

უძლურება და სიძულვილი.

შენი თავის სიძულვილი და უძლურების ბოღმა.

ნაციხარს ზემოდან შემოვუარე.

იქ ათასში ერთხელ თუ გაივლიდა ვინმე.

გადავხედე სასაფლაოს და იქაც არავინ ჭაჭანებდა.

ჩავუარე დაჟანგულ ტრაქტორს, მიტოვებული სახლის ფანჯრებს.

უცნაურია: სულ არ შემშინებია.

სხვა დროს აქ მარტოდმარტო გამოვლას ვერიდებოდი.

ახლა ფეხზე მეკიდა – მგლებიცა და ავი სულებიც.

ახლა ადამიანის დანახვას მგლის დანახვა მერჩივნა.

ხოლო შიშზე ათასჯერ უარესი სირცხვილი გამოდგა.

მაინც შემომხვდა – დომენტი, ფოსტალიონი.

საით გაგიწევიაო, მეკითხება.

არსაით-მეთქი.

რა დაბღვერილი მოდიხარო.

წადი, შენი-მეთქი.

გაოგნდა: შენ თუ ლანძღვა იცოდი, ამას როგორ წარმოვიდგენდიო.

დავადე თავი და მოვდივარ.

მოიცადეო, დამიძახა.

გავჩერდი.

– რა მოხდა, ნიაზ?

ცრემლი ჩამიდგა თვალში:

– ყოყოჩამ თავისი ცოლი სცემა.

– მერე?

– რაღა მერე?

– ხალხი არ იყო ახლომახლო?

– ხალხიც იყო და ნახირიც.

– ხელიდან არავინ გააგდებინა?

– არა.

– მერე, შენ რატომ ჯავრობ?

– გუშინ ნაზუქი მომიტანა.

– ყოყოჩას ცოლმა?

– ჰო.

და ავტირდი.

ფუი, ეშმაკს...

და ავტირდი.

დავეშვი სირბილით ფერდობზე.

შევვარდი შინ და ჩავიხედე სარკეში.

ნეტავ, ეს არ მექნა...

ნეტავ, სარკეში არ ჩამეხედა...

სარკეს ხომ ასი წლის მერეც ყველაფერი ახსოვს...

**მზე**

დახუჭავ თვალებს და აინთება თვალებში ცეცხლი.

მხოლოდ ცეცხლი ბრიალებს.

თვითონ ხარ ცეცხლი.

ნუ ჩაიწვები!

გაუღიმე ფიჭვებს და ხეებს!

ირგვლივ იმდენი სასწაულია!

იმდენი ხმები!

მზე აბეზარია.

გათენებისას და დაღამებისას თუ დაიცხრობს სახეს.

მრგვალი...

ძუძუსფერი...

კერტი აკლია...

სიცარიელე ხელისგულებში.

სადღაც მღერიან.

უმღერე მზეს, ლამაზმანო, აცქვეტილი ძუძუსთავებით!

არა, კი არ ვბოდავ,

აი, რაში იყო საქმე:

გამატანეს მაწონი მეზობელთან.

მეზობელთან კი არა, იმის დამსვენებელთან.

დამსვენებელს ჰქვია დეიდა ირმა.

გოგონასთან ერთად ისვენებს.

მე გოგონა არ მაღელვებს.

მე მაღელვებს დეიდა ირმა.

(გოგონა სულ ტაკუნიაა – ასე, 10-12 წლის).

ხოლო დეიდა ირმა...

ყველას აღელვებს.

ახლა რომ ვიხსენებ, ოცდაათისაც არ იქნებოდა.

სოფლის ბიჭები მართლა გავეშდნენ.

წამოწვებოდა, – ჰო, დეიდა ირმა, – წამოწვებოდა და ირუჯებოდა.

მამიდაჩემი იტყოდა ხოლმე ბოროტად: მოსწონსო!

სოფლის ბიჭებს რომ ანძრევინებს, მოსწონსო!

მე არ ვიცოდი იმ სიტყვის ასავალ-დასავალი.

მაგრამ ვხვდებოდი, რომ ბიჭებიც და დეიდა ირმაც რაღაცას მიქარავდნენ.

მე კი მხოლოდ მაწონი გამატანეს.

გამატანეს და ვხედავ:

გადაჩაჩხულა და ეფიცხება მზეს.

მზე გულუხვია – მცხუნვარებას არ იშურებს:

არც ზემოთ-ქვემოთ მოსეირნე ძუძუ-მკერდისთვის;

არც ამობზეკილი ბოქვენისთვის.

დავადექი თავს მაწვნის ქილით და ძლივს გადავყლაპე ნერწყვი.

მიღიმის, მე კიდევ შავი სათვალე მაფრთხობს.

რაშია საქმეო.

აგერ-მეთქი... აგერ, მაწონი გამომატანეს-მეთქი.

ჰოდა, გამივარდა ხელიდან ის დამთხვეული მაწონი.

მაწონი კი არა... მაწვნის ქილა.

გამივარდა და დაეცა მუცელზე.

შეჰყვირა დეიდა ირმამ.

მე ჩემი დამემართა.

ამოუვსო მაწვნის წვენმა ჭიპის ღრმული.

მერე ჩაურია საჩვენებელი თითი, მოისხა ყველგან და გაისვა ხელი.

თან იცინის.

სანამ გული შემიღონდებოდა, დავადე თავი და გამოვიქეცი.

მერე, რომ მოვიზარდე, ბევრი ქალისთვის მითქვამს:

მაწვნიან ხელს ამოგისვამ-მეთქი.

რომ გაოგნდებოდნენ, თავს ვიმართლებდი, უკბილოდ ვიხუმრე-მეთქი.

მოდი და, ახსენი – ლექსის, ანდა სიმღერის...

ანდა აგვისტოს მზის მხურვალებაში ამაწვნებული სასწაულის ჯადო...

**გზანაცდუნები**

მახსოვს, როგორ ამივსო გული ტკივილით მისმა ქვითინმა:

ბოზი ვარ და ბოზად დავრჩები ცხოვრებაშიო.

ეეეჰო...

ბოზი ვარ და ბოზად დავრჩებიო...

ცხოვრებაშიო...

მე კარადის უკან ვიმალებოდი და ცრემლი მდიოდა.

და მეცოდებოდა ქვეყნად ყველა ბოზი და ხელმოცარული.

განურჩევლად სქესისა, გვარიშვილობისა და კონფესიური კუთვნილებისა.

გარეთ წვიმდა.

წვიმის ხმაზე გული უარესად მეწურებოდა.

და გულით მინდოდა, რომ ბოზებსა და ხელმოცარულებს ხელი გამართვოდათ:

ან ფულიანი საყვარელი ეშოვათ – თუნდაც საწყობის გამგე;

(ეეეჰო... მაგის ბედი მე ვინ მომცაო...);

ან ლატარიაში მოეგოთ – თუნდაც ზაპოროჟეცი;

(ერთი ხეპრე ჩიოდა წყაროსთან, ზაპოროჟეცი მაინც მომაგებინაო);

ან საპასპორტოში მაინც ჰყოლოდათ ნაცნობი...

მერე წვიმის ხმაში მდინარის ხმა გამოვარჩიე.

ან უკვე გადაეღო წვიმას, ან უკვე ჟინჟლავდა.

გამოვძვერი ჩუმად კარადის უკნიდან და გადავძვერი ფანჯარაში.

ეზოში ბნელა.

აღარ ვიცოდი, რა მექნა: იქ დავრჩენილიყავი, თუ შინ შევსულიყავი.

თან მინდოდა ბოზის დანახვა, თან ფეხი უკან მიდგებოდა.

წყაროზე ამასაც ჰყვებოდნენ:

რუსეთში სამმა ბოზმა თბილისელი ბიჭი გააუპატიურაო.

ჯერ თოკი წაუჭირეს იმაზეო – რომ არ დავარდნოდაო.

მერე რიგრიგობით გააუპატიურესო.

სამი დღე ჰყავდათ ტყეშიო.

მესამე დილას მეღორეს უპოვია ცოცხალ-მკვდარიო.

მაგრამ ჩვენი სტუმარი ისე ქვითინებდა...

მუშტები შევკარი, კბილი კბილს დავაჭირე და შევედი შინ.

ვხედავ, ერთი საწყალი დედაკაცი ზის ჭრელი ბამბაზიის ხალათით.

ამას ვერც საწყობის გამგე უშველის და ვერც ნაცნობი საპასპორტოში.

ნიაზ, მოდიო, – ბებიაჩემი მეუბნება.

აიო, ეს არისო...

შენ რომ ახსენებდი, ციცო დეიდა რომელიაო, ეს არისო.

როდის ვახსენებდი?

მოდი, შვილო, დამენახვეო, ციცო მეუბნება.

ვფიქრობ, ბებიაჩემთან ვერაფერს გაბედავს, ტყეში ხომ არ ვართ-მეთქი.

მივედი და ჩამოვუჯექი მუხლებზე.

ეეეჰო, მაგდა მამიდო – ბებიაჩემს ეუბნება.

ეეეჰო...

ყისმათი რომ მქონოდა, მეც ასეთი დათვის ბელივით ბიჭი მეყოლებოდაო...

ბებიაჩემმა – ბორშიო; ბორში გაგიცივდაო.

შენ მაინც ხომ გახსოვს ჩემი ქალიშვილობაო – ჩამომსვა და ბორშს შეექცა.

როგორ არ მახსოვსო – გადაპენტილ ვარდს ჰგავდიო.

იმის მერე რამდენმა წყალმა ჩაიარაო...

ბებიაჩემი საათს ახედა.

მივხვდი: ანდრო პაპას მოსვლას ელოდება და ეშინია.

ყველა წყალწაღებული შენ როგორ უნდა შეგეცოდოსო – პაპა უჩიოდა.

ყველა წყალწაღებული და ხელმოცარულიო.

იმისგან ვიცოდი ეს სიტყვა.

ხოლო ყველას შეცოდება ბებიამ მასწავლა.

წამოვიდა ისევ წვიმა.

ალბათ, ვიღაც ჩემში არც ტყუოდა:

საშინელებაა...

როცა გვიანი შემოდგომის წვიმიან საღამოს სხვის სახლში...

აკანკალებული ხელით შეექცევა ბორშს დაუპატიჟებელი კახპა.

ხოლო ანდრო პაპას მაშინ გავუგებ, როცა მივხვდები:

ხელმოცარული კაცი ისეთივე ტანჯულია,

როგორი გზანაცდუნებიც კახპაა.

და არც იღბალს აქვს არავის ვალი – სულ არავისი...

**ზაფრა**

წავიყვანეთ ჩემი პოინტერი გოგირდის წყაროზე – უნდა გავაბანოთ.

მეძებარი ძაღლია – მშიშარა, ჩხუბში უვარგისი.

გოგირდამდე ხუთასიოდე მეტრია ორღობეში გასავლელი.

ორღობე კიდევ ქოფაკებითაა სავსე.

უცხო ძაღლი თუ მოიხელთეს, დაბდღვნიან.

ჰოდა, დავიბარე ბიჭები, კეტებით შეიარაღდით და მოდით-მეთქი.

მერე მწყერი ჩემზე იყოს-მეთქი.

მე შუაში ჩავდექი.

ერთ ხელში მეც კეტი მიჭირავს; მეორეთი ძაღლს ვიმაგრებ თოკით.

დაგვინახა ბებიაჩემმა და შესძახა: «Ave Cesar!»

ცეზარა ჰქვია პოინტერს, ბებიაჩემი კიდევ კათოლიკეა.

ჰოდა, წავედით.

კვესტორებივით მივაცილეთ ცეზარა გოგირდამდე.

არადა, თურმე მთავარი ახლა იწყება.

დედაკაცები დგანან გოგირდის რიგში სარეცხით.

დაგვინახეს და აღავღავდნენ – ჩვენ ძაღლის დაბანა არ გაგვიგიაო.

თქვენი ლანდი არ იყოს აქაო.

ძალიან რომ ვეხვეწეთ, გული მოულბათ – ჯანდაბასო, დადექითო.

დავდექით ჩვენც რიგში.

სანამ რიგი მიიზლაზნება, ორი კვესტორი ყარაულში დგას.

სამნი მდინარეზე ჩავედით ბაჭყატების დასაჭერად.

მდინარემდე ოციოდე ნაბიჯია.

მერე ჩაივლი პატარა ფერდობს და – მიჩხრიალებს ფლატეზე.

კოჭებამდე წყალში ვდგავართ.

მხრებზე აგვისტოს მზე გვაჭერს.

დრო გაჩერებულია.

წამში უკვდავებაა შენივთული.

ჰერაკლიტეს რომ ჩვენ მდინარეში ბაჭყატები ენახა...

ანაზდად ძაღლის წკავწკავი გავიგე. მერე – ყმუილი და ტირილი.

ფლატედან წყარო არ მოჩანს – არ ვიცი, რა ხდება.

ვეცი კეტს და ავირბინე ფერდობი.

ვხედავ, ვიღაც ჩექმებიან ვირგლას გაუგდია ფეხქვეშ ცეზარა.

სხვები მიშტერებიან, ხმას არ იღებენ.

მე თვალთ დამიბნელდა.

მხოლოდ ვირგლას ზურგს ვხედავ და ყმუილი ჩამესმის.

მივვარდი და დავუშვი თეთრხალათიან ბეჭებზე კეტი.

პირველად რომ დავუშვი, ეტყობა, გონს ვერ მოეგო.

წახრილი იყო და გაიმართა.

დავუშვი მეორედ და მოტრიალდა.

მოტრიალდა და ელდა მეცა – ყაჩაღაა!

იმის შიშით ცაში ფრინველი არ ჭაჭანებს და მიწაზე ჭიანჭველა.

ჩასისხლიანებული თვალებით მიყურებს.

შავი წვერითა და ყვითელი კბილებით მზარავს.

გადავაგდე კეტი, ავუშვი ძაღლი და გამოვიქეცი.

მოვრბივართ და ვნატრობ:

ნეტავ, ეზოში შევასწრო-მეთქი;

ნეტავ, ტყვია არ დამადევნოს-მეთქი...

ძრავის ღმუილი ჩამესმა.

მოვიხედე და – «კოლხოზნიკით» მოდიან.

ღმერთო, მიშველე!

გამიქაჩა სირბილში თოკი ცეზარამ და წავიქეცი.

წამსკდა ცხვირიდან ორ ტოტად სისხლი.

მაინც მივასწარი ჭიშკრამდე.

შევვარდი ეზოში და გადავუგდე ურდული.

ცეზარა ცარიელ საქათმეში შევაგდე და მივუხურე კარი.

ბებიაჩემი მეძახის.

მივვარდი ონკანს და შევუშვირე სახე – სისხლიანი არ მნახოს-მეთქი.

ისევ ბებიაჩემის ხმაა – მობრძანდიო, ვიღაცას ეუბნება.

რაღა ვიღაცას?

ვარ გველნაკრავი კურდღელივით გაშეშებული.

– ნიაზ!!! – ეს უკვე დასასრულია.

ნეტავ, ეშაფოტზე ასვლისას მეფეებს თუ უკანკალებდათ მუხლები?

მივედი.

ქანაობს, ისეთი მთვრალია.

გამოაჩინა ყვითელი კბილები:

შენ, ძმისწულო, ნიაზი კი არა, კნიაზი უნდა გერქვასო.

გადამისვა თავზე ხელი.

მერე «კოლხოზნიკის» ხალხს გასძახა.

მომართვეს ერთი უზარმაზარი საზამთრო.

დღეს ეს იკმარეო, ხვალ მე ვიცი შენი პატივისცემაო.

ძლივს აითრია «კოლხოზნიკში» ტანი და წავიდა.

დავრჩი გაოგნებული კაცისა და ღმერთის სულგრძელობით...

დილით გამოვედი ეზოში ფეხშიშველი, ცხვირგასიებული.

ვხედავ, ბებიაჩემი ტირის.

რა მოხდა-მეთქი, ვეკითხები.

ყაჩაღა ტრაქტორს გაუტანიაო.

როგორ-მეთქი.

ისე გალეშილა, ტრაქტორს თვითონ ჩავარდნიაო.

კაკლების ზემოთ ლურჯი ცა მოჩანს – უსასრულო, უსასრულო...

თავი ჩავკიდე.

ისე დავყურებ ტერფებს ბალახზე, როგორც პირუტყვი – მკვდარ ნაშიერს...

**ზამთრისპირისა**

ხეირიანი ფიქრი იღბალივით არის – როდის დაგემართება, ვერ გაიგებ.

მე კიდევ სხვანაირად მეგონა.

მეგონა, ხეირიან ფიქრს რომ მოვიჩვევ, იღბალიც წაღმა წამივა-მეთქი.

ჰოდა, სანამ ასე მეგონა, ფიქრმაც დამივიწყა და იღბალმაც.

აი, რა მახსენდება:

წავედით ერთხელ შეშაზე მე და ძია თენგიზა.

ის დროა, უკვე ჰაერში რომ იგრძნობა თოვლის სურნელი.

ჰაერთან ერთად ტყის მდუმარებას ისუნთქავ.

მდუმარებასთან ერთად – სიმშვიდეს.

ჯერ არ მოუყინავს.

ფერდობს რომ აივლი, გცხელა.

ძია თენგიზას ხელში ცული უჭირავს, წალდი ქამარში გაურჭვია.

ტყავგამოკერებული შარვალი შვენის, ნაცრისფერი თმა.

წლების ნაცარი უმშვენებს სიდარბაისლეს.

მე მხარზე მაქვს გადებული ცული.

მივიზლაზნები.

ჩემი ნაცარი თვალში შესაყრელად თუ მეყოფა.

გადავიარეთ ღელე, შევუყევით თხილიანს.

ხეებს უკვე მოუწყენიათ.

ნაძვებს უკვე შეეპარა ზამთრისფერი მწვანე.

მივადექით ტახიჭალას.

ქარი ამოვიღოთო, ძია თენგიზა მეუბნება.

ჩამოვსხედით, მოვუკიდეთ ორივემ «პრიმას».

ვიღრიჯებით და ვეწევით: ის – დარბაისლურად, მე – ქარაქუცურად.

ჩემ ბიჭობაში აქ ტახს ვერ გამოლევდიო, მეუბნება.

ტახის მეტი რა არის-მეთქი სოფელში, ვუთხარი.

ცერად გადმომხედა – ეს რა კაცი ხარო.

ამოვიღეთ ქარი და დავიკაპიწეთ მკლავები.

კარგა ხანს ვჩეხეთ.

სიქა რომ გამძვრა, ტელეგრეიკა დავფინე ხის ძირში, ხეს მივეყუდე ზურგით.

კოდალას ავხედე, თავგამეტებით რომ უკაკუნებდა.

ფოთოლგაცვენილი კენწეროები ნისლს ამოევსო.

ნისლში შეგუბებულიყო უსასრულობა...

– რამდენი წლის ხარ, ძია თენგიზ?

– ორმოცდაათის.

– ყოყოჩა შენხელაა?

– უმცროსია. ორი წლით.

– რატომ გადაგეკიდა?

– ყოველთვის უნდოდა, უფროსი ყოფილიყო.

მე ჩავიცინე.

ძნელი გასარკვევი იყო, როდის ხუმრობდა ძია თენგიზა და როდის – არა.

– იყოს უფროსი. რა დაშავდება?

– არც არაფერი. მაგრამ მხოლოდ სურვილი არ კმარა.

– უფროსობისთვის?

– უფროსობისთვის, ჭკუისთვის, ადამიანობისთვის... რა ვიცი... მხოლოდ სურვილი არაფრისთვის კმარა.

ჯერ არ ვიცი, რომ ყმაწვილკაცური თავდაჯერების მეტი, თვითონაც არაფერი გამაჩნია – სურვილების გარდა.

ჯერ ადვილია ქირქილი.

ყოყოჩაზე, კოდალაზე, უჭკუობაზე.

ყმაწვილკაცობის ნისლში სხვა რა ყოფილა ძნელი?

– დომენტისგან წინა კვირას ძროხა უყიდია.

– ვის?

– ვის და ყოყოჩას.

– მერე?

– მერე ბირჟაზე უთქვამს, მივქარე, ძვირი მივეცი, ძვალია და ტყავიო.

– გჯერა, რომ ძვირს მისცემდა?

– რომ უყიდია, იმავე საღამოს უთქვამს.

– კიდევ იტყოდა.

– გამოსულა დილით ბირჟაზე და ისევ უთქვამს, ძვირი მივეციო.

– დედაკაცსაც დააფეთებდა.

– ფეფოს შეხვედრია. მოდის თურმე და იწყევლება. რა მოხდა ელიჩკაო, ფეფოს უკითხავს. რაღა რა მოხდა,

ყოყოჩას ძროხაში ძვირი მიუციაო.

იცინა ძია თენგიზამ.

მერე თქვა:

– რა ქნას, წვალობს... როგორც შეუძლია, ისე უმკლავდება თავის იღბალს.

შემეცოდა ყოყოჩა.

იღბლისგან დაჩაგრულა-მეთქი.

წამით შემეცოდა დაჩაგრულების წუთისოფელი.

თვითონ ქუდბედიანი მგონია თავი – ასე რა წამახდენს-მეთქი.

– შენ დაისვენე. – მითხრა. – მე ტოტებს ავათლი.

ნელ-ნელა აიკრიფა ნისლმა.

აქა-იქ გალურჯდა ცა.

ქვემოთ, ტაფობში, სოფლის სახურავები ბოლავდნენ.

მეჩვენებოდა, რომ ფერდობს სწვდებოდა კვამლის სურნელი.

საყდრის სიმყუდროვე...

ნაძვების სევდა...

ცულის ხმა შვენოდა ზამთარს და ზეცას...

მერე სროლის ხმა მოისმა ყრუდ.

ალბათ, ჩხართვზე ნადირობდნენ უსაქმურები.

გამახსენდა ყაჩაღას ბიჭი:

ნეტავ, ციხეში რით უმკლავდება-მეთქი თავის იღბალს.

კარგი:

ყოყოჩა სიძუნწით უმკლავდება;

ძია თენგიზა – სიდარბაისლით;

ყაჩაღას ბიჭი? – მუშტით თუ ბებუთით?

ამოვიდე თავქვეშ მკლავი და დავფიქრდი:

ყაჩაღას ბიჭი ნემსის ყუნწშიც გაძვრება, მაგრამ აი, მე – რით უნდა გავუმკლავდე-მეთქი ჩემ იღბალს, ან ჩემი იღბალი რა არის-მეთქი.

ჰოდა, მაშინ მივხვდი: თავი რომ კიტრად მომაქვს, თურმე ჩემი იღბლისა არაფერი გამეგება.

და თუ არაფერი გამეგება, როგორღა გავუმკლავდე?

უკვე მაშინ მეტყობოდა კოჭებში უვარგისობა.

ღმერთმანი... უხეირო ფიქრის ხაფანგს მუშტიც სჯობია და ბებუთიც...

ჩამოვსხედით სატრაპეზოდ და ძია თენგიზს ვეკითხები:

– იღბალს როგორ უნდა გაუმკლავდეს კაცი?

არაყი გადაკრა, წარბები ასწია და ასე, წარბებაწეულმა მითხრა:

– იღბალი ქალივითაა: ან უნდა შეეჩვიო, ან უნდა მოარჯულო.

– თუ ვერც შეეჩვიე და ვერც მოარჯულე?

– მაშინ უნდა გამოიცვალო.

– თუ ვერც გამოიცვალე?

– მაშინ, სჯობს, ტყვია ითხლიშო შუბლში.

გადავკარი მეც არაყი და დავიღრიჯე:

– ეგ – კარგი. მაგრამ თუ შენი იღბლისა არაფერი გაგეგება?

– გაიგებ. როგორც ჭირი არ მალავს თავს, ისე – იღბალი. წყლულების ლოკვაში ენა რომ გაგიშრება – გაიგებ.

ხელისგულებზე დავიხედე – უნებურად.

მარჯვენა უკვე დაბუშტული მქონდა ცულის ტარისგან.

ოდნავ მეწვოდა.

სიცოცხლის დილაა – პირველ წყლულებს ადვილად ვიშუშებ.

– შენ როდის გაგიშრა ენა, ძია თენგიზ?

ისევ შემომხედა ცერად:

– რეგვნულმა ცხოვრებამ რომ დამღალა – მაშინ.

– და შენ იღბალსაც გაუგე?

– არა. მაშინ მხოლოდ იმას მივხვდი, რომ რეგვენი ვიყავი.

– მერე? როგორ მოიშალე რეგვნობა?

– თავიდან ვიფიქრე, ჭკუას თუ მოვუხმობ, რეგვნობასაც მოვიშლი-მეთქი. ჰო... ის კი აღარ ვიცოდი, ჭკუისთვის როგორ მომეხმო. მერე ვიღაცამ მირჩია, ჭკუა წიგნით ისწავლებაო. მეც ვიშოვე ერთი დაგლეჯილი «ყარამანიანი» და კითხვა დავიწყე.

– გიშველა?

– არა. ჭკუას წიგნით ვერ ჩაანაცვლებ. ვერც იღბალს ჩაანაცვლებ ჭკუით.

– მაშ როგორ უნდა მოიქცე?

– აკი გითხარი, წყლულები უნდა დააგროვო-მეთქი. სანამ შენ ტყავზე არ გამოცდი ცხოვრების ავ-კარგს, არაფერი გამოვა.

ადგა და გააგრძელა ჩეხვა.

მე კიდევ ამოვიოხრე: ეეჰ-მეთქი... ცხოვრების ავ-კარგს სანამ გამოვცდი, ცხოვრებაც გავა-მეთქი.

შორეთმა მომტაცა თვალი.

ღამით ცეცხლი იტაცებს თვალს, დღისით – შორეთი.

ხოლო ყმაწვილი კაცის ფიქრს ყველაზე უნამუსოდ ქალი იტაცებს.

ვნატრობ, ნეტავ ზაფხული მალე მოვიდეს, ეგებ, ლამზირას ისევ გამოუჩნდეს ნიფხვის უბე-მეთქი.

ერთხელ, აგვისტოში, კვერცხი ესესხა ფეფოს.

მერე წამოითათხა მოღვენთილი – აქაოდა, როგორ ცხელაო.

შალიკოს ცოლს ლანძღავს.

მაგ ნაბოზრისთვის ეს მგელივით კაცი მენანებაო.

ეეჰო... როგორ მოვუხდებოდით ერთმანეთსო...

წამოიხადა კაბის კალთა და გაუნიავა ტურფა ცხვირ-პირს.

მერე ვაიო, დაიძახა; ბიჭთან რეებს ჩავდივარო.

ეგ არაფერიო, ფეფომ უთხრა; ჯერ ბავშვიაო.

ბავშვი მეძახე – ისეთ სიზმრებს ვხედავ ღამ-ღამობით...

სიზმარივით ჩადნა ის დღეც.

ზაფხულის მოლოდინში – სიცოცხლეც...

ერთხელაც, ზამთრისპირს, გავიდეთ მხარზე ცულები მე და თენგიზას ბიჭმა და შევუყევით ტახიჭალისკენ...

.....

უხეირო ფიქრი გვარიანი ჭირია – ერთი თუ მოიხიბლე, მერე თავს ვეღარ დაიხსნი.

ვისაც ფიქრის ხვრელი თხუნელასავით უთხრია, ის ჩაიცინებს – იმან იცის ამ ჭირის ხიბლისაც და მავნებლობისაც.

უხეირო ფიქრს ერთი სიკეთე მაინც სჩვევია: თუ არ დაიზარებ და სიქას გაიძრობ ფიქრით, ბოლოს გამოლენჩდები. ჰოდა, რომ გამოლენჩდები, თუ გაგიმართლა, ხეირიანი ფიქრის ნასახს სწორედ მაშინ უნდა გამოკრა ხელი.

უხეირო ფიქრი ხეირიანი ფიქრისთვის გაღებული ხარკია.

სხვა საქმეა, რომ ხეირიანი ფიქრი მხოლოდ ამას არ სჯერდება და ბევრად მეტს მოითხოვს.

# 5. ახალი წიგნები

# ლევან ბრეგაძე

## „სხვანაირი“ ლექსი

1999 წელს გაზეთ «ალტერნატივაში» ერთი ესეი დავბეჭდე სათაურით «დაობლებული საგნები». მასში სამი ეპიზოდი იყო გაანალიზებული სამი სხვადასხვა თხზულებიდან (ესენია: გურამ რჩეულიშვილის «სიკვდილი მთებში», ჟან-ჟაკ რუსოს «აღსარება» და ნატალია გინზბურგის «დედა»). ამ ეპიზოდებს საერთო ის აქვთ, რომ სამგანვე გარდაცვლილი ძვირფასი ადამიანის ნაქონ ნივთთან (საგანთან) «შეხვედრა» გრძნობათა იმაზე ძლიერ აფეთქებას იწვევს, ვიდრე თვით უბედურება, უშუალოდ განცდილი. აქედან ასეთი დასკვნა გამოვიტანე:

«კარგად მესმის, რომ ასეთ დროს დიდი გასაქანი ეძლევა ჩვენი წარმოსახვის უნარს ანუ ფანტაზიას; ისიც აშკარაა, რომ ეს საგნები ორმაგად არიან კოდირებულნი («საგნებზე ჩვენი ანაბეჭდებია, უნდა გავაცოცხლოთ», – ვკითხულობთ ნაირა გელაშვილის მოთხრობაში «ჩვენება»), მაგრამ თითქოს აქ კიდევ არის რაღაც ამაზე მეტი...

მე მგონი, აქ ჩვენ დაობლებული საგნების მაგივრადაც ვგლოვობთ... თუ ასეა, მაშინ ადამიანის დამოკიდებულება საგანთა სამყაროსადმი ბევრად უფრო პოეტური ყოფილა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს».

ეს ესეი კარგა ხნის წინ ელექტრონული ბიბლიოთეკის «ლიბ.ჯი»-ს ვებგვერდზე განვათავსე და იქიდან ახლახან «ფეისბუკზე» გავააქტიურე.

გთავაზობთ რამდენიმე გამოხმაურებას მასზე, რომლებიც ჩემმა «ფეისბუკ»-მეგობრებმა მოიწერეს:

*«აქამდე არასდროს მიფიქრია, ბატონო ლევან, – რატომ მგვრის ესეოდენ ღრმა სევდას 23 წლის წინ გარდაცვლილი*




*დედის ხელჯოხის ყოველი დანახვა» (ივანე აფრიდონიძე);*

*«ის საგნები, ყოველდღიური, შეიძლება თავის დროზე ჩვენს ყურადღებას მოკლებულნი, არაფრისმთქმელნი უეცრად უზარმაზარ დატვირთვას იძენენ. ისინი ისე უდრტვინველად სუფევენ, თითქოს მათი პატრონი აქვე იყოს, მეორე ოთახში გასული. ეს შეუსაბამობა კი მართლაც საშინლად მძიმე ასატანია, რადგან ცხოვრების ჩვეული რიტმია დარღვეული, დარღვეულია უკვე სამუდამოდ. იგივე ემართება ადამიანს ბინაზე, სახლზე, სადაც აწ უკვე გარდაცვლილთან ერთად ცხოვრობდა, მისთვის ეს გარდაცვალება ბევრად უფრო მძიმე ასატანია, ვიდრე თუნდაც ძალიან მოსიყვარულე სხვა ადამიანებისთვის, რადგან სახლიც ხომ ამ საგანთა ერთობლიობაა, დაობლებული სივრცე, სადაც თვალი ნაცნობ მოძრაობებს ისაკლისებს» (დოდო ყვავილაშვილი);*

*«ასეთ საგნებს დიდხანს გაჰყვებათ ხოლმე პატრონის ენერგეტიკა. რაღაც ნაღვლიანად მოწესრიგებულები ხდებიან, დანიშნულებას რომ კარგავენ, თითქოს უკვე სიცარიელის ბინადარნი» (მაია იანტბელიძე);*

*«მეც ხშირად ვფიქრობ მაგაზე. როცა ბებიაჩემის მარტოდ დატოვებულ ხელჯოხს ვუყურებ, ვხვდები რატომ მეტირება. საგნები გვეცოდება, პატრონის გარეშე დარჩენილი... მათ არ შეუძლიათ ტირილი, ვერ ყვირიან, ვერ ითხოვენ შველას... ამიტომაა ხშირად გარდაცვლილზე მეტად მათი*

*მარტოდ დარჩენილი ძაღლები რომ გვეცოდება» (ნატალი ბარვენაშვილი).*

*«დაობლებული საგნები» სიმბოლურ დატვირთვას იძენენ და იმაზე მეტი ხდებიან, ვიდრე პატრონის სიცოცხლეში იყვნენ. ამის ნიმუშად ვახტანგ ჯავახაძის გახმაურებული ლექსი «ყელსაბამიც» შეგვიძლია დავასახელოთ» (რუსუდან გაბროშვილი);*

*«გამსახურდიას ნოველა გამახსენდა, «პორცელანი» (ირინე ჯანაშია); «და ვახტანგ ჯავახაძის «ყელსაბამი» (ბაია ახალაია).*

მართლა! ვახტანგ ჯავახაძის «ელეგია: ყელსაბამი»!

დაობლებული საგნები მეუღლის გარდაცვალების გამო დაწერილი ამ პოეტური რეკვიემის პერსონაჟებად მოგვევლინენ, ისევე როგორც ადამიანები – ავტორის, მისი ოჯახის ახლობლები. უწინარეს ყოვლისა სწორედ საგნების მეშვეობით ხდება ამ ლექსში საცნაური ადამიანთა ურთიერთობები, დამოკიდებულები, განცდები...

პირველივე სტრიქონებიდან მოჯარდებიან საგნები და ავსებენ ლექსის სივრცეს:

*«დაცარიელდა კაბა, საწოლი, სარკე, სათვალე, ქოლგა – შენები,*
*ყველაზე მეტად ყელსაბამს უჭირს, მაგრამ მე ვეღარ შევეშველები.*
*ყველგან შენ ხარ და შენ აღარა ხარ, ყველა ნივთი და ყველა საგანი –*
*შენ მიიზიდე, შენ მიითვისე, შენ ამოავსე ჩვენი საკანი».*

საგნების გლოვა მერე ასეთი ფრაზებით არის გადმოცემული:

*«შენ კი კედლებიც გამოგეტირა...», «იცრემლებიან ჩვენი ფანჯრები».*

გამოქვეყნებისთანავე («ლიტერატურული გაზეთი», 01.07.2016) არაჩვეულებრივი ინტერესი ხვდა ამ პოემასავით ლექსს ჯერ სოციალურ ქსელში – ეს იყო ჩვენი დროისათვის უჩვეულო ინტერესი პოეტური ტექსტის მიმართ... წლის ბოლოს ის «ინტელექტის» მიერ დასტამბულ კრებულშიც დაიბეჭდა (ვახტანგ ჯავახაძე, «ელეგია და სხვა»). ამ წიგნს 3 (სამი!) ავტორის გამოხმაურება ახლავს, სამი მწერალი გვესაუბრება «ყელსაბამზე», მის თავისებურებებზე, მის პოეტიკაზე, მის მნიშვნელობაზე: ზვიად კვარაცხელია («ფიქრები ვახტანგ ჯავახაძის ელეგიაზე»), გია არგანაშვილი («პიეტა ყელსაბამისთვის») და ლექსო დორეული («სარკე, რომელიც ერთადერთი ადამიანის გამოსახულებას აჩვენებს»).

ამ გამოცემას უჩვეულოს ხდის ისიც, რომ მასში დაბეჭდილია ინტერნეტით გავრცელებული ფოტო სათაურით «ბათუმის ქუჩის წარწერებიდან», და ეს წარწერა გახლავთ სტრიქონი, რომელიც ლაიტმოტივად, რეფრენისებურად გასდევს ამ ლექსს, ტაეპი, რომელიც იმ ცვლილებებთან ვერშეგუების გამომხატველ პაროლად იქცა, უახლოესი ადამიანის გარდაცვალებას აუცილებლად რომ მოსდევს: «**გირეკავენ და სახლში არა ხარ და არამარტო სახლში არა ხარ!!!».**

სამივე ავტორი ლაპარაკობს არაჩვეულებრივ ინტერესზე, რაც ამ ლექსმა გამოიწვია:

«რატომ აგვაღელვა, აგვაფორიაქა და თითქოს გაგვაერთიანა კიდეც ვახტანგ ჯავახაძის ამ ლექსმა?» (ზვიად კვარაცხელია);

«...ამ ზაფხულს თბილისში ვახტანგ ჯავახაძის «ყელსაბამი» დაიწერა. (...) ინტერნეტმა მსოფლიოს ყველა კუთხეში ყველა დაინტერესებულ ადამიანს ამცნო ეს სასიხარულო ამბავი» (გია არგანაშვილი);

«...»ელეგია» გასცდა ლიტერატურის სოციოლოგიის სივრცეს და მოიპოვა ის არნახული მასშტაბები, თანაგრძნობის, თანამონაწილეობის დიალოგი, რომელზეც ვერ იოცნებებს ვერცერთი თანამედროვე პოეტური ტექსტი» (ლექსო დორეული).

სამივე ეძებს ამ ლექსის უჩვეულო პოპულარობის მიზეზებს.

ყურადღება ექცევა იმ ფაქტს, რომ წინა პლანზე აქ საგნები და ადამიანები ჩანან, რეალური საგნები და რეალური ადამიანები, და არა ლირიკული «მე»-ს განცდები და ემოციები, რომელთა გამოხატვა ლირიკის უმთავრეს დანიშნულებად არის მიჩნეული (საერთოდ, ლირიკა თავისი ბუნებით რიტორიკისაკენ არის მიდრეკილი):

«[ვახტანგ ჯავახაძემ] ლექსის ვირტუოზული ფლობა გამოიყენა იმისათვის, რომ ჩვენთვის ნივთებისა და ადამიანების ისტორია მოეთხრო» (ზვიად კვარაცხელია);

«...ვახტანგ ჯავახაძის «ელეგია» გვთავაზობს მგრძნობელობით რეალობაში დაბრუნებას, სადაც «სიტყვა სდუმს და ქვა ღაღადებს», სადაც ცხოვრების ტოტალურ ხმაურში გაუჩინარებული საგნები ლაპარაკობენ სიტყვებზე...» (ლექსო დორეული).

გია არგანაშვილმა ისიც ზუსტად შენიშნა, რომ საგანთა ეს «ძალზე რეალური და ხილვადი სამყარო» ლექსის ბოლოს «თანდათან მისტიკურ ბურუსს იკრებს, ფიზიკური შეგრძნებები სულიერ ურთიერთობებში გადადის და

ლექსის ფინალში ბიბლიურ არქეტიპებამდე აღწევს». კრიტიკოსს მხედველობაში აქვს ფინალში ცისფერი მტრედის გამოცხადება («მოულოდნელად შენს ფანჯარაში ცისფერი მტრედი გამომეცხადა»), როგორც ნივთების სამყაროსა და უსასრულობას (ტრანსცენდენტს) შორის შუამავლისა. (ის, რომ ავტორი არ რჩება სასრულობის საზღვრებში და ლექსის ბოლოს ტრანსცენდენტის არსებობასაც შეგვახსენებს, ზრდის ამ ლექსის ზემოქმედების ძალასაც და მის მნიშვნელობასაც – სამყაროს იდუმალების შეგრძნების უნარი საგანთა სამყაროს მიმართ ინტერესმა არ უნდა დაგვიჩლუნგოს, თუ რეკვიემს ვწერთ, მაშინ ხომ – მით უმეტეს!).

სამივე ავტორი ლაპარაკობს ამ ლექსის რეალიათა ავტობიოგრაფიულობასა და დოკუმენტურობაზე, რაც «ყელსაბამს» ასევე გამოარჩევს კარგად ცნობილი ლირიკული შედევრებისგან:

«ლექსში ბევრი ინფორმაციაა როგორც ავტორისა და მისი მეუღლის (მიძღვნის ადრესატის), ასევე ოჯახთან დაკავშირებული ჩვენთვის მეტ-ნაკლებად ცნობილი ადამიანების შესახებაც. საოცარია, როგორ ახერხებს ამ ინფორმაციის დაწურვას და ყოფითიდან პოეტურ სინამდვილედ გარდასახვას ვახტანგ ჯავახაძე» (ზვიად კვარაცხელია);

«როგორ მკრთალდება «ელეგიაში» განსხვავება ლიტერატურასა და ავტობიოგრაფიას შორის?» – კითხულობს ლექსო დორეული და ამ გამოცანის ასეთ ახსნას გვთავაზობს: «ნივთების ფსიქოლოგია, მათი პროექსიზმამდე (მწვავე განცდამდე. – ლ. ბ.) მისული მარტოობა (...) მეხიერებას აიძულებს იმ კადრების გამეორების («ფოტო-კოლაჟის») პირისპირ აღმოჩნდეს,

რომელიც სინამდვილის ტრაგიკულმა გამოცდილებამ საკუთარ თავს გადაუღო»;

გია არგანაშვილს ამ ლექსის ავტობიოგრაფიულობამ ივანე წიკლაურის ცნობილი შედევრი «რამ დამაბერა» მოაგონა, რომელიც, კრიტიკოსის სიტყვით, «ჩვენი განვლილი ცხოვრების ნამდვილ მატიანედ იქცა და რამდენიმე ათეულ სტრიქონში მთელი ეპოქა ჩაიტია».

აქ შეიძლება გაგვახსენდეს რამდენიმე ლიტერატურული ცნება – «სინამდვილის პოეზია», «დოკუმენტური პოეზია», «ფაქტის ლიტერატურა», რომლებიც ასი წლის წინ, მე-20 საუკუნის დამდეგს გაჩნდა. ამჟამად ამათ სინონიმად აქტიურად გამოიყენება «ნონფიქშენი» (არაგამონაგონი, ნამდვილი, დოკუმენტური). მეოცე საუკუნის დამდეგს «სინამდვილის პოეზიამ» ვერ გაუძლო მოდერნიზმის შემოტევას და მალე მიეცა დავიწყებას. მოდერნიზმს ბუნებრივად მოჰყვა მისი ანტიპოდი პოსტმოდერნიზმი, რომელი მანერითაც უამრავი შედევრი შექმნა ვახტანგ ჯავახაძემ. «ელეგია: ყელსაბამის» სახით კი რაღაც განსხვავებულთან გვაქვს საქმე. აქ კვლავ იჩინა თავი «სინამდვილის პოეზიის», «ფაქტის ლიტერატურის» მივიწყებულმა ესთეტიკამ.

გია არგანაშვილი შენიშნავს:

«ლიტერატურის ისტორიაში ასეთი ლექსები სხვადასხვა ლიტერატურულ ეტაპს მიჯნავენ ერთმანეთისგან. მათით რაღაც მთავრდება და რაღაც ახალი იწყება».

მართლაც, განა არ არის დრო უსაშველოდ გაგრძელებული პოსტმოდერნიზმი დამთავრდეს და რაღაც ახალი დაიწყოს?

თანამედროვე რუსულენოვანი ტაშკენტელი პოეტი, პროზაიკოსი და კრიტიკოსი ევგენი აბდულაევი სტატიაში «სინამდვილის პოეზია (VIII). ნარკვევები 2010-იანი წლების პოეზიაზე» (ჟურნალი «არიონი», 2014, #2), ჩემი აზრით, ძალიან ზუსტად ახასიათებს ლიტერატურაში ამჟამად მიმდინარე პროცესებს ზემოთ დასახელებული ტერმინების, *ნონფიქშენისა და დოკუმენტალიზმის* გამოყენებით. იგი წერს:

«ნონფიქშენისადმი ინტერესმა გაიღვიძა 90-იანი წლების შუა ხანებში. 90-იანი წლების ბოლოდან დოკუმენტალიზმმა შეაღწია დრამატურგიაში (თეატრი ვერბატიმი), ხოლო შემდეგ პროზაშიც. [განვითარების სპირალის] ახალ ხვეულზე მეორდება 1920-იანი წლების ვითარება, როცა ტონის მიმცემი იყო «ფაქტის ლიტერატურა».

რა ცვლილებები ხდება თანამედროვე პოეზიაში ამ მრავალხმოვანი, მედინი და ვიზუალური რეალობის ზეგავლენით?

ლირიკული «მე» ნაკლებად გამოიხატება; პოეტური მეტყველების მონოლოგურობა ადგილს უთმობს პოლილოგს, ერთსა და იმავე ლექსში რამდენიმე თანაბარუფლებიანი ხმის არსებობას.

ლირიკული «მე»-ს მდგომარეობის აღწერა იცვლება გარეგან ვითარებათა, მოვლენათა, ფაქტთა ფიქსირებით; პოეზია უფრო მეტად ფაბულური ხდება.

პოეტური ფრაზა იჩრდილება საგნობრივი სამყაროს ვიზუალური კონკრეტულობით; აზრის დამაჯერებლობას «სურათის» დამაჯერებლობა ენაცვლება.

წინდაწინვე ფრჩხილებს გარეთ გამაქვს ის საკითხი, კარგია ეს თუ ცუდი. ეს არის ის, რაც არის (...), მე ამას

დავარქმევდი *ნატურალიზმს* თანამედროვე პოეზიაში».

(ჯობს ამ მოვლენას *ნეონატურალიზმი* ეწოდოს, ვინაიდან იგი, განსხვავებით მე-19 საუკუნის ნატურალიზმისაგან, არ არის **აუცილებლად** მტრულად განწყობილი იმ სინამდვილის მიმართ, რომელსაც ასახავს).

ვახტანგ ჯავახაძის «ელეგია: ყელსაბამი», ვფიქრობ, სწორედ იმ ტენდენციის გამოხატულებაა, რაზედაც ჩვენ მიერ ახლახან მოხმობილი ციტატის ავტორი საუბრობს.

**P. S.**

ზემოთ დავწერე: «ყელსაბამში» «კვლავ იჩინა თავი «სინამდვილის პოეზიის», «ფაქტის ლიტერატურის» მივიწყებულმა ესთეტიკამ»-მეთქი. ახლა ამას უნდა დავუმატო: *...გამდიდრებულმა პოსტმოდერნიზმის ხანაში შეძენილი გამოცდილებით.* მაგალითად, აი, როგორ წარმოგვიდგენს თავის მეგობარ ხელოვანთ ლექსის ავტორი – შერწმულთ თავიანთ შენამოქმედთთან:

***«აქეთ – ბრინჯაოს ორი მხედარი – ვახტანგ (ელგუჯა) – დავით (მერაბი)»***

(ელგუჯა ამაშუკელი და ვახტანგ გორგასლის მისი ძეგლი, მერაბ ბერძენიშვილი და დავით აღმაშენებლის მისი ძეგლი პოსტმოდერნისტული მანერით არიან შერწყმულ-გაერთიანებულნი);

***«თავს არც იოჰან (დავით) გოეთე (წერედიანი) შეიკავებდა»***

(იოჰან ვოლფგანგ გოეთე და მისი «ფაუსტის» ქართულად მთარგმნელი დავით წერედიანი შერწყმიან აქ ერთურთს);

***«აჯასა ამას დასტურს დასცემდა მარკუს (ბაჩანა) ავრელიუსი»;***
***«როგორც პლატონი ბაჩანა ბრძანებს, სხეული სულის***

***საპყრობილეა»;***
***«ნეტარ – ბაჩანა – მთაწმინდელივით, მიგელ – ბაჩანა – ლამანჩელივით***
***და სენტ-ბაჩანა – უფლისწულივით ბევრჯერ ბეწვზე ვარ გადარჩენილი».***

ცხადია, იცანით ბაჩანა ბრეგვაძის გადმოქართულებული მარკუს ავრელიუსის «ფიქრები», პლატონის თხზულებანი, მიგელ სერვანტესის «დონ კიხოტი», ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის «პატარა უფლისწული» და ყველა ამ ავტორად გარდასახული მათი ქართველი მთარგმნელი, მართლაც რომ ათონის წმინდა მთის ივერთა მონასტრის დიდ ქართველ მესიტყვეთა (მთაწმინდელთა) შესადარისი თავისი ღვაწლით!



მოკლედ, ის მინდა ვთქვა, რომ ამ აშკარად «სხვანარ ლექსში» ჩვეული ვახტანგ ჯავახაძის ცნობაც არ გაგვიჭირდება. ლექსის ამ მხარეს ეხება შოთა იათაშვილის ეს დაკვირვება:

«მას (ვახტანგ ჯავახაძეს) სცენაზე ბევრი ადამიანი შემოჰყავს, ინტერტექსტუალურს ხდის ნაწერს და, რაც მთავარია, წერის პროცესი, რომელიც დიდხანს გრძელდება, მას ითრევს, სიტყვა ჩვეულ სტიქიაში აგდებს და ისიც უკვე ძველებურად ეთამაშება მას, რაღაცნაირად ადრინდელივით მხიარულად რითმავს, პოულობს კალამბურებს (...). ყოველივე ეს დისტანცირების

ეფექტს ახდენს, შეიძლება ბრეხტისეული გაუცხოებაც გაგვახსენდეს, საბოლოო ჯამში კი, ფსიქიკის თვითდამცავ ბუნებაზეც მეტყველებდეს, როდესაც მძიმე ტრაგედიის ჟამს ადამიანის ფსიქიკა პერიოდულად გაურბის მომხდარზე ფიქრს და სხვა რამით ანაცვლებს მას.» (რადიო «თავისუფლება», 10.02.2017).

# ლელა კოდალაშვილი

## ჭკუიდან გადაცდენა, როგორც სიმარტოვის მეტაფორა

თუ არ ვცდები, 2013 წლის «წერო» ახლოვდებოდა, როცა ფინალში გასულ ავტორებს შორის, სხვებზე მეტად, ერთი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი მოთხრობა მომეწონა. ჩვეულებრივი მოთხრობა როგორ უნდა მოგეწონოს, თითქოსდა, მაგრამ იმ სპეცეფექტების შემდეგ, რომელიც საკონკურსო პოლიგონზე შეინიშნება ხოლმე, ეს ნაწარმოები თავისი ბუნებრივი და სადა სახით იქცევდა ყურადღებას – თითქოს ავტორმა რაღაც მიაფუჩეჩა, უნებურად კარგად გამოუვიდა და გაიარა. არადა, თითქოსდა განსაკუთრებული არაფერია მოთხრობილი. არც მკვეთრი შეფერილობის სიუჟეტი, არც რაღაც იდეა, რის გარშემოც ამბავი ტრიალებს, არც სტილი, არც მხატვრული ხერხები... მაგრამ მაშინაც ვწერდი, რომ მოთხრობა საინტერესო იყო, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ავტორი დამწყები გახლდათ. ეს იყო ფრაგმენტი ახალგაზრდების ცხოვრებიდან. მწერალი არ პოზირებდა არც იმ ნატურალისტური ხერხებით, რომლითაც კდემამოსილი მკითხველი ხშირად ღიზიანდება, არც «ქართულ გაგებას» მოკლებული პერსონაჟებით... ტექსტი მოწოდებული იყო ისე, რომ ხვდებოდი – ავტორმა უბრალოდ პირნათლად

აღწერა ფრაგმენტი, რომელიც არც განსაკუთრებულად არ იწყება და არც განსაკუთრებულად არ მთავრდება. ჰოდა, როცა ბუნებრიობა გამაღიზიანებელი არ არის, როცა ყურით არაა მოთრეული არც ცენზურა და არც უცენზურობა, ვფიქრობ, მაშინ შეიძლება საუბარი ნორმალურ მხატვრულ ტექსტზე.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ეს ავტორი იყო ზურა აბაშიძე, ხოლო მოთხრობას ერქვა, «საშკა».

მას შემდეგ რამდენიმე წელი გავიდა. წეროზე მისი კიდევ ერთი მოთხრობა გამოჩნდა, «ბავშვები კარგად არიან», რომელმაც, სამწუხაროდ, იმედები გამიცრუა და ამის შესახებ აღვნიშნე კიდეც. თხრობის გულუბრყვილო სტილი, რომელიც წინა ტექსტში მომეწონა, აქ უკვე, როგორც შეგნებული მიმართულება, ისე გამოიყურებოდა. ერთგვარმა ნაივურობამ, როგორც კი ძალდაუტანებელი იერსახე დაკარგა, როგორც კი ავტორი მიხვდა, რომ ის ბავშვურობითაა მომხიბლავი, მაშინვე დაკარგა მთელი ხიბლი და ტექსტს ნაკეთების, ხელოვნურად გამოძერწილის ელფერი მისცა. არადა, თემა ძალიან საინტერესოა. აქ მოთხრობილია ბატარა ბიჭის ტკივილების შესახებ, როცა მშობლების ურთიერთობა ირევა, თვითონ კი კონსერვატორი ბებიის ხელში რჩება თავისი მოზარდული, ინტიმური პრობლემებით.

წელს კი, გამომცემლობამ «წიგნები ბათუმში» ზურა აბაშიძის მოთხრობების კრებული დაბეჭდა სახელწოდებით – «როგორ მოვკლათ ბილი ელიოტი». წიგნი თორმეტი თუ ცამეტი მოთხრობისგან შედგება, სხვათა შორის, ზემოთ რომ ვახსენე, ის ტექსტებიც აქაა შესული. მაგრამ ასე ერთად თავმოყრამ, ამ მოთხრობებს ცალკეული, ინდივიდუალური სახე დაუკარგა და ერთ

მთლიან ტექსტად შეკრა. აქ ერთი ნოველის პერსონაჟს შეიძლება მეორეში გადააწყდეთ, ისე, გაკვრით, ყოველგვარი მიზანდასახულობის და ყოველგვარი სიმბოლური დატვირთვის გარეშე. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მოთხრობების ერთობლიობა პატარა რომანს ქმნის. ან, უფრო სწორად, მთელი ეს წიგნი პატარა ქალაქია, სადაც ხან ერთ ნაცნობ სახეს გადავეყრებით და ხან მეორეს. ზოგს, შეიძლება, კარგად ვიცნობდეთ, ზოგს – ნაკლებად. ანდა, ზოგის მხოლოდ ბავშვობა ვიცოდეთ და ახლა შემთხვევით მოვკრათ თვალი. მაგრამ მხოლოდ ეს გადაძახილი არ არის, რაც წიგნს ერთ სხეულდ აქცევს.

ესაა თხრობის მარტივზე მარტივი, ბუნებრივი დინება, რომელიც, ცხადია, ზურას აღმოჩენილი არ არის, მაგრამ მხატვრული საკითხების ზუსტად განაწილება, კომპოზიციის შეგრძნება და სათქმელის ზუსტი აქცენტებით გამოხატვა მთლიანობაში გამოკვეთილ ავტორს გვაძლევს.

დამწყები მწერლები ხშირად ინსტრუმენტად ეპატაჟურ ნიუანსებს იყენებენ ხოლმე, რაც ხან ლექსიკაში იჩენს ხოლმე თავს და ხან ნაწარმოების თემას წარმართავს. ზურა აბაშიძეც ე.წ. აკრძალულ თემებს ეხება, მაგრამ ისეთი ფორმით, რომ ამას მკითხველი ვერც კი ამჩნევს. არადა, არათუ მოთხრობები, მისი ფეისბუკ-სტატუსებიც კი ხშირად გამომწვევი და ტრადიციული თვალისთვის მიუღებელია. მაგრამ ტექსტი ისეა მოწვდილი, ისეა შეფუთული თავისდაუნებურად მარტივ, თავისდაუნებურად სადა ქსოვილში, რომ აზრად არავის მოსდის, იქ რამე მკვეთრი შეფერილობა ეძებოს. იქნებ საიდუმლოება მის უბრალოებაშია... არასოდეს რომ არ კოკეტობს და გულწრფელად ჰყვება რაიმე მარცხის, სიხარულისა თუ უხერხული თავგადასავლის შესახებ... მისთვის სულერთია,

რას უზიარებს მკითხველს, ის ყველაფერს ნატურალური სახით აჟღერებს და არ ამატებს რაიმე ინგრედიენტს საბოლოო სახის მისაცემად. მასში არ ხდება რთული ნეიროქიმიური პროცესები. ხანდახან გეჩვენებათ, რომ ლექსიკური მარაგიც კი მწირი აქვს და, ასე, ორასი-სამასი სიტყვა იცის.

ზურა აუტსაიდერია. და სწორედ მისი აუტსაიდერობა განაპირობებს მის გამორჩეულ წინმყოფობას. ის არამარტო თავის თავგადასავლებსა და ვნებებს აღწერს. შეუძლია, ასევე მარტივად მოგითხროთ კლიმაქტერიოდულ ასაკს გადაცილებული სამი დაქალის სევდიანი საღამოების შესახებ, რომლებიც იმდენად მარტონი არიან, რომ მათი სექსუალური ენერგია უკვე ერთმანეთშია სუბლიმირებული («შუაღამის გოგოები»).

მოხუცი ჟორას ისტორია კი ერთ-ერთი საუკეთესოა ამ კრებულში. ესაა ჭკუიდან გადასული ბაბუას ისტორია – უნატიფესად მოთხრობილი დრამა კომიკური ელემენტებით, ისე, რომ ავტორი არსად ცდილობს, დაგასევდიანოთ და თავს დარდი მოგახვიოთ. ის, უბრალოდ, ბავშვის თვალით აღქმულს გიყვებათ – მსუბუქ და იმავდროულად მძიმე ისტორიას: «იმის მერე ყოველღამე იღვიძებდა ჟორა. კართან დაგვიდგებოდა და გვიმღეროდა. თავიდან შევშინდით. მეორე დღეს ტუჩები მოადო კარს და ჩაგვჩურჩულა, არ შემოვალ, ნუ გეშინიათ, თქვენი სიზმრების მცველი ვარ. თუ თქვენც მოგინდათ ჩემი სიზმრების დაცვა, მოდით ჩემს კართან და მიმღერეთო» («როცა ჟორა იძინებს»):

თავის დროზე, როცა ორსონ უელსის ფილმი, «მოქალაქე კეინი» ოსკარის ცხრა ნომინაციაზე წარადგინეს და ყველა დროის კლასიკად შერაცხეს, საყოველთაო

აღფრთოვანების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ის იყო, რომ 26 წლის უელსმა, სრულიად ლამისაა მოზარდმა, გადაიღო მამაკაცის ცხოვრება ახალგაზრდობიდან სიჭარმაგემდე. დახატა ყველა მისი მეტამორფოზა, ცხოვრებისეული სახეცვლილება, ანუ ყველაფერი ის, რაც ძალიან შორეული და უცხო იყო 26 წლის ადამიანისთვის.

მასზე ბევრად უმცროს ზურა აბაშიძეს, ცხადია, ორსონ უელსს არ ვადარებ, მაგრამ ის, რომ ოცი წლის ზურა ახერხებს, დახატოს ორმოცდაათ წელს გადაცილებული, მარტოდ დარჩენილი ქალების სექსუალური კრიზისი, დახატოს ჭკუიდან გადასული ბაბუა და ოჯახური დრამა ცოლ-ქმარს შორის... ეს უკვე შედეგია. მომავლისთვის ზურა უფრო ღრმა მოვლენებში შეძლებს «დაბუდებას» და იქიდან რეპორტაჟის გადმოცემას.

კიდევ რა არის საინტერესო მასთან – ესაა ენა. მარტივზე მარტივი ენა. კითხულობთ და გეჩვენებათ, რომ ერთსა და იმავე გულუბრყვილო ფრაზებს ატრიალებს, მაგრამ სწორედ ასე აღწევს შედეგს. ის არ გამძიმებთ ისტორიით. როგორც კი ამ სიმსუბუქეს დაკარგავს, ამბავიც დამძიმდება, ხელოვნურად გაღრმავდება და სულ სხვა სხეულად ჩამოყალიბდება, რომელიც არავინ იცის, რამდენად მოერგება მთელ იმ სამყაროს, რომელსაც ახლა წარმოადგენს...

და მაინც, რა ამბებია ზურას ამბები... დღევანდელი ქართველი მკითხველი გადაღლილია თანამედროვე ქართველი ავტორების უსასრულო თვითრეფლექსიებით, საკუთარ თავში ჩაღრმავებებით და მხოლოდ საკუთარ პრობლემებზე პათეტიკური კონცენტრირებით. ზურა კი ახერხებს, მთელი ქალაქი დაინახოს. თუ ყველა პერსონაჟს ერთ კონად შევკრავთ და შევეცდებით, გამოვთვალოთ

ერთგვარი «საშუალო არითმეტიკული», დავინახავთ, რომ ყველა მათგანის – ბავშვის, ხელმოცარული თინეიჯერის და ოჯახდანგრეული შუახნის ქალის თუ კაცის ცხოვრების ფინალი ჟორას სიბერეა... ჭკუიდან გადაცდენა, როგორც სიმარტოვის ბოლო ფაზა, სიგიჟე, როგორც სიმარტოვის სასოწარკვეთილი მეტაფორა.

ამ ადამიანებს – ბავშვსა თუ მოხუცს მარტოობა და ადამიანებისგან მიყენებული ტკივილები აერთიანებთ, როცა ბოლო იმედიც კი, – რომ მეგობარი მოვა, – გადაწურულია და წინ მხოლოდ სიცარიელეა, გიჟური სიცარიელე, ანუ ფანჯრიდან თოვლში გადაშვება...

ზურას პერსონაჟები ცოტათი სასაცილოები არიან გარემოს სტანდარტული თვალისთვის, ცოტათი უიღბლონი, მარტონი და სევდიანნი.

წერს შეზღუდული შესაძლებლობის მქონეებზე, წერს უმცირესობებზე. წერს გულნატკენ ადამიანებზე, ვინც ამა თუ იმ კომპლექსის თუ მოკრძალების გამო ჩრდილშია და უნებურად ჩაგრავენ გარშემომყოფები.

ცხადია, ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ამ წიგნში ყველაფერი საუკეთესოდაა... ცხადია, არის შეცდომები, გადაცდომები, სუსტი ადგილები და თავმოუბმელი თემები. ზემოთაც აღვნიშნე და კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვიტყვი – ყველაზე უფრო გულუბრყვილო თხრობა მომწონს და იმავდროულად ყველაზე უფრო გამაღიზიანებლად სწორედ ამ გულუბრყვილო თხრობით ზედმეტი გატაცება მეჩვენება, როცა ეს ბავშვური თვალგაფართოებულობა ხანდახან თითქოს მომაბეზრებელი და ყალბი ხდება. ვფიქრობ, ამ მომენტს ყურადღებით მოეკიდება ისეთი მგრძნობიარე ავტორი, როგორიც ზურა აბაშიძეა.

რაც შეეხება წიგნის სათაურს, ძალიან ნუ დაიბნევით. ბილი ელიოტი ერთი ბრიტანული ფილმის პერსონაჟია. მამას ის კრივზე დაჰყავს, მას კი ბალეტზე უნდა სიარული. ზურა აბაშიძესთან ბილი ელიოტი ძაღლს ჰქვია, რომელსაც პატრონი და მისი მეგობრები გარკვეული ჰუმანური მიზეზების გამო მოკვლას უპირებენ.

ორივე ბილი სიმბოლურად გამოხატავს კრებულისა და ავტორის ძირითად კონცეპტს – გაბატონებული ნორმებიდან ამოვარდნილი ადამიანის ცხოვრების გზას და ზურა აბაშიძის წიგნის ძირითადი მესიჯიც ეს მგონია.

# ნინო სადღობელაშვილი

## „იყავი ჩიტი!“

***(გაგა ნახუცრიშვილი – «სისულელის ტრაქტატი», «ბარნოვის 122»)***

*«სიყვარული იმიტომაა უცნაური, რომ ის არსებობს»*
***ერლომ ახვლედიანი***

როგორ გინდა, დაჯდე და სერიოზული წერილი დაწერო (შიგ შენი ლიტერატურული ცოდნა, საკმაზად სამი-ოთხი თეორიული ტერმინი, რამდენიმეც – ცნობილი (ან, უცნობი!!) ციტატა გაურიო) პოეტზე, რომელიც უხსოვარი დროიდან შენივე ბავშვობასავით გიყვარს და ეს სიყვარული ხელს გიშლის, იყო სერიოზული და მით უფრო, ლიტერატურულ-თეორიული (მიუხედავად იმისა, რომ მასთან სწორედ ეს – ლიტერატურული ფიქრები გაკავშირებს და ამ საერთო ვნებაზე არაერთხელ გემრიელადაც გისაუბრია)?

ძნელი ამბავია აქ და ახლა სერიოზულობა, მით უფრო, რომ ამ უკანასკნელში არა მხოლოდ პოზას, არამედ დამოკიდებულებასაც ვგულისხმობ – რაც უნდა იყოს, ყველაზე სერიოზული მე სწორედ იმ ადამიანების მიმართ ვარ, ვინც თავისი არსით და ცხოვრებით გაბედა და სიყვარულად დარჩა.

გაგა ნახუცრიშვილზე, მეგობრებში და უახლოეს

წრეებში – ნახცოზე – მოგახსენებთ.

ცოტა ხნის წინ მისი ჩანაწერების ორი კრებული გამოვიდა, ჯერ «**სისულელის ტრაქტატი**» და სულ ახლახან – «**ბარნოვის 122**». ორივე გამომცემლობა «**ინტელექტმა**» დაბეჭდა.

პოეტის ჩანაწერები კიდევ უფრო საინტერესო ამბავია მკითხველისთვის, მით უფრო, თუ მას ყველასთვის საყვარელი და თანამედროვეობის ერთ-ერთი გამორჩეული ავტორი სთავაზობს. გაგა ნახუცრიშვილი კი ის პოეტია, ვინც ზუსტად ისევე ცხოვრობს, როგორც საკუთარ ლექსებში წერს, და – პირიქით.

სწორედ ამ უშუალობის, გულწრფელობისა და სინაღდის გამო მოიპოვა მან თავიდანვე მკითხველის ნდობაც და სიყვარულიც და, კიდევ არის რაღაც მისტიკური და იდუმალი ამ კავშირში, ტანდემში – პოეტი და მკითხველი (ამ შემთხვევაში – ნახცო და მკითხველი), ჩანაწერების ორივე კრებულში სწორედ ეს იდუმალია გაცხადებული, ანუ საიდუმლო სისულელისა (როგორც დაასათაურა თავად ავტორმა), რაც თანაბარი სიმძლავრით ასატანს და აუტანელს ხდის ყოფას ჩვენს დროში, გნებავთ – მარადისობაში.

თაობებზე ლაპარაკი ხშირად ამაო გარჯა და უკიდურესად პირობითი რამაა ხოლმე, მაგრამ ხანდახან, როცა კონკრეტულ დროში რამდენიმე ნათელი სახე (სახელი) მოიყრის თავს და რაღაც ერთი მიზნისკენ დაიძვრება, ჩვენ მათ ერთობას უკვე თაობას ვუწოდებთ და ამ ერთობლიობაშიც გავიაზრებთ მეტად ეგზისტენციურ ამბებს და საკითხებს...

ყოველთვის მიმაჩნდა, რომ გაგას თაობა სრულიად განსაკუთრებული მოვლენაა არამხოლოდ ლიტერატურაში, არამედ, ზოგადად ჩვენს უახლოეს დროში, ე. წ. 90-იანელების თაობა, რომელსაც მძიმე და ღრმა საბჭოთა წარსულიდან თავისუფალი სამშობლოს შემუსვრილი ოცნება ერგო და ამ ოცნების ნამსხვრევებზე რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი, საბედისწერო გამოატარა კიდეც. ამ ყველაფერს წლები და მომავალი გადააფასებს, თუმცა ეს უკვე ხილულად ჩანს და დღეს მათ მიერ ნაცხოვრები და ნაფიქრი დროის სინათლეს ჩვენც ვინაწილებთ. ვინ არიან ეს ბიჭები? ეს კარგი პოეტები და მწერლები, იმ ცნობილი ევროპულ-ამერიკული «დაკარგული თაობის» გმირებივით ნაომარები და ათასჯერ დაჩეხილები, დაკარგულებიც, დავიწყებულებიც და ხელახლა გაცოცხლებულებიც (ტიციან ტაბიძის ცნობილი, ფატალური ლექსის გამოძახილივით: «სამჯერ ვარ დაბადებული, მონათლული ვარ სამჯერა, ერთხელ სიკვდილი რას მიზამს, ერთხელ სიკვდილის არ მჯერა») – ირაკლი ჯავახაძე, ბექა ქურხული, რეზო თაბუკაშვილი, გაგა ნახუცრიშვილი, არჩილ ქიქოძე, ზაზა ბიბილაშვილი, ბესო ხვედელიძე, გიო მგელაძე და კიდევ ბევრნი, ალბათ რამდენი გამომრჩა, რამდენი ღონიერი სახელი (ომებში დაღუპულებზე რომ აღარაფერი ვთქვათ...), ვისთან ერთადაც ახალი და ნათელი საქართველოს (რა ბუნებრივი პათეტიკაა და როგორ უხდება ამ ყველაფერს ეს პათეტიკა აქ და ახლა!) მზე უნდა ამოსულიყო, მაგრამ მზის ამოსვლამ, როგორც ზღაპრებშია, დააგვიანა...

ხოლო პოეტმა ეს ყველაფერი ასე თქვა:

*«ცა დაეცემა უცებ მიწაზე*
*და რჩება მაღლა სიცარიელე»*...

(გაგა ნახუცრიშვილი «თეთრი ცხელება»)

ოდესმე ალბათ დაიწერება საგა 90-იანელების თაობისა, თუმცა მანამდე იმ დროსა და ადამიანებზე ეს მწერლები თავად ჰყვებიან, თავიანთ მოთხრობებსა და რომანებში, ლექსებში, ფილმებსა და ჩანაწერებში.

ეს დრო – წარსული, როგორც სიზმარი, გაგა ნახუცრიშვილის ჩანაწერებშიც გადმოსახლდა. ორივე კრებული სწორედ იმ გარდასულს, ძვირფასს, განსაკუთრებულს ეძღვნება, რაც იყო და აღარ არის, რაშიც ცხოვრებამ თავისი ოქროსფერი ნაფეხური ჩატოვა.

ორივე წიგნი ზუსტად იმ სიყვარულითაა დაწერილი, რა სიყვარულზეც თავშივე მოგახსენებდით – ნახცოს რომ უკავშირდება და ნახცო რითაც უკავშირდება დანარჩენ სამყაროს. ამ დამოკიდებულებით მის ნაწერს ყოველთვის გამოარჩევ, ეს ადამიანური კრძალვა და სიფაქიზე (ამ სიტყვების ყველაზე კაცური გაგებით) არავისში აგერევა, ასე მხოლოდ გაგა ნახუცრიშვილს შეუძლია გაიხსენოს და ილაპარაკოს – იმ ადამიანებზე, თბილისზე, იმ... იმ საქართველოზე.

ეს ახალგაზრდობის ჩანაწერებია. არა კონკრეტული ადამიანის, არამედ, ზოგადად, ამ მოვლენის – ახალგაზრდობის, როცა ყველაფერი ყალყზე დგას და თავის სამიზნეს გულშეშვერილი, თავის წილ წამს ელოდება; როცა «არსად გეჩქარება», რადგან შენა ხარ მთელი დროის ბატონ-პატრონი. ეს წიგნები იმ საიდუმლოს გამხელაცაა, თუ როგორ შეგიძლია, დარჩე მუდამ ახალგაზრდად, როგორ დაამახსოვრო თავი ადამიანებს, სამყაროს. ესაა ამბები დიდ და უწყინარ ახალგაზრდულ ამბოხზე, პირველყოვლისა საკუთარ თავთან. ესაა,

როგორც თავად ნახცო ამბობს – მისი «თამაში ჭვავის ყანაში».

*«ბევრი ვიდავეთ,*
*სისადავე გაქრა დავაში*
*და გვეგონა ომი თამაში...*
*რწმენა, გართობა,*
*ეს იყო ჩვენი ახალგაზრდობა...»*

პირველი, რაც ამ კრებულებში თვალში მოგხვდებათ, სიზმრების სიმრავლეა. ბევრი ნოველა თუ მინიატურა ასეც იწყება – «ისევ დამესიზმრა»... შესაძლოა, ესაა სიზმრები იმაზე, თუ როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო სამყარო და ცხოვრება უფრო უკეთესი, მხიარული და ბედნიერიც... შესაძლოა, ეს სიზმრები სულაც არაა და პირიქით, რომელიღაც პარალელური სინამდვილის ტალღებია, რომელსაც პოეტის გამძაფრებული გუმანი «იჭერს». თავად კი ასე ხსნის ავტორი: *«დღევანდელობა მოსაწყენია, რაღაცნაირი – ბანალურობით აგრესიული, სიყალბით გაჟღენთილი და უტვინო ამბიციურობით გატენილი!.. ალბათ ამიტომაც, ეს ჩემი მოგონებები, სიზმარივითაა. სიზმარივით, რომელიც ნამდვილად არსებობდა».*

სიზმრები ყველაზე უცნაურ და ბანალურ ამბებზე, მაგალითად – ვერის ბაღში წიგნის ბაზრობაზე, ან ბამბუკის ტყეზე გაგრაში, ან, ბოლოს და ბოლოს – ფეხბურთზე, მის აღმატებულება ფეხბურთზე, რომელიც ასე ძალიან უყვარს ნახცოს და რომელზე წერაც წარმოუდგენელი აღტყინებით უხარია. უფრო სწორად, ისეთ ფეხბურთზე წერა, რომელიც ოდესღაც იყო, ოდესღაც ახსოვს, ან დაესიზმრა. *«მოლდოვასთან თამაშის წინ, ძალიან უცნაური რამ დამესიზმრა. ჩვენი ნაკრები 90 წუთი ბურთს აკონტროლებდა და მეტოქეს მწვავედ უტევდა.*

*ელვისებური სისწრაფით გადადიოდა, დაცვიდან შეტევაში და შეტევიდან დაცვაში. იყო გონივრული კომბინაციები და ლამაზი, ეფექტური ფინტების კორიანტელი, როგორც იტყვიან, იყო ყველაფერი, რისთვისაც ფეხბურთი გვიყვარს».*

საერთოდაც, ეს წიგნი იმაზეა, რაც გვიყვარს, ან გვიყვარდა, რაც ყოვლად აუტანელ საბჭოთა წარსულშიც კი ანათებდა, როგორც ადამიანად ყოფნის კეთილი ამბავი. ამ კრებულებში ყველაფერი გასულიერებულია, ცოცხალია და ადამიანის სიმაღლემდეა (თავად ადამიანია ბუნებრივად აღმატებული) – *«ჩემი ბიჭვინთელი მეგობარი მოხუცი ფიჭვი დამესიზმრა, ნეტავ ცოცხალი თუა? ნეტავ ვახსოვარ?»*.. – იწყებს ერთ ჩანაწერს და არის ამ სტრიქონებში სევდასთან ერთად რაღაც ძალიან ფატალური – მოხუცი მეგობარი ნაძვი ბიჭვინთაში ხომ მთელი აფხაზეთია, რომელიც ახლა მხოლოდ ჩვენს სიზმრებში ცხოვრობს, თავის მიწიან-ადამიანებიანად, მთებიან-ზღვიანად, და მას პოეტი თუ გამოიხმობს ტკივილიანი ხსოვნისთვის...

ამ წიგნებში ცოცხლობენ ის ნათელი და კარგი ბიჭები, ვინც ნახცოს დრო შექმნა – პაკო სვიმონიშვილი, გიო თურქაძე, მიშიკო ქორიძე (ხულიგანა), პეტრო... აქვს ამ ხსოვნას გულისგამგლეჯი სევდაც და იუმორიც. ნახცოს იუმორითაც გამოარჩევ (თვითირონიითაც) – თხრობის მანერაშიც და მონათხრობ ამბავშიც ეს უკანასკნელი განსაკუთრებულ როლს თამაშობს, რადგან თავისთავად სხარტ და ცინცხალ ისტორიებს კიდევ უფრო მეტად აფერადებს და, არასდროს რომ არ დაგავიწყდება, ისეთ ამბებად აქცევს – «ფეხმძიმე ცოლი», «7 ნოემბერი», «თეთრი პუდელი» და კიდევ უამრავი სხვა...

ეს კრებულები გულგრილს არავის დატოვებს. საამისოდ მათში ყველაფერია, და კიდევ ის იდუმალება, რაზეც უკვე ვილაპარაკეთ. ეს იდუმალებაა, ბრძენს რომ სისულელით ამკობს და სერიოზულს – არასერიოზულობით, დროს რომ ყოფისგან ათავისუფლებს და მარადისობის შუქით აბრწყინებს. ეს იდუმალება ან გაქვს, ან არა. თუ გაქვს, და მით უფრო, თუ პოეტი ხარ, მაშინ ძალიან გაგიმართლა შენც და შენს მკითხველსაც – ჩათვალე, რომ ეს შუქი არასდროს შეწყდება, შენ კი, მისი გამტარი ამ იღბალის გამო აღმოჩნდი.

შუქი ადამიანებს ყოველთვის სჭირდებათ. დღეს ხომ ძალიან და, ალბათ – ხვალ უფრო.

თავად გაგა ნახუცრიშვილი ამას ასე იტყვის:

*«დავრჩებით ასე კვლავ მე და სივრცე,*
*სადამდეც გავძლებთ, ალბათ ვიქნებით,*
*«იყავი ჩიტი! – ამბობდა ქრისტე,*
*სად მიფრინავენ ნეტავ ჩიტები».*

# 6. ახალი თარგმანები

# მაქს ფრიში

# რიპ ვან ვინკლეს ზღაპარი

## (გერმანულიდან თარგმნა მაია ფანჯიკიძემ)

რიპ ვან ვინკლე, იმ უშიშარი ვან ვინკლეების შთამომავალი, ერთ დროს ჰენდრიკ ჰაძონთან ერთად ამერიკა რომ აღმოაჩინეს, დაბადებიდან მცონარე იყო, მაგრამ თან, კეთილი ადამიანი, რომელიც იმიტომ კი არ თევზაობდა, რომ თევზი დაეჭირა, არამედ იმიტომ, რომ ეოცნება, რადგან თავი ისეთი აზრებით ჰქონდა გამოჭედილი, მის ცხოვრებასთან საერთო რომ არაფერი ჰქონდა. მისი ცხოვრება კი იყო კარგი ცოლი, რომელიც სოფელში ყველას ან ეცოდებოდა, ან მოსწონდა. ქმართან დალხენილი ყოფა ნამდვილად არ ჰქონია. რიპიც მშვენივრად ხვდებოდა, რომ აუცილებლად უნდა ჰქონოდა ხელობა, რაიმე კაცური ხელობა და ამიტომ თავს მონადირედ ასაღებდა, რადგან ამ ხელობის უპირატესობა ის იყო, რომ მთელი დღეები შეეძლო ისე ეხეტიალა, არავის გადაყროდა. შინ უმეტესად ხელცარიელი ბრუნდებოდა, ერთი მტრედიც კი არ მოჰქონდა, მხოლოდ სინდისის ქენჯნით იყო ხოლმე დამძიმებული. ბაღზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მისი პატარა სახლიც მთელს სოფელში ყველაზე უბადრუკი იყო. ვერსად ხარობდა სარეველა ისე ღონივრად, როგორც იქ და მთელს სოფელშიც მარტო მის თხებს ერეოდათ ხოლმე გზა და ხევში იჩეხებოდნენ. მაინცდამაინც არაფერზე დარდობდა, რადგან, თავისი წინაპრებისგან განსხვავებით, ღრმა სულიერი სამყარო ჰქონდა. ისინი ძველი სურათებიდან მოქმედების დაუცხრომელ ჟინს აფრქვევდნენ. რიპი კი დილიდან საღამომდე თავისი უბადრუკი ქოხის წინ იჯდა, ნიკაპი მუჭში მოექცია და ფიქრობდა, რატომ არა ვარ

ბედნიერიო. ცოლი და ორი შვილი ჰყავდა, მაგრამ ბედნიერი არ იყო. საკუთარი თავისგან მეტს მოელოდა, ორმოცდაათი წლის იყო და კიდევ რაღაცას მოელოდა, მის კარგ ცოლს და ამხანაგებს კი ამაზე ეღიმებოდათ. მხოლოდ ბაუცს, მის ბანჯგვლიან ძაღლს ესმოდა პატრონის და კუდს აქიცინებდა, რიპი თოფს რომ წაავლებდა ხოლმე ხელს და ციყვებზე სანადიროდ გაეშურებოდა. მძიმე, მოსადავებული თოფი წინაპრებისგან ერგო მემკვიდრეობად. მათ ალბათ ჩუმად ეღიმებოდათ, რიპი ნადირობის ამბებს რომ ყვებოდა; თავს გადახდენილი ამბები მეტი იყო, ვიდრე ნანადირევი. და რადგან მოყოლილი ამბებით ოჯახი ვერ დაპურდებოდა, მის ცოლს, ორი შვილის დედას, ეს ყველაფერი უკვე ყელში ამოსვლოდა; აღარაფრის ერიდებოდა, ლანძღავდა, უსაქმური ხარო, მას კი ამის ატანა არ შეეძლო. ამიტომაც თითქმის ყოველ საღამოს სოფლის დუქანში იჯდა, ნადირობის ამბები სადმე ხომ უნდა მოეყოლა, დუქანში კი თითო-ოროლა მსმენელი ყოველთვის ჰყავდა, თუმცა, მისი მოყოლილი ამბები, როგორც ვთქვით, ვერ დაგაპურებდა; მოწმეებად რიპს თავისი შესანიშნავი თოფი და ფეხებთან ჩაცუცქული დაღლილი ძაღლი ჰყოფნიდა. უწყინარი და ცხოვრებისგან დამფრთხალი რიპი ძალიან უყვარდათ, სიყვარული კი მას მართლაც სჭირდებოდა. ცოტას მგონი სვამდა კიდეც. და თუ არავინ უსმენდა, მაინცდამაინც არც ეს ანაღვლებდა; შუაღამემდე სახლში მაინც არ ბრუნდებოდნენ ის და მისი ძაღლი. ბაუცი კუდს უკანა ფეხებში მოიმწყვდევდა ხოლმე, როგორც კი იგრძნობდა, ქალბატონი ვან ვინკლე მიახლოვდებაო. ყოველ საღამოს, როცა რიპი ჩექმებს იხდიდა, ცოლი ქადაგად ვარდებოდა. მისი უაზრო ლაპარაკი რიპსაც ისევე არ ესმოდა, როგორც მის ძაღლს, და, რა თქმა უნდა, ცხადი იყო, რომ ასე

დიდხანს ვეღარ გაგრძელდებოდა, წლები კი გადიოდა და არაფერი იცვლებოდა...

ერთხელაც რიპი და მისი ერთგული ძაღლი ისევ ციყვებზე სანადიროდ გაეშურნენ. სანამ სოფელი ხედავდა, წელგამართულები მიაბიჯებდნენ, შემდეგ რიპი, ჩვეულებრისამებრ, შეისვენებდა ხოლმე, საგზალს ცოტას წააციცქნიდა, ბაუცი კი დადარაჯებული იყო, ვინმე გორაკს ხომ არ უახლოვდებაო. ჯილდოდ, ბაუცი, როგორც წესი, პატარა ძვალს იღებდა ხოლმე. სანამ ის შიშველ ძვალს ღრღნიდა, რიპი ჩიბუხს უკიდებდა, რომ ჭკვიანი ძაღლისთვის სულის მოთქმის საშუალება მიეცა. მერე ჩანჩალით გაუყვებოდნენ გზას, მოციმციმე მდინარე ჰაძონის თავზე ფართოდ გადაშლილ ბორცვებიან ველს გადაივლიდნენ. იქაურობა ულამაზესი იყო, დღესაც ულამაზესია, და ციყვებიც ბლომად დახტოდნენ. ღმერთმა იცის, რატომ აჩვენებდა რიპი თავს ყველას მონადირედ! მიხეტიალობდა ტყეში ფიქრებში ჩაფლული, რომელიც ძეხორციელისთვის არ გაუზიარებია. ტყეში არამარტო კურდღლები, ირმებიც კი დახტოდნენ! ირმის დანახვაზე რიპი გაშეშდა და გაოგნებულ ცხოველს დაჟინებით უმზერდა, ხელები ჯიბეებში ჩაეწყო, თოფი მხარზე ეკიდა, პირში ჩიბუხი გაერჭო. ირემს კი არც მონადირის შეშინებია, არც თოფის და ბალახის ძოვა განაგრძო. შენ ხომ მონადირე ხარ! თავს შემოუძახა რიპმა, თვალწინ დუქანი დაუდგა, საღამოობით რომ სტუმრობდა ხოლმე, შემდეგ ერთგული ცოლი და თოფი მოიმარჯვა. ირემს თვალებში შესცქეროდა, ჯერ დაუმიზნა, მერე

სასხლეტს თითი გამოჰკრა, მაგრამ თოფში დენთი არ აღმოჩნდა! რა უცნაური იყო, თოფს არ გაესროლა, ძაღლი მაინც ყეფდა, რიპს კი ხევიდან ვიღაც ეძახდა: რიპ ვან ვინკლე, რიპ ვან ვინკლე! უხილავი, კლდოვანი ხევიდან მძიმე ტვირთისგან აქოშინებული უცნაური კაცი ამოძვრა, მოკუნტულს სახე არ უჩანდა, მაგრამ მისი ტანსაცმელიც კმაროდა გასაოგნებელად. ისეთი ზედატანი ეცვა, ძველ სურათებზე რომ გინახავთ: განიერ შარვალს ფერადი თასმები დაუყვებოდა, იმგვარი ცანცარა წვერიც არ აკლდა, ერთ დროს რიპის წინაპრებს რომ ამშვენებდა. მხარზე სასმელით სავსე მოზრდილი კასრი შემოედო. რიპს პატიჟი დიდხანს არ დასჭირვებია. შენ ზრდილობიანი ადამიანი ხარ! შენ გულისხმიერი ადამიანი ხარ! უთხრა ცანცარაწვერიანმა კაცმა და კასრი მხრებზე გადაუგორა. რიპს ეს სიტყვები ძალიან ესიამოვნა და ზედმეტი კითხვები აღარ დაუსვამს... გზა ჯერ მაღლა ადიოდა, მერე ისევ დაბლა ჩადიოდა, სხვა ხევში და რიპი უცებ ისეთ ადგილას აღმოჩნდა, მანამდე რომ არასდროს ენახა. გარემო ბაუცს, მის ერთგულ ძაღლსაც ეუცხოვა, პატრონს ფეხებზე ეკვროდა, წკავწკავებდა. ხევიდან ჭექა-ქუხილივით გრუხუნი ამოდიოდა. ბოლოს სხვა ადგილამდე მაღწიეს. რიპმა ატკივებული მხრებიდან კასრი ჩამოიღო, წელში გაიმართა და მიმოიხედა. ეს რიპ ვან ვინკლეა! გამოაცხადა ცანცარაწვერიანმა კაცმა და რიპი უცებ ძველებურკულულებიანი მოხუცი მამაკაცების საზოგადოების შუაგულში აღმოჩნდა. ყველას ნიდერლანდური ქუდი ეხურა და მედიდურად იყურებოდნენ. ხმას არავინ იღებდა, სახე გახევებოდათ. რიპმა ყველას თავი დაუკრა. თურმე კეგლის მოთამაშეთა საზოგადოება ყოფილა. გრუხუნიც ამიტომ ამოდიოდა ხევიდან! რიპს კათხები შეავსებინეს, ხანშიშესულმა ბატონებმა გვარიანი ყლუპი მოსვეს და თამაში ჩუმად

განაგრძეს. რიპმა, თავაზიანობას გამოვიჩენო, აბა, რას იზამდა და კეგლის დაწყობას შეუდგა. თითო ყლუპის გადაკვრას შიგადაშიგ მაინც ახერხებდა. სვიის არაყი იყო, მისი საყვარელი არაყი! კეგლი კი აქეთ-იქით იფანტებოდა და ისეთი გრუხუნი გაუდიოდა, მთელს ხევში გუგუნებდა ექო. რიპს მოსვენება არ ჰქონდა, გრუხუნს და გრიალს ბოლო არ უჩანდა. დააწყობდა ყანყალა და მძიმე კეგლს თავის ადგილზე და სვიის არაყს მიუბრუნდებოდა თუ არა, რომელიმე ბატონი ბილიკში ჩადგებოდა, მარცხენა თვალს მოჭუტავდა, კარგად დაუმიზნებდა და ქვის ბურთს გრუხუნით გააგორებდა. უნდა ითქვას, საკმაოდ უცნაური საზოგადოება იყო, ხმას არავინ იღებდა და რიპიც კითხვას ვერ ბედავდა, ამ იძულებითი სამუშაოსგან როდის გამათავისუფლებთო. როგორი ღირსეული სახეები ჰქონდათ ნიდერლანდურ ქუდებიან და ძველებურკულულებიან ბატონებს! ბოლო კეგლს რომ დადგამდა ხოლმე, მხოლოდ მაშინ შეუჩნდებოდა გამთანგველი გრძნობა, ზურგს უკან მგონი დამცინიანო, მაგრამ ხომ ვერ მოტრიალდებოდა, რომ შეემოწმებინა. ერთ ყანყალა კეგლს რომ გაასწორებდა, გრუხუნით მეორე წამოეწეოდა და გვერდზე რომ არ გამხტარიყო, ფეხები გაეჩეჩქვებოდა. ამ კატორღას ბოლო არ უჩანდა. არყიანი კასრი, ეტყობა, უძირო იყო, რიპი კათხებს ავსებდა და ავსებდა, ბატონები სვამდნენ და სვამდნენ და უსიტყვოდ თამაშობდნენ. – გამოსავალი მხოლოდ ერთი იყო: უნდა გაეღვიძა!

...მზე უკვე ყავისფერ ნისლში ჩადიოდა, რიპი წამოიმართა და თვალები მოისრისა. სახლში დაბრუნების დრო მოსულიყო, მაგრამ ამაოდ იხმობდა სტვენით თავის ძაღლს. ცოტა ხანს, ჯერ კიდევ ბურანში, ხევში იხედებოდა და კეგლის მოთამაშე ნიდერლანდურქუდებიან,

ძველებურკულულებიან კაცებს ეძებდა, მაგრამ ეს ყველაფერი ხომ მოლანდება იყო! შორს ფართო მდინარე ჰაძონი ისევ ისე ციმციმებდა. ოღონდ ძაღლი დაბრუნებულიყო თავისი ჩვეული წკავწკავით და რიპი სიზმარს სულაც აღარ ინაღვლებდა. გზაში მოიფიქრებდა, რა მოეყოლა სოფელში. საკუთარი ისტორიები ცოტათი იმ ყანყალა კეგლებს აგონებდა, რომელთაც ის აწყობდა, რომ შემდეგ სხვებს წაექციათ. ბაუცის კვალი არსად ჩანდა! ბოლოს რიპმა ბალახიდან თოფი აიღო, მაგრამ ჰოი, საოცრებავ, თოფი სულ ღვიაში გახლართულიყო. უარესიც, თოფი ჟანგს დაეფარა, ეს იყო დედამიწაზე ყველაზე უბადრუკი თოფი! ხის კონდახი დამპალიყო. რიპმა თავი გააქნია, თოფი ხელში რამდენჯერმე შეატრიალა, მერე შორს მოისროლა და წამოდგა. მზე უკვე ჩადიოდა. არ სჯეროდა, რომ ფუთასთან დაყრილი უსულო ძვლები მისი ერთგული ძაღლის უკანასკნელი ნაშთი, ბაუცის ჩონჩხი იყო. მაგრამ აბა, სხვა რა უნდა ყოფილიყო? ცხადია, არ ესიზმრებოდა, ნიკაპი მოისრისა და ხელში წვერი შერჩა, მკერდამდე წვერი, მოხუცის წვერი. წლები გასულიყო. ნეტა რამდენი? ყოველ შემთხვევაში, გვიან იყო. შიმშილმა და ალბათ ცნობისმოყვარეობამაც, რამდენი წლის სიცოცხლე დარჩენოდა ამ ქვეყანაზე იმ სულელური კეგლის თამაშის შემდეგ, რიპი თავის მშობლიურ სოფელში ჩაიყვანა, მაგრამ სოფლის გზები და სახლები ვეღარ იცნო. სულ უცხო ხალხი დადიოდა! მხოლოდ მისი ქოხი იდგა ისევ ისე უბადრუკად, ცარიელი, ფანჯრებჩამსხვრეული. შიგ ქარს დაედო ბინა. სად იყო ჰანე, მისი ცოლი? ნელ-ნელა ძრწოლვა შეეპარა. ძველ დუქანში კი გაიგებდა ყველაფერს, მაგრამ ან დუქანი სადღა იყო? დაკარგულ და ეულ, აბნეულ და შეშინებულ რიპს გარშემო უცხო ბავშვები ეხვეოდნენ, ყველას თავისი ამხანაგების ამბავს ეკითხებოდა. პასუხად კი ან სასაფლაოზე უთითებდნენ, ან

მხრებს იჩეჩდნენ. ბოლოს (ჩუმი ხმით) საკუთარი ამბავი იკითხა, იქნებ ვინმე იყოს ცოცხალი, ვინც რიპ ვან ვინკლეს იცნობდაო? ყველამ გაიცინა. რიპ ვან ვინკლეს, ციყვებზე მონადირეს, ვინ არ იცნობდა! გასაოცარი ამბები მოისმინა კაცზე, რომელიც ოცი წლის წინ ხევში გადაჩეხილა თუ ინდიელებს ჩავარდნია ხელში, ეს ხომ ბავშვმაც იცისო. რაღა დარჩენოდა? მორიდებით მოიკითხა ჰანეს, ციყვებზე მონადირის ცოლის ბედი და როცა უთხრეს, დიდი ხნის წინ გადაჰყვა დარდსო, ტირილი დაიწყო და წასვლა დააპირა. თქვენ თვითონ ვინ ხართო? ჰკითხეს და მაშინ მოეგო გონს. ღმერთმა იცის! უპასუხა: ღმერთმა იცის, გუშინ მეგონა ვიცოდი, ვინ ვარ, მაგრამ დღეს, როცა გამოვფხიზლდი, საიდან უნდა ვიცოდე? ირგვლივ მდგომებმა თითებით შუბლზე დაიკაკუნეს. ამაოდ უყვებოდა მათ რიპი კეგლის თამაშის საოცარ ისტორიას, მოკლე ისტორიას, როგორ გამოეცინცლა ძილში მთელი ცხოვრება. ვერავინ გაიგო, რისი თქმა უნდოდა, სხვანაირად კი თავის ამბავს ვერც ის ახსნიდა. და ხალხი ისევ თავის გზას გაუყვა, მხოლოდ ერთი ახალგაზრდა და საკმაოდ ლამაზი გოგო დარჩა. რიპ ვან ვინკლე მამაჩემი იყო! უთხრა მან. რა იცი მის შესახებ? ერთხანს თვალებში უყურებდა და ალბათ ცდუნებას ებრძოდა, ეთქვა თუ არა, მამაშენი ვარო, მაგრამ იყო კი იგი, რასაც მისგან მოელოდნენ, ციყვებზე მონადირე, ისტორიებით დახუნძლული კაცი, ისტორიებით, რომლებიც სულ ყანყალებდნენ და ეცემოდნენ, როცა სხვები იცინოდნენ? ბოლოს უთხრა: მამაშენი მკვდარიაო! და იმ ახალგაზრდა გოგომაც მიატოვა. გული ეტკინა, მაგრამ ალბათ ასეც უნდა ყოფილიყო. ნუთუ ტყუილად გაიღვიძა? კიდევ რამდენიმე წელი იცხოვრა სოფელში, უცხოდ დარჩა უცხო სამყაროში და არც ელოდა, რომ დაუჯერებდნენ, რასაც ჰენდრიკ ჰაძონზე ყვებოდა, ქვეყნის და მდინარის აღმომჩენელზე, და მისი გემის ეკიპაჟზე, რომელიც

დროდადრო ხევში იკრიბებოდა და კეგლს თამაშობდა და როცა ამბობდა, იქ უნდა ეძებოთ თქვენი ბებერი რიპ ვან ვინკლეო, ყველას ეღიმებოდა. კი, ცხელი ზაფხულის დღეებში მართლაც ისმოდა გრუხუნი და ქვების გორაობის ყრუ ხმა მთებს იქით, კეგლის ჭახაჭუხს რომ ჰგავდა, მაგრამ უფროსებს ეს ჩვეულებრივი ჭექა-ქუხილი ეგონათ და, ალბათ, არც ცდებოდნენ.

# იუსიფ სამედოღლუ

# ცივი ქვა

## (აზერბაიჯანულიდან თარგმნა ოქტაი ქაზუმოვმა)

*დაიბადა 1935 წლის 25 დეკემბერს, ბაქოში. სხვადასხვა პერიოდში რედაქტორობდა ლიტერატურულ ჟურნალებს. მის ნაწარმოებებს შორის ყველაზე მეტი პოპულარობით სარგებლობს მისი მოთხრობა, «შირაზის ბაიათი». იგი სამედ ვურღუნის უფროსი შვილი და პოეტ ვაგიფ სამედოღლუს ძმაა. გარდაიცვალა 1998 წელს.*

ბილიკის განაპირას, ზედ შუქის დაცემისას ვერცხლისგან ჩამოსხმულივით გამომზირალი ბრტყელი ქვა. მთათა მწვერვალებიდან აზვირთებულ-აქაფებული და ოდესღაც აქედან გამავალი დიდი მდინარის სახსოვარი.

როცა დარი დგას, წვიმა და ნისლი არ არის, ბიჭი ტყეში მოდის, ამ ქვაზე ჩამოჯდება, პაპიროსს მოუკიდებს, ფიქრობს და ტყის ხმაურს აყურადებს. ეჩვენება, თითქოს ციდან ბალახებს, ფოთლებს უჩინარი წვეთები ეცემიან ზედ და წკრიალით იფანტებიან. ეს წკრიალი მას სიზმარში მოსმენილ მუსიკას აგონებს. მას სიზმარში ყოველთვის მუსიკა ჩაესმის და უცნაურ ფერებს ხედავს. დილაობით ამ მუსიკისა და ფერების გახსენებას ლამობს, მაგრამ არაფერი გამოსდის და იტანჯება... გოგონა მომცრო, უხმაურო ნაბიჯებით ხეებს შორის რომ გამოჩნდება და ბიჭს უახლოვდება, ის წამოიმართება, უსალმოდ, უტყვ-უთქმელად პიჯაკს იხდის და გოგონას წამოახურებს

მხრებზე. გოგონა ყოველთვის განგებ თხლად იცვამს, ბიჭის პიჯაკში რომ გამოეხვეს.

ამ ღამით გოგონა იგვიანებს, მთვარე სულ ზენიტზე რომ ადის და ხეთა ჩრდილები რომ დამოკლდებიან, მაშინ მოდის. მოდის და შორს უჩერდება. ბიჭი დგება, პიჯაკის ღილების შეხსნა-შეხსნით გოგონასკენ მიაბიჯებს... ხედავს, გოგონას თეთრი მატყლის ჟაკეტი ჩაუცვამს. პიჯაკს აღარ იხდის, რაღაცის თქმა სურს, მაგრამ არ ამბობს, უკან მობრუნდება და ქვაზე ჩამოჯდება. და ეჩვენება, თითქოს, როგორც სიზმარში, აი, ახლა, ხეებს შორის კუნაპეტი ნისლი მზღვლევა-მზღვლევით წამოვა და გოგონას წაიყვანს. ის კი წინააღმდეგობას ვერ გაუწევს, ერთ ადგილზე ფართხალს მოჰყვება.

გვარიანი დრო გადის. გოგონა ხეს მიყრდნობია და ტოტებს შორის ზეცას ათვალიერებს. ბიჭს თავი ჩაუქინდრავს, პაპიროსს ეწევა.

სიმდუმარეა. სადღაც შორს ბაყაყები ყბედობენ. მთვარის შუქი ვეებერთელა მუხათა შორის მოიღვრება და ბიჭის ფეხთაქვეშ თეთრად ეფინება. მალიმალ ბუჩქიდან ბუჩქზე მოფარფატე პაწუკა ღამის პეპლების თეთრი ფრთები მიმობრჭყვიალებს. ბიჭს ეჩვენება, თითქოს ისინი სინამდვილეში მთვარის შუქისგან ანასხლეტი და ჰაერში მიმობნეული მარგალიტები არიან. ეტყობა, სიომ წამოუქროლა, რადგან ბიჭს თავზემოთ ფოთლები აშრიალდნენ. ფოთლები მალევე მიჩუმდებიან.

გოგონა ჩურჩულებს:

– ცას ვარსკვლავი მოსწყდა...

ბიჭი ხვდება, რომ გოგონა ამას ისე, ჩამოწოლილი, დაძაბული და მომაწყინარი დუმილის დასარღვევად

იძახის. გუშინ ღამითაც მას ჯერ ვარსკვლავებით დაეწყო, მერე ბიჭის უპასუხობა, თავის ჩაქინდრვით პაპიროსის მოწევა რომ შენიშნა, უადგილოდ გაეცინა და წასვლამდე თავიანთ სტუმარზე ელაქლაქა. ხუთი-ექვსი დღის წინ მამამის მადათს ძველი მეგობრის შვილი სწვეოდა. გოგონამ უარაკა, რომ ახალგაზრდა სტუმარი ახლახან დაბრუნებულიყო მსოფლიო მოგზაურობიდან. ყოველ დღეს მასპინძლებს გარს შემოიკრებდა და საოცარ რაღაცებს ჰყვებოდა...

გოგონა ახლოს მიდის და ბიჭის პირისპირ დადგება.

– რატომ არ იღებს ხმას?

ბიჭი თავს ასწევს.

– ისე... მოყევი ერთი, რას ამბობს თქვენი სტუმარი?

– ბევრ რამეს. მთელი დუნია აქვს მოვლილი. ისეთ რამეებს ჰყვება რომ...

ბიჭი გოგონას სიტყვებს კი არა, ხმას უგდებს ყურს. ის მუდამ ასე იქცევა. თან ამ ხმას უგდებს ყურს, თან თვალები ეხუჭება და გოგონას წარმოსახვაში უყურებს სახეზე. მას წვრილი, შავი წარბები აქვს. თვალები ყოველთვის ერთი ფერის არა აქვს. დილაობით ბაცია, საღამოობით კი ცისფერი შუქი უდგას თითქოს. ბიჭს ეჩვენება, გოგონას თვალებში ერთიმეორის მიყოლებით უამრავ-უთვალავი ვარსკვლავი მიცურავს. ლაპარაკისას ხელი ნიკაპთან მიაქვს, საჩვენებელ თითს მოიკაკვავს და ქვედა ტუჩს შუაში ადებს, მალიმალ იღიმის. რაზეც არ უნდა ილაპარაკოს, ზღაპარს ჰყვებოდესო, თითქოს...

– ისევ არ მისმენ? – გოგონა ეკითხება.

– როგორ არა – ბიჭი თვალებს ახელს – რას ამბობს თქვენი სტუმარი?

– იტალიაზე ლაპარაკობს ბევრს. ამბობს, იტალიელი გოგონები ძალიან ლამაზები არიან, ანგელოზებივით. მთელი დღე სხედან კაფეში და ლიმონათს წრუპავენ. ამბობს, რომ რომში უცნაური რესტორნები ყოფილა. იქ ტიტველი ქალები ცეკვავენო...

– შეუძლებელია, – ბიჭი თავს გადაიქნევს – თქვენი სტუმარი ტყუის.

გოგონა ხმას უწევს და რატომღაც ბრაზიანად პასუხობს:

– არაფერსაც არ ტყუის. ჩვენებთან რომ ყოფილიყავი, შენი ყურით გაიგონებდი. ეჰ, მოკლედ, მისი მონათხრობი ზღაპარს ჰგავს.

– რა ვიცი, აბა, ჩვენს ზღაპრებში არც რესტორნებს შევხვედრივარ და არც ტიტლიკანა ქალებს.

– მე ზოგადად გითხარი.

გოგონა წყვეტილ-წყვეტილად სუნთქავს. ბიჭს სურს, წამიერად შიშველი წარმოიდგინოს იგი. თუმცა ისეთი გრძნობა აქვს, რომ სირცხვილისაგან ყურები ეწვის.

გოგონა ეკითხება:

– იტალიაში წასვლას მოისურვებდი?

– იტალიაში რა მესაქმება?

– ისე. სანახავად.

– რატომაც არა, არ იქნებოდა ცუდი.

გოგონა სიარულს იწყებს. მის ფეხქვეშ ფოთოლი ხრაშუნობს და ხის ტოტებიდან ჩიტი ფრთხიალით აიჭრება

ცაში და იმწამსვე ქრება. სიბნელეს ქვა ესროლესო თითქოს.

ბიჭი ფიქრობს, რომ ძირითადში ასე ხდება ხოლმე. უცხო სუნთქვა სიმშვიდეს, სიხალვათეს გიფრთხობს და ამ პატარა ჩიტუნიასავით წყდები ტოტიდან და სიბნელეში იკარგები.

– რატომ არ ჯდები – ამბობს ბიჭი და ახალ პაპიროსს უკიდებს. ასანთის სუსტი ალის ქვეშ ქვა წამიერად ლაპლაპებს. თითქოს ეს ცივი ლაპლაპი ბიჭს ეკითხებოდეს, რატომაა გოგონას ადგილი ცარიელიო. ბიჭი გოგონას უყურებს – მოდი, დაჯექი.

გოგონაც პასუხობს:

– ქვა ცივია.

ბიჭი ფიქრობს, რომ უწინ გოგონა საათობით იჯდა ქვაზე და თავს მის მხარს ჩამოაყრდნობდა. ეს ჩვენი ქვა არისო, იტყოდა.

– სტუმარი დიდხანს შემოგრჩებათ?

– ღმერთმა უწყის...

– რატომ მოვიდნენ?

გოგონა წინ გამოდის და ბიჭის პირისპირ ჩერდება.

– დედამისი ამბობს, ჩემ შვილს დაოჯახება უნდაო. თანაც უნდა, რომ რაიონელი გოგონა შეირთოს.

– ქალაქში რა, ქალი დაილია?

– ამბობს, ქალაქელი გოგონები გათხოვებამდე ათას ოინს სჩადიანო.

– ტყუის!

– არაფერსაც არ ტყუის! მართალს იძახის – გოგონა უკან ტრიალდება და ისევ სიარულს უბრუნდება, მერე, წეღან ცას რომ აჰყურებდა, იქ ჩერდება და ხეს ეყრდნობა.

– არ ვიცი, რატომ არ მოგწონს. ის – ამბობს.

– მე ვთქვი, არ მომწონს-მეთქი?

გოგონა არ პასუხობს. ბიჭი პაპიროსს აგდებს და ფეხით სრისავს. ეკითხება:

– ჰყავს ვინმე შეთვალიერებული?

– ღმერთმა უწყის...

ჩუმდებიან. მთვარეს ღრუბელი ჩაუვლის. მიდამო ბნელდება. მუხების მჭვივარი ტანი უჩინარდება. ფოთლების მიწის მომქარგავი ჩრდილები ორთქლდებიან თითქოს. სიო ისევ ქრის, მაგრამ ვერ გადაიქროლებს, ხეების ტოტებში იბლანდება თითქოს.

ჰავა გრილდება. ბიჭს წამოდგომა და გოგონასათვის პიჯაკის შემოხვევა უნდა, თუმცა აგონდება რომ გოგონას მატყლის ჟაკეტი აცვია.

– კარგი, რა ხელობის კაცია თქვენი სტუმარი? – დუმილს არღვევს ბიჭი.

– მეცნიერებათა კანდიდატია. მანქანაც ჰყავს...

– ხელობაზე გეკითხები.

– ხომ გითხარი. მეცნიერებათა კანდიდატია... – გოგონას ხმა უცაბედად ეცვლება, გეგონება ჩახლეჩოდა და ახლა გაეხსნაო. ის თავს ააღერებს და ღრუბელთა შორის ისევ ზეცას ათვალიერებს, თან აგრძელებს:

– კითხვისას სათვალეს იკეთებს... სქელ-სქელ წიგნებს კითხულობს. ყოველდღე იპარსავს. ძალიან კულტურული ადამიანია... ერთხელ ჩვენს ჩაიხანაში წასულა, ისე, გზად გაუვლია. დაბრუნებისას კი თქვა, თქვენი რაიონის კაცებს კულტურა არა აქვთო. ხელებსაც არ იბანენო. ჭუჭყისაგან გაშავებიათო. ამბობს...

ბიჭი თავს ვერ იკავებს, გოგონას სათქმელს პირში უტოვებს:

– უთხარი მაგ თქვენს სტუმარს, რომ ეგ ჭუჭყი კი არა, მიწის ფერია, – ამბობს და თავისივე ხმისა თავადვე უკვირს. მისდღემში გოგონას ასე მკაცრად არ დალაპარაკებია.

გოგონა ხმას არ იღებს. ეტყობა, ბიჭის ეშინია. ბიჭი კი ისევ თავდახრილი ზის და თითქოს გულში დანთებული ხანძრის ბოლით ჩაქრობა სწადიაო, პაპიროსს ღრმად ქაჩავს. ბოლი ყელის დასუსხვით შიგანში რომ ჩაუდის, ფილტვებში უსიამო ღიტინს გრძნობს. სუნთქვა ეკვრება და ახველებს. ჩვეულებისდაკვალად ელოდება, რომ გოგონა სწრაფად მიუახლოვდება, თავზე ხელს დაადებს და გეყოფა ამდენი მოწევა, თავი შეიცოდეო, ეტყვის. მაგრამ გოგონა ადგილიდან ფეხს არ იცვლის. ეს ყრუ ხველება არც ესმისო, თითქოს...

ბიჭი ძლივსშესამჩნევი ირონიით ეკითხება:

– თქვენი სტუმარი ეწევა?

– არა.

რატომ?

– რა, რატომ? თავისი ჯანის ყადრი იცის კაცმა.

ისევ ჩუმდებიან.

სიო ნელ-ნელა ძლიერდება. ფოთლების შრიალი მონოტონურ გუგუნში გადადის. ბიჭის ყნოსვას ნოტიო და ნაცნობი სუნი სწვდება. ეს, ტყის დასალიერში მდინარის მარჯვენა სანაპიროსთან ახლოს, შუაწელამდე წყალში ჩასული უშველებელი კლდეების არე-მიდამოში დაკიდებული წყალმცენარეების სურნელებაა. «ხვალ იწვიმებს» – ფიქრობს ბიჭი. ქარი შორეთიდან, ჰორიზონტის სიგრძეზე გაწოლილი თოვლიანი მთების ზურგიდან უზარმაზარ, ქვანახშირივით შავ-შავ ღრუბლებს გამოდენის, წვიმა შხაპუნით დაასხამს, ტყის ამ ადგილას ტალახი მუხლებამდე ააღწევს.

გოგონა სახლში დაჯდება და ქალაქელი სტუმრის ნაამბობს მოისმენს იტალიაზე, საბერძნეთზე. ის კი დილაბნელზე ადგება და სამსახურში წავა, გაკვეთილს ჩაატარებს და მოსაღამოებულზე დაქანცული მობრუნდება სახლში. დილის აქეთ გაციებულ ერთ ჭიქა ჩაის დალევს და პირქვე დაემხობა საწოლზე. როგორც ყოველთვის, ჩაბნელებულ ფანჯრებზე ქარისგან გამეტებით შემონარცხებული წვიმის მსხვილი წვეთების ყრუ რაკუნს მიუგდებს ყურს. ბალნიან კისერზე ჩამოკიდებული ჟანგიანი ჯაჭვის ფაფასავით დარბილებულ მიწაზე გველივით დაკლაკვნით დამთრევი, ქვა-ღორღზე მიმხეთქავი, ჭიშკრისა თუ ღობის უსწორმასწორო პალოებზე გამომდებელი და სახლის გარშემო მობორიალე ყმუილა ბებერი ძაღლის გოდება გაუწვრილებს გულს. ყველაფრის სქელ ნისლში გამხვევი წვიმიანი ჰაერის ნესტი მის პატარა ოთახშიც შემოაღწევს და საბან-საგებელს გაუციებს, კუთხეში სპილენძის ქვაბში შენახულ პურს დაურბილებს. ის მხოლოდ სიზმარში იქნება მშვიდად. სიზმარში ისევ მუსიკას მოისმენს, საოცარ ფერებს იხილავს. მზე რომ ამოვა და არე-მიდამოს დაათბობს, გზების, ორღობეების ტალახი რომ

დაიქერცლება და გაშრება, ტყიდან ბალახების ტკბილი სურნელება ოხშივარივით ისევ რომ ავარდება, ნეტა, თუ შეხვდებიან ერთმანეთს?

ბიჭი პაპიროსს უკიდებს და ასანთს მოისვრის. ასანთის ღერი ციცინათელასავით მცირეხანს ბალახებს შორის კიაფობს და ქრება. ბიჭი რატომღაც იღიმება. ეკითხება:

– ე.ი. ჩვენი რაიონი არ მოსწონს სტუმარს, არა?

– რატომ? ამბობს, ძალიანაც თვალწარმტაციაო. იტალიაში ერთი კუნძული ყოფილა, სულ იმას მგვანებია... – გოგონა თავშალს იხსნის და თმას ისწორებს. მთვარის შუქი ეცემა, ბიჭს ეჩვენება, რომ გოგონას თავზე უამრავი ნაპერწკალი ეყრება.

გოგონა თავშალს ხელახლა იკრავს და ძლივსგასაგონი ოხვრით ამბობს:

– მამაჩემი იძახის, ჩემ სიცოცხლეში ამისთანა ბიჭის მნახავი არა ვარო. დედაჩემიც ძალიან აქებს.

ბიჭი დგება, მხოლოდ ერთ ნაბიჯს დგამს წინ და ჩერდება. რაღაც ძალა გოგონასთან მიახლოებას არ ანებებს. ეკითხება:

– და შენ? შენც მოგწონს?

– ვინ?

– ის ქალაქელი ბიჭი.

– რა ვიცი... – გოგონა უცებ წყვეტს სიტყვას, რადგან სადღაც, სულ ახლოს, ძაღლი ყეფს. ბიჭი გრძნობს, რომ საუბრის ამ მომენტში ძაღლის ყეფა გოგონას ახარებს. ბიჭი ისევ თავის ადგილს უბრუნდება და თავს ხრის.

გული ნაცნობი ტემპით უცემს. ფრონტიდან მამის დაღუპვის ამბავი რომ მოუვიდა, გული მაშინაც ასეთნაირად უცემდა, თუმცა იმწუთას დარდისგან, მძიმე დანაკარგისგან, მარტოობისგან, და ახლა რისგანღა უცემს? ბიჭი ვერაფერს იგებდა, მხოლოდ ინსტინქტურად გრძნობდა, რომ ახლა რაღაც სერიოზული მოხდებოდა, გაბერილი ღრუბელი ჩამოიცლებოდა. ის თავს მაღლა სწევს და გოგონას უყურებს. გულის ყრუ ტკივილით ფიქრობს, რომ მათ შორის ახლა, სულ ცოტა, ათასწლოვანი მანძილი მაინცაა.

– რატომ არ ჯდები?

– ხომ გითხარი... ქვა ცივია.

ბიჭი მხოლოდ ახლა გრძნობს, რომ ქვა მართლაც ცივია და რომ ამ სიცივისგან სხეული უხურს. გოგონა ახლოს მოდის.

– ძალიან დავიღალე, წავალ.

– რატომ დაიღალე?

გოგონა რაღაცას ეუბნება, ბიჭს არაფერი ჩაესმის.

ქარი მაღლა, ხეების ზემოთ მოგუდულად გუგუნებს. «ხვალ უეჭველად იწვიმებს» – ფიქრობს ბიჭი. წვიმა ქვის ირგვლივ მიწას დაალბობს, წვრილ ბალახებს ფესვიანად წაიტანს, მისი და გოგონას ნაკვალევსაც წარეცხავს. ამ ნისლ-ნამქერიან ამინდში ტყეში შემთხვევით გამვლელი მგზავრები ალბათ აქ შეყოვნდებიან და გაიფიქრებენ, რომ ამ ქვაზე აქამდე არავინ მჯდარა, რადგან კვირების განმავლობაში ნაწვიმარი ქვა ძალზე ცივი იქნება.

[i] Крук – უკრაინულად ყორანს ნიშნავს.